

- მ. ცინცაძე, ა. მამულაშვილი,  
თ. გიორგაძე, ნ. გეგეშიძე, ნ. კილასონია

## არაორგბანული ქიმია

II ნაწილი

(d- და f-ელემენტების ქიმია)

„ტექნიკური უნივერსიტეტი”

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. ცინცაძე, ა. მამულაშვილი,  
თ. გორგაძე, ნ. გეგეშიძე, ნ. კილასონია

არაორგანული ქიმია

II ნაწილი

(d- და f-ელემენტების ქიმია)



დამტკიცებულია სტუ-ს  
სარედაქტო-საგამომცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი  
2009

სახელმძღვანელო “არაორგანული ქიმია” (ნაწილი II) გათვალისწინებულია ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის როგორც ბაკალავრიის ასევე, უმაღლესი პროფესიული სწავლების სტუდენტებისთვის. მისი გამოყენება შეუძლიათ აგრეთვე სხვადსხვა უმაღლესი ზოგადტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტებს, ინჟინრებს, სკოლის პედაგოგებს და მაღალი კლასების მოსწავლეებს.

სახელმძღვანელოში განხილულია d- და f-ელემენტების ქიმია. I თავში მოცემულია d- და f-ელემენტების ზოგადი დახასიათება ატომის აღნაგობის თვალსაზრისით. განხილულია ჯგუფებში ელემენტების რადიუსის ცვლილებასთან დაკავშირებით d- და f- ელექტრონების ბირთვთან შეღწევადობა და მისი გავლენა ელემენტების თვისებებზე.

თითოეული ჯგუფის განხილვა იწყება ქმაჯგუფის ზოგადი დახასიათებით ატომის აღნაგობის თვალსაზრისით. მოცემულია შესაბამისი ელემენტების ელექტრონული ფორმულები, მათი უანგვითი რიცხვები და ა.შ.

ელემენტთა დახასიათებისას ყურადღება გამახვილებულია მოცემული ელემენტების და მათი ნაერთების გამოყენებაზე ქიმიურ ტექნოლოგიებში, მრეწველობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, მედიცინაში, განხილულია მათი ბიოლოგიური როლი.

ავტორები დიდი მადლობით მიიღებენ მითითებებს და შენიშვნებს, რასაც გაითვალისწინებენ შემდგომი გამოცემებისას.

რეცენზენტი პროფ. შ. სიდამონიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009

ISBN 978-9941-14-198-0 (ყველა ნაწილი)

ISBN 978-9941-14-334-2 (მეორე ნაწილი)

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისკება კანონით.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### ბარდამავალი ელემენტების ზობადი

#### დახასიათება

გარდამავალი ელემენტებია ის ელემენტები, რომელთა ატომებს ნაწილობრივ ან სრულად შევსებული აქვთ  $(n - 1)d$  ან  $(n - 2)f$  ქვედონები. აქედან გამომდინარე გარდამავალი ელემენტები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:  $d$  – ელემენტებად და  $f$  – ელემენტებად.  $f$  – ელემენტები თავის მხრივ იყოფა ორ ქვეჯგუფად – ლანთანიდებად და აქტინიდებად.

დ.ი.მენდელეევის პერიოდული სისტემის ელემენტის ელექტრონული ღრუბელი რიგითი ნომრით მის წინამდებარე ელემენტის ელექტრონული ღრუბლისაგან განსხვავდება იმით, რომ გარე ელექტრონულ დონეზე აქვს ერთით მეტი ელექტრონი, თუმცა ეს კანონზომიერება ყოველთვის არ სრულდება.

კალციუმს ( $Z = 20$ ) შევსებული აქვს ყველა შიგა ქვედონები და  $ns$  ქვედონები მის მომდევნო ელემენტს  $Sc(21)$  ოცდამეერთე ელექტრონი მოთავსებული აქვს არა  $np$ - ქვედონებები, არამედ  $(n - 1)d$  ქვედონებები.  $d$  – ქვედონები შეესაბამება ხუთი ორბიტალი, ამიტომ მომდევნო ელემენტების ელექტრონები ავსებენ ამ  $d$  – ორბიტალებს და წარმოქმნიან ათ ელემენტიან მწყრივს ( $Sc \cdots Zn$ ) ეს მწყრივი ცნობილია გარდამავალი ელემენტების ( $d$ -ელემენტების) სახელწოდებით.  $np$  – ქვედონის შევსება კი იწყება გალიუმიდან (31).

ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს შემდეგ პერიოდშიც. სტრონციუმს ( $38$ ) შევსებული აქვს  $ns$  – ქვედონები, ხოლო მომდევნო ელემენტის  $Y$  ( $39$ ) ოცდამეცხრამეტე ელექტრონი მოთავსებულია  $(n - 1)d$  ქვედონებები. იტრიუმის მომდევნო ელემენტები თანდათანობით ავსებენ  $(n - 1)d$  ქვედონების და წარმოიქმნება გარდამავალი ელემენტების ( $d$ - ელემენტების) მეორე ათელემენტიანი მწყრივი ( $Y - Cd$ ).

გარდამავალი ელემენტების მესამე მწყრივი იწყება ლანთანით (57), რომელსაც შევსებული აქვს  $(n - 1)s$  და  $(n - 1)p$  – ქვედონები და  $ns$  ქვედონები. ერთი ორმოცდამეზიდმეტე ელექტრონი მოთავსებულია  $(n - 1)d$  ( $5d$ ) ქვედონებები. მომდევნო ელემენტის, ცეზიუმის (58) დამატებითი ელექტრონი, პირველი და მეორე გარდამავალი ელემენტებისაგან განსხვავებით, ავსებს არა  $(n - 1)d$  ქვედონების, არამედ  $(n - 2)f$  ქვედონების.  $f$  ქვედონების აქვს შვიდი ორბიტალი, ამიტომ მომდევნო თოთხმეტი ელექტრონი (რიგითი ნომრით 58 – 71) თანდათანობით ავსებს  $(n - 2)f$  ( $4f$ ) ორბიტა-

ლებს. სამოცდამეთორმეტე ელემენტი (Hf) აგრძელებს ( $n - 1$ )d (5d) ქვედონის შევსებას. მომდევნო ელემენტები თანდათანობით ავსებენ 5d ქვედონებს. მიიღება გარდამავალი ელემენტების მესამე მწყრივი (La ----- Hg).

მეოთხე გარდამავალი მწყრივიდან ცნობილია აქტინიუმი (89), რეზერფორდიუმი (104), დუბნიუმი (105), სიბორგოვიუმი (106), ბორნიუმი (107), ჰასიუმი (108) და მეიტრენიუმი (109).

ქვედონეებზე აღნიშნული სახით ელექტრონების განლაგება დადგენილია სპექტროსკოპული გამოკვლევებით.

გარდამავალი ელემენტების თითოეული მწყრივისთვის არსებობს ელექტრონების განლაგების ორი უფრო მდგრადი მდგომარეობა:

1. როდესაც ქვედონის ყველა ორბიტალი მაქსიმალურად არის შევსებული ელექტრონებით (Zn, Cd, Hg)
2. როდესაც d- ქვედონე ნახევრადაა შევსებული ე.ი. ხუთ ორბიტალზე იმყოფება თითო ელექტრონი (Mn, Mo, Re).

ეს არის იმის მიზეზი, რომ Cu, Ag, Au, Pd, Pt და ასევე Cr, Mo-ის შემთხვევაში, ერთი ელექტრონი (Pd-ისთვის ორი) ns – ორბიტალიდან გადადის ( $n - 1$ )d ორბიტალზე, რის შედეგადაც წარმოქმნება ელექტრონების განლაგების ენერგეტიკულად უფრო მდგრადი მდგომარეობა.

გარდამავალი ელემენტები არ იერთებენ ელექტრონებს. ისინი მხოლოდ გასცემენ ელექტრონებს და წარმოქმნიან დადებით იონებს. ამიტომ ყველა გარდამავალი ელემენტი ლითონია.

მესამე ჯგუფის d-ელემენტები გასცემენ ელექტრონებს და წარმოქმნიან იონებს ჟანგვითი რიცხვით +3 (ჯგუფის ნომრის შესაბამისი). IV – VII ჯგუფის ელემენტებისათვის, გარდა ჯგუფის ნომრის ტოლი ჟანგვითი რიცხვისა, დამახასიათებელია უფრო დაბალი ჟანგვითი რიცხვიც. მაგალითად ტიტანი (IV ჯგუფი) წარმოქმნის ნაერთებს, სადაც ჟანგვითი რიცხვი ტოლია +2, +3 და +4; ვანადიუმის (V) ნაერთებში ჟანგვითი რიცხვი ტოლია +2, +3, +4 და +5 ე.ი. d – ელემენტების სავალენტო ელექტრონებია ns და ( $n - 1$ )d ელექტრონები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ d- ელექტრონები, მხოლოდ მაშინ იწყებენ მონაწილეობას, როდესაც ყველა s- ელექტრონი გაცემულია.

VIII – ჯგუფის d – ელემენტებიდან მაქსიმალური ჟანგვითი რიცხვი რვა დამახასიათებელია მხოლოდ რუთენიუმის ( $\text{RuO}_4$ ) და ოსმიუმისათვის ( $\text{OsO}_4$ ,  $\text{OsF}_8$ ).

დანარჩენი ელემენტებისათვის უანგვითი რიცხვი არ აღემატება +6, ხოლო კობალტის და ნიკელის +3 (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომპლექსნაერთებს).

პირველი ჯგუფის d – ელემენტები Cu, Ag, Au არიან ის გამონაკლისები, რომლებიც წარმოქმნიან ნაერთებს, სადაც უანგვითი რიცხვი მაღალია ჯგუფის ნომერზე.

მეორე ჯგუფის d – ელემენტების (Zn, Cd, Hg) d ქვედონე სრულად შევსებულია (10 ელექტრონი). ამ ელემენტებისათვის სავალენტო ელექტრონებია მხოლოდ  $ns^2$  – ელექტრონები. ამიტომ მათი უანგვითი რიცხვი ტოლია +2.

გარდამავალი ელემენტებისათვის დამახასიათებელია კომპლექსური ნაერთების წარმოქმნის მკვეთრად გამოხატული თვისებები.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ელემენტებს, რომელთაც ელექტრონები გააჩნიათ  $(n - 2)f$  ქვედონებებს, f – ელემენტები ეწოდება. ვინაიდან f – ქვედონეს აქვს შვიდი ორბიტალი, ამიტომ პერიოდში f – ელემენტების მაქსიმალური რაოდენობა ტოლია თოთხმეტის.

ლანთანს 6s ორბიტალზე აქვს ორი ელექტრონი, ხოლო 5d ორბიტალზე ერთი. პერიოდულ სისტემაში ლანთანის მომდევნო ელემენტებს 6s და 5d ორბიტალები შევსებული აქვთ ლანთანის ანალოგიურად, ხოლო დამატებით ელექტრონები თანდათან ავსებენ f ორბიტალებს. ე.ი. ლანთანის (57) მომდევნო ელემენტები (58 – 71) წარმოადგენენ f ელემენტებს. ამ მწერივის ელემენტები ქიმიური თვისებებით ძალიან ჰგავანან როგორც ერთმანეთს, ასევე სკანდიუმს, იტრიუმს და ლანთანს. ეს ელემენტები ცნობილია იშვიათმიწა ლითონების სახელწოდებით. (58–71) ლანთანის მომდევნო ელემენტებია და ქიმიური თვისებებით ძალიან ჰგავანან ლანთანს, ამიტომ მათ ლანთანიდებს უწოდებენ.

ლანთანის ანალოგიურად, ლანთანიდებს გარე ორბიტალზე (6s და 5d) აქვთ ერთი და იგივე ელექტრონების რაოდენობა, რომელთა გაცემის შემდეგ წარმოქმნიან სამვალენტიან ( $\Theta^{+3}$ ) – იონებს, ამიტომ მათი ნაერთების ფორმები და თვისებები მსგავსია.

პერიოდულ სისტემაში იონების რადიუსები ატომური ნომრის ზრდასთან ერთად პერიოდულად იცვლება, მაგრამ ლანთანიდებისათვის შეინიშნება იონების რადიუსების არაპერიოდული ხაზოვანი შემცირება. ეს მოვლენა ცნობილია ლანთანიდური კუმშვის სახელწოდებით. ლანთანიდური კუმშვა შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: 4f – ქვედონე, რომელიც თანდათანობით ივსება ელექტრონებით,

იმყოფება ბირთვთან ახლოს, ამიტომ მოცულობის ზრდა, რომელიც თან ახლავს ამ ქვედონებულ ელექტრონების რიცხვის ზრდას, კომპიუტერების ბირთვის მიერ ელექტრონების მიზიდვით, რომლის დადებითი მუხტი მონოგრაფიურად იზრდება.

პერიოდულ სისტემაში აქტინიუმის (89) შემდეგი თოთხმები ელემენტი ცნობილია აქტინიდების სახელწოდებით. ეს ელემენტები ლანთანიდთა ანალოგიურია. აქტინიდები თანდათან ავსებენ 5f ქვედონებს.

რენტგენოსტრუქტურული მეთოდით დადგენილია, რომ აქტინიდების იონური რადიუსები მცირდება ატომური ნომრის ზრდასთან ერთად. ეს მოვლენა ლანთანიდური კუმშვის ანალოგიურია და ცნობილია აქტინიდური კუმშვის სახელწოდებით.

## თავი I

### III ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები

პერიოდული სისტემის III ჯგუფის თანაური ქვეჯგუფიდან ”იტყება” გარდამავალი d-ელემენტების რიგი. III ჯგუფის თანაურ ქვეჯგუფში შედის 32 ელემენტი: 17 იშვიათმიწათა ელემენტი, აქტინიუმი და 14 აქტინიდი (რაც წარმოადგენს ელემენტ-ლითონების ნახევარს და პერიოდული სისტემის ყველა ელემენტის მესამედს). ამ თავში განხილული იქნება III ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის d-ელემენტები: სკანდიუმი, იტრიუმი, ლანთანი და აქტინიუმი (III ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის f-ელემენტები: ლანთანიდები და აქტინიდები იხ. თავი X და თავი XI-ში).

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო უარყოფითობა	უანგვითობა
Sc	44,9559	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^1 4s^2$	1,20	+3
Y	88,9059	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^1 5s^2$	1,11	+3
La	138,9055	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 5s^2 5p^6 5d^1 6s^2$	1,08	+3
Ac	227,028	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 4f^{14} 5s^2 5p^6 5d^{10} 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$	1,00	+3

### სპანდიუმი

1871 წ. დ.ი. მენდელეევმა დიდი სიზუსტით აღწერა მესამე ჯგუფის, მანამდე უცნობი ელემენტის ფიზიკური და ქიმიური თვისებები და უწოდა “ეპაბორი”, ხოლო 1879 წ. ნილსონმა აღმოაჩინა ახალი ელემენტი, რომლის თვისებები, ატომური მასა და სიმკვრივე ზუსტად დაემთხვა ეპაბორის თვისებებს და თავისი სამშობლოს საპატივცემულოდ დაარქვა სკანდიუმი.

## ბუნებაში გავრცელება


სკანდიუმი ბუნებაში გავრცელებულია ნაერთების სახით პოლიმეტალურ მაღნებში. სკანდიუმით შედარებით მდიდარია მინერალი ტორტვეიტიტი –  $\text{Sc}_2\text{Si}_2\text{O}_7$ , რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთი იშვიათი მინერალია.

## იზოტოპები


ბუნებრივი სკანდიუმი შედგება ერთადერთი იზოტოპისაგან –  $^{45}\text{Sc}$ . ცნობილია ასევე სკანდიუმის ხელოვნურად მიღებული ათამდე რადიოაქტიური იზოტოპი. მათგან პრაქტიკული გამოყენება აქვს რადიოაქტიურ იზოტოპს –  $^{46}\text{Sc}$  (ნახევრად დამლის პერიოდით 83,83 დღ-დამე). იგი გამოიყენება ნაგთობგადამამუშავებელ წარმოებაში, მეტალურგიული პროცესების კონტროლისათვის და მედიცინაში ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ. იზოტოპი –  $^{47}\text{Sc}$  (ნახევრად დაშლის პერიოდით 3,35 დღ-დამე) წარმოადგენს პოზიტრონების ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს.

## მიღების ხერხები


ლითონური სკანდიუმის მისაღებად მის ჰალოგენიდებს აღადგენენ ლითონოთერმული გზით. სკანდიუმის ქლორიდის ლითონოთერმიას ატარებენ მაგნიუმით, ფტორიდისას – კალციუმით:



სკანდიუმის მიღება შესაძლებელია ასევე, ქლორიდების ნალღობის ელექტროლიზით:





*K A*





## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

სკანდიუმი მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის ძნელადლღბადი ლითონია. სხვა იშვიათმიწათა ლითონების მსგავსად საკმაოდ აქტიურია და ადვილად იუანგება. ტენიან ჰაერზე  $\text{CO}_2$ -თან და წყალთან ურთიერთქმედების შედეგად სწრაფად წარმოქმნის ცვლადი შედგენილობის პიდრატირებულ ფუძე კარბონატს:  $\text{xSc(OH)}_3 \cdot \text{ySc}_2(\text{CO}_3)_3 \cdot \text{zH}_2\text{O}$ .


სკანდიუმი მაღალ ტემპერატურაზე უერთდება ფტორს, ქლორს, ბრომს, იოდს, გოგირდს, აზოტს. სკანდიუმი ადვილად ურთიერთქმედებს განზავებულ მჟავებთან წყალბადის გამოყოფით:



სკანდიუმის ოქსიდი –  $\text{Sc}_2\text{O}_3$  – მიიღება სკანდიუმის გაცხელებით ჰაერზე ან პიდროქსიდის და კარბონატის დაშლით:



სკანდიუმის პიდროქსიდი –  $\text{Sc(OH)}_3$  – ლაბისებრი თეთრი ნალექია, მიიღება შესაბამის წყალში ხსნად მარილზე ამონიუმის პიდროქსიდის ან ტუტის ხსნარის მოქმედებისას:



სკანდიუმის მარილები თეთრი ფერისაა, ადვილად განიცდიან პიდროლიზს. მათი თვისებები ალუმინის შესაბამისი ნაერთების თვისებების მსგავსია. წყალში კარგად ხსნადია ქლორიდი, ბრომიდი, სულფატი, ნიტრატი და აცეტატი, ხოლო სულფიდი, ფტორიდი, ფოსფატი, კარბონატი და ოქსალატი მცირედ ხსნადია.

სკანდიუმი ადვილად წარმოქმნის კოორდინაციულ ნაერთებს. მცირედ ხსნადი სკანდიუმის ფტორიდი ტუტე ლითონების ფტორიდებთან წარმოქმნის კარგად ხსნად კომპლექსურ ფტორმარილებს (აციდომარილებს), რომელთა შედგენილობა გამოისახება ზოგადი ფორმულებით:  $\mathcal{E}^{\text{I}}[\text{ScF}_4]$ ,  $\mathcal{E}_2^{\text{I}}[\text{ScF}_5]$ ,  $\mathcal{E}_3^{\text{I}}[\text{ScF}_6]$  სადაც  $\mathcal{E} = \text{K}, \text{Na}$ .

სკანდიუმი გამოიყენება მეტალურგიაში, სხვადასხვა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შენადნობების თვისებების გასაუმჯობესებლად. მაგ.: ალუმინიუმის შენადნობაზე 0,4% სკანდიუმის დამატება ზრდის დროებით წინაღობას 35%-ით, ხოლო დენადობის ზღვარს 65-84% და ამასთან, ფარდობითი წაგრძელება რჩება 20-27% დონეზე. ქრომზე 0,3-0,67% სკანდიუმის დამატება ზრდის მის მდგრადობას უანგვის მიმართ  $1290^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე და სხვ.

სკანდიუმი გამოიყენება ზემაგარი მასალების მისაღებად. მაგ.: ტიტანის კარბიდის სკანდიუმის კარბიდით ლეგირება ძალზე მკეთრად ზრდის მდგრადობას (2-ჯერ).

სკანდიუმის ბერილიდე (1 ატომი სკანდიუმი და 13 ატომი ბერილიუმი) გააჩნია სიმკვრივის, სიმტკიცის და მაღალი ლდობის ტემპერატურის საუკეთესო შეხამება, ამიტომ წარმოადგენს საუკეთესო მასალას აეროკოსმოსური ტექნიკის მშენებლობისათვის.

სკანდიუმის ოქსიდი გამოიყენება მიკროელექტრონიკაში და მაღალი ინტენსივობის გამანათებელი ელემენტების წარმოებაში, მედიცინაში (მაღალხარისხოვანი კბილის პროთეზების დასამზადებლად).

ატომურ მრეწველობაში წარმატებით გამოიყენება სკანდიუმის პიდრიდი და დეიტერიდი.

## 0ტრ0უმ0

### ბუნებაში გავრცელება

იტრიუმი გვხვდება პოლიმეტალურ მადნებში, რომლებიც შეიცავენ ლანთანიდებს, კალციუმს, სკანდიუმს, ტიტანს და სხვ. იტრიუმი მოიპოვება სხვადასხვა მინერალებში:

**ფერგუსონიტი –  $\text{YNbO}_4$ ,**

**სამარსკიტი –  $\text{Y}(\text{Fe,U})(\text{Nb,Ta})_2\text{O}_8$ ,**

**გადოლინიტი –  $\text{Y}_2\text{Fe}[\text{Be}_2\text{Si}_3\text{O}_{10}]$ ,**

**ევპსენიტი –  $\text{YNbTiO}_6$ ,**


**იტროპარიზიტი –  $\text{Y}_2\text{Ca}(\text{CO}_3)_3\text{F}_2$  და სხვ.**

## იზოტოპები


იტრიუმის ერთ სტაბილურ იზოტოპზე  $^{89}\text{Y}$  მოდის თხუთმეტი რადიოაქტიური იზოტოპი მასური რიცხვებით 82-დან 97-მდე და ნახევრადდაშლის პერიოდით წუთიდან 105 დღემდე. ზოგიერთი ამ იზოტოპებიდან წარმოიქმნება ურანის ბირთვების სპონტანური გახლებისას. შედარებით მეტად შესწავლილია იტრიუმის რადიოაქტიური იზოტოპი-91, წარმოქმნილი ნაწილობრივ ბირთვული აფეთქებების დროს.

## მიღების ხერხები

ლითონური იტრიუმი მიიღება ოქსიდიდან ან ჰალოგენიდად იყენებენ Mg ან Ca:



ასევე იტრიუმის ქლორიდის ნალღობის ელექტროლიზით:




გარდა იტრიუმისა, ელექტროლიზის პროცესშია მაგნიუმი და კადმიუმი, რომელთა მოცილების მიზნით ნალღობს გაკუმში აცხელებენ  $900\text{-}1200^\circ\text{C}$ -ზე.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

იტრიუმი მოვერცხლისფრო, რბილი ლითონია. ძალაზე აქტიურია და ჰაერზე ადგილად იქანგება.


იტრიუმის ფიზიკური და ქიმიური თვისებები მსგავსია სკანდიუმის თვისებების.

**იტრიუმის ოქსიდი –  $\text{Y}_2\text{O}_3$  –** მიიღება თეთრი ფაშარი ფხვნილის სახით პიდროქსიდის ან კარბონატის დაშლით:



**იტრიუმის ოქსიდი მცირედ იხსნება წყალში, კარგად იხსნება მჟავებში.**

**იტრიუმის ჰიდროქსიდი –  $\text{Y(OH)}_3$  –** ლაბისებრი თეთრი ნივთიერებაა, მიიღება მის ხსნად მარილზე ტუტების მოქმედებისას:



**იტრიუმის მარილები.** იტრიუმი წარმოქმნის სამვალენტიან ნაერთებს, ამით იგი უახლოვდება ალუმინს, მაგრამ თავისი ნაერთების თვისებებით ემსგავსება ტუტებიწათა ლითონების ნაერთებს. მისი მარილების წყალხსნარები შეიცავს უფერო იონებს.

**იტრიუმის ქლორიდი –  $\text{YCl}_3$  –** მიიღება ქლორის მოქმედებით ლითონურ იტრიუმზე, აირადი ქლორწყალბადით სულფიდის ან კარბონატის დამუშავებისას. იტრიუმის ქლორიდი სხვადასხვა ქლორიდებთან წარმოქმნის ორმაგ მარილებს, მაგ.:  $\text{YCl}_3 \cdot 3\text{HgCl}_2 \cdot 9\text{H}_2\text{O}$ ;  $2\text{YCl}_3 \cdot 3\text{PtCl}_2 \cdot 4\text{H}_2\text{O}$  და სხვ.

**იტრიუმის კარბიდი –  $\text{YC}$  –** მიიღება იტრიუმის ოქსიდის ნახშირთან ერთად ელექტროდუმელში გახურებისას.

**იტრიუმის ოქსიდისა და თორიუმის დიოქსიდის მეარი ხსნარი – “იტრიალუქსი”** ხილული სინათლისათვის გამჭირვალე მასალაა, როგორც მინა, მაგრამ ამასთან იგი კარგად ატარებს ინფრაწითელ სხივებს. ამიტომ გამოიყენება ინფრაწითელი “ფანჯრების” დასამზადებლად სპეციალური აპარატურისათვის და რაკეტებისათვის, ასევე იყენებენ სათვალთვალო ხერელებისათვის მაღალტემპერატურულ დუმელებში (“იტრიალუქსი” ლაგება დაახლოებით  $2207^{\circ}\text{C}$ -ზე).

**იტრიუმის ოქსიდი –** წარმოადგენს ცეცხლგამძლე მასალას, პაერზე მდგრადია გაცხელების მიმართ, გამოიყენება რიგი მაღალაქტიური მასალების გალვობისათვის (მათ შორის თავად იტრიუმის, ურანის და სხვ.).

**იტრიუმის მნიშვნელოვანი ნაერთია მისი ტელურიდი, რომელსაც გააჩნია მცირე სიმკვრივე, მაღალი ლილიძის ტემპერატურა და სიმტკიცე. გამოიყენება მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე თერმოელექტროგენერატორების წარმოებაში.**

**იტრიუმის ბერილიდი** წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო კონსტრუქციულ მასალას აეროკოსმოსურ ტექნიკაში (ლიგვება  $1020^{\circ}\text{C}$  – ზე, პაკეტები დაჭანგვას  $1670^{\circ}\text{C}$ -ზე).

**ალუმინის იტრიუმით ლეგირება** მისგან დამზადებული მასალის ელექტროგამტარობას ზრდის  $7,5\%-ით$ .

**კუროპიუმის იონებით ლეგირებული იტრიუმის ოქსიდი** და განადატი გამოიყენება ფერადი ტელევიზორების კინესკოპების წარმოებაში. კუროპიუმით გააქტივირებული **იტრიუმის ოქსოულფიდი** გამოიყენება ლუმინოფორების წარმოებაში ფერადი ტელევიზორებისათვის, ხოლო ტერმიუმით აქტივირებული – შავ-თეთრი ტელევიზორებისათვის.

**იტრიუმის ტეტრაბრომიდი** გამოიყენება ატომური რეაქტორების მართვის მასალების დასამზადებლად.

**იტრიუმის ორთოტანტალატი** გამოიყენება რენტგენოგრაფიული საფარის წარმოებისათვის.

**იტრიუმის ფერიტი** გამოიყენებაა სუპერ უპ-ის წარმოებაში.

## ლანთანი

### ბუნებაში გავრცელება


ლანთანი მოიპოვება ფოსფატის, ფტორკარბონატის, სილიკატის და სხვ. ნაერთების სახით. მას ხშირად ახლავს სკანდიუმი, იტრიუმი, ცირკონიუმი, თორიუმი და ურანი. მისი მნიშვნელოვანი მინერალებია მონაციტი, რომელიც ძირითადად შედგება ცერიუმის, იტრიუმის, თორიუმის ფოსფატებისაგან –  $(\text{Ce}, \text{La...})\text{PO}_4$  და ბასნეზიტი –  $(\text{Ce}, \text{La...})\text{FCO}_3$ .

## იზოტოპები


ლანთანი ბუნებაში სკანდიუმის და იტრიუმის მსგავსად, გავრცელებულია მხოლოდ ერთი სტაბილური იზოტოპის სახით –  $^{139}\text{La}$ .

## მიღების ხერხები

ლითონური ლანთანი მიიღება მისი ქლორიდიდან ან ოქსიდიდან ლითონოთერმული გზით, ან ჰალოგენიდების ნალღობის ელექტროლიზით:




*K A*




## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლანთანი მოვერცხლისფრო-თეთრი, მძიმე, მნელადლდობადი ლითონია. სხვადასხვა ლითონებთან (Cu, Tl, Mg, Zn, Cd, Fe, Co, Ni და Hg) წარმოქმნის შენადნობებს. ძალზე რეაქციისუნარიანი ლითონია, ჩვეულებრივ ტემპერატურაზე საკმარისია ლანთანის რამდენიმე საათით ჰაერზე დაყოვნება, რომ იგი გარდაიქმნება ფხვნილად ჰიდროქსოკარბონატში გადასვლის გამო.



ჟანგბადის არეში 450°C-მდე გაცხელებისას ლანთანი იწვის მნათი ალით (ამ დროს გამოიყოფა საკმაოდ დიდი რაოდენობის სითბო):




აზოტის არეში გავარვარების დროს გამოიყოფა შავი ფერის ნიტრიდი:




ქლორთან ლანთანი მოქმედებს ოთახის ტემპერატურაზე, ხოლო ბრომთან და იოდთან რეაგირებს მხოლოდ გაცხელებისას:





ლანთანი აქტიური ლითონია, შლის წყალს:




კარგად იხსნება მინერალურ მჟავებში, ტუბის ხსნარებთან არ რეაგირებს.

ეგელა ნაერთში ლანთანი ამჟღავნებს +3 ჟანგვით რიცხვს. ოთახის ტემპერატურაზე ლანთანი ადვილად იუანგება, ამიტომ მას ინახავენ ბენზოლში.


**ლანთანის ჰიდრიდი –  $LaH_3$**  – მიიღება ლითონურ ლანთანზე წყალბადის მოქმედებით. მასზე წყლის მოქმედებით გამოიყოფა წყალბადი და ლანთანის ჰიდროქსიდი.

**ლანთანის ოქსიდი –  $La_2O_3$**  – ადვილად მიიღება ლითონური ლანთანის ჟანგვით ჰაერზე, ან ჰიდროქსიდის, კარბონატის და ნიტრატის თერმული დისოციაციით:



$La_2O_3$  თეთრი ფერის ამორფული ფევნილია; ფუძე ოქსიდია, წყალთან არ ურთიერთქმედებს, მაგრამ იხსნება მჟავებში, ამონიუმის მარილებიდან აძევებს ამიაკს, ჰაერიდან ადვილად შთანთქავს  $CO_2$ -ს და წარმოქმნის კარბონატს. ამიტომ ლანთანის ოქსიდს ინახავენ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში.

**ლანთანის ჰიდროქსიდი –  $La(OH)_3$**  – ლაბისებრი თეთრი ნალექია, მიიღება მის ხსნად მარილზე ტუტის ხსნარის მოქმედებით:




ან კარბიდზე წყლის მოქმედებით:




იშვიათმიწათა ლითონებს შორის ლანთანის ჰიდროქსიდი ერთ-ერთი ძლიერი ფუძეა.

**ლანთანის ფტორიდი –  $\text{LaF}_3$**  – მიიღება ლითონურ ლანთანზე ფტორის მოქმედებით:



**ლანთანის უწყლო ქლორიდი –  $\text{LaCl}_3$**  – ასევე მიიღება ქლორის მოქმედებით ლითონურ ლანთანზე, ხოლო ლანთანის ბრომიდის ( $\text{LaBr}_3$ ) მისაღებად მის ქლორიდზე ან სულფატზე მოქმედებენ ბრომწყალბადით:



**ლანთანის ნიტრატი –  $\text{La}(\text{NO}_3)_3$**  – სხვა ლითონების ნიტრატებთან წარმოქმნის ორმაგ მარილებს და კოორდინაციულ ნაერთებს:  $2\text{La}(\text{NO}_3)_3 \cdot 3\text{H}_2\text{O} \cdot \text{E}(\text{NO}_3)_2 \cdot 24\text{H}_2\text{O}$ , სადაც  $\text{E} = \text{Mg}, \text{Zn}, \text{Mn}^{2+}, \text{Cu}^{2+}$  და სხვ.

ფართოდ გამოიყენება **ლანთანის თქიდი**  $\text{La}_2\text{O}_3$ . იგი მნიშვნელოვანი კომპონენტია თეტრაქროიდის მინებისათვის (5-40%) ლინზების, კინ და ფოტოაპარატურის პრიზმების დასამზადებლად. ლანთანის დამატებით შესაძლებელი გახდა თბილების ზომების შემცირება (იგივე შუქრებით) და ფერადი სურათის ხარისხის გაუმჯობესება. **ლანთანის თქიდი** ასევე გამოიყენება ლანთანის, იტრიუმის, ბარიუმის, სტრონციუმის, სპილენის და სხვ. ხაფუძველ ზეამძღველებული მაღალტემპაერატურული ზეგამტარების სინთეზისათვის.

**ლანთანის ქრომიტი**, ლეგირებული კალციუმით, სტრონციუმით და მაგნიუმით, გამოიყენება მაღალტემპაერატურული ღუმელების გამაცხელებლების წარმოებაში (ლლ. ტემპ.  $-2453^\circ\text{C}$ , მუჭა ტემპ. დაახლოებით  $1780^\circ\text{C}$  უანგბადის არეში). ტემპაერატურის გაზრდით ლანთანის ქრომიტის ელექტრომანეტურობა მკვეთრად მცირდება. მისი თერმული გაფართოების კოეფიციენტი ძალზე მცირება, რაც განაპირობებს მისგან დამზადებული ელექტროგამაცხელების ხანგამდლებას.

**ლანთანი** იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ლითონოთერმული გზით იშვიათმიწათა ელექტრობის აღდგენისათვის.

**ლანთანის ნაერთების საფუძველზე აწარმოებენ საფანჯრე მინების საფარს, რომელიც ამცირებს შენობის ტემპერატურას 5-7C-ით.**

**ლანთან-ნიკელური ჰიდრიდი ფართოდ გამოიყენება როგორც წყალბადის ტემპერატური აუზელატორი (წყალბადის ლითონოჰიდრიდული შენახვა) ავტომობილებისათვის.**

**მაღალი სისუფთავის ლითონურ ლანთანს განხაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ატომურ წარმოებაში, კონკრეტულად, ბირთვული სათბობის გადამუშავების ტექნიკური პლატონიუმის გამოყოფის მიზნით.**

**ლანთანის მოლიბდატს გააჩნია ძალზე მაღალი გამტარობა, რის გამოც ბოლო წლებში გაიზარდა მის მიმართ ინტერესი.**

**ლანთანის ჰექსაბორიდი გამოიყენება ავტომების კატოდების წარმოებისათვის.**

## აქტინიუმი

### ბუნებაში გავრცელება

აქტინიუმი წარმოადგენს ბუნებაში ერთ-ერთ ყველაზე მცირედ გავრცელებულ რადიოაქტიურ ელემენტს. იგი გვხვდება ურანის და თორიუმის მადნებში, მოლიბდენიტებში, ქალკოპირიტში, კასიტერიტში, კვარცში, პიროლუზიტში, სადაც შემცველობის სიმცირის გამო მისი გამოყოფა რთულია.

### იზოტოპები


აქტინიუმის ყველა იზოტოპი რადიოაქტიურია, მას არ გააჩნია სტაბილური იზოტოპები. ბუნებაში ნაპოვნია აქტინიუმის სამი იზოტოპი  $^{225}\text{Ac}$ ,  $^{227}\text{Ac}$  და  $^{228}\text{Ac}$ , ცნობილია ასევე ხელოვნურად მიღებული აქტინიუმის 24 იზოტოპი.

## აქტინიუმის ზოგიერთი ობოგობის რადიოაქტივური თვისებები

აქტინიუმის ობოგობი	მიღების რეაქცია	დაშლის ტიპი	ნახევრადდაშლის პერიოდი
$^{221}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{d},9\text{n})^{225}\text{Pa}(\alpha) \rightarrow ^{221}\text{Ac}$	$\alpha$	$<1$ წ.
$^{222}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{d},8\text{n})^{226}\text{Pa}(\alpha) \rightarrow ^{222}\text{Ac}$	$\alpha$	4,2 წ.
$^{223}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{d},7\text{n})^{227}\text{Pa}(\alpha) \rightarrow ^{223}\text{Ac}$	$\alpha$	2,2 წ.
$^{224}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{d},6\text{n})^{228}\text{Pa}(\alpha) \rightarrow ^{224}\text{Ac}$	$\alpha$	2,9 სთ.
$^{225}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{n},\gamma)^{233}\text{Th}(\beta^-) \rightarrow ^{233}\text{Pa}(\beta^-)$ $\rightarrow ^{233}\text{U}(\alpha) \rightarrow ^{229}\text{Th}(\alpha) \rightarrow ^{225}\text{Ra}(\beta^-)$ $^{225}\text{Ac}$	$\alpha$	10 დღე-დაბე
$^{226}\text{Ac}$	$^{226}\text{Ra}(\text{d},2\text{n})^{226}\text{Ac}$	$\alpha \text{ ან } \beta^- \text{ ან}$ ელექტრონული წატაცება	29 სთ.
$^{227}\text{Ac}$	$^{235}\text{U}(\alpha) \rightarrow ^{231}\text{Th}(\beta^-) \rightarrow$ $\rightarrow ^{231}\text{Pa}(\alpha) \rightarrow ^{227}\text{Ac}$	$\alpha \text{ ან } \beta^-$	21,7 წ.
$^{228}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\alpha) \rightarrow ^{228}\text{Ra}(\beta^-) \rightarrow ^{228}\text{Ac}$	$\beta^-$	6,13 სთ.
$^{229}\text{Ac}$	$^{228}\text{Ra}(\text{n},\gamma)^{229}\text{Ra}(\beta^-) \rightarrow ^{229}\text{Ac}$	$\beta^-$	66 წ.
$^{230}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{d},\alpha)^{230}\text{Ac}$	$\beta^-$	80 წ.
$^{231}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\gamma,\text{p})^{231}\text{Ac}$	$\beta^-$	7,5 წ.
$^{232}\text{Ac}$	$^{232}\text{Th}(\text{n},\text{p})^{232}\text{Ac}$	$\beta^-$	35 წ.

## მიღების ხერხები

ლითონური აქტინიუმი მიიღება ოქსიდიდან ლითონოთერმიით, ან მისი ფტორიდიდან გაძუუმში, ლითიუმის ორთქლით ადგგენის გზით:



ხელოვნური გზით აქტინიუმს დებულობენ ბირთვულ რეაქტორში რადიუმის ნეიტრონებით დაბომბვით.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

აქტინიუმი მოვერცხლისფრო-თეთრი, ძნელადლლობადი ლითონია. რადიოაქტიური გამოსხივების გამო სიბნელეში ანათებს. აქტინიუმი ასხივებს α-ნაწილაკებს, შედეგად მიიღება აქტინიუმ-X და მისი ნაწარმები.


ქიმიური თვისებებით აქტინიუმი ძალზე წააგავს ლანთანს, ნაერთებში ამჟღავნებს +3 ჟანგვით რიცხვს ( $\text{Ac}_2\text{O}_3$ ,  $\text{AcCl}_3$ ,  $\text{Ac}(\text{OH})_3$ ), მაგრამ იგი ხასიათდება გაცილებით მაღალი ქიმიური აქტიურობით და უფრო ძლიერი ფუძე თვისებებით.

## ნაერთები

აქტინიუმი აქტიური ლითონია. მისი ნაერთებიდან მნიშვნელოვანია აქტინიუმის ოქსიდი –  $\text{Ac}_2\text{O}_3$  – რომელშიც ფუძე ხასიათი მკვეთრად არის გამოხატული.

აქტინიუმის პიდროქსიდი –  $\text{Ac}(\text{OH})_3$  – ლაბისებრი თეთრი ნალექია.

აქტინიუმის ქლორიდი –  $\text{AcCl}_3$  – ადგილად მიიღება აქტინიუმის პიდროქსიდის ოთხქლორმეთანთან ურთიერთქმედებით:



აქტინიუმის მარილებიდან წყალში კარგად ხსნადია ქლორიდი, ბრომიდი, სულფატი, ნიტრატი. მცირედ ხსნადია ფტორიდი, ოქსალატი და სხვ.

ლაბორატორიულ პრაქტიკაში აქტინიუმი გამოიყენება რადიაქტინიუმის, აქტინიუმ-X და სხვა რადიოაქტიური პროცესების მისაღებად.

$^{227}\text{Ac}$  ბერილიუმთან ნარევში წარმოადგენს ნეიტრონების წყაროს. გამოიყენება მაღნებში  $Mn$ ,  $Si$ ,  $Al$  –ის განსაზღვრისათვის.

$^{225}\text{Ac}$  გამოიყენება  $^{213}\text{Bi}$  –ის მისაღებად, ასევე რადიოიმუნოთერაპიაში.

$^{227}\text{Ac}$  შეიძლება გამოყენებულ იქნას ენერგიის რადიოზოტოპურ წყაროდ.

$^{228}\text{Ac}$  გამოიყენება ქიმიურ კვლევებში რადიოაქტიურ ინდიკატორად, მისი მაღალენერგიული  $\beta$ –გამოსხივების გამო.

$^{228}\text{Ac}-^{22}\text{Ra}$  იზოტოპების ნარევი გამოიყენება მედიცინაში როგორც  $\gamma$ –გამოსხივების ინტენსიური წყარო.

## 0შვიათმიზათა ელემენტების პირდობიური როლი

პერიოდული სისტემის III ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები არ მიეკუთვნებიან სიცოცხლისათვის აუცილებელ ელემენტთა რიცხვს. ისინი აღმოჩენილია ადამიანთა და ცხოველთა ორგანიზმში. მონაცემები მათი რაოდენობის შესახებ ცნობილი არაა, ხოლო ბიოლოგიური როლი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. მიუხედავად ამისა, ამჟამად მუშავდება იშვიათმიწათა ლითონების კომპლექსური ნაერთების საფუძველზე დამზადებული სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები.

იშვიათმიწათა ლითონები ხასიათდებიან მაღალი საკორდინაციო რიცხვით, ამიტომ მაკროციკლურ ლიგანდებთან წარმოქმნიან კომპლექსურ ნაერთებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში აქვთ ამფოფილური თვისებები. ამ ნაერთების ტოქსიკურობა იმდენად მცირეა, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია სამკურნალო პრეპარატებად, თუ ისინი ავლენენ აუცილებელ ბიოაქტიურ თვისებებს.

## თავი II

### IV ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები

IV ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებს წარმოადგენენ ლითონები – ტიტანი, ცირკონიუმი, ჰაფნიუმი და რეზერფორდიუმი.

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო-უარყოფითობა	უანგვითორიცხვი
Ti	47,88	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^2 4s^2$	1,45	+2,+3,+4
Zr	91,22	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^2 5s^2$	1,60	+2,+3,+4
Hf	178,49	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 5s^2 5p^6 5d^2 6s^2$	1,59	+2,+3,+4
Rf	261,11	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 4f^{14} 5s^2 5p^6 5d^{10} 6s^2 6p^6 6d^2 7s^2$		+2,+3,+4

### ჟირანი

#### ბუნებაში გავრცელება

ტიტანი საკმაოდ გავრცელებული ლითონია. მისი უმნიშვნელოვანები მინერალებია:

ილმენიტი (რკინის მეტატიტანატი, ტიტანის რკინაქვა) –  $\text{FeTiO}_3$ ,

რუტილი –  $\text{TiO}_2$ ,

პეროვსკიტი –  $\text{CaTiO}_3$ ,

ტიტანომაგნეტიტი –  $\text{FeTiO}_3 \cdot \text{Fe}_3\text{O}_4$ ,

ტიტანიტი –  $\text{CaTiOSiO}_4$ .


#### იზოტოპები

ბუნებრივი ტიტანი შედგება ხუთი სტაბილური იზოტოპისაგან:  $^{46}\text{Ti}$  (7,95%),  $^{47}\text{Ti}$  (7,75%),  $^{48}\text{Ti}$  (73,45%),  $^{49}\text{Ti}$  (5,51%),  $^{50}\text{Ti}$  (5,34%). ცნობილია ასევე ტიტანის ხელოვნური,


რადიოაქტიური ოზოტოპები:  $^{45}\text{Ti}$  (ნახევრადდაშლის პერიოდით 3,09 სთ),  $^{51}\text{Ti}$  (ნახევრადდაშლის პერიოდით 5,79 წთ) და სხვ.

## მიღების ხერხები

ტიტანის მადნის კონცენტრაცის ამჟავებენ გოგირდმჟავათი ან პირომეტალურგიული ხერხით. გოგირდმჟავათი დამჟავების პროცესში ტიტანის დიოქსიდის  $\text{TiO}_2$  ფხვნილი. პირომეტალურგიული მეთოდით მადნის ალლობენ კოქსთან, ამჟავებენ ქლორით და იდებენ ტიტანის ტეტრაქლორიდის ფხვნილს:



მიღებულ დიოქსიდს ან ტეტრაქლორიდის ორთქლს ( $850^\circ\text{C}$  -ზე) აღადგენენ მაგნიუმით:




მაგნიუმის ნაცვლად სშირად იყენებენ მაგნიუმისა და კალციუმის შენადნობს.

ტიტანის აღდგენა უფრო დაბალ ტემპერატურაზე ( $300-350^\circ\text{C}$ ) შესაძლებელია ნატრიუმის ჰიდრიდით:



ტიტანის მიღება შეიძლება ტეტრაიოდტიტანის თერმული დაშლით:



ქიმიურად სუფთა ტიტანი მიღება ვან-არკელის და დე-ბურის მეთოდით ტეტრაიოდტიტანიდან, რომელიც ქროლდება  $400^\circ\text{C}$ -ზე. დახურულ ჭურჭელში მისი ორთქლი შეხებაში მოდის გავარვარებულ მავთულთან, რომლის ტემპერატურა აღწევს  $1200-1400^\circ\text{C}$ -ს, იოდიდის ორთქლი მის ზედაპირზე იშლება და ლითონური ტიტანი გამოილექება ვარვარების ძაფზე, ხოლო იოდი შეუერთდება ტიტანს, რომელიც ჭურჭლის ფსკერზეა. წარმოქმნილი  $\text{TiI}_4$  აორთქლდება, ისევ დაიშლება

ცხელ მავთულზე და ა.შ. საბოლოოდ ჭურჭელში შეტანილი ტიტანის ხარჯზე ვარვარების ძაფზე ქიმიურად სუფთა ტიტანი დაიღება. მავთულის სისქის მატებასთან ერთად მისი ვარვარებისათვის დენის ძალას შესაბამისად ადიდებენ.

ლითონური ტიტანის მიღება შესაძლებელია ასევე მისი ჰალოგენიდის ნალღობის ელექტროლიზით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ტიტანი არსებობს ორი ალოტროპიული მოდიფიკაციის სახით:  $882,5^{\circ}\text{C}$ -ის ქვევით მდგრადია **ა-ფორმა** (ჰექსაგონალური მჰიდროდჩაწყობილი მესერით), ხოლო ამ ტემპერატურის ზემოთ მდგრადია **β-ფორმა** (კუბური მოცულობაცენტრირებული მესერით). იგი წარმოადგენს პლასტიკურ, ადგილადგლინვად ლითონს, მდგრადია კოროზიის მიმართ, მის ზედაპირზე თხელი ოქსიდური ( $\text{TiO}_2$ ) ფენის არსებობის გამო. ზღვის წყალში არ იუანგება. ოთახის ტემპერატურაზე მინერალურ მჟავებთან არ რეაგირებს, იუანგება მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე.  $100-500^{\circ}\text{C}$ -ის ინტერვალში მისი სიმაგრე არ იცვლება. ამიტომ ტიტანი თანამედროვე ტექნიკის მნიშვნელოვან კონსტრუქციულ მასალას წარმოადგენს, გამოიყენება საავიაციო და სარაკეტო მშენებლობაში, ტურბინების დეტალების დასამზადებლად და ქიმიურ მრეწველობაში. ტიტანი, მთელ რიგ ლითონებთან წარმოქმნის შენადნობებს.

IV ჯგუფის ელემენტები და მათ შორის ტიტანი, განსაკუთრებულ მდგრადობას იჩენენ კომპაქტურ მდგრმარეობაში. მაღალ ტემპერატურაზე არალითონებთან წარმოქმნიან ბინარულ ნაერთებს (ჰიდრიდებს, ჰალოგენიდებს, სულფიდებს, ნიტრიდებს, კარბიდებს, სილიციდებს). სხვა ლითონებთან წარმოქმნიან მყარ სსნარებს. ფევნილისებურ მდგრმარეობაში ისინი პიროფორულები არიან.

ტიტანი ჰაერზე გაცხელებისას  $1200^{\circ}\text{C}$ -მდე იწვის ცვლადი შედგენილობის ოქსიდური  $\text{TiO}_x$  ფაზების წარმოქმნით. მაღალ ტემპერატურაზე ურთიერთქმედებს ჰალოგენებთან ტეტრაჰიდროგენიდების წარმოქმნით.  $400^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურაზე ურთიერთქმედებს აზოტთან  $\text{TiN}_x(x=0,58-1,00)$  შედგენილობის ნიტრიდის წარმოქმნით. ნახშირბადთან წარმოქმნის  $\text{TiC}_x$  ( $x=0,49-1,00$ ) შედგენილობის კარბიდს. გაცხელებისას ტიტანი შთანთქავს წყალბადს ცვლადი

შედგენილობის  $TiH_x$  პიდრიდების წარმოქმნით, რომლებიც გაცხელებით იშლებიან წყალბადის გამოყოფით.


ტიტანი იხსნება ცხელ  $HCl$ -ში ტიტან(III)-ის ქლორიდის წარმოქმნით, ასევე  $HF$ -ში  $TiF_4$  ან  $H_2[TiF_6]$ -ის წარმოქმნით:




ფტორიდ-იონის თანაობისას ტიტანი (ცირკონიუმის და ჰაფნიუმის მსგავსად) თანდათან რეაგირებს სუსტ მჟავებთანაც კი:




ტიტანი იხსნება ტუტეების კონცენტრირებულ სინარებში:



ლითონური ტიტანი წყალს შლის დუღილის დროს:



ცხელი, კონცენტრირებული აზოტმჟავა ჟანგავს ტიტანს, რის შედეგადაც მიიღება ნაკლებად სინადი ბ-ტიტანმჟავა:



### ნაერთები

ტიტან(II)-ის ნაერთები საკმაოდ იშვიათია, მათი მიღება შეიძლება ტიტანის (III) ნაერთების აღდგენით.

ტიტან(II)-ის ოქსიდი –  $TiO$  – წარმოადგენს ოქროსფერ ნაერთს. მიიღება ტიტანის დიოქსიდის და ლითონური ტიტანის ნარევის  $1700^{\circ}\text{C}$ -შედე გახურებით გაკუუმში:



ტიტანის დიპიდრიდი –  $TiH_2$  – მყარი, ნაცრისფერი ნაერთია, გამოყენება სხვადასხვა ლითონების ფენილუბზე დანამატების სახით კოროზიული მდგრადობის მისანიჭებლად. მიიღება ტიტანის დიოქსიდის ადდგენისას კალციუმის ჰიდრიდით:




ტიტანის დიპალოგენიდები –  $TiHal_2$  – ტიტანის დიქლორიდი ( $TiCl_2$ ), დიბრომიდი ( $TiBr_2$ ) და დიიოდიდი ( $TiI_2$ ) შავი ფერის ფენილუბს წარმოადგენენ, რომლებიც გახურებისას იშლებიან. მიიღებიან ტიტანის შესაბამისი ტრიპალოგენიდის დისპროპორცირებით:




მიღებული დო- და ტრიპალოგენიდები სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოიხდებიან.

ტიტან(III)-ის ნაერთები არამდგრადია, მათ აქვთ აღმდგენი უნარი, ამიტომ აზოგის ან  $CO$  არეში ინახავენ. მათ მისაღებად ტიტან(IV)-ის ნაერთებს აღადგენენ წყალბადით, თუთით ან ელექტროლიზით (კათოდური ადდგენა). ტიტან(III)-ის ნაერთების სინარები ჩვეულებრივ იისფერია.

ტიტან(III)-ის ოქსიდი –  $Ti_2O_3$  – იისფერია, მცირედ იხსნება წყალში, მიიღება ტიტან(IV)-ის ოქსიდის ადდგენით მაღალ ტემპერატურაზე:






ტიტან(III)-ის ჰიდროქსიდი –  $Ti(OH)_3$  – საშუალო სიძლიერის ფუძეა, ტუტებში არ იხსნება. მიიღება ტიტან(III)-ის მარილებზე ტუტის მოქმედებით:




ტიტანის ტრიქლორიდი –  $TiCl_3$  – იისფერი კრისტალური ნივთიერებაა, გაცხელებისას მისი დისპროპორცირებით მიიღება ტიტანის დო- და

ტეტრაქლორიდები. მიიღება ტეტრაქლორიდის წყალბადით, გერცხლით ან გერცხლისწყლით აღდგენისას:



ტეტრანაზერზე ადვილად იქანგება:



ტიტანის ტრიფტორიდიდან –  $\text{TiF}_3$  – ადვილად მიიღება კომპლექსური ფტორმარილები:  $\text{Ti}_{2+1}\text{TiF}_5$ , და  $\text{Ti}_{3+1}\text{TiF}_6$ . ასეთივე შედგენილობის მარილები მიიღება ტრიბრომ- და ტრიიოდტიტანიდან:  $\text{Ti}_{2+1}\text{Br}_5$ ,  $\text{Ti}_{2+1}\text{Br}_6$ ,  $\text{Ti}_{2+1}\text{I}_5$ ,  $\text{Ti}_{3+1}\text{I}_6$ .


ტიტან(III)-ის სულფატი –  $\text{Ti}_2(\text{SO}_4)_3$  – მწვანე ფხვნილია, წყალში მცირედ ისხსნება. მის მისაღებად მჟავა სულფატს ამჟმავებენ კონცენტრირებული გოგირდმჟავათი. ცნობილია ტიტანის შაბები: წითელი  $\text{RbTi}(\text{SO}_4)_2 \cdot 12\text{H}_2\text{O}$ , იისფერი  $\text{CsTi}(\text{SO}_4)_2 \cdot 12\text{H}_2\text{O}$  და  $[\text{NH}_4]_2\text{SO}_4 \cdot 3\text{Ti}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 18\text{H}_2\text{O}$  ტიპის ორმაგი მარილები.

ტიტან(III)-ის ნიტრიდი –  $\text{TiN}$  – ბრინჯაოსფერი ნივთიერებაა, ხასიათდება დიდი მდგრადობით. მიიღება ტიტანის ნაერთების აღდგენით აზოტის არეში.




### ტიტან(IV)-ის ნაერთები

ტიტანის ნაერთებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი და მდგრადია ტიტან(IV)-ის ნაერთები.

ტიტანის დიოქსიდი (ტიტანის თეთრა) –  $\text{TiO}_2$  – თეთრი ფხვნილია, მიიღება ტიტანის დაწვით ჟანგბადის არეში, ან მისი მჟავების წყლის ორთქლით დამჟმავებისას მაღალ ტემპერატურაზე:




ტიტანის დიოქსიდი მცირედ ისხსნება განზავებულ მჟავებში, ტუტეებში და წყალში. კარგად ისხსნება კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში და ნატრიუმის ტუტის ნალღობში:




ორთოტიტანმჟავა –  $H_4TiO_4$  ( $TiO_2 \cdot 2H_2O$ ) – მიიღება ტიტანილის სულფატზე ( $TiOSO_4$ ) ტუტის მოქმედებით:



ან ტიტან(IV)-ის ქლორიდზე (ტიტანის ტეტრაქლორიდი) ნატრიუმის ტუტის მოქმედებით:




წყლის მოქმედებით  $TiCl_4$  პიდროლიზური დაშლის შედეგად წარმოქმნის  $TiO_2$ -ს და  $HCl$ -ს:





წყლის ნაკლებობის შემთხვევაში მიიღება ტიტანილქლორიდი –  $TiOCl_2$ .

ტიტანის ტეტრაქლორიდისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მიერთების რეაქციები, რომლის დროსაც მიიღება კოორდინაციული ნაერთები მაგ.:  $(NH_4)_2[TiCl_6] \cdot 2H_2O$ . მსგავსი მარილები მიიღება ტიტანის ტეტრაფტორიდების მოქმედებით  $Ti_2^I[TiF_6]$ , სადაც  $Ti^I = Na^+, K^+, NH_4^+$  და ა.შ. ტიტანის ტეტრაქლორიდი ჰაერზე მბოლავი სითხეა. ტიტანის ტეტრაქლორიდის პიდროლიზის დროს  $80^\circ C$ -ზე მიიღება მეტატიტანმჟავა:




მსგავსი თვისებები ახასიათებს ტიტანის ტეტრაბრომიდს –  $TiBr_4$  და ტეტრაიოდიდს –  $TiI_4$ . მათ მისაღებად მიმართავენ სინთეზს მარტივი ნივთიერებებიდან:



$TiBr_4$  – წარმოადგენს ყვითელი ფერის კრისტალებს,  $TiI_4$  – წითელი კუბური კრისტალებია.

**ტიტანილსულფატი –  $TiOSO_4$**  – წარმოადგენს თეთრი ფერის ფხვნილს, იხსნება ცივ წყალსა და გოგირდმჟავაში. მიიღება ტიტანის დიოქსიდზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით:



ტუბე ლითონების სულფატებთან წარმოქმნის  $M_2^I[TiO(SO_4)_2] \cdot nH_2O$  ტიპის კოორდინაციულ ნაერთებს.

**ტიტან(IV)-ის კარბიდი –  $TiC$**  – წარმოადგენს შავი ფერის კრისტალებს. მისი ლიდობის ტემპერატურაა  $3137^{\circ}C$ . ამიტომ მას ვოლფრამის კარბიდთან ერთად ფართო გამოყენება პპოვა ზემაგარი შენადნობების მისაღებად.

**ლითონური ტიტანი** გამოიყენება ქიმიურ წარმოებაში (რეაქტორები, მიღხადებები, ტემპერატური), მხებულ შენადნობებში, თხელებროვან მასალას ავია-, რაკეტ- და გემთმშენებლობაში. ტიტანი წარმოადგენს მაღვირებელ დანამატებულ ზოგიერთი მარკის ფოლადისათვის.

**შენადნობი ნითინოლი (ნიკელი-ტიტანი)** გამოიყენება მედიცინაში და ტექნიკაში.

ტიტანის ალუმინიდები წარმოადგენენ უანგვის მიმართ მდგრად და ტემპერატურამედეგ ნივთიერებას, რამაც განაპირობა მათი გამოყენება ავიაციაში და ავტომობილთმშენებლობაში, კონსტრუქციული მასალის სახით.

თეთრი ფერის ტიტანის დიოქსიდი ( $TiO_2$ ) გამოიყენება საღებავების, ქაღალდის და პლასტიკატის წარმოებაში.

**ტიტანორგანული** ნაერთები (მაგ. ტეტრაბუტოქიტიტანი) გამოიყენება კატალიზატორად და გამამყარებლად ქიმიურ და ლაქსაღებავების წარმოებაში.

**ტიტანის არაორგანული ნაერთები** გამოიყენება ელექტროჯიმის, ბოჭკოვანი მინის წარმოებაში დანამატის სახით.

**ტიტანის დიბორიდი** – მნიშვნელოვანი კომპონენტია ლითონების დასამუშავებლად გამოყენებული ზემაგარი მასაღებისათვის.

**ტიტანის ნიტრიდი გამოიყენება ინსტრუმენტების დასაფერად.**

## ცირკონიუმი

### ბუნებაში გავრცელება

ცირკონიუმის შემცველი ნაერთები ბუნებაში იშვიათად გვხვდება. მისი უმნიშვნელოვანესი მინერალებია:

**ცირკონი (გიაცინტი, ბადელეიტი) –  $ZrO_2$  და**

**ცირკონიუმის სილიკატი –  $ZrSiO_4$ .**


ყველა საბადოში ცირკონიუმის მუდმივი თანამგზავრია ჰაფნიუმი.

### იზოტოპები


ბუნებაში გავრცელებულია ცირკონიუმის ხუთი იზოტოპი ( $^{90}\text{Zr}$ ,  $^{91}\text{Zr}$ ,  $^{92}\text{Zr}$ ,  $^{94}\text{Zr}$  და  $^{96}\text{Zr}$ ), ამასთან  $^{96}\text{Zr}$  სუსტად რადიოაქტიურია (განიცდის ორმაგ ბ-დაშლას ნახევრადდაშლის პერიოდით  $2,4 \times 10^{19}$  წელი).

### მიღების ხერხები

ლითონური ცირკონიუმი მიიღება კალიუმის ფტორცირკონატის ლითონური ნატრიუმით ადგგნისას:




ცირკონიუმის ტეტრაქლორიდზე მაგნიუმის მოქმედებით:




პელიუმის ატმოსფეროში ცირკონიუმის მიღებისას მაგნიუმთერმული მეთოდით, მას ღრუბლისებრი სახე აქვს. მიღებულ ცირკონიუმს ამუშავებენ მარილმჟავათი და მინარევების მოცილების შემდეგ ინერტული აირის არეში ალღობენ კომპაქტური ლითონის მისაღებად.

იმისათვის, რომ რომელიმე ლითონი მიღებულ იქნას მისი მარილის ხსნარის ელექტროლიზით, ამ ლითონმა უნდა წარმოქმნას ერთატომიანი იონები. ცირკონიუმი კი ასეთ იონებს არ წარმოქმნის. მაგალითად, ცირკონიუმის სულფატი  $Zr(SO_4)_2$  არსებობს მხოლოდ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში, ხოლო განზავებისას იწყება პიდროლიზის და კომპლექსურმოქმნის რეაქციები; საბოლოოდ მიღება:



წყალხსნარში პიდროლიზდება ცირკონიუმის ქლორიდიც:



ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა, რომ მათ შეძლეს ცირკონიუმის მიღება ხსნარების ელექტროლიზით, მაგრამ ისინი ცდებოდნენ კათოდზე გამოყოფილი პროდუქტის შესახედაობიდან გამომდინარე. ერთ შემთხვევაში გამოყოფოდა ლითონი, მაგრამ ეს იყო ნიკელი ან სპილენძი, რომელთა მინარევებს შეიცავდა ცირკონიუმის ნედლეული. მეორე შემთხვევაში – ცირკონიუმის პიდროქსიდი, რომელიც გარეგნულად ძალიან წააგავს ლითონს.

მხოლოდ მეორე საუკუნის ოციან წლებში (ცირკონიუმის აღმოჩენიდან 100 წლის შემდეგ) იქნა შემუშავებული ამ ლითონის მიღების პირველი სამრეწველო ხერხი. ეს არის პოლანდიელი მეცნიერების ვან-არკელის და დე-ბურის მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აქროლადი ნივთიერება (ამ შემთხვევაში ცირკონიუმის ტეტრაიოდიდი  $ZrI_4$ ) განიცდის თერმულ დაშლას ვაკუუმში და ვოლფრამის გავარვარებულ ძაფზე გამოიყოფა სუფთა ლითონი.


## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ცირკონიუმი მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის ლითონია. ადვილად წარმოქმნის შენადნობებს სხვადასხვა ლითონებთან (მაგნიუმთან, ალუმინთან, სპილენძთან, გერცხლთან, რკინასთან, ნიკელთან და სხვ.). იგი ხასიათდება დიდი სიმტკიცით, დაბალი თბოგამტარობით, ამიტომ მან დიდი გამოყენება პპოვა კონსტრუქციული მასალის სახით თერმობირთვული რეაქტორებისათვის. ცირკონიუმის პლასტიკური თვისება დამოკიდებულია ძირითადად მასში უანგბადის შემცველობაზე. თუ გამდნარი ცირკონიუმი შეიცავს 0,7%-ზე მეტ უანგბადს, მაშინ ლითონი იქნება

მყიფე, ცირკონიუმის ჟანგბადთან მყარი ხსნარების წარმოქმნის გამო, რომელთა თვისებები მკვეთრად განსხვავდება სუფთა ლითონის თვისებებისაგან.

ცირკონიუმი ქიმიურად ნაკლებად აქტიური ელემენტია, იჩენს დიდ კოროზიულ მდგრადობას. მაღალ ტემპერატურაზე ავლენს რეაქციაში შესვლის უნარს, იერთებს ჟანგბადს, ჰალოგენებს და წარმოქმნის ოთხალენტიანი ცირკონიუმის ნაერთებს.

ცირკონიუმი ურთიერთქმედებს მჟავებთან მხოლოდ მაშინ, როცა იქმნება პირობა მისი დაუანგვისა და ანიონური კომპლექსის წარმოქმნისათვის. მაგ., კონცენტრირებული გოგირდმჟავას, სამეცო წყლის, ფტორწყალბადმჟავას და აზოტმჟავას ნარევის მოქმედებით:



ცირკონიუმი ტუტეთა ხსნარების მოქმედების მიმართ მდგრადია.


### ნაერთები

ცირკონიუმ(II)-ის ნაერთები საკმაოდ იშვიათია.


ცირკონიუმის დიქლორიდი –  $\text{ZrCl}_2$  – შავი ფერის ნივთიერებაა. მიიღება ტრიქლორიდის დისპროპორცირებით, ვაკუუმში გაცხელებისას:



ან ცირკონიუმის ტეტრაქლორიდზე ლითონური ცირკონიუმის მოქმედებით მაღალ ტემპერატურაზე:




იმავე გზით მიიღება ცირკონიუმის დიბრომიდი –  $\text{ZrBr}_2$  –, რომელიც წარმოადგენს შავი ფერის არამდგრად ნაერთს. გაცხელებისას დისპროპორცირდება:




ცირკონიუმ(III)-ის ნაერთების რაოდენობა, ცირკონიუმ(II)-ის ნაერთების მსგავსად, შეზღუდულია.

ცირკონიუმის ტრიქლორიდი –  $ZrCl_3$  – შავი ფერის, არამდგრადი, კრისტალური ნაერთია. მიიღება ტეტრაქლორიდის წყალბადით, ლითონური ცირკონიუმით ან ალუმინით აღდგენისას:




ცირკონიუმ(IV)-ის ნაერთები


ცირკონიუმის დიოქსიდი –  $ZrO_2$  – თეთრი ფერის, მნელადლდობადი, ქიმიური რეაგენტების მიმართ მდგრადი ფხვნილისებური ნივთიერებაა. იგი ცეცხლგამძლე, მაღალხარისხოვანი მასალაა ღუმელების ამონაგებად. მიიღება ლითონური ცირკონიუმის გახურებით ჟანგბადის არეში:





მლობი მჟავას მოქმედებით იშლება:



ტუტებთან ან ტუტე ლითონების კარბონატებთან შელდობისას წარმოქმნის ლითონური ცირკონატებს:




ცირკონიუმის ტეტრაფტორიდი –  $ZrF_4$  – მიიღება ლითონურ ცირკონიუმზე ფტორის მოქმედებისას ან ფხვნილისებრ ცირკონიუმზე მლობი მჟავას მოქმედებით:




ცირკონიუმის ტეტრაფტორიდი სხვადასხვა ფტორიდებთან წარმოქმნის  $M^I[ZrF_5] \cdot H_2O$ ,  $M^I_2[ZrF_6] \cdot nH_2O$   $M^I_3[ZrF_7]$  და ა.შ. ტიპის კოორდინაციულ ნაერთებს.

ცირკონიუმის ტეტრაქლორიდი –  $ZrCl_4$  – მიიღება მაღალ ტემპერატურაზე ლითონურ ცირკონიუმზე აირადი ქლორის მოქმედებით:




ცირკონიუმის ტეტრაქლორიდი წყალთან განიცდის ჰიდროლიზს. იხსნება სპირტი, მარილმჟავაში, ტუტე ლითონების ქლორიდთა ხსნარებში.


ცირკონიუმის ტეტრაბრომიდი –  $TiBr_4$  – თეთრი მიკროკრისტალური ფენილია. მიიღება ლითონური ცირკონიუმის გაცხელებისას ბრომის არეში:



წყლის მოქმედებით იშლება და მიიღება ცირკონილის დიბრომიდი:



ცირკონიუმ(IV)-ის უწყლო სულფატი –  $Zr(SO_4)_2$  – მიიღება ცირკონიუმის ტეტრაქლორიდზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით:



ცირკონიუმის სულფატი წყალხსნარში წარმოქმნის ცირკონილგოგირდმჟავას, რომელსაც შეესაბამება  $H_2[ZrO(SO_4)_2]$  ფორმულა.

ცირკონიუმ(IV)-ის ნიტრატი –  $Zr(NO_3)_4$  – უფერო ჰიგროსკოპული კრისტალებს წარმოადგენს. კარგად იხსნება წყალში.

ლითონური ცირკონიუმი, რომელიც არ შეიცავს პაფნიუმს და მიხი შენადნობები გამოიყენება ატომურ ენერგეტიკაში ბირთვული რეაქტორების სხვადასხვა კონსტრუქციების დასამზადებლად.

ცირკონიუმი გამოიყენება მეტალურგიაში, წარმოადგენს კარგ მუნჯველს და დეაზოტატორს, რომელიც ეფექტურობით  $Mn$ ,  $Si$ ,  $Ti$ -ზე უკეთებია. ცირკონიუმით ფოლადის ლეგირება ( $0,8\%-მდე$ ) ზრდის მის მექანიკურ თვისებებს, ასევე ზრდის სპილენდის შენადნობების თბომედეგობას და სიმტკიცეს.

**ცირკონიუმი** გამოიყენება პიროტექნიკაში, აქვს, რა უნარი პაერის უანგბად შილდაიწვას (თვითაალების ტემპერატურა –  $250^{\circ}\text{C}$ ) მაღალი სიჩქარით, პრაქტიკულად კვამლის გარეშე. წარმოქმნილი ცირკონიუმის დიოქსიდი ასხივებს სინათლის მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც განაპირობებს მის გამოყენებას პიროტექნიკაში (ფეირვერკების წარმოება).

**ცირკონიუმის** კოროზისადმი მაღალი მდგრადობა საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნება ნეიროქირურგიაში. ცირკონიუმის შენადნობებისაგან ამზადებენ სისხლშემაჩერებელ მომჰერებებს, ქირურგიულ ინსტრუმენტებს, ზოგჯერ ძაფებსაც კი, ნაკერების დახადებად ტვინზე ოპერაციების დროს.

**ცირკონიუმის** (25%) და **ნიობიუმის** (75%) შენადნობი წარმოადგენს ზეგამტარს.

**ცირკონიუმი** გამოიყენება სხვადასხვა ჭურჭლის დასამზადებლად, რომელსაც გააჩნია პიგიენური თვისებები მაღალი ქიმიური მდგრადობის წყალობით.

**ცირკონიუმის დიოქსიდი** (ლიფობის ტემპერატურა  $2700^{\circ}\text{C}$ ) გამოიყენება ცეცხლმუდები მასალის დასამზადებლად, კერძოდ, ღუმელების ამონაგებად და სხვ.

**ცირკონიუმის დიბრომიდი** ტანტალის ნიტრიდთან და სილიციუმის კარბიდთან ერთად წარმოადგენს მასალას საჭრისების წარმოებისათვის.

**ცირკონიუმის კარბიდი** მნიშვნელოვანი კონსტრუქციული მასალა მყარფაზიანი ბირთვული რეაქტიული ძრავებისათვის.

**ცირკონიუმის ბერილიდი** მდგრადია პაერზე დაუანგვის მიმართ  $1650^{\circ}\text{C}$ -მდე, გამოიყენება ავიაკოსმოსურ ტექნიკაში (ძრავები, რეაქტორები, რადიოიზოტოპური ელექტროგენერატორები).

**ცირკონიუმის პიდრიდი** გამოიყენება სარაკეტო საწვავის კომპონენტად, ატომურ ტექნიკაში როგორც ძალა ეფექტური ნეიტრონების შემცირებელი.

**ცირკონიუმის ნიტრიდი** გამოიყენება როგორც კერამიკული საფარი. როგორც საფარი გამოიყენება ასევე სტომატოლოგიაში და საიუველირო საქმეში.



## პაზნიუმი

### ბუნებაში გავრცელება

პაზნიუმი გვხვდება ცირკონიუმის მინერალებში, სადაც მისი შემცველობა 2-2,5%-ს შეადგენს.

## მიღების ხერხები

ლითონური ჰაფნიუმი მიიღება მისი ტეტრაქლორიდიდან ლითონოთერმული გზით, რისთვისაც იყენებენ ლითონურ მაგნიუმს და ნატრიუმს:



ან ჰაფნიუმის ტეტრაიოდიდიდან თერმული დაშლით ვან-არკელის და დე-ბურის მეთოდით.


## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ჰაფნიუმი მოვერცხლისფერო-თეთრი, პლასტიკური, რბილი ლითონია. კარგი სითბო და ელექტროგამტარია. მრავალ სხვადასხვა ლითონთან შელდობისას წარმოქმნის შენადნობებს.

ქიმიური თვისებებით ჰაფნიუმი ძალიან წააგავს ცირკონიუმს ამ ელემენტების იონების თითქმის ერთნაირი ზომების და ელექტრონული სტრუქტურის სრული მსგავსების გამო. თუმცა ჰაფნიუმის ქიმიური აქტიურობა რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე ცირკონიუმის. მისი ძირითადი ვალენტობაა IV, არსებობს ასევე III, II და I ვალენტიანი ჰაფნიუმის ნაერთები.

ოთახის ტემპერატურაზე ჰაფნიუმი აბსოლუტურად მდგრადია ატმოსფერული აირების მიმართ. გაცხელებით  $600^{\circ}\text{C}$ -ზე მაღლა სწრაფად იუნგება და ცირკონიუმის მსგავსად ურთიერთქმედებს აზოტთან და წყალბადთან. ჰაფნიუმი გამოირჩევა კოროზიისადმი მდგრადობით სუფთა წყალში და წყლის ორთქლში  $400^{\circ}\text{C}$ -მდე. ფხვნილისებური ჰაფნიუმი პიროფორულია.

გაცხელებისას ჰაფნიუმი რეაგირებს ჰალოგენებთან  $Hfhal_4$  ტიპის ტეტრაჰალოგენიდების წარმოქმნით:



სადაც  $hal=F, Cl, Br, I$ .

მაღალ ტემპერატურაზე ჰაფნიუმი ურთიერთქმედებს ნახშირბადთან, ბორთან, აზოტთან, სილიციუმთან ლითონისმსგავსი, მნელადლდობადი, ქიმიური

რეაგენტების მიმართ ძალზე მდგრადი ნაერთების წარმოქმნით: HfB, HfB<sub>2</sub> (t<sub>ლლ</sub> 3250 °C), HfC (t<sub>ლლ</sub> 3887 °C), HfN (t<sub>ლლ</sub> 3310 °C), Hf<sub>2</sub>Si, HfSi, HfSi<sub>2</sub>.

ჰაფნიუმი, ცირკონიუმის მსგავსად ურთიერთქმედებს მჟავებთან მხოლოდ მაშინ, როცა იქმნება პირობა მისი დაუანგვისა და ანიონური კომპლექსის წარმოქმნისათვის. მაგ., კონცენტრირებული გოგირდმჟავას, სამეცო წყლის, ფტორწყალბადმჟავას და აზოტმჟავას ნარევის მოქმედებით:



სადაც hal= F, Cl.

ჰაფნიუმი ისევე როგორც ცირკონიუმი, ტუბეების ხსნარების მოქმედების მიმართ მდგრადია.

ჰაფნიუმ(II)-ის და ჰაფნიუმ(III)-ის ნაერთები არამდგრადია და თვისებებით ცირკონიუმის შესაბამისი ნაერთების ანალოგიურია.

### ჰაფნიუმ(II)-ის ნაერთები

ჰაფნიუმის დიბრომიდი – HfBr<sub>2</sub> – შავი ფერის, ჰაერზე თვითაალებადი, მყარი ნივთიერებაა. იშლება 400°C-ზე ჰაფნიუმად და ჰაფნიუმის ტეტრაბრომიდად. მიიღება ჰაფნიუმის ტრიბრომიდის დისპროპორცირებით ვაკუუმში მაღალ ტემპერატურაზე.

ჰაფნიუმ(II)-ის პიდროფოსფატი – Hf(HPO<sub>4</sub>)<sub>2</sub> – თეთრი ნალექია, ისენება გოგირდ— და ფტორწყალბადმჟავებში. მიიღება ჰაფნიუმ(II)-ის მარილების ორთოფოსფორმჟავათი დამუშავებისას.

### ჰაფნიუმ(III)-ის ნაერთები

ჰაფნიუმის ტრიბრომიდი – HfBr<sub>3</sub> – მოშავო-მოლურჯო მყარი ნივთიერებაა. 400°C-ზე დისპროპორცირებს ჰაფნიუმის დიბრომიდად და ტეტრაბრომიდად. მიიღება ჰაფნიუმის ტეტრაბრომიდის ალდგენით მაღალ ტემპერატურაზე წყალბადის ან ლითონური ალუმინის ატმოსფეროში.


## ჰაფნიუმ(IV)-ის ნაერთები

ჰაფნიუმის დიოქსიდი –  $\text{HfO}_2$  – უფერო, ძნელადლდობადი ნივთიერებაა, გააჩნია მაღალი ქიმიური მდგრადობა. წყალში ძნელად ხსნადია. ჰაფნიუმ(IV)-ის ოქსიდი და მისი შესაბამისი ჰიდროქსიდი ( $\text{Hf(OH)}_4$ ) ამფოტერულ თვისებებს ამჟღავნებენ, რომელშიც ჭარბობს ფუძე თვისებები. ტუტეებთან და ტუტემიწათა ლითონების ოქსიდებთან გაცხელებით  $\text{HfO}_2$  წარმოქმნის ჰაფნატებს, მაგ.:  $\text{E}_2\text{HfO}_3$ ,  $\text{E}_4\text{HfO}_4$ .

ჰაფნიუმ(IV)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Hf(OH)}_4$  – თეთრი ფერის ნალექია, ტუტის და წყალბადის პეროქსიდის დამატებით წარმოქმნის პეროქსოჰაფნატებს. მიიღება ოთხვალენტიანი ჰაფნიუმის მარილების ლრმა ჰიდროლიზით მაღალ ტემპერატურაზე ან ჰაფნიუმ(IV)-ის მარილების ტუტეებით დამუშავებისას.

ჰაფნიუმის ტეტრაფტორიდი –  $\text{HfF}_4$  – უფერო კრისტალური ნივთიერებაა. მიიღება  $(\text{NH}_4)_2[\text{HfF}_6]$ -ის ოერმული დაშლით  $300^\circ\text{C}$ -ზე.

ჰაფნიუმის ტეტრაქლორიდი –  $\text{HfCl}_4$  – თეთრი ფერის ფხვნილისებური ნივთიერებაა. სუბლიმაციას განიცდის  $317^\circ\text{C}$ -ზე. მიიღება მაღალ ტემპერატურაზე ლითონური ჰაფნიუმის ურთიერთქმედებით აირად ქლორთან:



ჰაფნიუმის ტეტრაბრომიდი –  $\text{HfBr}_4$  – უფერო კრისტალური ნივთიერებაა. სუბლიმაციას განიცდის  $322^\circ\text{C}$ -ზე. მიიღება ბრომის ორთქლის ურთიერთქმედებით  $500^\circ\text{C}$ -მდე გაცხელებულ ჰაფნიუმ(II)-ის ოქსიდის და ნახშირის ნარევთან.

ჰაფნიუმის ტეტრაიოდიდი –  $\text{TlI}_4$  – ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. სუბლიმაციას განიცდის  $322^\circ\text{C}$ -ზე. მიიღება ჰაფნიუმის ურთიერთქმედებით იოდთან  $300^\circ\text{C}$ -ზე.

ჰაფნიუმის ნაერთები გამოიყენება ბირთვულ ენერგეტიკაში (რეაქტორების მარეგულირებელი ღეროები, ნეიტრონების გამოსხივებისაგან დამცავი გერანი), ელექტრონულ ტექნიკაში (კაოდები, ელექტროკონტაქტები). ჰაფნიუმისგან დამზადებული ღერალები გამოიყენება ტურბორუფაქტიულ ძრავებში, რაკეტებში,

ხელოვნურ თანამგ ზავრებში, მაღალხარისხოვანი მრავალფენიანი რენტგენის სარკეულის დასამზადებლად.

**ჰაფნიუმის და სკანდიუმის შენადნობები** გამოიყენება მიკროელექტრონიკაში.

**ჰაფნიუმის კარბიდის (HfC, 20 %) და ტანტალის კარბიდის (TaC, 80 %)** შენადნობი წარმოადგენს ყველაზე ძნელადლდობად შენადნობს.

**ჰაფნიუმით ლეგირებული ტანტალის შენადნობები** გამოიყენება გემთმშენებლობაში (გემის ძრავების დუტალების წარმოება), ხოლო **ნიკელის ჰაფნიუმით ლეგირება** არა მარტო ზრდის მის სიმტკიცეს და კოროზიისადმი მედულიას, არამედ მკვეთრად აუმჯობესებს შედუდების უნარს და შედუდების ნაკერების სიმტკიცეს.

#### IV პგუზის თანაური პვეზგუზის ელემენტების პიოლოგიური როლი

ამჟამად ტიტანის, ცირკონიუმის და ჰაფნიუმის ბიოლოგიურ როლზე მსჯელობა ძნელია. ამასთან, ტიტანი მიეკუთვნება ბიოგენურ ლითონთა რიცხვს. მცირე რაოდენობით მას ყოველთვის შეიცავს ადამიანის და ცხოველის ორგანიზმი ნაერთის სახით. თუმცა ქიმიური ინერტულობის გამო ლითონურ Ti და Zr იყენებენ მედიცინაში (პროთეზირება სტომატოლოგიაში და ორთოპედიაში). თორიუმი, მისი ნაერთის შედგენილობის მიუხედავად, თავად თორიუმის რადიაქტიურობის და რადიოაქტიური დაშლის პროდუქტების გამო საშიშროებას წარმოადგენს.

### თავი III

#### V ჯგუფის თანაური ქარჯუფის ელემენტები

V ჯგუფის თანაური ქარჯუფის ელემენტებს წარმოადგენენ ლითონები – ვანადიუმი, ნიობიუმი, ტანტალი და დუბნიუმი.

ელემენტი ნო	ატომური ნო მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო - ჰარყოფი თობა	ჟანგვით ი
V	50,941 5	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^3 4s^2$	1,45	+2,+3,+4, +5
Nb	92,906 4	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^3 5s^2$	1,23	+3,+4,+5
Ta	180,94 79	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 5s^2 5p^6 5d^3 6s^2$	1,33	+3,+4,+5
Db	262,11	$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 4f^{14} 5s^2 5p^6 5d^{10} 6s^2 6p^6 6d^3 7s^2$		+3,+4,+5

#### განადიუმი

##### ბუნებაში გავრცელება

ვანადიუმი ბუნებაში გავრცელებულია ნაერთების სახით. მისი უმნიშვნელოვანესი მინერალებია:

პატრონიტი –  $VS_2 \cdot V_2S_5$ ,

კარნოტიტი –  $K_2(UO_2)_2(VO_4)_2 \cdot 3H_2O$ ,

ვანადინიტი –  $3Pb_3(VO_4)_2 \cdot PbCl_2$ ,

როსკოლიტი –  $KV_3[Al_2Si_3O_{10}](OH)_2$

## იზოტოპები

ბუნებრივი ვანადიუმი შედგება ორი იზოტოპისაგან: სუსტი რადიოაქტიური  $^{50}\text{V}$  ( $0,250\%$ ) და სტაბილური  $^{51}\text{V}$  ( $99,750\%$ ). ვანადიუმ-50 ნახევრადდაშლის პერიოდია  $1,5 \times 10^{17}$  წელი. ცნობილია ვანადიუმის 24 ხელოვნური რადიოაქტიური იზოტოპი, მასური რიცხვით 40-დან 65-მდე. მათ შორის შედარებით სტაბილურია  $^{49}\text{V}$  (ნახევრადდაშლის პერიოდით 330 დღე) და  $^{48}\text{V}$  (ნახევრადდაშლის პერიოდით 15,974 დღე).

## მიღების ხერხები


წარმოებაში რკინის მაღნებიდან ვანადიუმის მიღებისას, თავდაპირველად მისი ნარევიდან, რომელშიც ვანადიუმის შემცველობა აღწევს 8-16%-ს, ამზადებენ კონცენტრატს. შემდეგ დაუანგვით ვანადიუმი გადაჰყავთ უმაღლეს ჟანგვით რიცხვში +5 და აშორებენ წყალში ადგილად სსნად ნატრიუმის ვანადატს ( $\text{NaVO}_3$ ). სსნარის გოგირგმუავათი შემუავებისას გამოიყოფა ნალექი, რომელიც გაშრობის შემდეგ შეიცავს 90%-ზე მეტ ვანადიუმს.




ლითონური ვანადიუმის მიღება შესაძლებელია ვანადიუმის ქლორიდის წყალბადით ადგენით, ვანადიუმის ოქსიდების ( $\text{V}_2\text{O}_5$  ან  $\text{V}_2\text{O}_3$ ) კალციორმული ადგენით,  $\text{VI}_2$ -ის თერმული დისოციაციით და სხვ. მეთოდებით.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ვანადიუმი მონაცრისფრო-თეთრი, მნელადლდობადი, პარამაგნიტური თვისებების ლითონია. ფიზიკურად ძალიან ჰგავს ფოლადს, იგი საკმაოდ მაღარი, მაგრამ ამასთან პლასტიური ლითონია. მთელ რიგ ლითონებთან წარმოქმნის შენადნობებს, ზოგიერთმა მათგანმა დიდი სიმტკიცის გამო ფართო გამოყენება პოვა.




ვანადიუმი არც მშრალ და არც ტენიან ჰაერზე არ იქანება, ქიმიურად ინერტული ლითონია. ჟანგბადთან წარმოქმნის რამდენიმე ოქსიდს:  $\text{VO}$ ,  $\text{V}_2\text{O}_3$ ,  $\text{VO}_2$ ,  $\text{V}_2\text{O}_5$ , გაცხელებისას უერთდება გოგირდს, პალოგენებს, ნახშირბადს, სილიციუმს, ბორს და წარმოქმნის ბინარულ ნაერთებს:





ჰალოგენებთან ვანადიუმი წარმოქმნის (ფტოროვანი ურთიერთქმედებს ოთახის ტემპერატურაზე) აქროლად ჰალოგენიდებს, შედგენილობით  $V_{\text{hal}_2}$  ( $\text{hal} = \text{F}, \text{Cl}, \text{Br}, \text{I}$ ),  $V_{\text{hal}_3}$ ,  $V_{\text{hal}_4}$  ( $\text{hal} = \text{F}, \text{Cl}, \text{Br}$ ),  $\text{VF}_5$  და ოქსოჰალოგენიდებს ( $\text{VOCl}$ ,  $\text{VOCl}_2$ ,  $\text{VOF}_3$  და სხვ.)

ლითონურ ვანადიუმზე მოქმედებს კონცენტრირებული მლილობი მჟავას,  $\text{HNO}_3$ ,  $\text{H}_2\text{SO}_4$  და მჟანგავი მჟავების ნარევი  $\text{HF} + \text{HNO}_3$ ,  $\text{HNO}_3 + \text{HClO}_4$ , სამეცო წყალი და სხვ.:



ა6



მჟანგელის თანაობისას ვანადიუმი (ასევე V ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის დანარჩენი ელემენტები Nb და Ta) ურთიერთქმედებს ტუბებთან შელღობით:




(კალიუმის ვანადატი)


ვანადიუმი, ნიობიუმი და ტანტალი წარმოქმნიან მყარ ხსნარებს ერთმანეთთან და ლითონებთან, რომლებიც პერიოდულ სისტემაში ახლოსაა მათთან (IV, VI და VIII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები). ურთიერთმოქმედი ლითონების ელექტრონულ აღნაგობას შორის განსხვავების გაზრდით მყარი ხსნარების წარმოქმნის შესაძლებლობა მცირდება, ხოლო ინტერმეტალური ნაერთებისა - იზრდება.

ვანადიუმ(II)-ის ნაერთები. ვანადიუმ(II)-ის რამდენიმე ნაერთია ცნობილი.


ვანადიუმ(III)-ის ოქსიდი –  $\text{VO}$  – მონაცრისფრო-შავი კრისტალური ნიგთიერებაა. მიიღება ვანადიუმის უფრო მაღალი ოქსიდის ლითონოთერმული აღდგენით:



$\text{VO}$  ვაკუუმში გაცხელებისას განიცდის დისპროპორცირებას:



ვანადიუმ(III)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{V(OH)}_2$  – სუსტ ფუძეს წარმოადგენს. ვანადიუმის დიფტორიდი –  $\text{VF}_2$  – ის ფერი კრისტალური ნიგთიერებაა. ვანადიუმის დიქლორიდი –  $\text{VCl}_2$  – მიიღება  $\text{VCl}_3$  ან  $\text{VCl}_4$ -ის წყალბადით აღდგენისას:



ან  $\text{VCl}_3$ -ის დისპროპორცირებით:




$\text{VCl}_2$  მყარია ხოლო  $\text{VCl}_4$  აქროლადი, ამიტომ მათი დაცილება სიძნელეს არ წარმოადგენს.

ვანადიუმის დიბრომიდი –  $\text{VBr}_2$  და ვანადიუმის დიიოდიდი –  $\text{VI}_2$  – მიიღება  $\text{VBr}_3$  ან  $\text{VI}_3$ -ის გაცხელებით ვაკუუმში.

### ვანადიუმ(III)-ის ნაერთები

ვანადიუმ(III)-ის ოქსიდი –  $\text{V}_2\text{O}_3$  – შავი ფერის პარამაგნიტური თვისებების მქონე კრისტალური ნიგთიერებაა. მიიღება  $\text{V}_2\text{O}_5$ -ის წყალბადით ან  $\text{CO}$ -ით მაღალ ტემპერატურაზე აღდგენისას.


$\text{V}_2\text{O}_3$  ჰაერზე იქანგება  $\text{VO}_2$ -მდე, გაცხელებით კი მიიღება  $\text{V}_2\text{O}_5$ . სხვადასხვა თქვენი მეცნიერების შემთხვევაში ვართ ვარ თქვენი მაგ.:






$V_2O_3$  გამოიყენება ფერადი მინების მიხადებად და აგრეთვე კატალიზატორად პირველადი სპირტების დაშლისას.

ვანადიუმის ტრიქლორიდი –  $VCl_3$  – ვარდისფერი ფირფიტებია, ჰაერზე ადგილად განითხევა. აირად ამიაკთან  $VCl_3$  წარმოქმნის ნიტრიდს:




ტუტე ლითონების ქლორიდები  $VCl_3$ -თან წარმოქმნიან კომპლექსურ მარილებს, მაგ.:  $K[VCl_4]$ ,  $K_2[VCl_5]$  და სხვ.

ვანადიუმის ოქსიქლორიდი ანუ ვანადილის მონოქლორიდი –  $VOCl$  – ყვითელი ფერის, წყალში მცირედ ხსნადი ფხვნილისებური ნივთიერებაა. მიიღება ვანადიუმის ტრიქლორიდის ჰიდროლიზით:



ვანადიუმ(IV)-ის ნაერთები მრავლადაა ცნობილი.

ვანადიუმ(IV)-ის ოქსიდი –  $VO_2$  – ლურჯი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. მიიღება  $V_2O_3$  და  $V_2O_5$ -ის ნარევის გაცხელებით ვაკუუმში:




$VO_2$  აქვს ამფოტერული თვისებები, იხსნება მჟავებსა და ტუტებში ვანადილის და ვანადიტის წარმოქმნით. ვანადიტები  $Th^IV_4O_9$  ადგილად იქანგებიან ვანადილის მარილების წარმოქმნით:




ვანადიუმ(IV)-ის ჰიდროქსიდი –  $V(OH)_4$  – ძალზე სუსტი ფუძეა, მჟავას ნაშთებით ოთხივე ჰიდროქსილის იონის ჩანაცვლება არ ხერხდება და მისი მჟავებით დამუშავებისას მიიღება ვანადილის ( $VO_2^{+2}$ ) მარილები.


ვანადიუმის ტეტრაქლორიდი –  $VCl_4$  – მუქი წითელი ფერის სითხეა. ვანადიუმის ოთხვალენტიანი ნაერთებიდან  $VCl_4$  ყველაზე მდგრადია. იხსნება ორგანულ გამხსნელებში, წყალში განიცდის ჰიდროლიზს:



ვანადილის სულფატი –  $VOSO_4$  – წყალში განიცდის პიდროლიზე:




ტუბე ლითონების სულფატებთან წარმოქმნის კომპლექსურ მარილებს:



ვანადიუმ(V)-ის ნაერთები

ვანადიუმ(V)-ის ნაერთები ყველაზე მდგრადი და მრავალრიცხოვანია ვანადიუმის ნაერთებს შორის. მათ მკვეთრად გამოხატული მჟავური თვისებები აქვთ.



ვანადიუმ(V)-ის ოქსიდი (ვანადიუმის პენტაოქსიდი, ვანადიუმის ანჰიდრიდი) –  $V_2O_5$  – ამფორურული თვისებების მქონე, ნარინჯისფერი კრისტალებია. მიიღება ფხვნილისებური ვანადიუმის გახურებით ჟანგბადის არეში:



ან ამონიუმვანადატის გახურებით:



$V_2O_5$  წყალში მცირედ იხსნება და წარმოქმნის კოლოიდურ ხსნარებს. ტუბეებთან ურთიერთქმედებისას მიიღება ორთო- და პიროვანადატები:



$V_2O_5$  წარმოქმნის შესაბამის მარილებს – ვანადატებს, ტუბეებთან წარმოქმნის ორთოვანადატებს ( $\text{Ti}^{+1}VO_4$ ), ნეიტრალური ხსნარებიდან მიიღება მეტავანადატები ( $\text{Ti}^{+1}VO_3$ ), ხოლო მჟავა ხსნარებიდან – შეფერილი ვანადატები შედგენილობით  $\text{Ti}^{+1}O \cdot V_2O_5$ .

ვანადიუმის პენტაოქსიდის და გოგირდის ნარევის ჰაერის მიუწვდომლად გახურებისას მიიღება ვანადიუმის პენტასულფიდი  $V_2S_5$ .

ვანადიუმის პენტაფორიდი –  $VF_5$  – ოქთო, წყალში კარგად ხსნადი მარილია.

ვანადიუმის ოქსიქლორიდი –  $VOCl_3$  – ყვითელი ფერის სითხეა. მიიღება  $V_2O_5$  და ქლორის ურთიერთქმედებით. წყალში გახსნისას განიცდის ჰიდროლიზე.

წარმოებული ვანადიუმის 80% გამოიყენება შენადნობების, ძირითადად კი უჯანგავი ფოლადის წარმოებაში. ვანადიუმის საუციფიური გავლენა ფოლადის სტრუქტურაზე არსებითად აუმჯობესებს შენადნობის ტექნიკისათვის მნიშვნელოვან თვისებებს, ამიტომ ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში შენადნობების სახით. ვანადიუმის შემცველი ფოლადები გამოიყენება ავტომანქანების და საავიაციო ძრავების დასამზადებლად (ასეთი შენადნობების მოსამზადებლად საკმარისია მიხი 0,1-0,2%-ის შემცველობა ფოლადში), აგრეთვე სწრაფმჭრული სახარატო საჭრისების და მუდმივი მაგნიტების დასამზადებლად.

ვანადიუმის ქლორიდი გამოიყენება ატომურ-წყალბადურ ენერგეტიკაში წყლის თერმოქიმიური და შლისათვის.

ვანადიუმ(V)-ის ოქსიდი ფართოდ გამოიყენება დადებით ელექტროდად (ანოდი) ძლიერ ბატარეაბში და აკუმულატორებში.

კერცხლის ვანადატი გამოიყენება სარეზერვო ბატარეაბში უარყოფით ელექტროდად (კათოდი).

## 609ბ07მ0

### ბუნებაში გავრცელება



ნიობიუმი ბუნებაში გავრცელებულია ნაერთების სახით რომლებიც შედის ზოგიერთი მინერალის შედგენილობაში. მაგალითად,

კოლუმბიტი –  $(Fe,Mn)[(Nb,Ta)O_3]_2$ ,


ლოპარიტი –  $(K,Na,Ca,Ce,Sr)[(Nb,Ta,Ti)O_3]$  და სხვ.

## მიღების ხერხები

ლითონურ ნიობიუმს დებულობენ მისი ოქსიდის ალდგენით ან  $\text{NbCl}_5$ -ის თერმული დისოციაციით (ვან-არკელის და დე-ბურის მეთოდი). ლითონის ოქსიდიდან ალდგენის მიზნით ჩვეულებრივ იყენებენ წყალბადს ან ლითონოჟრმიას:



ან ნიობიუმის კომპლექსური ფტორიდიდან ნატრიუმული მეთოდით:




ლითონური ნიობიუმი ელექტროლიზური გზითაც მიიღება.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ნიობიუმი მოვერცხლისფრო-თეთრი, ძნელადლდობადი ლითონია. სხვადასხვა მძიმე ლითონებთან წარმოქმნის შენადნობებს, რომელთაგან ბევრს მნიშვნელოვანი ტექნიკური გამოყენება აქვს.

ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ნიობიუმი, ასევე მისი შენადნობები, არ იჩენს დიდ ქიმიურ აქტიურობას და კოროზიულად მდგრადია, რაც გამოწვეულია მის ზედაპირზე ოქსიდის თხელი, ინერტული ფენის არსებობით. ლითონური ნიობიუმი მლოდობ მჟავაში და კონცენტრირებული  $\text{HF}$  და  $\text{HNO}_3$  ნარევში იხსნება:



ტემპერატურის გაზრდასთან ერთად იზრდება ნიობიუმის ქიმიური აქტიურობა. იგი ურთიერთქმედებს სხვადასხვა ნივთიერებებთან. ნიობიუმი აქტიურად ურთიერთქმედებს მრავალ არალითონთან, ამასთან ნიობიუმს შეუძლია გამოავლინოს სხვადასხვა ვალენტობები – ორიდან ხუთამდე, მაგრამ მისი მთავარი ვალენტობაა ხუთი.

ნიობიუმის ჟანგბადთან გავარვარებისას მიიღება  $\text{Nb}_2\text{O}_5$ :



ამ ოქსიდისათვის დამახასიათებელია 10-მდე კრისტალური მოდიფიკაცია. ჩვეულებრივ წნევაზე სტაბილურია  $Nb_2O_5$ -ის  $\beta$ -ფორმა.

ნიობიუმი წარმოქმნის ოქსიდების რიგს  $NbO_2$ ,  $NbO$  შუალედურს  $NbO_{2,42}$  და  $NbO_{2,50}$  შორის და სტრუქტურით  $Nb_2O_5$ -ის  $\beta$ -ფორმასთან ახლოს.

ნიობიუმის ნახშირთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნება კარბიდები  $Nb_2C$  და  $NbC$ , მყარი თერმომედუგი ნივთიერებები. სისტემაში არსებობს გარდამავალი შედგენილობის რამოდენიმე ფაზა და ნიტრიდები  $Nb_2N$  და  $NbN$ . ანალოგიურად იქვევა ნიობიუმი სისტემაში ფოსფორთან და დარიშხანთან. ნიობიუმის გოგირდთან ურთიერთქმედებისას მიიღება სულფიდები:  $NbS$ ,  $NbS_2$  და  $NbS_3$ . სინთეზირებულია ნიობიუმის და კალიუმის(ნატრიუმის) ორმაგი ფტორიდები –  $K_2[NbF_7]$ .

გაცხელებისას ნიობიუმი რეაგირებს ჰალოგენებთან და წარმოქმნის პენტაჰალოგენიდებს  $Nbhal_5$ , ტეტრაჰალოგენიდებს  $Nbhal_4$  და ფაზებს  $Nbhal_{2,67}$  -  $Nbhal_{3+x}$ .



### ნიობიუმ(I)-ის ნაერთები.

ნიობიუმ(I)-ის ოქსიდი –  $Nb_2O$  – ქიმიურად აქტიური ნივთიერებაა, მიიღება  $Nb_2O_5$  –ის ხანგრძლივი აღდგენით მაღალ ტემპერატურაზე.

### ნიობიუმ(II)-ის ნაერთები

ნიობიუმ(II)-ის რამოდენიმე ნაერთია ცნობილი.

ნიობიუმ(II)-ის ოქსიდი –  $NbO$  – მიიღება ნიობიუმის ოქსიფტორიდის ( $NbOF_3$ ) ან ოქსიქლორიდის ( $NbOCl_3$ ) აღდგენისას მაგნიუმით, ნატრიუმით ან კალიუმით:





$NbO$  იხსნება  $HF$ , ასევე მჟანგავი მჟავებისა და  $HCl$ -ის ნარევებში.

### ნიობიუმ(III)-ის ნაერთები

ნიობიუმ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Nb}_2\text{O}_3$  – შავი ფერის ფხვნილისებური ნივთიერებაა, ძნელად იხსნება მჟავებში ( $\text{HF}$ -ის გარდა), სამეცნ წყალში იჟანგება  $\text{Nb}_2\text{O}_5$ -მდე. მიიღება  $\text{Nb}_2\text{O}_5$ -ის აღდგენით.

ნიობიუმის ტრიქლორიდი –  $\text{NbCl}_3$  და ნიობიუმის ტრიბრომიდი –  $\text{NbBr}_3$  – მიიღება ნიობიუმის პენტაქლორიდის და პენტაბრომიდის აღდგენით:



### ნიობიუმ(IV)-ის ნაერთები

ნიობიუმ(IV)-ის ოქსიდი –  $\text{NbO}_2$  – შავი ფერის ფხვნილია, მცირედ იხსნება მჟავებსა და ტუტებში. გაცხელებისას იჟანგება და მიიღება ნიობიუმის პენტაოქსიდი ( $\text{Nb}_2\text{O}_5$ ).

ნიობიუმის ტეტრაქლორიდის –  $\text{NbCl}_4$  – კონცენტრირებული წყალსნარი ლურჯი ფერისაა. წყალში კარგად იხსნება, გაცხელებისას დისპროპორციების შედეგად მიიღება:




### ნიობიუმ(V)-ის ნაერთები

ნიობიუმ(V)-ის ოქსიდი –  $\text{Nb}_2\text{O}_5$  – ამფოტერული ოქსიდია, მიიღება ნიობიუმის მჟავას ( $\text{Nb}_2\text{O}_5 \cdot n\text{H}_2\text{O}$ ) გაცხელებით, რომელიც ადგილად კარგავს წყალს, რომელსაც შეიცავს ჩვეულებრივ ტემპერატურაზე და რჩება  $\text{Nb}_2\text{O}_5$ .

$\text{Nb}_2\text{O}_5$  ოქსიდის შელდობით სხვადასხვა ლითონის ოქსიდებთან მიიღება მეტა-, ორთო- და პირონიობატები.


$\text{Nb}_2\text{O}_5$  პრაქტიკულად არ ურთიერთქმედებს წყალთან და მჟავების და ტუტების წყალსნარებთან. ნატრიუმის კარბონატთან შელდობისას მიიღება ორთონიობატი:



ნატრიუმის ორთონიობაზე წყალში გახსნისას წარმოქმნის მეტანიობაზე  $\text{NaNbO}_3 \cdot 3\text{H}_2\text{O}$ , რომელიც მეტ მდგრადობას იჩენს, ვიდრე ორთონიობაზე.

**ნიობიუმის პენტაფტორიდი –  $\text{NbF}_5$**  – მიიღება ლითონურ ნიობიუმზე მდგრადი მჟავას მოქმედებით.


**ნიობიუმის პენტაქლორიდი –  $\text{NbCl}_5$**  – მიიღება ქლორისა და ნიობიუმის ურთიერთქმედებით, გაცხელებისას:



ნიობიუმის პენტაფტორიდის და ნიობიუმის პენტაქლორიდის წყალბადით აღდგენისას მიიღება ოქსინაერთები:  $\text{NbOF}_3$  და  $\text{NbOCl}_3$ .

**ნიობიუმის პენტაიოდიდი –  $\text{NbI}_5$**  – მიიღება ნიობიუმზე იოდის ორთქლის მოქმედებით მაღალ ტემპერატურაზე.  $\text{NbI}_5$  გამოიყენება სუფთა ნიობიუმის მისაღებად.

ნიობიუმის პენტაკალოგენიდები მკვეთრი შეფერილობის ( $\text{NbCl}_5$ -უვითელი ფერის,  $\text{NbBr}_5$ -მკვეთრი წითელი ფერის) ნემსისებური კრისტალური ნივთიერებებია. ადვილად იხსნებიან ორგანულ გამსნელებში (ქლოროფორმი, სპირტი, ეთერი). მაგრამ წყალში გახსნისას ეს ნივთიერებები მთლიანად იშლებიან ნიობატების წარმოქმნით:



პიდროლიზის თავიდან აცილება შეიძლება წყალსნარში რომელიმე მჟავას დამატებით. ასეთ ხსნარებში ნიობიუმის პენტაკალოგენიდები იხსნებიან დაუშლელად.

**ლითონური ნიობიუმი** დიდ გამოყენებას პოულობს გაკუუმურ ტექნიკაში, რენტგენის აპარატურაში, ძნელადლდობადი, მუკებისადმი მედუზი და ზემაგარი შენაღნობების და მაგნიტური შენაღნობების დასამზადებლად.

**ნიობიუმის შენაღნობები** გამოიყენება თვითმფრინავების და თანამგზავრების მშენებლობაში, რეაქტიული ტურბინების ასაგებად.

**სუფთა ნიობიუმისგან** ან მისი **შენაღნობებისგან** ამზადებენ საფრენი აპარატების დეტალებს; კონტეინერებს და მილებს; კლემების და

კონდენსატორების დეტალებს; კოროზიამუდებებ აპარატურას ქიმიურ წარმოებაში და სხვ.

**ნიობიუმის სტანდი (Nb<sub>3</sub>Sn)** და მისი შენაღნობები ტიტანთან და ცირკონიუმთან გამოიყენება ზეგამტარების დასამზადებლად.

**ნიობიუმი** და მისი შენაღნობი ტანტალთან მრავალ შემთხვევაში ცვლის ტანტალს, რაც იძლევა დიდ კონცენტრაციას (ტანტალთან შედარებით ნიობიუმის ხილფისა და სიმუშდუქის გამო).

**ფერონიობატი** შეყვავთ უჯანგავ ქრომონიკელურ ფოლადში, მათი კრისტალთშროისი კოროზიის და დაშლის თავიდან ასაცილებლად და სხვა ტიპის ფოლადებში მათი თვისებების გახაუმჯობებებლად.

**ნიობიუმის პენტაოქსიდი** წარმოადგენს კატალიზატორს და გამოიყენება ქიმიურ წარმოებაში.

**ნიობიუმის ნიტრიდი (NbN)** გამოიყენება წვრილი და ულტრაწვრილი ზეგამტარების დასამზადებლად.

## ტანტალი

### ბუნებაში გავრცელება

ტანტალი ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით ნიობიუმთან, ტიტანთან, ცირკონიუმთან, კალასთან ერთად. მისი მნიშვნელოვანი მინერალებია:

**ტანტალიტი – (Fe,Mn)[(Ta,Nb)O<sub>3</sub>]<sub>2</sub>,**

**ლოპარიტი – (K,Na,Ca,Ce,Sr)[(Nb,Ta,Ti)O<sub>3</sub>].**


### იზოტოპები

ბუნებაში ტანტალი გავრცელებულია ორი იზოტოპის სახით: <sup>181</sup>Ta (99,9877 %) და <sup>180</sup>Ta (0,0123 %).

### მიღების ხერხები

ტანტალის და მისი შენადნობების წარმოებისათვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ტანტალიტური და ლოპარიტული კონცენტრატები, რომლებიც შეიცავენ დაახლოებით 8%  $Ta_2O_5$ -ს და 60% და მეტ  $Nb_2O_5$ -ს. კონცენტრატებს შლიან მუავათი ან ტუტით, ლოპარიტებს – ქლორიტებით. ტანტალის და ნიობიუმის დაცილებას აწარმოებენ ექსტრაქციის დახმარებით.

ლითონურ ტანტალს დებულობენ მისი ნაერთებიდან  $Ta_2O_5$ ,  $TaCl_5$ ,  $K_2[TaF_7]$  ლითონთერმიით, ნახშირბადით ან წყალბადით აღდგენით მაგ:




ლითონურ ტანტალს დებულობენ ასევე ოქსიდის  $Ta_2O_5$  ნალდობიდან ელექტროლიზით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური ტანტალი მძიმე, რუხი ფერის, ძნელადლდობადი, კოროზიისადმი მედეგი ლითონია. მისი სიმაგრის მიუხედავად აქვს კარგი ჭედადობის უნარი.

ტანტალი ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ქიმიურად არააქტიურია, კოროზიის მიმართ მდგრადია. ჰაერზე იუანგება  $280^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურაზე, იფარება ოქსიდის დამცავი ფენით. ჰალოგენებთან რეაგირებს  $250^{\circ}\text{C}$ -ზე. გაცხელებისას რეაგირებს  $C$ ,  $B$ ,  $Si$ ,  $P$ ,  $Se$ ,  $Te$ ,  $H_2O$ ,  $CO$ ,  $CO_2$ ,  $NO$ ,  $HCl$ ,  $H_2S$ -თან.

ტანტალი აბსოლუტურად მდგრადია მარილმჟავას მიმართ, სამეფო წყალიც კი არ მოქმედებს მასზე. მოქმედებს მხოლოდ მლდობი მჟავა და კონცენტრირებული  $HF$  და  $HNO_3$ -ის ნარევი:



ლითონური ნიობიუმის და განსაკუთრებით ტანტალის პრაქტიკულად მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მათი ინერტულობა ტუტე რეაგენტების მიმართ. მაგ., მხოლოდ ტანტალის კილიტისაგან დამზადებულ ტიგელებში არის შესაძლებელი იშვიათმიწათა ლითონების (III) ოქსიდების ლითონოთერმული

აღდგენა, გააჩნიათ, რა უნარი არ დააბინძურონ მიღებული იშვიათმიწათა ლითონები ტიგელის მასალით. ამ თვისებით ლითონური ტანტალი გაცილებით ძვირფას მასალას წარმოადგენს ვიდრე პლატინა.

### ტანტალ(I)-ის ნაერთები

**ტანტალ(I)-ის ოქსიდი –  $Ta_2O$**  – შავი ფერის კრისტალური ნივთიერებაა, მიიღება უფრო მაღალი ჟანგვითი რიცხვის მქონე ოქსიდების აღდგენით.

### ტანტალ(II)-ის ნაერთები

ტანტალ(II)-ის ნაერთების რაოდენობა მცირეა.

**ტანტალ(II)-ის ოქსიდი –  $TaO$**  – მიიღება  $Ta_2O_5$ -ის აღდგენით.


**ტანტალის დიქლორიდი –  $TaCl_2$**  – აქროლადი ნივთიერებაა. მიიღება  $TaCl_5$ -ის აღდგენით.

### ტანტალ(III)-ის ნაერთები

**ტანტალ(III)-ის ჰიდროქსიდი –  $Ta(OH)_3$**  – მწვანე ფერის ლაბისებური ნივთიერებაა. ადგილად იქანგება ჰაერზე.

**ტანტალის ტრიფტორიდი –  $TaF_3$**  – მიიღება ფტორწყალბადისა და დაწყალბადის ნარევის მოქმედებით ლითონურ ტანტალზე.

**ტანტალის ტრიქლორიდი –  $TaCl_3$**  – მწვანე ფერის კრისტალური ნივთიერებაა, წყალში გახსნისას განიცდის ჰიდროლიზს. მიიღება ხუთქლორიან ტანტალზე ალუმინის მოქმედებით:



### ტანტალ(IV)-ის ნაერთები

**ტანტალ(IV)-ის ოქსიდი –  $TaO_2$**  – მიიღება  $Ta_2O_5$ -ის ნაწილობრივი აღდგენით.

**ტანტალის ტეტრაქლორიდი –  $TaCl_4$**  – მწვანე ფერის ნივთიერებაა. მიიღება ტანტალის პენტაქლორიდის და ტრიქლორიდის ურთიერთქმედებით:




**ტანტალის დისულფიდი –  $TaS_2$  – მიიღება  $Ta_2O_5$ -ზე გოგირდნახშირბადის მოქმედებით. მასზე მჟანგავი მჟავების მოქმედებით მიიღება ტანტალის პენტაოქსიდი  $Ta_2O_5$ .**

### **ტანტალ(V)-ის ნაერთები**

ტანტალის ნაერთებიდან ტანტალ(V)-ის ნაერთები ყველაზე მდგრადია.

**ტანტალ(V)-ის ოქსიდი –  $Ta_2O_5$  – თეთრი კრისტალური ნივთიერებაა, მიიღება ტანტალის ჟანგბადის არეში გახურებით.**

$Ta_2O_5$  ამფოტერულია, მისი მჟავური თვისებები უფრო სუსტადაა გამოხატული ვიდრე ფუძე თვისებები. წყალსა და მჟავებში არ იხსნება, გარდა მლლობი მჟავისა. ტუტებთან და ლითონის ოქსიდებთან შელლობისას მიიღება ტანტალატები, ნატრიუმის კარბონატთან შელლობით მიიღება ნატრიუმის ტანტალატი:



**ტანტალის პენტაფტორიდი –  $TaF_5$  – მიიღება პენტაქლორიდზე თხევადი მლლობი მჟავას მოქმედებით.**

**ლითონურმა ტანტალმა, თავისი თვისებებიდან გამომდინარე, მრავალ შემთხვევაში შეცვალა პლატინა, ოქრო, კერძო. იგი გამოიყენება კატალიზატორად გრაფიტიდან ალმასის მიღების დროს.**

**ტანტალისგან მზადდება ცეცხლგამძლე ზემაგარი და უჟანგავი შენადნობები, კოროზიამედული აპარატურა, ქიმიური წარმოებისათვის ლაბორატორიული ჭურჭელი და ტიგელები.**

ფართო გამოყენება აქვთ ტანტალს ელექტრონიკასა და თანამედროვე ტექნიკაში.

**ტანტალისაგან დამზადებულ ფირფიტებს, კილიტას და ძაფებს ქორურგიაში იყენებენ ქსოვილის, ნერვების შესაერთებლად, ნაკერების დახადებად, დაზიანებული დაზიანების შემცვლელი პროტეზების დახამზადებლად.**

ბოლო წლებში ტანტალი გამოიყენება როგორც საიუველირო ლითონი, რაც გამოწვეულია მისი უნარით ზედაპირზე წარმოქმნას სხვადასხვა შეფერილობის, მყარი ოქსიდური ფენა.

## V ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტების ბიოლოგიური როლი ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი. ამ ელემენტებიდან მხოლოდ ვანადიუმი მიეკუთნება ბიოგენურ ელემენტს. მცენარეებში იგი თამაშობს განსაზღვრულ როლს აზოტის ფიქსაციაში. ვანადიუმი კონცენტრირდება მრავალი ცხოველის ორგანიზმში, მისი განსაკუთრებით მაღალი შემცველობა აღმოჩენილია ზოგიერთ ზღვის ცხოველში. ადამიანის ორგანიზმში ვანადიუმის დიდი ნაწილი (ზრდასრული ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი შეიცავს 10-25 მგ) თავმოყრილია ძვლებში, კბილებში და ცხიმოვან ქსოვილში.

ვანადიუმის მრავალი ნაერთი ტოქსიკურია, რადგან იგი ცილებთან უხსნად ნაერთებს წარმოქმნის.

ნიობიუმის და ტანტალის ბიოლოგიური როლი არ არის გამოკვლეული, მაგრამ ცნობილია, რომ ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრისას ისინი არ იწვევენ კუნთოვანი ქსოვილის გაღიზიანებას. ეს კი, საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას მედიცინაში ლითონური ნიობიუმი და ტანტალი, როგორც ძვლის პროთეზირების მასალა.

## თავი IV

### VI ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები

დ.ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის VI ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებს წარმოადგენენ: ქრომი, მოლიბდენი, ვოლფრამი

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო- უარყოფითობა	ჟანგვითი რიცხვი
Cr	51,9961	$3s^2 3p^6 3d^5 4s^1$	1,56	$0, (+1), +2, +3, (+4), (+5), +6$
Mo	95,94	$4s^2 4p^6 4d^5 5s^1$	1,30	$0, (+3), (+4), (+5), +6$
W	183,84	$4s^2 4p^6 4d^{10} 4f^4 5s^2 5p^6 5d^4 6s^2$	1,40	$0, (+3), (+4), (+5), +6$

აღნიშნული ქვეჯგუფის ლითონებს ახასიათებთ საკმაოდ მაღალი ლდობის ტემპერატურა, მათ შორის ყველაზე მაღალია ვოლფრამის ლდობის ტემპერატურა.

ქრომისთვის დამახასიათებელია ჟანგვითი რიცხვი  $+3$  და ნაკლებად  $+6$ . მოლიბდენისთვის და ვოლფრამისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია ჟანგვითი რიცხვი  $+6$ . ცნობილია ნაერთები რომლებშიც ქრომი და მისი ანალოგები ამჟღავნებენ  $0, +1, +2, +4$  და  $+5$  ჟანგვითი რიცხვს.

სამივე ელემენტისთვის დამახასიათებელია საკოორდინაციო რიცხვები  $6$  და  $4$ . მოლიბდენი და ვოლფრამი წარმოქმნიან კოორდინაციულ ნაერთებს, სადაც მათი საკოორდინაციო რიცხვი აღწევს  $8$ .

როგორც სხვა d-ელემენტები, ქრომი, მოლიბდენი და ვოლფრამი დაბალი ჟანგვითი რიცხვი. წარმოქმნიან კატიონურ კომპლექსებს, ხოლო მაღალი ჟანგვითი რიცხვით - ანიონურ კომპლექსებს.

ქიმიური თვისებების მიხედვით მოლიბდენი და ვოლფრამი უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ქრომთან.

## ძრომი

### ბუნებაში გავრცელება

ქრომი ერთ-ერთი გავრცელებული ელემენტია ბუნებაში, ხშირად თან ახლავს რკინის მინერალებს. ქრომის ყველაზე მნიშვნელოვანი მინერალებია:



ქრომიტი (შპინელის ჯგუფის მინერალი) –  $\text{FeCr}_2\text{O}_4$  ანუ  $\text{FeO}\cdot\text{Cr}_2\text{O}_3$

კროკოიტი (ტყვიის წითელი მადანი) –  $\text{PbCrO}_4$

სტიხტიტი –  $2\text{MgCO}_3\cdot 5\text{Mg}(\text{OH})_2\cdot 2\text{Cr}(\text{OH})_3$  და სხვა.

### მიღების ხერხები

ქრომს მრეწველობაში ძირითადად ღებულობენ ფეროქრომიდან – ქრომის შენადნობიდან რკინასთან (60–70% Cr). ფეროქრომს ღებულობენ ორი სხვადასხვა ხერხით – ქრომიტის  $\text{FeO}\cdot\text{Cr}_2\text{O}_3$  კოქსით ან ალუმინიო აღდგენისას:



შედარებით სუფთა ქრომს ღებულობენ მაღალ ტემპერატურაზე ქრომ(III)-ის ოქსიდის ალუმინიო (ალუმოთერმია) ან სილიციუმით აღდგენისას:



სუფთა ქრომი მიიღება აგრეთვე Cr (III) სულფატის წყალხსნარის ელექტროლიზით. ქრომი გამოიყოფა ალუმინისგან ან უჟანგავი ფოლადისგან დამზადებულ კათოდზე. მიღებული ქრომის სრული გასუფთავება მინარევებისაგან ხდება წყალბადის საშუალებით  $1500\text{--}1700^\circ\text{C}$ -ზე.

სუფთა ქრომის მიღება შესაძლებელია აგრეთვე ქრომ(III)-ის ფტორიდის ან ქლორიდის ელექტროლიზით ნატრიუმის, კალიუმის ან კალციუმის ნარევთან  $900^\circ\text{C}$ -ზე არგონის არეში.

მაღალი ქიმიური მდგრადობის გამო ქრომს ძირითადად იყენებენ ლითონების ელექტროლიტური დაფარვისთვის.

## ქრომის შენადნობები

ქრომს დიდი რაოდენობით იყენებს მეტალურგია, კერძოდ, ქრომიანი ფოლადის შესაქმნელად, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მდგრადობით უანგვისადმი. მაგ., ინსტრუმენტული ფოლადი შეიცავს 3–4% Cr-ს, ბურთულსაკისრის ფოლადი – 0,5-1,5% Cr-ს, ქრომვოლფრამის ფოლადი – 7,5% Cr-ს. ლითონური ქრომი ადვილად გადადის პასიურ მდგომარეობაში, რაც განაპირობებს მის გამოყენებას უჟანგავი ფოლადების წარმოებაში.

ქრომის შემცველი შენადნობები ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში, კერძოდ მანქანათმშენებლობაში.

მთელი რიგი შენადნობები სხვადასხვა ლითონებთან ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში

დასახელება	ქრომი Cr	ნიკლი Ni	კობალტი Co	ალუმინი Al	რკინა Fe	ვოლფრამი W	ელექტროტექნიკაში თერმოწყვილების, ელექტროლუმელების მოსამზადებლად, მანქანათმშენებლობაში, ავიამშენებლობაში
ფეროქრომი	65%				35 %		
ქრომალი	17-30%			4-6%	64-79%		
სტელიტი	20-25%		45-60%		1-3%	5-20%	
ნიქრომი	10%	63%			25%		

## ქრომის საფარის მომზადება ელექტროქიმიური გზით

ელექტროქიმიური პროცესის საშუალებით ახდენენ სხვა ლითონების ზედაპირის დამუშავებას – მოქრომვას. გარდა დეკორატიულისა, ამ პროცესს დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. ელექტროქიმიური გზით მიღებული ქრომის საფარი გამოირჩევა მაღალი სიმაგრით, მდგრადია კოროზიისადმი და შესაბამისად ქიმიურად გამძლეა.


ელექტროლიზური მოქრომვისას გამოიყენება ქრომ(VI)-ის ოქსიდის ( $\text{CrO}_3$ ) 25–30% ხსნარი, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს გოგირდმჟავას.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ქრომი თეთრი ფერის ლითონია, პარამაგნიტური.  $39^{\circ}\text{C}$ -ზე პარამაგნიტური მდგომარეობიდან გადადის ანტიფერომაგნიტურში. არსებობს რამოდენიმე მოდიფიკაციის სახით, რომელთაგან ყველაზე მდგრადია  $\alpha\text{-Cr}$  მოდიფიკაცია. სუფთა ქრომი – მძიმე ( $\rho=7,19 \text{ g/cm}^3$ ), ძნელდნობადი ( $1890^{\circ}\text{C}$ ), ჭედადი ლითონია, ახასიათებს დიდი სიმაგრე, რის გამოც ძნელია მისი მექანიკური დამუშავება. მცირე მინარევიც კი ქრომს ხდის მყიფეს, ამიტომ ის ნაკლებად გამოიყენება როგორც კონსტრუქციული ელემენტი. ქრომი მნიშვნელოვანი მალეგირებელი ელემენტია. მისი მცირედი დამატებითაც კი იზრდება ფოლადის სიმაგრე და ცვეთამედებობა.

ქრომი – ქიმიურად ნაკლებად აქტიური ლითონია. ჩვეულებრივ პირობებში მდგარდია ჟანგბადისა და ტენისადმი, ურთიერთქმედებს ფტორთან ქრომ(III)-ის ფტორიდის  $\text{CrF}_3$  წარმოქმნით.

მაღალ ტემპერატურაზე რეაგირებს აზოტთან, ნახშირბადთან, გოგირდთან. გავარვარებული ქრომი ( $600^{\circ}\text{C}$ ) ურთიერთქმედებს წყლის ორთქლთან:



მაღალ ტემპერატურაზე რეაგირებს ჰალოგენებთან და ჰალოგენწყალბადებთან დიპალოგენიდების წარმოქმნით:



უშუალოდ ქლორთან ურთიერთქმედებისას მიიღება უოლოსფერი  $\text{CrCl}_3$ :




ქრომი რეაგირებს აზოტთან და ამიაკთან. პირობებზე დამოკიდებულებით მიიღება  $\text{CrN}$  ან  $\text{Cr}_2\text{N}$ :



გოგირდის ორქლში ქრომი იწვის ქრომ(III)-ის სულფიდის წარმოქმნით:




2000°C-ზე იწვის ჟანგბადის არეში მწვანე ფერის ქრომ(III)-ის ოქსიდის წარმოქმნით:




ქრომის წყალბადნაერთები არამდგრადებია.


პაერზე ქრომი მუვებთან რეაგირებს ქრომ(III)-ის ნაერთების წარმოქმნით:



განზაგებულ გოგირდმჟავასთან ქრომი რეაგირებს წყალბადის გამოყოფით:



ხოლო ცხელ კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან – გოგირდ(IV)-ის ოქსიდის წარმოქმნით:



კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან და სამეფო წყალთან ურთიერთქმედებისას ქრომი გადადის პასიურ მდგომარეობაში. მაღალ ტემპერატურაზე ქრომი იხსნება კონც. აზოტმჟავაშიც აზოტ(IV)-ის ოქსიდის წარმოქმნით:



ქრომისთვის და მისი ანალოგებისთვის დამახასიათებელია პექსაკარბონილების წარმოქმნა ზოგადი ფორმულით  $\text{Cr}(\text{CO})_6$ , სადაც ის ამჟღავნებს ნულოვან ჟანგვით რიცხვს.

**ქრომის კარბონილი –  $\text{Cr}(\text{CO})_6$**  – უფერო კრისტალებია, 90°C-ზე იწყებს დაშლას ლითონური ქრომის წარმოქმნით, ინტენსიურად იშლება 230°C-ზე. სუფთა  $\text{Cr}(\text{CO})_6$  პაერსა და სინათლეზე მდგრადია. არ იხსნება წყალში, მცირედ ხსნადია ორგანულ გამხსნელებში. ნელა რეაგირებს კონც. გოგირდმჟავასთან, არ რეაგირებს მარილმჟავასთან, იშლება ქლორთან ურთიერთქმედებისას.

ქრომის პექსაკარბონილს ღებულობენ ქრომ(III)-ის ქლორიდის CO-თი ალდგენისას მაღალი წნევის პირობებში ალუმინის ან ალუმინის ქლორიდის თანაობისას.

კიდევ ერთი საინტერესო ნაერთი, რომელშიც ქრომის უანგვითი რიცხვი ნულის ტოლია – დიბენზოლქრომი  $\text{Cr}(\text{C}_6\text{H}_5)_2$  – მიეკუთვნება მეტალორგანულ ნაერთებს (შეიცავს ბმას ლითონი–ნახშირბადი). პირველად მიღებულ იქნა ქრომ(III)-ის ქლორიდის ურთიერთქმედებით გრინიარის რეაქტივთან  $\text{C}_6\text{H}_5\text{MgBr}$ . ამ ნაერთის მიღება აგრეთვე შეიძლება უწყლო ქრომ(III)-ის ქლორიდის ურთიერთქმედებით ბენზოლთან ალუმინის ფხვნილის თანაობისას. კატალიზატორად გამოიყენება უწყლო ალუმინის ქლორიდი.

დიბენზოლქრომს გააჩნია ”სენდვიჩის“ აგებულება.

ქრომის კარბონილს და დიბენზოლქრომს გააჩნიათ დოდი პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ მეტალორგანული ნაერთების ქიმიური დალექციას თრთქლიდან ლითონური საფარის მისაღებად. ლითონური ნაკეთობების ზედაპირის ამგვარი დაფარვა ქრომის თხელი ფენით აუზრდებებს ამ ნაკეთობების ხარისხს.

ქრომის კარბონილი გამოიყენება ავტომატური კერამიკის, მინის, კატალიზატორების წარმოებაში, თრგანულ სინთეზში.

## ქრომ(II)-ის ნაერთები


ქრომ(II)-ის ოქსიდი –  $\text{CrO}$  – პირომორფული შავი ფერის ფხვნილია,  $100^\circ\text{C}$ -ზე გარდაიქმნება  $\text{Cr}_2\text{O}_3$ -ად. თავისუფალ მდგომარეობაში მისი გამოყოფა გართულებულია. ქიმიურად ინერტული ნივთიერებაა, ვაკუუმში გახურებით  $700^\circ\text{C}$ -ზე დისპროპორცირებს:




წყალში უხსნადია, ამჟღავნებს მხოლოდ ფუძე თვისებებს, იხსნება განზავებულ ქლორწყალბადმჟავაში, მცირედ ხსნადია განზავებულ გოგირდმჟავასა და აზოტმჟავაში.  $1000^\circ\text{C}$ -ზე წყალბადი აღადგენს მას ლითონურ ქრომამდე. მიღება ქრომის ამალგამის  $\text{CrHg}_3$  ან  $\text{CrHg}$  დაჟანგვით აზოტმჟავით ან ჰაერის უანგბადით.

ქრომ(II)-ის ოქსიდი მიიღება აგრეთვე ქრომის კარბონილის  $\text{Cr}(\text{CO})_6$  თერმული დაშლით.


**ქრომ(II)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Cr(OH)}_2$**  – ყვითელი ფერის ნივთიერებაა. მიღება თავისუფალი სახით გაროულებულია, ვინაიდან  $\text{Cr}^{2+}$  ტუტე არეში საკმაოდ ძლიერი აღმდგენია. მცირედ იხსნება წყალსა და განზაგებულ მჟავებში, იხსნება მხოლოდ კონცენტრირებულ მჟავებში. გახურებისას იუანგება ქრომ(III)-ის ოქსიდის წარმოქმნით:




ქრომ(II)-ის ნაერთების მიღება შესაძლებელია ლითონური ქრომის დამუშავებით არამჟანგავი მჟავებით ან ქრომ(III)-ის ნაერთების აღდგენით.



ქრომ(II)-ის ნაერთების მიღება შესაძლებელია აგრეთვე ქრომ(III)-ის ნაერთების აღდგენით, მაგ., თუთიით მჟავა არეში




**ქრომ(II)-ის ნაერთები** არამდგრადია, პაერზე ადვილად იუანგებიან ქრომ(III)-ის ნაერთების წარმოქმნით:




ქრომ(II)-ის ნაერთები არ ამჟღავნებენ ამფოტერულ თვისებებს, ამიტომ  $\text{Cr}(\text{OH})_2$  იხსნება მხოლოდ მჟავებში და შესაბამისად  $\text{Cr}$  (II) წარმოქმნის მარილების რიგს, რომელშიც ქრომ(II)-ი ასრულებს კატიონის როლს.

მაგ., ქრომ(II)-ის ჰიდროქსიდი ურთიერთქმედებს მჟავებთან:




სინამდვილეში რეაქცია მიმდინარეობს უფრო რთული მექანიზმით:




წარმოქმნილი აქვაკომპლექსები  $[Cr(H_2O)_6]^{2+}$  ლურჯი ფერისაა. იგივე შეფერილობა ახასიათებთ ქრომ(II)-ის კრისტალპიდრატებს:  $Cr(ClO_4)_2 \cdot 6H_2O$ ,  $CrSO_4 \cdot 5H_2O$ ,  $CrCl_2 \cdot 4H_2O$  და სხვა.  $Cr^{2+}$ -იონი უფერია, მისი უწყლო მარილები თეთრია, მათი წყალხსნარები კი – ცისფერი.


ქრომ(II)-ის ნაერთები ძლიერი აღმდგენელებია:




ქრომ(II)-ის ქლორიდი –  $CrCl_2$  ანუ  $Cr_2Cl_4$  – თეთრი ფერის ძლიერ ჰიგროსკოპული კრისტალებია, წყალში გახსნისას მიიღება ლურჯი ფერის ხსნარი, რომელიც გაცხელებისას იცვლის შეფერილობას (გადადის მწვანეში). მიიღება გავარვარებულ ქრომზე მარილმჟავას მოქმედებით




აგრეთვე ქრომ(III)-ის ქლორიდის  $700^{\circ}C$ -ზე წყალბადით აღდგენისას:



$CrCl_2$  – ძლიერი აღმდგენელია, როგორც  $Cr$  (II) სხვა დანარჩენი ნაერთები, ადვილად იჟანგება:




ქრომ(II)-ის მარილების ურთიერთქმედებით ტუტეებთან ინერტულ ატმოსფეროში მიიღება ყვითელი ფერის ნალექი – ქრომ(II)-ის პიდროქსიდი –  $Cr(OH)_2$ :



ქრომის დიქლორიდის  $Cr_2Cl_4$  აქვთ ჟანგბადის შთანთქმის უნარი, რის საფუძველზეც ხდება მიხი გამოყენება აირადი ანალიზისთვის. გამოიყენება აგრეთვე როგორც კატალიზატორი ორგანულ სინთეზი.

**ქრომ(II)-ის ფტორიდი –  $CrF_2$**  – მწვანე ფერის არააქტოლადი, წყალში მცირედ ხსნადი კრისტალებია. ტენიან ჰაერზე ადვილად იუანგება. იხსნება ცხელ ქლორწყალბადმჟავაში. მიიღება გახურებულ ქრომზე მლდობი მჟავას მოქმედებით.

**ქრომ(II)-ის ბრომიდი –  $CrBr_2$**  – ყვითელი ფერის კრისტალებია. იხსნება წყალსა და სპირტში, მდგრადია მშრალ ჰაერზე, ხოლო ტენიან ჰაერზე იუანგება. მიიღება ბრომწყალბადის მოქმედებით წითელ ვარვარებამდე გახურებულ ქრომზე




**ქრომ(II)-ის იოდიდი –  $CrI_2$**  – ძლიერ ჰიგროსკოპული მოწითალო-ყავისფერი ნემსისებური კრისტალებია. კარგად იხსნება წყალში.  $600^{\circ}\text{C}$ -ზე დისოცირებს ლითონური ქრომის წარმოქმნით. ეს რეაქცია გამოიყენება რკინის და ფოლადის ქრომირებისას. მიიღება იოდის ორთქლის გატარებით ფხვნილისებურ ქრომზე  $700-800^{\circ}\text{C}$ -ზე, აგრეთვე ქრომის გახსნით იოდწყალბადმჟავაში.

**ქრომ(II)-ის სულფიდი –  $CrS$**  – აარამაგნიტური შავი ფერის პრიზმისებური კრისტალებია. იშლება  $1350^{\circ}\text{C}$ -ზე, ადვილად იუანგება ჰაერზე გაცხელებისას ან გარდაიქმნება  $CrCl_3$ -ად ქლორის მოქმედებით. მიიღება ქრომის და გოგირდის სტექიომეტრული რაოდენობების გახურებით  $1000^{\circ}\text{C}$ -ზე ვაკუუმში:



ქრომ(II)-ის სულფიდი გამოილექება ქრომ(II)-ის მარილების ურთიერთქმედებით ამონიუმის სულფიდთან:




**ქრომ(II)-ის სულფატი –  $CrSO_4$**  – თეთრი ფერის ფხვნილისებური ნივთიერებაა. წყალსნარს ახასიათებს ძლიერი აღმდგენის თვისებები, ენერგიულად შთანთქავს ჟანგბადს. მიიღება ქრომ(III)-ის სულფატის წყალსნარის აღდგენით, აგრეთვე განზავებული გოგირდმჟავას მოქმედებით

ლითონურ ქრომზე. ცნობილია კრისტალპიდრატები შედგენილობით  $\text{CrSO}_4 \cdot n\text{H}_2\text{O}$  ( $n=1,5,7$ )

$\text{CrSO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$	უფერო კრისტალები
$\text{CrSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$	ლურჯი კრისტალები
$\text{CrSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$	ლურჯი კრისტალები

### ქრომ(III)-ის ნაერთები

ქრომ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Cr}_2\text{O}_3$  – მწვანე ფერის ფხვნილისებური ნივთიერებაა, კრისტალურ მდგომარეობაში – შავი ფერისაა ლითონური ბრწყინვალებით. აქვს მაღალი ლდობის ტემპერატურა (Тლ.  $2435^{\circ}\text{C}$ ), ქიმიურად ინერტულია. იხსნება თხევად  $\text{CS}_2$ -ში. მიიღება ქრომის ურთიერთქმედებით უანგბადთან მაღალ ტემპერატურაზე:



ლაბორატორიაში ქრომ(III)-ის ოქსიდი მიიღება ამონიუმის ბიქრომატის დაშლით:




ტექნიკური მიზნებისთვის ქრომ(III)-ის ოქსიდს ღებულობენ კალიუმის ბიქრომატის აღდგენით:




$\text{Cr}_2\text{O}_3$  აგრეთვე მიიღება ქრომ(VI)-ის ნაერთების თერმოლიზით:




$\text{Cr}_2\text{O}_3$  – ქიმიურად ინერტული ნივთიერებაა, იგი არ იხსნება წყალში.  $\text{Cr}_2\text{O}_3$  შელდობით რეაგირებს ნიტრატებთან ტუტე ლითონების კარბონატების ან ჰიდროქსიდების თანაობისას:




ტუბე ლითონების ჰიდროსულფატებთან და პიროსულფატებთან შელდობისას ქრომის ჟანგვითი რიცხვი არ იცვლება. მაგ.,  $\text{Cr}_2\text{O}_3$ -ის კალიუმის დისულფატთან შელდობით მიიღება ქრომ(III)-ის სულფატი:



$\text{Cr}_2\text{O}_3$  ამჟღავნებს მკვეთრად გამოხატულ ამფოტერულ თვისებებს.




ტუბეებთან ან კარბონატებთან შელდობისას  $\text{Cr}_2\text{O}_3$  წარმოქმნის ქრომიტებს:




ქრომიტი წყალში გახსნისას გადადიან ჰიდროქსოკომპლექსებში:  $\text{Na}[\text{Cr}(\text{OH})_4]$ ,  $\text{K}_3[\text{Cr}(\text{OH})_6]$ .


ქრომ(III)-ის ნაერთები მდგრადებია ჰაერზე, მაგრამ წყალხსნარში განიცდიან ჰიდროლიზს:




ვინაიდან  $\text{Cr}_2\text{O}_3$ -ში ქრომს შეალედური ჟანგვითი რიცხვი აქვს, ტუბე არეში ძლიერი მჟანგავის თანაობისას იქანგება ქრომატის წარმოქმნით:



ხოლო ძლიერი ალმდგენი მას აღადგენს:




ტუტის და მჟანგავის ნარევთან შელღობით წარმოიქმნება ქრომის ნაერთები უანგვითი რიცხვით +6:



**ქრომ(III)-ის ოქსიდი** გამოიყენება როგორც აბრაზიული მასალა, ასევე საღებავების წარმოებაში. საღებავების შემაღვებლობაში შედიან აგრეთვე ტუკის და თუთიის ქრომატები.

**ქრომ(III)-ის ოქსიდის წარმოადგენს** ძირითად დანამატს ალუმინ(III)-ის ოქსიდისთვის ხელოვნური ლალის კრისტალების მიღებისას, რომლებიც გამოიყენება ლაზერულ დანაღვარებში, საათების წარმოებაში. გამოიყენება როგორც კატალიზატორი თრგანულ ან არაორგანულ საწარმოო სინთეზში.

**ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდი –  $Cr(OH)_3$**  – მიიღება ქრომ(III)-ის ქლორიდზე ამონიუმის ტუტის მცირე რაოდენობის დამატებით. გამოიყოფა ნალექის სახით:




მიღებულ ჰიდროქსიდს – მწვანე ფერის ნიგთიერებას მიაწერენ ფორმულას  $Cr(OH)_3$ , მაგრამ მას გააჩნია ცვალებადი შედგენილობა, რომელიც შეგვიძლია გამოვსახოთ ზოგადი ფორმულით  $Cr_2O_3 \cdot nH_2O$ . ის წარმოადგენს მრავალბირთვიან პოლიმერს, რომელშიც ლიგანდების როლს ასრულებენ  $OH^-$  და  $H_2O$ , ხოლო  $OH-\ddot{Z}O$ -ფერი – ხიდურ ფუნქციას. პოლიმერის სტრუქტურა და შედგენილობა დამოკიდებულია მიღების პირობებზე. კერძოდ, დაყოვნებისას ან გაცხელებისას მიმდინარეობს ბმების  $Cr-OH-Cr$  შეცვლა  $Cr-O-Cr$ , რის შედეგადაც ის კარგავს თავის აქტიურობას. ახლად დამზადებული  $Cr(OH)_3$  კარგად იხსნება მჟავასა და ტუტები.


წყალხსნარში კატიონი  $Cr^{3+}$  არსებობს მხოლოდ ჰიდრატირებული იონის სახით  $[Cr(H_2O)_6]^{3+}$ , რომელიც ხსნარს ანიჭებს იისფერ შეფერილობას (სიმარტივისთვის წერენ  $Cr^{3+}$ ).

**ქრომ(III)-ის ჰიდროქსიკომპლექსებს** ახასიათებთ მწვანე ფერი, არ გამოირჩევიან მაღალი მდგრადობით და იშლებიან ჰიდროქსიდის  $[Cr(OH)_3]_n \cdot H_2O$  წარმოქმნით.


ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდის შელდობით ტუტეებთან წარმოიქმნება მეტა- და ორთოქრომიტები:



ტუტები გახსნისას წარმოიქმნება ჰიდროქრომიტები:




ან



წყალხსნარში არსებობენ მხოლოდ ქრომის ჰიდრატირებული იონები:  $[Cr(OH)_4(H_2O)_2]^+$ ,  $[Cr(OH)_5H_2O]^{2-}$ ,  $[Cr(OH)_6]^{3-}$ . ისინი ხსნარს ანიჭებენ მწვანე შეფერილობას.

ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდის ამფოტერობიდან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ წყალხსნარში არსებობს წონასწორობა:




მეტას დამატებით ხსნარში წონასწორობა გადაიხრება მარცხნივ, ხოლო ტუტის დამატებით – მარჯვნივ.

ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდის გახურებისას წარმოიქმნება ქრომ(III)-ის ოქსიდი:




ტუტე ლითონების ქრომიტები არ არიან მდგრადები. თუმცა ბუნებაში გვხვდება მდგრადი ქრომიტები.

$KCrO_2$  ტიპის მარილები – ქრომიტები – შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მეტაქრომოგანმჟავას  $HCrO_2$  მარილები. ეს მარილები, აგრეთვე ისინი, რომელთა შემადგენლობაშიც შედის სამვალენტიანი ქრომის კატიონი, განიცდიან ჰიდროლიზს. ქრომ(III)-ის და სუსტი მეტას მარილები განიცდიან სრულ ჰიდროლიზს:



ქრომ(III)-ის მარილის წყალხსნარისთვის სხვა მარილის დამატება, რომელიც შეიცავს სუსტი მჟავას ანიონს, იწვევს ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდის გამოლექვას:



**ქრომ(III)-ის ფტორიდი –  $CrF_3$**  – პარამაგნიტური მწვანე ფერის კრისტალებია. იხსნება მლოდობ მჟავაში და ნაკლებად ხსნადია წყალში. მიიღება მლოდობი მჟავას მოქმედებით ქრომ(III)-ის ოქსიდზე, ფტორწყალბადის გატარებით  $500-1100^{\circ}\text{C}$ -მდე გახურებულ ქრომ(III)-ის ქლორიდზე.

წყალხსნარები გამოიყენება აბრეშუმის წარმოებაში, შალის დამუშავებისას, აგრეთვე ეთანის და პროპანის პალოგენნაწარმების ფტორირებისას.

**ქრომ(III)-ის ქლორიდი, ქლორიანი ქრომი, ქლორის ტრიქლორიდი –  $CrCl_3$**  – მოყვითალო იისფერი კრისტალებია. უწყლო ქრომ(III)-ის ქლორიდის სინთეზს ახორციელებენ გახურებულ ქრომ(III)-ის ოქსიდზე ქლორის მოქმედებით ნახშირბადის თანაობისას:



ან გავარვარებული ქრომის ურთიერთქმედებით მშრალ ქლორთან:



გახურებისას  $CrCl_3$  დისოცირდება:




**ქრომ(III)-ის ბრომიდი –  $CrBr_3$**  – მწვანე ფერის კრისტალებია.  $927^{\circ}\text{C}$ -ზე განიცდის სუბლიმაციას. გაცხელებისას წყალბადი აღადგენს  $CrBr_2$ -მდე. იშლება ტუტის მოქმედებისას, წყალში იხსნება ქრომ(II)-ის მარილების თანაობისას. მიიღება ბრომის ორთქლის მოქმედებით ლითონურ ქრომზე აზოტის თანაობისას.

**ქრომ(III)-ის იოდიდი –  $CrI_3$**  – მუქი იისფერი კრისტალები, ჩვეულებრივ პირობებში ჰაერზე მდგრადია.  $200^{\circ}\text{C}$ -ზე რეაგირებს ჟანგბადთან იოდის გამოყოფით. წყალში იხსნება ქრომ(II)-ის მარილების თანაობისას. მიიღება იოდის ორთქლის მოქმედებით წითელ ვარვარებამდე გახურებულ ქრომზე.

ქრომ(III)-ის სულფიდი –  $\text{Cr}_2\text{S}_3$  – შავი ფერის პარამაგნიტური კრისტალებია. არ რეაგირებს მჟავებთან, მაგრამ იუანგება აზოტმჟავით.

პიდროლიზის გამო სულფიდის მიღება ქრომ(III)-ის მარილების წყალსნარებიდან შეუძლებელია. მისი სინთეზი შესაძლებელია უწყლო ქრომ(III)-ის ქლორიდზე მშრალი გოგირდწყალბადის მოქმედებით  $600\text{--}650^\circ\text{C}$ -ზე:



ქრომ(III)-ის სულფატი –  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  – მოწითალო-ყავისფერი კრისტალებია, არ იხსნება ციკ წყალში.  $>350^\circ\text{C}$ -ზე იშლება  $\text{Cr}_2\text{O}(\text{SO}_4)_2$ -მდე, ხოლო  $>640^\circ\text{C}$  –  $\text{Cr}_2\text{O}_3$ -მდე. ცნობილია კრისტალპიდრატები შედგენილობით  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3 \cdot n\text{H}_2\text{O}$  ( $n=3,6,9,12,14,15,17,18$ )

$\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$ (უწყლო)	მოწითალო-ყავისფერი
$\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 12\text{H}_2\text{O}$	იისფერი
$\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 15\text{H}_2\text{O}$	მწვანე



ქრომ(III)-ის სულფატი მიღება ქრომ(III)-ის პიდრატის ან ფეროქრომის ურთიერთქმედებით გოგირდმჟავასთან, მწვანე სულფატი – ქრომ(VI)-ის ოქსიდის აღდგენით.

გამოიყენება როგორც პიგმენტი საღებავების, კერამიკული ნაკეთობების, მწვანე ფერის მელნის დასამზადებლად, როგორც ფერმჭერი ლებედისას, მთრიმლავად ტყავის წარმოებაში. ტექნიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ნარევი  $\text{Cr}(\text{OH})\text{SO}_4$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4$  ან  $\text{K}_2\text{SO}_4$ -თან – მწვანე ფერის ამორფული წყალში ხსნადი ფხვნილია. გამოიყენება ტყავის წარმოებაში.

ქრომ(III)-ის უწყლო მარილები თავისი თვისებებით და სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან შესაბამისი კრისტალპიდრატებისგან. მაგ.,  $\text{CrCl}_3$  გაცილებით ნელა იხსნება წყალში, ვიდრე შესაბამისი კრისტალპიდრატი  $\text{CrCl}_3 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ .

ანალოგიურად, ვარდისფერი  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  ცუდად იხსნება წყალში განსხვავებით იასამნისფერი  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 18\text{H}_2\text{O}$ -გან. წყალსნარში ქრომ(III)-ის მარილები განიცდიან

პიდროლიზე. კერძოდ, პიდროქსოაგვოკომპლექსების  $[Cr(OH)(H_2O)_5]^{2+}$ ,  $[Cr_2(OH)_2(H_2O)_8]^{4+}$  წარმოქმნა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ქრომ(III)-ის სულფატის, ნიტრატის და ჰალოგენიდების პიდროლიზის პირველი საფეხური:



ქრომ(III)-ის სულფატი წარმოქმნის ორმაგ მარილებს – შაბებს – ზოგადი ფორმულით  $Me_2^1SO_4 \cdot Cr_2(SO_4)_3 \cdot 24H_2O$ , სადაც  $Me^1$  – Na, K, Rb, Cs, Tl,  $NH_4^+$ .

შაბის მიღება შეიძლება მაგ., კალიუმის ბიქრომატის ალდგენით გოგირდოვანი ანპიდრიდით:



<b>KCr(SO<sub>4</sub>)<sub>2</sub>•12H<sub>2</sub>O</b>  ან  <b>K<sub>2</sub>SO<sub>4</sub>•Cr<sub>2</sub>(SO<sub>4</sub>)<sub>3</sub>•24H<sub>2</sub>O</b>	მუქი მოწითალო იისფერი კრისტალები  წყალხსნარი – მოწითალო იისფერი  70°C-ზე მწვანე ფერის
---	---

ქრომის შაბები ფართოდ გამოიყენება ტექნიკურ მოვლასას.

### ქრომ(IV)-ის ნაერთები

ქრომისთვის არ არის დამახასიათებელი ჟანგვითი რიცხვი +4, მაგრამ ცნობილია ჟანგბადნაერთები Cr(IV) და Cr(V), ზოგიერთ მათგანს პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, მაგ.  $CrO_2$ .

ქრომ(IV)-ის ოქსიდი – ქრომის დიოქსიდი –  $CrO_2$  – შავი ფერის ნივთიერებაა, გააჩნია მაღალი ფერომაგნიტური თვისებები. მიიღება  $CrO_3$  განურებით 400°C-ზე. გამოიყენება უგრის მეხსიერების ელემენტების წარმოებაში.

### ქრომ(VI)-ის ნაერთები

**ქრომ(VI)-ის ოქსიდი** –  $\text{CrO}_3$  – მუქი წითელი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. მიიღება კალიუმის ბიქრომატის ~10% ხსნარის ურთიერთქმედებით კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან:





შეალედური პროდუქტის სახით წარმოიქმნება ქრომმჟავა, რომელიც სწრაფად იშლება ქრომ(VI)-ის ოქსიდის წარმოქმნით.


გახურებისას ( $T_{\text{ლლ}}=197^{\circ}\text{C}$ ) ადგილად იშლება:




რეაგირებს ფუძეებთან და ფუძე ოქსიდებთან:



ძლიერი მეანგავია: ადგილად ჟანგავს იოდს, გოგირდს, ფოსფორს, ნახშირბადს, სპირტებს, თვითონ კი ადგილად  $\text{Cr}_2\text{O}_3$ -მდე. ბევრ მათგანთან რეაგირებს აფეთქებით




ჟანგავს სპირტებს:



**$\text{CrO}_3$  მომწამვლელია!**

ქრომ(VI)-ის ოქსიდს ახასიათებს მხოლოდ მეავა თქმილებები. ადგილად იხსნება წყალში. წყლის ჭარბ რაოდენობაში გახსნისას წარმოქმნის ქრომმჟავას:



**ქრომმჟავა** –  $\text{H}_2\text{CrO}_4$  – თავისუფალი სახით არ არის გამოყოფილი. წყალსნარში – ძლიერი მეავაა.  $\text{CrO}_4^{2-}$ -ითნი ყვითელი ფერისაა.


ქრომ(VI)-ის ოქსიდის მაღალი კონცენტრაციის დროს წარმოიქმნება უფრო ძლიერი ბიქრომმჟავა, რომელიც ასევე არსებობს მხოლოდ წყალსნარში:



განზავებისას ის თავის მხრივ გადადის ქრომმჟავაში:




ქრომის მჟავები არსებობენ მხოლოდ წყალსნარში, თუმცა მათი მარილები მდგრადია. ქრომის მჟავები წარმოქმნიან ორი რიგის მარილებს: ქრომატებს – ქრომმჟავას მარილებს და ბიქრომატებს – ბიქრომმჟავას მარილებს. ქრომატები შეფერილია ყვითლად ( $\text{CrO}_4^{2-}$  – ქრომატ–იონის ფერი), ხოლო ბიქრომატები – ნარინჯისფერად ( $\text{Cr}_2\text{O}_7^{2-}$  – ბიქრომატ–იონის ფერი). წყალსნარში ქრომატ–იონებსა და ბიქრომატ–იონებს შორის არსებობს მოძრავი წონასწორობა. წონასწორობის შეცვლას თან ახლავს სნარის ფერის ცვლილებაც. ქრომატები მჟავას დამატებით გარდაიქმნებიან ბიქრომატებად – სნარის შეფერილობა იცვლება ყვითელიდან ნარინჯისფერამდე:



სნარის შემდგომი შემჟავებისას კონცენტრირებული გოგირდმჟავით შეიმჩნევა ქრომ(III)-ის ოქსიდის მუქი წითელი კრისტალების გამოყოფა:



ტუტე არეში ბიქრომატები გარდაიქმნებიან ქრომატებად, შესაბამისად იცვლება სნარის ფერიც – ნარინჯისფერიდან ყვითლამდე:




ქრომატების და ბიქრომატების ურთიერთგარდაქმნა შეიძლება გამოვსახოთ ზოგადი სახით:




აქედან ჩანს, რომ სნარის შემჟავებისას წონასწორობა გადაიხდება მარჯვნივ, ანუ ბიქრომატ–იონის წარმოქმნისკენ, და პირიქით, ტუტის დამატებით წონასწორობა გადაიხდება მარცხნივ, ანუ ქრომატ–იონის წარმოქმნისკენ. წონასწორობა: ქრომატი  $\rightleftharpoons$  ბიქრომატი ( $2\text{CrO}_4^{2-} + 2\text{H}^+ \rightleftharpoons \text{Cr}_2\text{O}_7^{2-} + \text{H}_2\text{O}$ ) გადაიხდება


მარცხნივ არამხოლოდ pH ცვლილებისას, არამედ  $Ba^{2+}$ ,  $Pb^{2+}$  და  $Ag^+$  ხსნადი მარილების დამატებითაც, რომლებიც წარმოქმნიან ბიქრომატებთან შედარებით ნაკლებად ხსნად ქრომატებს:



ქრომატები მიიღება  $CrO_3$ -ის შელდობით ფუძე ოქსიდებთან:




აგრეთვე  $Cr^{3+}$ -ის ნაერთების დაუანგვით ტუტე არეში:




ამ დროს ხსნარის შეფერილობა მწვანედან გადადის ყვითელში.


კალიუმის ქრომატი –  $K_2CrO_4$  – ყვითელი ფერის ნივთიერებაა, მიიღება ქრომიანი რკინაქვის შელდობით კალიუმის კარბონატთან  $1000-1300^\circ C$ -ზე:



კალიუმის ქრომატი ძლიერი მჟანგავია,  $CO_2$ -თან ურთიერთქმედებით წარმოქმნის ბიქრომატს:



ნატრიუმის ქრომატი –  $Na_2CrO_4$  – ყვითელი ფერის ნივთიერებაა, სუფთა ნატრიუმის ქრომატი მიიღება ნატრიუმის ბიქრომატის ურთიერთქმედებით ნატრიუმის ტუტესთან ან ნატრიუმის კარბონატთან:



ქრომატები –  $K_2CrO_4$ ,  $Na_2CrO_4$ ,  $BaCrO_4$ ,  $PbCrO_4$  – გამოიყენება როგორც მინერალური საღებავები. კალიუმის და ნატრიუმის ქრომატები გამოიყენება როგორც მერქნის კონსერვანტი, ქსოვილების გერმჭერი. ზოგიერთი ლითონის უხეხად ქრომატს ახასიათებს მკვეთრი ფერი, ამიტომ მათ საფუძველზე ამზადებენ საღებავებს:

**ყვითელი ქრომი** –  $PbCrO_4$ ,  $ZnCrO_4$ ,  $SrCrO_4$

წითელი ტყვია-მოლიბდენის კრონი –  $PbCrO_4$  და  $MoCrO_4$

გარდისფერი კრონი –  $SrCrO_4$

კალიუმის ბიქრომატი –  $K_2Cr_2O_7$  – წითელი ან ნარინჯისფერი კრისტალური ნივთიერებაა, წყალში კარგად ხსნადია. გახურებისას იშლება:




ნატრიუმის ბიქრომატი –  $Na_2Cr_2O_7 \cdot 2H_2O$  – ყვითელი ფერის კრისტალებია, ჰაერზე განითხვა, წყალში კარგად ხსნადია, წყალხსნარებიდან გამოიყოფა კრისტალჰიდრატის სახით.

ნატრიუმის და კალიუმის ბიქრომატებს უწოდებენ ქრომპიკებს. ისინი როგორც ძლიერი მჟანგველები, გამოიყენებიან ტყავის დამუშავებისას, ხადებავების და საფეიქრო წარმოებაში, პიროტექნიკაში, ფოტოგრაფიაში. ქრომის ნარევი – კალიუმის ბიქრომატის 3%-ანი ხსნარი კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში – გამოიყენება ქიმიურ ლაბორატორიაში ჭურჭლის ხარჯებად.

ამონიუმის ბიქრომატი –  $(NH_4)_2Cr_2O_7$  – ნარინჯისფერი-წითელი კრისტალებია. მიიღება ამიაკის და ქრომ(III)-ის ოქსიდის ურთიერთქმედებით. გახურებისას ადვილად იშლება. გამოიყენება ლაბორატორიაში ქრომ(III)-ის ოქსიდის მისაღებად.


ქრომ(VI)-ის ნაერთები – ძლიერი მჟანგველებია, ჟანგვა-აღდგენითი რეაქციებისას წარმოქმნიან ქრომ(III)-ის ნაერთებს. ქრომის მჟავაზე ძლიერი აღმდგენელების მოქმედებით ( $H_2S$ ,  $Na_2S$ ,  $SO_2$ ,  $Na_2SO_3$ ,  $FeSO_3$ ,  $KI$ ) წარმოიქმნება  $Cr(III)$ -ის ნაერთები. ქრომმჟავასა და ბიქრომმჟავას მარილები ასევე ამჟღავნებენ მჟანგავის თვისებებს. მაგ.,  $K_2Cr_2O_7$  რეაგირებს ქლორწყალბადმჟავასთან როგორც აღმდგენელთან:



ამ რეაქციის გამოყენება შესაძლებელია მოლეკულური ქლორის მისაღებად. მაგრამ, თუ მარილმჟავას შევცვლით რომელიმე ტუტე ლითონის მარილით, მაგ.,

ნატრიუმის ქლორიდით, რეაქცია არ მიმდინარეობს. ქლორის გამოყოფა მიმდინარეობს მხოლოდ მჟავა არეში.

ქრომ(III)-ის ნაერთები ტუტე არეში ძლიერი აღმდგენელებია. სხვადასხვა მჟანგველების მოქმედებით, როგორიცაა  $\text{Cl}_2$ ,  $\text{Br}_2$ ,  $\text{H}_2\text{O}_2$ ,  $\text{KMnO}_4$  – წარმოიქმნება ქრომ(VI)-ის ნაერთები:



ძლიერ მჟანგველებს ( $\text{KMnO}_4$ ,  $(\text{NH}_4)_3\text{S}_2\text{O}_8$ ) მჟავა არეში ქრომ(III)-ის ნაერთები გადაჰყავთ ბიქრომატებში:




ქრომ(VI)-ის ნაერთების ჟანგვითი ოვისებები საკმაოდ მაღალია. მაგ.,  $\text{CrO}_3$  იწვის ეთანოლის არეში:




ქიმიურ ლაბორატორიებში ქიმიური ჭურჭლის გასარეცხად გამოიყენება ქრომის ნარევი („ქრომპიკი“). ნარევი შედგება ორი მოცულობა  $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$  ნაჯერი ხსნარისა და ერთი მოცულობა კონცენტრირებული  $\text{H}_2\text{SO}_4$ -გან. ძლიერი მჟანგავის  $\text{CrO}_3$ -ის არხებობით აიხსნება ის, რომ ნარევს აქვთ უნარი სინჯარის მინაზე ზედაპირს მოაცილოს ორგანული ნარჩენები, რის შედეგადაც ქიმიური ჭურჭელი ქრომპიკის ხსნარით დამუშავების შემდეგ არის იღებალურად სუფთა.

**ფტორიანი ქრომილი –  $\text{CrO}_2\text{F}_2$**  – მოწითალო-ყავისფერი აირადი ნივთიერებაა,  $29,6^\circ\text{C}$ -მდე გაცივებისას წარმოქმნის იისფერ-წითელ კრისტალებს. წყალთან ურთიერთქმედებისას განიცდის ჰიდროლიზე. მიიღება კონც. გოგირდმჟავას მოქმედებით კალციუმის ფტორიდის და ტყვიის ქრომატის ნარევზე.

**ქლორიანი ქრომილი –  $\text{CrO}_2\text{Cl}_2$**  – წითელი ფერის დიამაგნიტური სითხეა,  $T_{\text{და}}=117^\circ\text{C}$ . მდგრადია სიბნელეში, ტენიან პაერზე ბოლავს ჰიდროლიზის შედეგად. მიიღება ქრომატის ან ბიქრომატის ურთიერთქმედებით ტუტე ლითონების ქლორიდებთან მჟავა არეში:




ან ქრომ(VI)-ის ოქსიდის ურთიერთქმედებით ქლორწყალბადთან:



რეაქციის შედეგად მიიღება მოწითალო-ყავისფერი სითხე, რომელსაც გამოხდიან მინარევებისგან გასასუფთავებლად.

ქლორიანი ქრომილი სიბნელეში მდგრადი ნივთიერებაა, ძლიერი მჟანგველია, წყალთან ურთიერთქმედებისას განიცდის პიდროლიზე თრი მჟავას – ქრომის და მარილმჟავას წარმოქმნით:



**დო- და ტრიპალოგენიდები** – შეფერილი ნაერთებია მაღალი ლდობის ტემპერატურით. ქრომ(III)-ის ჰალოგენიდები, ქრომ(II)-ის ჰალოგენიდებისგან განსხვავებით, აქროლადი ნივთიერებებია. რაც შეეხება Cr(VI)-ს, ის წარმოქმნის არა ჰექსაპალოგენიდებს, არამედ ოქსოპალოგენიდებს, რომლებიც წარმოადგენენ კრისტალურ ნივთიერებებს შედარებით დაბალი ლდობის ტემპერატურით.

### ზექრომმჟავა და პერქრომატები

ქრომატებზე ან ბიქრომატებზე წყალბადის პეროქსიდის მოქმედებით მჟავა არეში მიიღება სხვადასხვა შედგენილობის ზექრომმჟავები ან პერქრომატები.

პერქრომატები წარმოქმნიან ორ რიგს:

პერქრომატები	
ლურჯი	წითელი
$M_3^{I\!I}[Cr_2O_{12}]$	$M_3^{I\!I}[CrO_8]$

შესაბამისი მჟავები თავისუფალი სახით გამოყოფილი არ არის. გარდა პერქრომატებისა, ცნობილია ქრომის ლურჯი პეროქსიდი  $CrO_5$ , რომელიც მიიღება სხნარის სახით და თავისუფალი სახით ცნობილი არ არის.

ლურჯი ფერის პერქრომატის ხსნარი მიიღება წყალბადის პეროქსიდის მოქმედებით ქრომმჟავაზე დაბალ ტემპერატურაზე. წყალსხნარიდან მათი გამოყოფა ხდება ექსტრაქციით – პერქრომატის შენჯღრევით ეთერთან.

## მოლიბდენი და ვოლფრამი

### ბუნებაში გავრცელება

მოლიბდენი და ვოლფრამი მიეკუთვნებიან გავრცელებულ ელემენტთა რიცხვს. გვხვდებიან მხოლოდ ნაერთების სახით:

მოლიბდენიტი  $-\text{MoS}_2$ ,

შეელიტი  $-\text{CaWO}_4$ ,

ვოლფრამიტი  $-(\text{Fe}, \text{Mn})\text{WO}_4$ .

### მიღების ხერხები

წარმოებაში მოლიბდენის და ვოლფრამის მისაღებად გამოიყენება მინერალები მოლიბდენიტი  $\text{MoS}_2$  და შეელიტი  $\text{CaWO}_4$ . ვინაიდან მათი შემცველი მაღნები მცირე რაოდენობით შეიცავს მოლიბდენს და ვოლფრამს, ახდენენ მაღნების გამდიდრებას, ყველაზე ხშირად ფლოტაციით.

მოლიბდენის მისაღებად გამდიდრებულ მოლიბდენის მაღანს (70%  $\text{MoS}_2$ ) გამოწვავენ:




მიღებულ  $\text{MoO}_3$ -ს ასუფთავებენ აქტოლებით ( $900-1100^\circ\text{C}$ ) და შემდგომი გასუფთავების მიზნით ხსნიან ამიაკის წყალხსნარში (წარმოიქმნება ამონიუმის პარამოლიბდატი):



ამონიუმის პარამოლიბდატის ხსნარს შეამჟავებენ და გამოყოფენ მოლიბდენმჟავას:



მოლიბდენმჟავას თერმოლიზით უანგბადის თანაობისას მიღება მაღალი სისუფთავის მოლიბდენის ანჰიდრიდი, მისგან კი - ლითონური მოლიბდენი:



ვოლფრამის მისაღებად გამოიყენება მსგავსი პროცედურა შეელიტის გამოყენებით.

საბოლოო სტადიაზე ლითონური მოლიბდენის და ვოლფრამის მისაღებად მათ ტრიოქსიდებს აღადგენენ წყალბადით.

წყალბადით აღდგენისას მოლიბდენი და ვოლფრამი მიიღება ფხვნილის სახით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


რიგში Cr-W შეიმჩნევა ლდობის და დუდილის ტემპერატურის ზრდა. იზრდება აგრეთვე ლითონების სიმკვრივე რიგში Cr-W. ვოლფრამი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ლითონს.

ქრომის ქვეჯგუფის ლითონები გამოირჩევიან სიმაგრით. მაგრამ აღნიშნული ლითონების სიმაგრეზე დიდ გავლენას ახდენს მინარევები.


**მოლიბდენი** – ვერცხლისებრ-თეთრი ლითონია ( $\rho=10,2 \text{ g/cm}^3$ ), ლდობის ტემპერატურა  $2620^\circ\text{C}$ .

**ვოლფრამი** – თეთრი ფერის ლითონია, მძიმე ( $\rho=19,3 \text{ g/cm}^3$ ), მისი ლდობის ტემპერატურა ( $\sim 3400^\circ\text{C}$ ) აღემატება ყველა სხვა ცნობილი ლითონის ლდობის ტემპერატურას. ჰაერზე იუანგება ვარვარების ტემპერატურაზე.

ძაბვათა მწერივში მოლიბდენი და ვოლფრამი დგანან წყალბადის მარცხნივ, მაგრამ თითქმის არ რეაგირებენ მარილმჟავასთან და გოგირდმჟავასთან. მათი ინერტულობა აიხსნება დამცავი ოქსიდური შრით, რომელიც იცავს მათ მჟავას შემდგომი მოქმედებისგან. აზოტმჟავას მოლიბდენი გადაჰყავს პასიურ მდგომარეობაში, ხოლო აზოტმჟავას და ფტორწყალბადმჟავას (ან მარილმჟავას) ნარევთან მოლიბდენი და ვოლფრამი შედარებით ადვილად რეაგირებენ:



ტუტებთან მოლიბდენი და ვოლფრამი რეაქციაში არ შედიან, მაგრამ ნატრიუმის ტუტის და კალიუმის ნიტრატის ნარევთან წარმოქმნიან მოლიბდატებს და ვოლფრამატებს:



სადაც  $\Theta = Mo, W$ .

ჟანგბადთან მოლიბდენი და ვოლფრამი რეაგირებენ  $600^{\circ}\text{C}$ -ზე ოქსიდების  $\text{MoO}_3$  და  $\text{WO}_3$  წარმოქმნით. პალოგენები და სხვა არალითონები Mo და W-თან რეაგირებენ გაცხელებით. გოგირდთან Mo და W წარმოქმნიან სულფიდებს  $\text{MoS}_2$  და  $\text{WS}_2$ , ნახშირბადთან – კარბიდებს ( $\text{MoC}$  და  $\text{WC}$ ).

მოლიბდენი გამოიყენება მაღალტემპერატურული ღუმელების, გაძუუმური ღუმელების თბოდამცავი ეკრანების დასამზადებლად.

წარმოებული მოლიბდენის 80% გამოიყენება სპურიალური შენადნობების მისაღებად, შედის უსანგავი ფოლადის შემადგენლობაში. მოლიბდენის და განტალის შენადნობისგან ამზადებენ ლაბორატორიულ ჭურჭელს, რომელიც ცვლის პლატინის ჭურჭელს.

ვოლფრამის ძირითადი მომხმარებელია მეტალურგია. სწრაფმჭრელი ინსტრუმენტული ფოლადი შეიცავს 20% ვოლფრამს და გააჩნია თვითწრთობის უნარი. ასეთი ფოლადი არ კარგავს სიმტკიცეს წითელ გარგარებამდე გახურებისას.

ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ქრომვოლფრამის ფოლადი (1–6% ვოლფრამი და 2% ქრომი). როგორც ყველაზე ძნელდნობადი ლითონი, ვოლფრამი გამოიყენება თერმომდგრადი შენადნობების წარმოებაში. კერძოდ, მისი შენადნობები კობალტთან და ქრომთან – სტელიტები – გამოირჩევიან მაღალი თერმომდგრადობით, ცვეთამუდავობით და სიმაგრით.

პალოგენები და სხვა არალითონები რეაგირებენ მოლიბდენთან და ვოლფრამთან გაცხელებით; გოგირდთან წარმოქმნიან დისულფიდებს, ნახშირბადთან – კარბიდებს.


## მოლიბდენ(II)-ის და ვოლფრამ(II)-ის ნაერთები

ორვალენტიანი მოლიბდენის ნაერთებიდან ცნობილია მხოლოდ მოლიბდენ(II)-ის ქლორიდი –  $\text{MoCl}_2$  – ყვითელი ფერის კრისტალური, წყალში უხსნადი ნივთიერება. კარგად იხსნება ეთერსა და სპირტში.


ცნობილია ორვალენტიანი ვოლფრამის პალოგენიდები –  $\text{WCl}_2$ ,  $\text{WBr}_2$ ,  $\text{WJ}_2$  – ძლიერი ალმდგენელებია, რეაგირებენ წყალთან წყალბადის გამოყოფით.

მოლიბდენ(III)-ის და კოლფრამ(III)-ის ნაერთები


მოლიბდენ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Mo}_2\text{O}_3$  – მოლიბდენისთვის სამვალენტიანი მდგომარეობა არ არის დამახასიათებელი და მისი შესაბამისი ნაერთები არამდგრადია. მოლიბდენ(III)-ის ოქსიდი – შავი ფერის წყალში უხსნადი ნივთიერება – მიიღება მოლიბდენ(VI)-ის ოქსიდის აღდგენით:



მოლიბდენ(III)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Mo(OH)}_3$  – მოშავო-ყავისფერი ამორფული ნივთიერებაა, მცირედ ხსნადია წყალსა და მინერალურ მჟავებში. ტუტე არეში შლის წყალს წყალბადის გამოყოფით. მიიღება მოლიბდენ(III)-ის ნაერთებზე ტუტეების მოქმედებით ან ამონიუმის მოლიბდატის წყალბადით აღდგენისას:



მოლიბდენ(III)-ის ჰიდროქსიდი ამჟღავნებს ამფოტერულ თვისებებს:



გახურებისას იშლება მოლიბდენ(III)-ის ოქსიდის წარმოქმნით:





მოლიბდენ(III)-ის ფტორიდი –  $\text{MoF}_3$  – ვარდისფერი მყარი ნივთიერება, მდგრადია ჩვეულებრივ პირობებში. ტენიან ჰაერზე გაცხელებისას გარდაიქმნება  $\text{MoO}_3$  და  $\text{HF}$ . გაცხელებისას წყალბადი აღადგენს ლითონურ მოლიბდენამდე მიიღება მოლიბდენ(III)-ის ბრომიდის გაცხელებით მშრალ ფტორწყალბადთან.

მოლიბდენ(III)-ის ქლორიდი –  $\text{MoCl}_3$  – აგურისფერი-წითელი ნემსისებრი კრისტალებია. მცირედ ხსნადია წყალში, იხსნება გოგირდმჟავაში; ჰარამაგნიტურია. ჰაერზე თანდათანობით წარმოქმნის ოქსიქლორიდს  $\text{MoOCl}$ .

სამვალენტიანი კოლფრამის ქლორიდები თავისუფალი სახით გამოყოფილი არ არის. ცნობილია მისი ორმაგი მარილები მაგ.,  $2\text{WCl}_3 \cdot 3\text{KCl}$ . ორმაგი მარილები დამახასიათებელია აგრეთვე მოლიბდენ(III)-ისთვისაც –  $\text{MoCl}_3 \cdot 3\text{KCl}$  (წითელი) და  $\text{MoF}_3 \cdot \text{KF} \cdot \text{H}_2\text{O}$  (იისფერი).

მოლიბდენ(IV)-ის და ვოლფრამ(IV)-ის ნაერთები

მოლიბდენის და ვოლფრამის დიოქსიდები  $\text{MoO}_2$  და  $\text{WO}_2$  – მიიღებიან  $\text{MoO}_3$  და  $\text{WO}_3$  წყალბადით აღდგენისას




ან მათი და შესაბამისი ლითონის ნარევის გაცხელებით ვაკუუმში:




მოლიბდენის და ვოლფრამის დიოქსიდები საკმაოდ მდგრადებია.  $\text{MoO}_2$  მხოლოდ  $1000^\circ\text{C}$ -ზე დისპროპორცირებს, იშლება  $\text{MoO}_3$  და  $\text{Mo}$ , ხოლო  $\text{WO}_2$  ლლვება დაშლის გარეშე  $1270^\circ\text{C}$ -ზე.

მოლიბდენ(IV)-ის ოქსიდი –  $\text{MoO}_2$  – რუხი ამორფული ფენილია ან იისფერი პარამაგნიტური კრისტალებია. ჰაერზე მდგრადია, ვაკუუმში  $1100^\circ\text{C}$ -ზე განიცდის სუბლიმაციას. ახასიათებს ნახევარგამტარის თვისებები. მიიღება მოლიბდენ(VI)-ის ოქსიდის აღდგენისას. წყალში არ იხსნება, ძნელად რეაგირებს მჟავებთან, ამჟღავნებს სუსტ ფუძე თვისებებს. გაცხელებისას იუნგება  $\text{MoO}_3$ -მდე.

მაღალ ტემპერატურაზე ( $800^\circ\text{C}$ ) მოლიბდენი რეაგირებს წყლის ორთქლთან მოლიბდენ(IV)-ის ოქსიდის წარმოქმნით



რომელიც შემდგომი გახურებით გარდაიქმნება მოლიბდენ(VI)-ის ოქსიდად:



ვოლფრამ(IV)-ის ოქსიდი –  $\text{WO}_2$  – წვრილი ტემპერატურალური ყავისფერი კრისტალებია. მდგრადია ჰაერზე. მცირედ ხსნადია წყალში, გაცხელებით იხსნება მინერალურ მჟავებსა და ტუტეებში. მიიღება ვოლფრამ(VI)-ის ოქსიდის ლითონური ვოლფრამით  $1000^\circ\text{C}$ -ზე აღდგენისას.

## მოლიბდენ(IV)-ის და ვოლფრამ(IV)-ის ჰალოგენიდები

მოლიბდენ(IV)-ის ქლორიდი –  $\text{MoCl}_4$  – ყავისფერი ფხვნილისებური ნივთიერებაა. ჰაერზე განითხვა, ადვილად განიცდის სუბლიმაციას. მგრძნობიარება ჰაერის, შუქის და ტენის მიმართ. მიიღება მოლიბდენ(IV)-ის ოქსიდის ურთიერთქმედებით ქლორთან.


ვოლფრამ(IV)-ის ფტორიდი –  $\text{WF}_4$  – პიგროსკოპული მოწითალო-ყავისფერი მყარი ნივთიერებაა. წყალსნარში განიცდის პიდროლიზს, მეტა არეში იქანგება ვოლფრამ (VI)-ის ოქსიდის წარმოქმნით.  $800^{\circ}\text{C}$ -ზე ვაკუუმში იშლება.

ვოლფრამ(IV)-ის ქლორიდი –  $\text{WCl}_4$  – პიგროსკოპული, ძნელდობადი არააქროლადი, რუხი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. წყალთან ურთიერთქმედებისას განიცდის პიდროლიზს. მიიღება  $\text{CCl}_4$ -ის ურთიერთქმედებით ვოლფრამ (VI)-ის ოქსიდზე  $250^{\circ}\text{C}$ -ზე.

## მოლიბდენ(V)-ის და ვოლფრამ(V)-ის ნაერთები

მოლიბდენ(V)-ის ოქსიდი –  $\text{Mo}_2\text{O}_5$  – მუქი-იისფერი ფხვნილისებური ნივთიერებაა. მიიღება მოლიბდენ(V)-ის პიდროქსიდის დეპიდრატაციით  $\text{CO}_2$ -ის თანაობისას.

მოლიბდენ(V)-ის ქლორიდი –  $\text{MoCl}_5$  – შავი ფერის კრისტალებია, ჰაერზე განითხვა. პარამგნიტურია. იხსნება ორგანულ გამსსნელებში, წყალთან შეხებისას განიცდის პიდროლიზს და გარდაიქმნება მოლიბდენის ოქსიქლორიდად  $\text{MoOCl}_3$ :



აზოტმჟავის და კონც. გოგირდმჟავის მოქმედებისას მოლიბდენმჟავამდე იქანგება.

მოლიბდენის ოქსიქლორიდი ტუტე ლითონების ჰალოგენებთან წარმოქმნის ორმაგ მარილებს –  $\text{MoOCl}_3 \cdot 2\text{KCl}$ .


ვოლფრამ(V)-ის ქლორიდი –  $\text{WCl}_5$  – მუქი მწვანე ფერის ნემსისებური ძლიერ პიგროსკოპული კრისტალებია. მიიღება მშრალი ქლორის მოქმედებით ლითონურ მოლბდენზე  $650$ - $700^{\circ}\text{C}$ .

ვოლფრამ(V)-ის ბრომიდი –  $\text{WBr}_5$  – შავი ფერის ნემსისებური პიგროსკოპული კრისტალებია. ტენიან ჰაერზე ან ცივ წყალთან ურთიერთქმედებისას განიცდის

პიდროლიზეს. ძლიერი გაცხელებისას წყალბადი ადადგენს მას ლითონურ ვოლფრამამდე.

**მოლიბდენ(VI)-ის და ვოლფრამ(VI)-ის ნაერთები**


მოლიბდენის და ვოლფრამის ანჰიდრიდები მიიღება ლითონის გაცხელებით ჰაერზე ან ჟანგბადის არეში 600°C-ზე:



ლაბორატორიაში მათი მიღება შესაძლებელია ამონიუმის მოლიბდატის ან ვოლფრამატის გაცხელებით ჟანგბადის არეში:




ჟანგბადის გარეშე ხორციელდება  $\text{MoO}_3$ -ის ნაწილობრივი ადდგენა:




მოლიბდენის და ვოლფრამის ტრიოქსიდების ადდგენა შეიძლება მხოლოდ ისეთი ძლიერი აღმდგენელით, როგორიცაა წყალბადი. ტემპერატურაზე დამოკიდებულებით წარმოიქმნება შესაბამისი ლითონების სხვადასხვა ოქსიდები ან ლითონი თავისუფალ მდგომარეობაში.

**მოლიბდენ(VI)-ის ოქსიდი –  $\text{MoO}_3$  –** ყვითელი ფერის ფენილისებური ნივთიერებაა, ლიფტის ტემპერატურაა 791°C, მდგრადია. მიიღება მოლიბდენის, მისი სულფიდის ან სხვა ნაერთების გახურებით ჰაერზე.

მცირედ იხსნება წყალში უხსნადი მოლიბდენმჟავას წარმოქნით:



ადგილად იხსნება ტუტეებში, ამიაკში, რომლებთანაც წარმოქმნის მოლიბდატებს. მათი ზოგადი ფორმულაა  $\text{Me}_2^{\text{I}}\text{MoO}_4$ :




მოლიბდენ(VI)-ის ოქსიდი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მოლიბდენმჟავას  $\text{H}_2\text{MoO}_4$  ანჰიდრიდი. მოლიბდენმჟავას გაცხელებით ადვილად

მიიღება  $\text{MoO}_3$ , მაგრამ მოლიბდენიუმის მიღება შეუძლებელია  $\text{MoO}_3$  და  $\text{H}_2\text{O}$  ურთიერთქმედებით.

მოლიბდატების აზოტმჟავათი დამუშავებისას მიიღება ნაკლებად ხსნადი მოლიბდენიუმი –  $\text{H}_2\text{MoO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$  – ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერება. გახურებისას ის კარგავს წყალს და წარმოიქმნება უწყლო მოლიბდენიუმი –  $\text{H}_2\text{MoO}_4$  – თეთრი ფერის კრისტალური ნივთიერება.

მოლიბდენიუმი – ის სწორი მლაპარაკი, კონც. გოგირდმჟავაში და მარილმჟავაში. მცირედ ხსნადია სხვა მინერალურ მჟავებში. სავარაუდოდ, მარილმჟავაში ხსნადობა აისწოდება კოლოიდური ხსნარის წარმოქმნით, რასაც თან ახლავს პიდრატაცია. რამოდენიმე დღით დაყოვნების შემდეგ ხსნარიდან გამოიყოფა ყვითელი ფერის ნალექი  $\text{H}_2\text{MoO}_4$  – მიმდინარეობს კოლოიდის კოაგულაცია:



ვოლფრამ(VI)-ის ოქსიდი –  $\text{WO}_3$  – ლია ყვითელი ფერის ფხვნილისებური ნივთიერება. მიიღება ლითონური ვოლფრამის გახურებით ჰაერზე. უმნიშვნელოდ ის სწორი წყალში, მინერალური მჟავებიდან ის სწორი მხოლოდ მლაპარაკი. კარგად ის სწორი ტუტებში ვოლფრამმჟავას მარილების – ვოლფრამატების – წარმოქმნით:




ვოლფრამატების ზოგადი ფორმულაა  $\text{Me}_2^{\text{I}}\text{O}\cdot\text{WO}_3$  ან  $\text{Me}_2^{\text{I}}\text{WO}_4$ , მეტავოლფრამატების –  $\text{Me}_2\text{O}\cdot 4\text{WO}_2$ , პარავოლფრამატების –  $5\text{Me}_2\text{O}\cdot 12\text{WO}_3$ .

მოლიბდენიუმი – და ვოლფრამმჟავა მიეკუთვნებიან სუსტ მჟავებს.


მოლიბდენმჟავა		ვოლფრამმჟავა	
<b>H<sub>2</sub>MoO<sub>4</sub>·H<sub>2</sub>O</b>	ყვითელი კრისტალები	H <sub>2</sub> WO <sub>4</sub>	ყვითელი ფერის ნალექი
<b>H<sub>2</sub>MoO<sub>4</sub></b>	ნემსისებრი თეთრი კრისტალები		
მოლიბდატები		ვოლფრამატები	
<b>Me<sub>2</sub><sup>I</sup>MoO<sub>4</sub>:</b>		<b>Me<sub>2</sub><sup>I</sup>O·WO<sub>3</sub></b> ან <b>Me<sub>2</sub><sup>I</sup>WO<sub>4</sub></b> <b>Me<sub>2</sub><sup>I</sup>O·4WO<sub>2</sub></b>	<b>მეტავოლფრამატები</b> პარავოლფრამა <b>ტები</b> <b>5Me<sub>2</sub>O·12WO<sub>3</sub></b>

ვოლფრამის ნაერთების აღდგენით მიიღება ცვალებადი შედგენილობის ნაერთები ზოგადი ფორმულით  $M_2O \cdot W_2O_5 \cdot nWO_3$ , სადაც  $n = 2-6$ . თავისი ლამაზი ფერის გამო მათ ამხვავსებენ ბრინჯაოს, ამიტომ უწოდებენ ვოლფრამის ბრინჯაოს. მასზე არ მოქმედებენ ძლიერი მჟავები და ოუზეები, რის გამოც ვოლფრამის ბრინჯაო ფართოდ გამოიყენება ლითონების დასაფარად საღებავის სახით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოლიბდენის და ვოლფრამის ტრიოქსიდები ისესნებიან ტუტეში მოლიბდატების და ვოლფრამატების წარმოქმნით. მოლიბდენმჟავა და ვოლფრამმჟავა სუსტი მჟავებია, რაშიც შეიძლება დაკრწმუნდეთ იმით, რომ მათი მარილები ადვილად განიცდიან ჰიდროლიზს



იმისთვის, რომ ჰიდროლიზი წავიდეს ბოლომდე, საჭიროა ვოლფრამატის ან მოლიბდატის ხსნარებს დავუმატოთ ძლიერი მინერალური მჟავა:



ნატრიუმის ვოლფრამატის ხსნარიდან ხდება ნალექის გამოყოფა – ვოლფრამმჟავას თეთრი ჰიდრატი  $H_2WO_4 \cdot H_2O$ . გაცხელებისას ან დაყოვნებისას ნალექი კარგავს ჰიდრატულ წყალს ყვითელი ფერის უწყლო ვოლფრამმჟავას

წარმოქმნით  $H_2WO_4$ . მინერალური მჟავას ჭარბ რაოდენობაში  $H_2WO_4$  არ იხსნება, ხსნარში გადადის ტუტის მოქმედებით.

თავისუფალი სახით მოლიბდენმჟავა და ვოლფრამმჟავა არ არსებობენ, ისინი წარმოადგენენ პიდრატებს  $MoO_3 \cdot H_2O$  და  $WO_3 \cdot H_2O$ .

მოლიბდატების ნაჯერ ხსნარზე 3%-ანი წყალბადის პეროქსიდის მოქმედებით მიიღება პერმოლიბდატი  $Mo_2^I[MoO_8]$ , რომელიც ოთახის ტემპერატურაზე წყალხსნარში იშლება.


**ნატრიუმის ვოლფრამატი** –  $Na_2WO_4$  - უფერო კრისტალებია, იხსნება წყალში.  $110^{\circ}C$ -ზე წყალბადი აღადგენს ლითონურ ვოლფრამამდე.

**კალიუმის ვოლფრამატი** –  $K_2WO_4$  - უფერო კრისტალებია, პაერზე განითხევა. იხსნება წყალში. მიიღება ვოლფრამ(VI)-ის ოქსიდის შელდობით კალიუმის კარბონატთან.

### მოლიბდენ(VI)-ის და ვოლფრამ(VI)-ის პალოგენიდები

**Thal<sub>6</sub>** – ტიპის პალოგენიდებს მოლიბდენი, ვოლფრამისგან განსხვავებით წარმოქმნის მხოლოდ ფტორთან –  $MoF_6$  ( $\Theta=Mo,W$ ).

მოლიბდენის და ვოლფრამის სხვა უწყლო პალოგენიდები ტენიან პაერზე განიცდიან პიდროლიზეს სხვადასხვა ოქსიპალოგენიდების წარმოქმნით:




გახურებისას განიცდიან სუბლიმაციას.


მოლიბდენის ოქსიპალოგენიდების წყალხსნარების მიღება შეიძლება მხოლოდ ძლიერ მჟავა არეში



$H_2WO_4$  მარილმჟავაში არ იხსნება, ამიტომ ანალოგიური ოქსიპალოგენიდი მიიღება აირადი  $HCl$ -ის მოქმედებით ვოლფრამ(VI)-ის ოქსიდზე:



**მოლიბდენ(VI)-ის ფტორიდი** –  $MoF_6$  – უფერო კრისტალებია, ლდობის ტემპერატურა  $17,5^{\circ}C$ . იხსნება ტუტეში და ამიაკში. წყალთან ურთიერთქმედებისას განიცდის პიდროლიზეს ოქსიფტორიდის წარმოქმნით:



მიიღება ფტორის უშუალო ურთიერთქმედებით ლითონურ მოლიბდენთან  $60^{\circ}\text{C}$ -ზე.

**ვოლფრამ(VI)-ის ფტორიდი –  $\text{WF}_6$**  – უფერო აირია, ჰაერზე ბოლავს. განიცდის ჰიდროლიზს, ისენება ტუტეებში. შლის მინას, ხსნის ლითონებს, გარდა ოქროსი და პლატინისა.

**ვოლფრამ(VI)-ის ქლორიდი –  $\text{WCl}_6$**  – იისფერი კრისტალებია, ისენება ორგანულ გამხსნელებში. ტენიან ჰაერზე განიცდის ჰიდროლიზს. მიიღება მშრალი ქლორის გატარებით ფხვნილისებურ ვოლფრამზე.

**ვოლფრამ(VI)-ის ოქსიტეტრაქლორიდი –  $\text{WOCl}_4$**  – წითელი ფერის ნემსისებრი კრისტალებია, ისენება გოგირდნახშირბადში. განიცდის ჰიდროლიზს. წყალბადი აღადგენს თავისუფალ მდგომარეობამდე. მიიღება ქლორის მოქმედებით ვოლფრამზე ჟანგბადის ან წყლის თანაობისას.


**ვოლფრამ(VI)-ის დიოქსიდიქლორიდი –  $\text{WO}_2\text{Cl}_2$**  – ყვითელი ფერის კრისტალებია, მცირედ ხსნადია სპირტში. განიცდის ჰიდროლიზს, ისენება ტუტეებში. წყალბადი გაცხელებით აღადგენს. მიიღება ქლორის გატარებით გახურებულ ვოლფრამ(VI)-ის ოქსიდზე.

**ვოლფრამ(VI)-ის ბრომიდი –  $\text{WBr}_6$**  – შავი ფერის ნემსისებური კრისტალებია, ისენება ორგანულ გამხსნელებში. იშლება წლის მოქმედებით ან  $400^{\circ}\text{C}$ -ზე გაცხელებით. მიიღება ბრომის გატარებით ფხვნილისებურ ვოლფრამზე  $600^{\circ}\text{C}$ .

### მოლიბდენის და ვოლფრამის სულფიდები

**მოლიბდენ(III)-ის სულფიდი –  $\text{Mo}_2\text{S}_3$**  – მიიღება მოლიბდენის დისულფიდის გახურებით დახშულ არეში.

**მოლიბდენ(IV)-ის და ვოლფრამ(IV)-ის სულფიდები  $\text{ES}_2$  ( $\text{E}=\text{Mo},\text{W}$ )** – დისულფიდები მიიღება მარტივი ნივთიერებების სტექიომეტრიული რაოდენობების გახურებით ინერტულ ატმოსფეროში ან  $\text{EO}_3$ -ის შელდობით გოგირდის ჭარბ რაოდენობასთან პოტაშის თანაობისას:



სულფიდებიდან მოლიბდენის დისულფიდი თერმულად ყველაზე მდგრადია; სხვა შედგენილობის სულფიდები გადადიან დისულფიდში ვაკუუმში

გაცხელებისას. მოლიბდენი ბუნებაში გვხვდება ძირითადად მინერალ მოლიბდენიტის სახით  $\text{MoS}_2$ .


მოლიბდენის დისულფიდი ქიმიურად ინერტულია და იხსნება მხოლოდ გაცხელებით მჟავებში, რომლებიც წარმოადგენენ ძლიერ მჟანგავს (სამეფო წყალი,  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ზონც). ჟანგბადის ან ქლორის არეში დაწვისას წარმოიქმნება შესაბამისად  $\text{MoO}_3$  და  $\text{MoCl}_5$ .

მოლიბდენ(VI)-ის სულფიდი  $\text{MoS}_3$  მიიღება მოლიბდატის ( $\text{Me}_2^{\text{I}}[\text{MoO}_4]$ ) ხსნარზე გოგირდწყალბადის მოქმედებით.

მოლიბდენის დისულფიდს შრეოვანი სტრუქტურა გააჩნია – შრეები შედგება გოგირდისა და მოლიბდენისგან წარმოქმნილი ექსტერიანი ციკლებისგან. კაგშირი ფენებს შორის სუსტია, რითაც მოლიბდენის დიოქსიდი ემსგავსება გრაფიტს და ტყვიას. ეს თვისება უდევს საფუძვლად მის გამოყენებას. მოლიბდენის დისულფიდი გამოიყენება, როგორც საპოხი მასალის კომპონენტი საკისრებში მისი ხახუნის დაბალი კოეფიციენტის გამო.

**ვოლფრამ(IV)-ის სულფიდი –  $\text{WS}_2$**  – პარამაგნიტური მუქი-რუხი ფერის კრისტალური ნივთიერება.  $1200^{\circ}\text{C}$ -ზე ვაკუუმში განიცდის დისოციაციას. წყალში მცირედ ხსნადია. იხსნება აზოტმჟავასა და ფტორწყალბადმჟავას ნარევში. მიიღება ვოლფრამის და გოგირდის უშუალო ურთიერთქმედებით  $800\text{-}900^{\circ}\text{C}$ -ზე.

**მოლიბდენ(VI)-ის და ვოლფრამ(VI)-ის სულფიდები –  $\text{MoS}_3$  და  $\text{WS}_3$**  – მიიღება პიდრატირებულ მდგომარეობაში თიომოლიბდატების ან თიოვოლფრამატების  $\text{Me}_2\text{ES}_4$  (სადაც ე-Mo ან W, Me-ტუტე ლითონია) ურთიერთქმედებით მარილმჟავასთან. თავის მხრივ თიომარილი მიიღება შესაბამის მოლიბდატზე ან ვოლფრამატზე  $\text{Me}_2\text{EO}_4$  კალიუმის ან ამონიუმის სულფატის მოქმედებით:



გამოიყოფა ყავისფერი ნალექი (მოლიბდენ(VI)-ის ან ვოლფრამ(VI)-ის სულფიდი) და გოგირდწყალბადი. ახლად გამოლექილი ტრისულფიდები ადვილად იხსნებიან ამონიუმის სულფიდის ჭარბ რაოდენობაში თიომარილების წარმოქმნით:



**მოლიბდენ(VI)-ის სულფიდი –  $\text{MoS}_3$**  – რუხი ფერის ნემსისებრი კრისტალებია. ძლიერი გაცხელებისას იშლება გოგირდის და მოლიბდენის წარმოქმნით. არ ისსნება წყალსა და განზავებულ მჟავებში, მაგრამ იუანგება კონც. აზოტმჟავით. ადვილად ისსნება ტუტებებში, ამიაკსა და კარბონატების წყალსნარებში მოლიბდატების წარმოქმნით. მიიღება მოლიბდენის და გოგირდის ურთიერთქმედებით  $1100^{\circ}\text{C}$ -ზე.

### ვოლფრამის კარბიდები

ვოლფრამი ნახშირბადთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის ორ კარბიდს:  $\text{W}_2\text{C}$  და  $\text{WC}$ . ისინი გამოირჩევიან მაღალი მექანიკური სიმაგრით, რითაც ჩამოუვარდებიან მხოლოდ ალმასს. ქიმიურად მდგრადებია.  $\text{WC}$  მიიღება ვოლფრამის ფხვნილის და ჭვარტლის გახურებით  $1500^{\circ}\text{C}$  ელექტროლუმელებში.  $2600^{\circ}\text{C}$ -ზე გახურებისას იშლება:



## პერიოდული სისტემის VI ჯგუფის d-ელემენტების პიოლოგიური როლი

**ქრომი** მიეკუთვნება მინარევ მიკროელემენტებს, რომლებსაც მუდმივად შეიცვალ ცოცხალი ორგანიზმები, მოლიბდენი – სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტია, რაც შეეხება ვოლფრამს – მინარევი მიკროელემენტია, ცოცხალი ორგანიზმები შეიცვალ მას უმნიშვნელო რაოდენობით.

**ქრომი.** ქრომის დასაშვები შემცველობა ადამიანის ორგანიზმში 6 მგ-ია, მეტი რაოდენობით ორგანიზმისთვის საშიშია.

ქრომი ხელს უწყობს ნახშირბადის მიმოცვლის პროცესს. მისი დეფიციტის შემთხვევაში იზრდება ქოლესტერინის და შაქრის შემცველობა ორგანიზმში. საკვები პროდუქტებიდან ქრომს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ლვიძლი, საფუარი, ბოსტნეული.

სამრეწველო რაიონებში ქრომის მომატებული შემცველობა პაერში ადამიანებში იწვევს ასთმას და ფილტვის კიბოს.

**მოლიბდენი.** მოლიბდენი მიეკუთვნება მძიმე ელემენტებს (ლითონებს), სიცოცხლისთვის ათიდან ერთ–ერთი აუცილებელი და შეუცვლელი

მიკროელემენტია. მოლიბდენის გააჩნია უნარი მიიღოს მონაწილეობა ბიოქიმიურ პროცესში სხვადასხვა ჟანგვითი რიცხვით, წარმოქმნას მდგრადი ოქსოკომპლექსები, რაც განაპირობებს მის უნიკალურობას.

ბიოლოგიურ სისტემებში მოლიბდენი ბმებს ძირითადად წარმოქმნის თიროზინის და სერინის ნაშთის კარბოქსილურ ან ჰიდროქსილურ ჯგუფებში.

ცნობილია მოლიბდენის შემცველი შვიდი ფერმენტი, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზმში ალდეჰიდების დაჟანგვას, სულფიტების გადასვლას სულფატებში.

მცენარეებში მოლიბდენშემცველი ფერმენტები მოლუპულურ აზოტს კატალიზურად ჟანგავენ ამიაკამდე.

**ვოლფრამი.** ცოცხალი ორგანიზმები ვოლფრამს შეიცავენ უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მისი ბიოლოგიური როლი დადგენილი არ არის.

## თავი V

### VII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები

პერიოდული სისტემის VII ჯგუფის d-ელემენტებია მანგანუმი, ტექნეციუმი და რენიუმი.

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ლექტრო- უარყოფითო ბა	ჟანგვითი რიცხვი
Mn	54,93805	$3s^2 3p^6 3d^5 4s^2$	1,60	0,+2,+3,+4,(+5),+6,+7
Tc	97,9072	$4s^2 4p^6 4d^5 5s^2$	1,36	0,(+3),+4,(+5),+6,+7
Re	186,207	$4s^2 4p^6 4d^{10} 4f^4 5s^2 5p^6 5d^5 6s^2$	1,46	0,+2,(+3),+4,(+5),+6,+ 7

მანგანუმისთვის უფრო დამახასიათებელია ჟანგვითი რიცხვი  $+2$ ,  $+4$  და  $+7$ . თუმცა ცნობილია ნაერთები, სადაც მანგანუმი ამჟღავნებს ჟანგვით რიცხვს  $0$ ,  $+3$ ,  $+5$  და  $+6$ . ტექნეციუმისთვის და რენიუმისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია ჟანგვითი რიცხვი  $+7$ . ტექნეციუმის და რენიუმის ატომური და იონური რადიუსების სიდიდეები, ლანთანიდური კუმშვის გამო, ახლოსაა ერთმანეთთან. ამიტომ ისინი თვისებებით ერთმანეთს უფრო ემსგავსებიან, ვიდრე მანგანუმს.

მანგანუმისთვის ტიპიურია კოორდინაციული ნაერთები საკოორდინაციო რიცხვით  $6$  და  $4$ , ხოლო ტექნეციუმისთვის და რენიუმისთვის დამახასიათებელია აგრეთვე საკოორდინაციო რიცხვი  $7$ ,  $8$ , და  $9$ .

### მანგანუმი


#### ბუნებაში გავრცელება

მანგანუმი ერთ-ერთი გავრცელებული ელემენტია. მანგანუმის შემცველი ბუნებრივი ნაერთებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება:

პიროლუზიტი –  $\text{MnO}_2$ ,  
 ჰაუსმანიტი –  $\text{Mn}_3\text{O}_4$ ,  
 ბრაუნიტი –  $\text{Mn}_2\text{O}_3$ ,  
 მანგანუმის შპატი –  $\text{MnCO}_3$ ,  
 მანგანუმის ალმადანი –  $\text{MnS}_2$ ,  
 მანგანუმის კრიალა –  $\text{MnS}$ .

### მიღების ხერხები

ლითონური მანგანუმის ძირითადი მომხმარებელია გეტალურგია. მრავალტონაჟიანი ფოლადის ლეგირებისთვის გამოიყენება მანგანუმის იაფი შენადნობი რკინასთან – ფერომანგანუმი, რომელიც მიიღება რეაქციით:




სუფთა ლითონური მანგანუმი რკინის მინარევების გარეშე მიიღება პიროლუზიტიდან ალუმინთერმიის გზით. თავდაპირველად პიროლუზიტს აღადგენენ გახურებით:



შემდეგ კი  $\text{Mn}_3\text{O}_4$ -დან ალუმინთერმიით აღადგენენ მანგანუმს:



ქიმიურად სუფთა მანგანუმი მიიღება მანგანუმის (II) სულფატის ელექტროლიზით ან აღადგენენ მისი ოქსიდიდან სილიციუმით:




### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

მანგანუმი – ვერცხლისებრ თეთრი, რბილი ლითონია, ჰაერზე ადვილად იფარება ოქსიდური აფსკით, რომელიც იცავს მას შემდგომი დაუანგვისგან.  $\rho=7,44\text{g/cm}^3$ ,  $t_{\text{ლდ}}=1245^\circ\text{C}$ . ცნობილია მანგანუმის ოთხი კრისტალური მოდიფიკაცია.


ყოველი მათგანი მდგრადია გარკვეულ ტემპერატურულ ინტერვალში. 707°C-ზე ნაკლებ ტემპერატურაზე მდგრადია α-მანგანუმი.

მანგანუმის მაღალი რეაქციის უნარიანობა გამოიყენება სხვადასხვა ლითონებთან მისი შენადნობების მისაღებად. მაგ., ალუმინთან მანგანუმი იძლევა ფერომაგნიტურ შენადნობებს, ხოლო სპილენბის დამატება აძლიერებს ამ შენადნობის მაგნიტურ თვისებებს.

როგორც აქტიური ლითონი, მანგანუმი ადგილად იხსნება განზავებულ მჟავებში მანგანუმ(II)-ის მარილების წარმოქმნით:



ცივ კონცენტრირებულ აზოტმჟავას მანგანუმი გადაჰყავს პასიურ მდგომარეობაში. წვრილად გაფხვიერებული მანგანუმი გამოაძევებს წყალბადს წყლიდან:



ტუტებთან მანგანუმი არ რეაგირებს. მანგანუმი ჰაერზე მდგრადია, მის ზედაპირზე წარმოქმნილი ოქსიდური ფენის გამო.

არალითონებთან მანგანუმი აქტიურად რეაგირებს მაღალ ტემპერატურაზე. მაგ., მანგანუმი რეაგირებს გოგირდთან და ფოსფორთან, იწვის ქლორის არეში  $\text{MnCl}_2$ -ის წარმოქმნით, იგივე პირობებში რეაგირებს ფტორთან დიფტორიდის  $\text{MnF}_2$  და ტრიფტორიდის  $\text{MnF}_3$  წარმოქმნით,  $>1200^\circ\text{C}$ -ზე რეაგირებს აზოტთან ნიტრიდის  $\text{Mn}_3\text{N}_2$ , ხოლო უანგბადთან –  $\text{Mn}_3\text{O}_4$  წარმოქმნით. მოლეკულური წყალბადი არ რეაგირებს მანგანუმთან, თუმცა წყალბადი კარგად იხსნება მანგანუმში.

ცნობილია მანგანუმის მრავალი ინტერმეტალური ნაერთი  $\text{MnAl}_4$ ,  $\text{Mn}_2\text{Al}_3$ ,  $\text{Mn}_3\text{Cr}$ ,  $\text{Mn}_4\text{Sn}$ .

მანგანუმი ძირითადად გამოიყენება შავ და ფერად მეტალურგიაში (როგორც მაღვებირებელი ლითონი და გამუანგავი). მანგანუმის ტექნიკურად მნიშვნელოვან შენადნობებში მისი შემცველობა საკმაოდ მაღალია:


**ფერომანგანუმი – 60-90% მანგანუმი და 40-10% რკინა**

**მანგანინი – 84% სპილენბი, 12% მანგანუმი, 4% ნიკელი**

**მანგანუმის დამატებით ფოლადი იძენს სიმაგრეს.**

მანგანუმისთვის და მისი ანალოგებისთვის ცნობილია ნაერთები, სადაც ის ამჟღავნებს ნულოვან ჟანგვით რიცხვს, კერძოდ  $\text{E}_2(\text{CO})_{10}$  შედგენილობის კარბონილები.

მათ ახასიათებთ ჩანაცვლების და ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები:



პირველ რეაქციაში მანგანუმის კარბონილი გვევლინება მუნგავის, ხოლო მეორე რეაქციაში – ალმდგენის როლში.

### მანგანუმის ოქსიდები და ჰიდროქსიდები

<b>MnO</b>	<b>Mn<sub>2</sub>O<sub>3</sub></b>	<b>MnO<sub>2</sub></b>	<b>MnO<sub>3</sub></b>	<b>Mn<sub>2</sub>O<sub>7</sub></b>
მინერალი მანგანოზიტი	მინერალი ბრაუნიტი	მინერალი პიროლუჟიტი	თავისუფალი სახით ცნობილი არ არის	
<b>Mn(OH)<sub>2</sub></b>	<b>MnO(OH)</b>		$H_2\text{MnO}_4$	<b>HMnO<sub>4</sub></b>
მინერალი პიროხროიტი	მინერალი მანგანიტი			


მანგანუმის ჰიდროქსიდებიდან სტექიომეტრული ნაერთებია მხოლოდ  $\text{Mn}(\text{OH})_2$ ,  $\text{MnO}(\text{OH})$  და  $\text{HMnO}_4$ , სხვები წარმოადგენება ცვალებადი შედგენილობის ჰიდრატირებულ ოქსიდებს, რომლებიც თავისი თვისებებით შესაბამის ოქსიდებს ემსგავსებიან.


### მანგანუმ(II)-ის ნაერთები

მანგანუმ(II)-ის ოქსიდი – **MnO** – ნაცრისფერ-მწვანე ნივთიერებაა ( $T_{\text{ლლ}}=1780^\circ\text{C}$ ). ამჟღავნებს ნახევარგამტარის თვისებებს. მიიღება მანგანუმის კარბონატის თერმული დისოციაციით:




აგრეთვე მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის ან  $\text{Mn}_3\text{O}_4$ -ის წყალბადით აღდგენისას  $t \sim 1200^\circ\text{C}$ -ზე







MnO – ტიპიური ფუძე ოქსიდია, არ რეაგირებს წყალთან. რეაგირებს მხოლოდ მჟავებთან:




მანგანუმ(II)-ის ჰიდროქსიდი – Mn(OH)<sub>2</sub> – მიიღება მანგანუმ(II)-ის მარილებზე ტუტის მოქმედებით:



მანგანუმ(II)-ის ჰიდროქსიდი გამოიყოფა თეთრი ფერის ნალექის სახით, ჰაერზე ადვილად იქანგება მანგანუმ(III)-ის ჰიდროქსიდის წარმოქმნით (იძენს მუქ შეფერილობას), შემდეგ კი გადადის მანგანუმ(IV)-ის ჰიდრატი MnO<sub>2</sub>·nH<sub>2</sub>O:




წარმოადგენს სუსტ ფუძეს



მანგანუმ(II)-ის მარილები, როგორც წესი, წყალში კარგად ხსნადებია, კარგი ალმდგენელებია.

მანგანუმ(II)-ის კოორდინაციული ნაერთებისთვის დამახასიათებელია საკოორდინაციო რიცხვი 6. მანგანუმ(II)-ის ნაერთები პარამაგნიტურია, ხოლო მარილების უმრავლესობა წყალში ხსნადია. წყალში გახსნისას დისოცირდება [Mn(H<sub>2</sub>O)<sub>6</sub>]<sup>2+</sup> აკვაკომპლექსების წარმოქმნით.

ძლიერ მჟანგავს, მაგ., PbO<sub>2</sub> მჟავა არეში მანგანუმ(II)-ის იონი გადაჰყავს ოქსომანგანატში (VII)



ეს რეაქცია გამოიყენება ანალიზურ ქიმიაში, როგორც თვისებითი რეაქცია მანგანუმის ნაერთებზე.

$Mn^{2+}$ -ის იონი ყოველთვის ასრულებს კატიონურ ფუნქციას. შესაბამისი მარილები –  $MnCl_2 \cdot 4H_2O$ ,  $MnSO_4 \cdot 5H_2O$ ,  $Mn(NO_3)_2 \cdot 6H_2O$  – კრისტალური ვარდისფერი ნივთიერებებია, ხოლო მათი წყალხსნარები – უფერო.

**მანგანუმ(II)-ის ქლორიდი –  $MnCl_2$**  – ლია ვარდისფერი კრისტალური ნივთიერება, კარგად იხსნება წყალში, ძლიერ ჰიგროსკოპულია, ჰაერზე განითხევა.

**მანგანუმ(III)-ის სულფიდი –  $MnSO_4$**  – თეთრი ფერის კრისტალური ნივთიერებაა, წყალხსნარიდან კრისტალდება ლია ვარდისფერი კრისტალპიდრატის სახით  $MnSO_4 \cdot 7H_2O$ . მიიღება მანგანუმ(II)-ის ნაერთების ურთიერთქმედებით გოგირდმჟავასთან. ტექნიკური მიზნებისთვის მანგანუმ(II)-ის სულფატი მიიღება პიროლუზიტის ურთიერთქმედებით გოგირდმჟავასთან:



**მანგანუმ(II)-ის კარბონატი –  $MnCO_3$**  – ბუნებაში გვხვდება მინერალ როდოქროზიტის სახით (მანგანუმის შპატი). წარმოადგენს ვარდისფერ რომბისებრ კრისტალებს, წყალში მცირედ ხსნადია. მიიღება ნატრიუმის კარბონატის ან ბიკარბონატის ხსნარის გაცხელებით მანგანუმ(II)-ის ქლორიდთან.


**მანგანუმ(II)-ის ნიტრატი –  $Mn(NO_3)_2$**  – მოვარდისფრო–თეთრი წვრილკრისტალური ნივთიერებაა. იხსნება წყალსა და ამიაგში.  $195^{\circ}C$ -ზე გახურებისას იშლება. ცნობილია კრისტალპიდრატები  $Mn(NO_3)_2 \cdot nH_2O$  ( $n=1,2,3,4,6$ ). მიიღება მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის გახურებით ამონიუმის ნიტრატთან.

**მანგანუმ(III)-ის სულფიდი –  $MnS$**  – არსებობს სამი კრისტალური მოდიფიკაციის სახით. ყველაზე მდგრადია  $\alpha$ -მოდიფიკაცია, რომელიც ბუნებაში გვხვდება მინერალ ალაბანდინის სახით. წარმოადგენს მწვანე ფერის კრისტალურ ნივთიერებას. განზავებული მჟავებისა და წყლის ორთქლის მოქმედებით იშლება გოგირდწყალბადის გამოყოფით.

მანგანუმისთვის ცნობილია შერეული ვალენტობის ოქსიდები, რომლებიც შეიცავენ  $Mn^{II}$ ,  $Mn_3O_4$  და  $Mn_5O_8$ .

**$Mn_3O_4$**  – შერეული ოქსიდია, შედგენილობის მოხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც მანგანვანმჟავას მარილი – მანგანუმის მანგანიტი  $Mn_2^{II}[Mn^{VI}O_4]$ .

ბუნებაში  $Mn_3O_4$  გვხვდება მინერალ პაუსმანიტის სახით – მუქი ყავისფერი, ძნელდნობადი ნივთიერებაა ( $T_{\text{ლ}}=1705^{\circ}\text{C}$ ). მინერალ  $Mn_2O_3$ -ის გახურებით ( $>900^{\circ}\text{C}$ ):




$Mn_3O_4$ -ის რეალურ შედგენილობას აგრეთვე გამოხატავს ფორმულა  $Mn^{II}O \cdot Mn_2^{III}O_3$ .

### მანგანუმ(III)-ის ნაერთები

**მანგანუმ(III)-ის ოქსიდი –  $Mn_2O_3$**  – შავი ფერის კრისტალური ნივთიერებაა, ბუნებაში გვხვდება მინერალ ბრაუნიტის სახით. მანგანუმის უანგვითი რიცხვი +3.  $Mn_2O_3$ -ის აგებულება გამარტივებულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც  $O=Mn—O—Mn=O$ . მანგანუმ(III)-ის ოქსიდის მიღება შეიძლება  $MnO_2$  –ის გახურებით  $950^{\circ}\text{C}$ -ზე:



ან  $Mn_3O_4$ -ის გახურებით  $500^{\circ}\text{C}$ -ზე:



აგრეთვე  $MnO(OH)$ -ის გაუწყლოვებით გაკუუმში  $250^{\circ}\text{C}$ -ზე.

**მანგანუმ(III)-ის ჰიდროქსიდი  $Mn_2O_3 \cdot nH_2O$  ანუ  $MnO(OH)$**  – მეტაპიდოროქსიდი – მურა წითელი ფერის ნივთიერებაა, მიიღება  $Mn(OH)_2$  დაუანგვით  $100^{\circ}\text{C}$ -ზე. სუსტი ფუძეა, მარილები შეიცავს  $Mn(III)$ -ს კათიონის სახით –  $Mn^{3+}$ . წყალსსნარში მარილები განიცდიან ჰიდროლიზს.

მანგანუმ(III)-ის ნაერთებისთვის ცნობილია ანიონური ფორმაც – სხვადასხვა შედგენილობის მანგანატები (III) –  $\text{Ca}_3[\text{Mn}(\text{OH})_6]_2$ ,  $\text{Na}_5[\text{MnO}_4]$ ,  $\text{K}_6[\text{Mn}_2\text{O}_6]$ .

მეტა არეში მანგანუმ(III)-ის ნაერთები ძლიერი მჟანგავებია:




**მანგანუმ(III)-ის ქლორიდი –  $MnCl_3$**  – ყავისფერი კრისტალური ნივთიერებაა. იხსნება ორგანულ გამხსნელებში.  $40^{\circ}\text{C}$ -ზე იშლება მანგანუმ(II)-ის ქლორიდის და ქლორის წარმოქმნით.

**მანგანუმ(III)-ის სულფატი –  $Mn_2(SO_4)_3$**  – მუქი-მწვანე ფერის ჰიგროსკოპული კრისტალებია. მცირედ იხსნება გოგირდმჟავაში. მიიღება მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის ურთიერთქმედებით გოგირდმჟავასთან მაღალ ტემპერატურაზე.

### მანგანუმ(IV)-ის ნაერთები

**მანგანუმ(IV)-ის ოქსიდი (დიოქსიდი) –  $MnO_2$**  – ბუნებაში გვხვდება მინერალ პიროლუზიტის სახით და წარმოადგენს მანგანუმის მნიშვნელოვან მადანს. როგორც წესი, მანგანუმის ნაერთებს დებულობენ მანგანუმ(IV)-ის ოქსიდიდან. მანგანუმის დიოქსიდის ერთ-ერთი მიღების ხერხია  $Mn(II)$ -ის ნაერთების დაუანგვა კალიუმის პერმანგანატით ნეიტრალურ ან სუსტ მჟავა არეში:




ლაბორატორიაში მისი მიღება შეიძლება მანგანუმის ნიტრატის გაცხელებით ( $150\text{--}160^{\circ}\text{C}$ ):




ახასიათებს დაბალი ხსნადობა, ჩვეულებრივ პირობებში ქიმიურად ინერტული ნივთიერებაა. გაცხელებისას ამჟღავნებს მჟავავის თვისებებს.

ქიმიური თვისებების მიხედვით მანგანუმ(IV)-ის ოქსიდი წარმოადგენს ამფოტერულ ოქსიდს. რეაგირებს მარილმჟავასთან. რეაქცია მიმდინარეობს ორ საფეხურად. პირველ საფეხურზე წარმოიქმნება მანგანუმ(IV)-ის ქლორიდი, რომელიც არამდგრადია და იშლება მანგანუმ(II)-ის ქლორიდის წარმოქმნით:




მანგანუმ(IV)-ის ოქსიდზე არამჟანგავი მჟავების მოქმედებით შეუძლებელია მიგიდოთ მანგანუმ(IV)-ის მარილები. გოგირდმჟავასაც კი  $Mn^{4+}$  გადაფავს  $Mn^{2+}$ -ში.

ციგ კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან მანგანუმ(IV)-ის თქმიდი არ ურთიერთქმედებს. რეაქცია მიმდინარეობს  $110^{\circ}\text{C}$ -ზე:






მანგანუმ(IV)-ის თქმიდზე აზოგმჟავა არ მოქმედებს.

მანგანუმ(IV)-ის თქმიდი ძლიერი მჟანგავია. მაგ., წყალბადის პეროქსიდთან ურთიერთქმედებისას მჟავა არეში აღდგება მანგანუმ(II)-ის სულფატამდე:




ტუტე არეში ძლიერი მჟანგავების მოქმედებით მანგანუმ(IV)-ის თქმიდი ამჟღავნებს აღმდგენელის თვისებების მანგანატების(VI) წარმოქმნით:



მანგანუმ(IV)-ის თქმიდი ამჟღავნებს სუსტ ამფოტერულ თვისებებს, წარმოქმნის ორი რიგის მარილებს, სადაც  $\text{Mn}(\text{IV})$  ასრულებს როგორც კატიონურ, ასევე ანიონურ ფუნქციას.

პიროლუზიტი ძირითადად გამოიყენება მანგანუმის მისაღებად, მინის, გალვანური ელემენტების, საღებავების წარმოებაში.


მანგანუმ(IV)-ის თქმიდი რეაგირებს ტუტეებთან მანგანიტების წარმოქმნით. მანგანიტები წარმოადგენენ ორთომანგანოვანმჟავას  $H_4\text{MnO}_4$  ან მეტამანგანოვანმჟავას  $H_2\text{MnO}_3$  მარილებს:



**მანგანუმ(IV)-ის სულფიდი –  $\text{MnS}_2$**  – ბუნებაში გვხვდება მინერალ გაუერიტის სახით. მოყვავისფრო-წითელი ან შავი პარამაგნიტური კრისტალებია. მდგრადია მშრალ ჰაერზე, ნელა იშლება ტენიან ჰაერზე. მიიღება მანგანუმ(II)-ის სულფიდის ნარევის გაცხელებით ტუტე ლითონების პოლისულფიდებთან.

**მანგანუმ(IV)-ის ქლორიდი –  $\text{MnCl}_4$**  – ძალზედ არამდგრადია, ამიტომ მისი გამოყოფა თავისუფალი სახით არ ხერხდება. გახურებით იშლება. გამოიყენება ლაბორატორიაში ქლორის მისაღებად.

მანგანუმ(IV)-ის სულფატი –  $\text{Mn}(\text{SO}_4)_2$  – შავი ფერის კრისტალებია, წყალსნარში განიცდის ჰიდროლიზის. მიიღება მანგანუმ(II)-ის სულფატზე კალიუმის პერმანგანატის მოქმედებით მეტავა არეში:



### მანგანუმ(VI)-ის ნაერთები


მანგანუმ(VI)-ის ნაერთებიდან ცნობილია მხოლოდ ისეთი მარილები, რომლებიც შეიცავენ ოქსოანიონებს  $\text{MnO}_4^{2-}$  (მანგანატ-იონი). მანგანუმისთვის (VI) არ არის მიღებული შესაბამისი ოქსიდი, ჰიდროქსიდი და ქვემანგანუმმება, არ არის ცნობილი ნაერთები, სადაც მანგანუმი(VI) გამოდის კატიონის როლში.

თავისუფალ მდგომარეობაში გამოყოფილია შემდეგი შედგენილობის მანგანატები  $\text{Na}_2\text{MnO}_4 \cdot 4\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{Na}_2\text{MnO}_4 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{Na}_2\text{MnO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{K}_2\text{MnO}_4$  – მუქი-მწვანე ფერის კრისტალური ნივთიერებები.

მანგანატები გახურებისას კარგავენ ჟანგბადს:




მანგანატის ტუტე ხსნარის (მწვანე ფერის) განზავებისას წყლით ან მასში  $\text{CO}_2$ -ის ჭავლის გატარებისას, ხსნარის შეფერილობა ხდება ჟოლოსფერი, პერმანგანატის და მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის ერთდროული წარმოქმნის გამო:



როგორც პერმანგანატი, ასევე მანგანატი ჟანგავს ეთანოლს:



მანგანატები მიიღება  $\text{MnO}_2$ -ის შელდობით მეტანგავებთან ტუტე არეში:



კალიუმის მანგანატის მიღება შესაძლებელია აგრეთვე კალიუმის პერმანგანატის ურთიერთქმედებით ტუტესთან გახურებისას:



კალიუმის მანგანატი ძირითადად გამოიყენება როგორც შუალედური პროდუქტი კალიუმის პერმანგანატის სინთეზისას.

### მანგანუმ(VII)-ის ნაერთები

მანგანუმ(VII)-ის ოქსიდი –  $Mn_2O_7$  – ზეთისებრი სითხეა, გაცივებისას წარმოქმნის მუქი-მწვანე ფერის კრისტალებს. ძლიერი მჟანგავია, ეთერთან და სპირტთან შეხებისას აალდება. არამდგრადია და  $55^{\circ}\text{C}$ -ზე იშლება ჟანგბადის გამოყოფით და  $MnO_2$ -ის წარმოქმნით:




$95^{\circ}\text{C}$ -ზე მანგანუმ(VII)-ის ოქსიდი იშლება აფეთქებით:



მანგანუმ(VII)-ის ოქსიდის მიღება შესაძლებელია კრისტალურ კალიუმის პერმანგანატზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას დამატებით:



მანგანუმმჟავა –  $HMnO_4$  – თერმულად ნაკლებ მდგრადი ნივთიერებაა (იშლება  $>3^{\circ}\text{C}$ -ზე). არსებობს მხოლოდ ხსნარებში (არაუმეტეს 20% კონცენტრაციის). უფრო მაღალ კონცენტრაციაზე იშლება:



დაბალ ტემპერატურაზე შესაძლებელია მანგანუმმჟავას გამოყოფა იისფერი მყარი ნივთიერების სახით.

მანგანუმმჟავა წარმოქმნის შესაბამის მარილებს – პერმანგანატებს – იისფერ კრისტალურ ნივთიერებებს. გახურებისას პერმანგანატები იშლებიან ჟანგბადის გამოყოფით:






მანგანუმ(VII)-ის მარილების მნიშვნელოვანი ოვისებაა – მათი უნარი დაუანგონ სხვადასხვა არაორგანული და ორგანული ნაერთები. პერმანგანატების ეს ოვისება ფართოდ გამოიყენება ლაბორატორიულ პრაქტიკაში. სარეაქციო არეზე დამოკიდებულებით შესაძლებელია  $MnO_4^-$ -ის იონის სხვადასხვანაირი აღდგენა:


1. მჟავა არეში:



2. ტუტე არეში:



3. ნეიტრალურ არეში:




$MnO_4^-$ იოსფერი	pH<7 (მჟავა არე)	$Mn^{2+}$	უფერო სსნარი
	pH=7 (ნეიტრალური არე)	$MnO_2$	ყავისფერი ნალექი
	pH>7 (ტუტე არე)	$MnO_4^{2-}$	მწვანე ფერის სსნარი

საინტერესოა რომ, ტუტე არეში კალიუმის პერმანგანატი გადადის მანგანატში (VI) ჟანგბადის გამოყოფით:




კალიუმის პერმანგანატის ტუტე სსნარის გამოყენება ხდება ლაბორატორიული ჭურჭლის გასასუფთავებლად ცხიმებისა და ორგანული ნაერთებისგან.


მანგანუმ(II)-ის მარილებთან ურთიერთქმედებისას კალიუმის პერმანგანატი წარმოქმნის მანგანუმ(IV)-ის ოქსიდს:




კალიუმის პერმანგანატი ჟანგავს სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებებს. მაგ., ტუტე არეში გლუკოზა აღადგენს მას მანგანატამდე (VI), თვითონ კი გადადის კალიუმის გლუკონატში:



ტუტე და ტუტემიწა ლითონების პერმანგანატებიდან უკელაზე ადგილია კალიუმის პერმანგანატის მიღება. მის მისადებად საწყის ნივთიერებად გამოიყენება ბუნებრივი მინერალი პიროლუზიტი, რომლისგანაც მზადდება კალიუმის მანგანატი.  $K_2MnO_4$  გადაყავთ ხსნარში და ჟანგავენ:



Mn(VII)-ის ნაერთების მიღება შესაძლებელია მანგანუმის დაბალი ჟანგვითი რიცხვის მქონე ნაერთების დაუანგვით ისეთი ძლიერი მჟანგავებით, როგორიცაა  $PbO_2$ ,  $(NH_4)_2S_2O_8$ ,  $KBiO_3$  და სხვა:




კალიუმის პერმანგანატი გამოიყენება როგორც ძლიერი მჟანგავი ორგანულ და არაორგანულ სინთეზში, როგორც მაღეზინფიცირებელი საშუალება მედიცინაში და ხოვლის მეურნეობაში,  $KMnO_4$  ხენარი გამოიყენება როგორც მტიტრავი ანალიზურ ქიმიაში.

## ტექნიკური და რენიუმი

### ბუნებაში გავრცელება

რენიუმი ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით, როგორც მინარევი ზოგიერთ სულფიდურ მადნებთან. მას გამოაცალკავებენ მოლიბდენიტის  $MoS_2$  გამოწვისას გამოყოფილი აირებიდან, რაც წარმოადგენს რენიუმის კონცენტრირების ერთ-ერთ ხერხს. რენიუმის მინერალების რაოდენობა ბუნებაში იმდენად მცირეა, რომ ისინი წარმოადგენენ უფრო სამეცნიერო, ვიდრე სამრეწველო ინტერესს.

სუფთა ლითონური რენიუმი მიიღება პერრენატების (მაგ., ამონიუმის პერრენატის) წყალბადით აღდგენისას  $1000^{\circ}\text{C}$ -ზე:



ტექნიკუმი ბუნებაში არ გვხვდება. თავისი ქიმიური თვისებებით ის უფრო ახლოს დგას რენიუმთან, ვიდრე მანგანუმთან.

ტექნიკუმი წარმოიქმნება თორიუმის და ურანის იზოტოპების სპონტანური გაყოფისას. ატომურ რეაქტორებში ის ერთი წლის განმავლობაში გროვდება კილოგრამობით. ლითონის ფხვნილს პრესავენ და ალღობენ ელექტრონულ სხივში. შესაძლებელი გახდა ლითონური ტექნიკუმის ნაგლინის მიღება – ვერცხლისფერი ფურცლების ან ფოლგის სახით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ტექნიკუმი – ვერცხლისფერი ლითონია, ერთ-ერთი მსუბუქი ელემენტია, არ გააჩნია სტაბილური იზოტოპი. ქიმიური თვალსაზრისით ტექნიკუმი და მისი ნაერთები ნაკლებტოქსიკურებია. ტექნიკუმი საშიშია მისი რადიოტოქსიკურობის გამო. მასთან მუშაობა უნდა ხდებოდეს ჰერმეტულ ბოქსებში ან გამწოვ კარადაში, მაგრამ სხივების დამცავით.

რენიუმი – ძნელდნობადი მძიმე ლითონია, გარეგნულად ჰგავს ფოლადს. მთელი რიგი ფიზიკური თვისებებით ემსგავსება ისეთ ძნელდნობად ლითონებს, როგორიცაა მოლიბდენი და ვოლფრამი. მისი ლითონის ტემპერატურა ჩამოუვარდება მხოლოდ ვოლფრამისას. ლითონური რენიუმი ქიმიურად ნაკლებ აქტიურია, ვიდრე მანგანუმი. უშუალოდ არ რეაგირებს აზოტთან, უანგბადთან, გოგირდთან ჰალოგენებთან რეაგირებს მხოლოდ გაცხელებისას.


ტექნიკუმი და რენიუმი არ იხსნება განზავებულ მარილმჟავაში და გოგირდმჟავაში, მაგრამ რეაგირებს მჟანგველ მჟავებთან,  $\text{Me}^{7+}$  ნაერთების წარმოქმნით:



რენიუმი იხსნება აგრეთვე ცხელ კონც გოგირდმჟავაში და წყალბადის პეროქსიდში:



რენიუმზე მჟანგველების თანაბისას მოქმედებენ აგრეთვე ტუტები:



ტექნიკუმი არალითონებთან რეაგირებს მხოლოდ გახურებისას, იწვის ჟანგბადში ( $>400^{\circ}\text{C}$ ), წარმოქმნის აქროლად ოქსიდს  $\text{Ti}_2\text{O}_7$ . ტექნიკუმი განსაკუთრებულად მდგრადია კოროზიისადმი. ტექნიკუმი და რენიუმი ინდიფერენტულები არიან წყალბადისადმი, რაც საშუალებას იძლევა წყალბადი გამოყენებული იქნას ლითონური ტექნიკუმის და რენიუმის მისაღებად.

რენიუმი მდგრადია  $300^{\circ}\text{C}$ -მდე ჟანგბადისა და აზოვის მიმართ, ქლორთან კი რეაგირებს მცირედ გახურებისასაც კი.

ლითონური რენიუმის გამოყენება განპირობებულია მიხი ძელდნობადობით ( $3180^{\circ}\text{C}$ ), მაღალი დუღილის ტემპერატურით ( $5900^{\circ}\text{C}$ ), მექანიკური სიმტკიცით, ქიმიური ინერტულობით ზოგიერთი აირის მიმართ. ეს თვისებები რენიუმს შეუცვლელ მასალად ხდის ელექტრონიკასა და ელექტროტექნიკაში.

წვრილდისპერსიული რენიუმი გამოიყენება, როგორც კატალიზატორი რეგანულ სინთეზში.

ლითონების ( $\text{Pt}, \text{Pd}, \text{Rh}, \text{Ir}, \text{Mo}, \text{Ta}, \text{W}, \text{Co}$ ) შენადნობები რენიუმთან გამოირჩევიან მუვაგამდლეობით, თერმომდგრადობით და გამოიყენებიან მაღალტემპერატურული თერმოწყვილების დასამზადებლად ( $2000^{\circ}\text{C}$ -მდე).

ტექნიკუმი გამოიყენება, როგორც ნეიტრონების ეფექტური გამონაბეჭდის იზოტოპი  $^{99}\text{Tc}$  ( $\beta$ -გამომსხივებული) გამოიყენება რადიაციულ დიაგნოსტიკაში.

### ტექნიკუმ(II)-ის და რენიუმ(II)-ის ნაერთები

ტექნიკუმ(II)-ის და რენიუმ(II)-ის ჟანგბადნაერთები ცნობილი არ არის.

რენიუმ(II)-ის სულფიდი –  $\text{ReS}$  – შავი ფერის ამორფული ფენილია. გოგირდთან გახურებისას  $300$ - $500^{\circ}\text{C}$ -ზე გარდაიქმნება  $\text{ReS}_2$ -ად. მიიღება წყალბადის და გოგირდწყალბადის ნარევის მოქმედებით რენიუმ(III)-ის ოქსიდზე  $90^{\circ}\text{C}$ -ზე.

### ტექნიკუმ(III)-ის და რენიუმ(III)-ის ნაერთები

ტექნიკუმ(III)-ის და რენიუმ(III)-ის ნაერთები არ არის მრავალრიცხოვანი, რადგან +3 ჟანგვითი რიცხვის შემთხვევაში ტექნიკუმი და რენიუმი ამჟღავნებენ

ძლიერი აღმდგენით თვისებებს, სწრაფად იუანგებიან და გადადიან უფრო მდგრად მდგომარეობაში Me(VII).

**რენიუმ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Re}_2\text{O}_3$**  – შავი ფერის მყარი ნივთიერებაა, წყალში მცირედ ხსნადია. მიიღება რენიუმ(III)-ის ქლორიდის ვაკუუმში ტუბით დამუშავებისას.

**რენიუმ(III)-ის ქლორიდი –  $\text{ReCl}_3$**  – წითელი პექსაგონალური კრისტალებია, პარამაგნიტურია. მდგრადია მშრალ ჰაერზე, იხსნება წყალში, აცეტონში, სპირტში და სხვ. ნაკლებ ხსნადია მლობი მჟავაში. წყალბადის მოქმედებით აღდგება ლითონურ რენიუმამდე. მიიღება  $\text{SO}_2\text{Cl}_2$ -ის მოქმედებით ლითონურ რენიუმზე ან რენიუმ(V)-ის ქლორიდის დაშლით.

### ტექნიკიუმ(IV)-ის და რენიუმ(IV)-ის ნაერთები

**რენიუმ(IV)-ის ოქსიდის –  $\text{ReO}_2$**  – არააქროლადი, მოყავისფრო-შავი კრისტალური ფენილია. პარამაგნიტურია. გაცხელებით გარდაიქმნება რენიუმ(VII)-ის ოქსიდად. მჟანგავის მოქმედებით წარმოქმნის მეტარენიუმმჟავას  $\text{HReO}_4$ . მასში მჟავა თვისებები ჭარბობს ფუძე თვისებებს. მიიღება რენიუმის ურთიერთქმედებით ჟანგბადთან.

**რენიუმ(IV)-ის სულფიდი –  $\text{ReS}_2$**  – შავი ფერის პექსაგონალური კრისტალებია. მდგრადია ჰაერზე ოთახის ტემპერატურაზე. წყალბადი აღადგენს მას ლითონურ რენიუმამდე. მიიღება ლითონური რენიუმის ძლიერი გახურებით გოგირდის ჭარბ რაოდენობასთან გოგირდწყალბადის არეში. გამოიყენება როგორც კატალიზატორი სპირტების დეპიდრირებისას.

### ტექნიკიუმ(V)-ის და რენიუმ(V)-ის ნაერთები

**რენიუმ(V)-ის ოქსიდი –  $\text{Re}_2\text{O}_5$**  – ლურჯი ფერის ნივთიერებაა, წყალში მცირედ ხსნადია. იშლება  $200^\circ\text{C}$ -ზე.

**რენიუმ(V)-ის ქლორიდი –  $\text{ReCl}_5$**  – შავი ფერის მყარი ნივთიერებაა. იხსნება კონც. მარილმჟავაში, იშლება წყლის მოქმედებით. მიიღება რენიუმ(VII)-ის ოქსიდზე  $\text{CCl}_4$ -ის მოქმედებით.

## ტექნეციუმ(VI)-ის და რენიუმ(VI)-ის ნაერთები


ტექნეციუმ(VI)-ის და რენიუმ(VI)-ის ნაერთები უფრო სტაბილურები არიან, ვიდრე მანგანუმ(VI)-ის ანალოგიური ნაერთები. ასე მაგალითად, მანგანუმ(VI)-ის ოქსიდი უცნობია, ხოლო ტრიოქსიდები  $\text{TeO}_3$  და  $\text{ReO}_3$  მიღებულია და კარგადაა შესწავლილი.

ტექნეციუმ(VI)-ის და რენიუმ(VI)-ის ოქსიდები – წითელი ფერის, წყალში უხსნადი ნივთიერებებია.

მაღალ ტემპერატურაზე  $\text{ReO}_3$  იქანგება  $\text{Re}_2\text{O}_7$ :




კონცენტრირებულ აზოტმჟავას  $\text{ReO}_3$  გადაჰყავს  $\text{HReO}_4$ :



<300°C-ზე ვაკუუმში  $\text{ReO}_3$  დისპროპორცირებს:



რენიუმ(VI)-ის და ტექნეციუმ(VI)-ის ოქსიდებს დებულობენ  $\text{Re}_2\text{O}_7$ -ზე ლითონური რენიუმით (ან შესაბამისად  $\text{Te}_2\text{O}_7$ ) ან ნახშირბადის მონოოქსიდის მოქმედებისას:




ტექნეციუმისთვის და რენიუმისთვის  $\text{H}_2\text{MeO}_4$ -ის შედგენილობის მქავები გამოყოფილი არ არის, მაგრამ ცნობილია მათი მარილები – ბარიუმის ტექნეცატი (VI), ნატრიუმის, კალიუმის და ბარიუმის რენატები (VI).

წყალხსნარში რენატები (VI), ისევე როგორც მანგანატები, განიცდიან დისპროპორცირებას:



რენატების (VI) სინთეზს ახორციელებენ  $\text{ReO}_2$ -ის შელდობით მჟანგავთან ტუტე გარემოში:



**რენიუმ(VI)-ის ფტორიდი –  $\text{ReF}_6$**  – ლია-ყვითელი ფერის კრისტალებია, ლდვება  $19^\circ\text{C}$ -ზე. რეაგირებს წყალთან, სილიციუმ(IV)-ის ოქსიდთან, ცხიმებთან. მიიღება ფტორის მოქმედებით ლითონურ რენიუმზე  $125^\circ\text{C}$ .

**რენიუმ(VI)-ის ქლორიდი –  $\text{ReCl}_6$**  – მუქი-მწვანე კრისტალებია. ლდვება  $22^\circ\text{C}$ -ზე მუქი-ყავისფერი სითხის წარმოქმნით. განიცდის ჰიდროლიზს. მიიღება ქლორის გატარებით ლითონურ რენიუმზე  $600^\circ\text{C}$ -ზე.

**რენიუმ(VI)-ის ოქსიტეტრაფტორიდი –  $\text{ReOF}_4$**  – ლურჯი ფერის ფხვნილისებური ნივთიერებაა. მიიღება ფტორის და უანგბადის ნარევის მოქმედებით გახურებულ რენიუმზე.

**რენიუმ(VI)-ის ოქსიტეტრაქლორიდი –  $\text{ReOCl}_4$**  – მუქი-მწვანე მყარი ნივთიერებაა. ისსნება კონც. მარილმჟავაში. მიიღება რენიუმ(V)-ის ქლორიდის და რენიუმ(III)-ის ქლორიდის ნარევის ურთიერთქმედებით უანგბადის არეში.

### ტექნიკიუმ(VII)-ის და რენიუმ(VII)-ის ნაერთები

**ტექნიკიუმის და რენიუმის ანჰიდრიდები –  $\text{Tc}_2\text{O}_7$  და  $\text{Re}_2\text{O}_7$**  – აქროლადი კრისტალური ნივთიერებებია, ლდვებიან დაშლის გარეშე.


T, °C	T <sub>ლდ</sub> , °C	T <sub>დფ</sub> , °C	შეფერილობა
$\text{Mn}_2\text{O}_7$	6	იშლება	მუქი-მწვანე
$\text{Tc}_2\text{O}_7$	120	$55^\circ\text{C}$ -ზე	ყვითელი
$\text{Re}_2\text{O}_7$	301	311 362	ყვითელი

ოქსიდების  $\text{Me(VII)}$  მუანგავი თვისებები რიგში მანგანუმიდან ტექნიკიუმისა და რენიუმისკენ მცირდება. მაგ., მანგანუმ (VII)-ის ანჰიდრიდი ტექნიკიუმის და რენიუმის ანჰიდრიდებთან განსხვავებით ძლიერი მუანგავია.


ტექნიკიუმ(VII)-ის და რენიუმ(VII)-ის ოქსიდები არ უანგავენ ეთერს და სპირტს, მაგრამ გაცხელებისას რეაგირებენ ძლიერ ალმდგენელებთან:



წყალბადის მოქმედებით რენიუმ(VII)-ის ოქსიდი  $300^\circ\text{C}$ -ზე შეგვიძლია ალვალგინოთ რენიუმ(IV)-ის ოქსიდამდე  $\text{ReO}_2$ :



უფრო ძლიერი გაცხელებისას წყალბადი ტექნიციუმ(VII)-ის და რენიუმ(VII)-ის ოქსიდებს აღადგენს შესაბამის ლითონამდე:



$\text{Tc}_2\text{O}_7$  და  $\text{Re}_2\text{O}_7$  დებულობები ფხვნილისებური ტექნიციუმის ან რენიუმის ურთიერთქმედებით საგანგებოდ გამომშრალ ჟანგბადთან გაცხელებით:



$\text{Tc}_2\text{O}_7$  და  $\text{Re}_2\text{O}_7$  – ძლიერ ჰიდროსკოპული ნივთიერებებია. ურთიერთქმედებენ წყალთან  $\text{HMeO}_4$ -ის შედგენილობის პიდრატების წარმოქმნით, რომლებიც ამჟღავნებნ მჟავურ თვისებებს:



ტექნიციუმმჟავა  $\text{HTcO}_4$  და რენიუმმჟავა  $\text{HReO}_4$  თერმულად ნაკლებ მდგრადები არიან, ვიდრე მანგანუმმჟავა. შესაბამისი მარილები პერტექნატები და პერრენატები – უფერო ნივთიერებებია, ლლვებიან დაშლის გარეშე.

## პრიორული სისტემის VII ჯგუფის d-ელემენტების ბიოლოგიური როლი

**მანგანუმი.** მანგანუმი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ელემენტია, რომელიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ის ერთ-ერთი ე.წ. “სიცოცხლის ლითონია”.

მანგანუმი აუცილებელია ბიოლოგიური ქსოვილების უჯრედების განვითარებისთვის და ფუნქციონირებისთვის, ვიტამინ  $\text{B}_1$ , რკინის, სპილენძის ასათვისებლად.

მანგანუმის კოორდინაციული ნაერთები ცილებთან, ნუკლეინმჟავებთან, ამინომჟავებთან მრავალი ლითონოფერმენტის შემადგენელი ნაწილია. მანგანუმშემცველ ფერმენტებს გააჩნიათ ძალზედ მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ფუნქცია: α-ამინომჟავების გახლება, მონაწილეობა სისხლის შედედების პროცესში.

მანგანუმი მონაწილეობას იღებს  $\text{C}$  და  $\text{B}$  ვიტამინების სინთეზში, იგი ქლოროფილის და ჰემოგლობინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შესწავლის

პროცესშია მანგანუმის კოორდინაციული ნაერთების მონაწილეობა ფოტოსინთეზის პროცესში.

ბიოლოგიური სისტემები არ შეიცავენ მანგანუმ(VII)-ის ნაერთებს, ხოლო პერმანგანატები ორგანიზმისთვის წარმოადგენენ საწამლავს. მაგრამ კალიუმის პერმანგანატი გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში. მისი წყალხსნარი გამოიყენება ტოქსიკური ორგანული ნაერთების დასაუანგად. მაგ., მორფინი კალიუმის პერმანგანატით იუანგება ნაკლებ ტოქსიკურ ოქსიმორფინამდე. კალიუმის პერმანგანატს გააჩნია აგრეთვე ბაქტერიოლიციდული და ანტისეპტიკური თვისებები.

მანგანუმ(II)-ის ნაერთები გამოიყენება სასუქების წარმოებაში როგორც დანამატი.

**ტექნიკიუმის და რენიუმის ბიოლოგიურ როლზე ცნობები არ არის.**

## თავი VI

### VIII ჯგუფის თანაური ძველი უზის ელემენტები

დ.ი. მენდელევის პერიოდული სისტემების მერვე ჯგუფის d-ელემენტები გაერთიანებულია სამ ტრიადში (სამეულში). პირველი ტრიადის სამი d-ელემენტი – რკინა, კობალტი და ნიკელი ხასიათდებიან მკვეთრად გამოხატული მსგავსი ქიმიური თვისებებით. ისინი ამჟღავნებენ აგრეთვე მსგავსებას დანარჩენ ექვს d-ელემენტთან, რომლებიც ბუნებაში თითქმის ყოველთვის გვხვდება ერთად. ეს ელემენტები გაერთიანებულია მეორე ტრიადაში – რუთენიუმი, როდიუმი, პალადიუმი, ხოლო მესამეში – ოსმიუმი, ირიდიუმი და პლატინა. მეორე და მესამე ტრიადის ელემენტებს ქიმიური თვისებების განსაკუთრებული სიახლოვის გამო აერთიანებენ პლატინის ჯგუფის ლითონებში.

ვინაიდან რკინის ტრიადის ელემენტები ფიზიკური და ქიმიური თვისებებით რამდენადმე განსხვავდებიან პლატინის ჯგუფის ელემენტებისაგან, ამიტომ მერვე ჯგუფის d-ელემენტების დახასიათებისას უფრო მოსახერხებელია რკინის ჯგუფის ლითონების გამოყოფა პლატინის ჯგუფის ლითონებისაგან. პლატინის ჯგუფის ელემენტებში შეინიშნება ერთი და იგივე ვერტიკალურ სვეტში არსებული

ელემენტების ქიმიურ თვისებებს შორის დიდი მსგავსება. (მაგ. რუთენიუმი და ოსმიუმი; როდიუმი და ირიდიუმი; პალადიუმი და პლატინა).

როგორც ცნობილია, d-ელემენტების სავალენტო ელექტრონები განლაგებულია ns და (n-1)d - ქვედონეზე, მაგრამ სხვა d-ელემენტებისაგან განსხვავებით, მერვე ჯგუფის d-ელემენტების (n-1)d - ქვედონის ყველა ელექტრონი ყოველთვის არ მონაწილეობს ქიმიური ბმების წარმოქმნაში. ამიტომ მაქსიმალური ჟანგვითი რიცხვი +8 დამახასიათებელია მხოლოდ რუთენიუმის და ოსმიუმისათვის.

მერვე ჯგუფის d-ელემენტები მორუხო თეთრი ფერის ლითონებია. ხასიათდებიან მაღალი ლდობის და დუღილის ტემპერატურით. პლატინის ჯგუფის ელემენტებისათვის დამახასიათებელია მაღალი სიმკვრივე და შესაბამისად მცირე ატომური რადიუსები.

მერვე ჯგუფის d-ელემენტები ხასიათდებიან მკვეთრად გამოხატული კომპლექსწარმოქმნის უნარით.

## რკინის ქვეჯგუფი

რკინის ქვეჯგუფში გაერთიანებულია: რკინა, კობალტი და ნიკელი. მოცემული ელემენტების ატომების ელექტრონული ფორმულები და ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში.

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული გონიგურაცია	ელექტრო- უარყოფითო	ჟანგვითი რიცხვი
$_{26}\text{Fe}$	55,847	$3s^23p^63d^64s^2$	1,64	+2, +3, (+4), (+5), +6, (+8)
$_{27}\text{Co}$	58,933	$3s^23p^63d^74s^2$	1,70	+2, +3, (+4)
$_{28}\text{Ni}$	58,34	$3s^23p^63d^84s^2$	1,75	+2, (+3), (+4)

რკინის ქვეჯგუფის ელემენტები თავისუფალ მდგომარეობაში თეთრი ფერის ლითონებია. ხასიათდებიან მაღალი ლდობის და დუღილის ტემპერატურით.

ქიმიური თვისებების თვალსაზრისით მოცემული ელემენტებიდან რკინა ყველაზე აქტიური ლითონია. ამჟღავნებენ მდგრადობას კოროზიისადმი. გახურებისას ურთიერთქმედებენ თითქმის ყველა არალითონთან.

ქიმიურ ნაერთებში ჟანგვითი რიცხვი ძირითადად ტოლია +2 და +3. იშვიათად წარმოქმნიან ნაერთებს სადაც ჟანგვითი რიცხვია: რკინის +6, კობალტის +5, ხოლო ნიკელის +4.

რკინის ქვეჯგუფის ელემენტები წარმოქმნიან კომპლექსურ ნაერთებს, სადაც საკოორდინაციო რიცხვი ტოლია 6 ან 4.

## რპ06ა

### ბუნებაში გავრცელება

მძიმე ლითონებიდან რკინა ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ლითონია. რკინა ბუნებაში ძირითადად ჟანგბადოვანი და გოგირდოვანი ნაერთების სახით გვხვდება:

**მაგნიტური რკინაქვა (მაგნეტიტი) –  $\text{Fe}_3\text{O}_4$ ,**

**მურა რკინაქვა (ლიმონიტი) –  $\text{Fe}_2\text{O}_3 \cdot \text{H}_2\text{O}$ ,**


**რკინის ალმადანი (პირიტი) –  $\text{FeS}_2$ ,**

**რკინის კრიალა –  $\text{FeS}$ , აგრეთვე გვხვდება კარბონატების და სულფატების სახით.**




მცირე რაოდენობით რკინა გვხვდება თავისუფალი სახით დედამიწაზე ჩამოვარდნილი მეტეორიტების ნამსხვრევებში.

### მიღების ხერხები

ლაბორატორიულ პირობებში რკინა შეიძლება მივიღოთ რკინის პენტაკარბონილის თერმული დაშლით (უჰაერო არეში)



ან ჟანგბადოვანი ნაერთებიდან აღმდგენელების მოქმედებით:



მაღნებიდან რკინის მიღება ხდება აგრეთვე ქარხნული წესით. თუმცის ფოლადის ან რბილი რკინის მისაღებად იყენებენ ოქსიდურ მადანს, მაგალითად – ჰემატიტს, მაგნიტურ რკინაქვას ან ლიმონიტს.

ქარხნული წესით რკინის მიღების მეთოდი მოიცავს შემდეგ სამ საფეხურს:


1. მაღნიდან რკინის აღდგენა (თუმცის წარმოება). თუმცის წარმოებას ბრძმედში საფუძვლად უდევს რკინის ჟანგბადოვანი ნაერთებიდან რკინის აღდგენა CO-თი. CO-მიიღება გავარვარებულ კოქსზე ჰაერის მოქმედებით.

რკინის აღდგენისას  $Fe_2O_3$ -დან ჯერ წარმოიქმნება  $Fe_3O_4$ , შემდეგ  $FeO$ , ბოლოს კი რკინა

ეს პროცესი შეიძლება გამოისახოს შემდეგი ქიმიური ტოლობებით:




რკინის ოქსიდის აღდგენის შედეგად მიიღება  $Fe_3O_4$ :






CO-ს მოქმედებით  $Fe_3O_4$  ( $600^0C$ -ზე)  $FeO$ -დ აღდგება:



ბოლო შემდეგ CO-ს არეში ( $700^0C$ -ზე)  $FeO$ -დან რკინა მიიღება



ბრძმედში რკინასთან ერთად აღდგება Si, P, Mn, რომელსაც მადანი მინარევების სახით შეიცავს:



გამდნარი რკინა დაბლა ჩამოედინება და კოქსთან შეხებისას წარმოქმნის რკინის კარბიდს –  $\text{Fe}_3\text{C}$  (ცემენტიტი).  $\text{Fe}_3\text{C}$  იხსნება გალვობილ რკინაში და ნახშორთან ერთად წარმოქმნის თუჭქს.


2. დაუანგვით მავნე მინარევების მოცილება.
3. საჭირო მინარევების დამატება ფოლადის ან ჭედადი რკინის მისაღებად.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ლითონური რკინა – თავისუფალ მდგომარეობაში მორუხო თეთრი ფერის, რბილი ლითონია. კარგად მუშავდება. ლდვება  $1536^{\circ}\text{C}$ -ზე.

სხვადასხვა ტემპერატურაზე ცნობილია რკინის სამი მოდიფიკაცია  $\alpha$ ,  $\gamma$  და  $\delta$ .  $906^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე  $\alpha$ -რკინა გადადის  $\gamma$ -რკინაში, ხოლო  $1401^{\circ}\text{C}$ -ზე  $\gamma$ -რკინა გარდაიქმნება  $\delta$ -რკინად.  $769^{\circ}\text{C}$ -მდე (კიურის წერტილი)  $\alpha$ -რკინას ახასიათებს ფერომაგნიტური თვისებები.  $769 - 906^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ შუალედში წარმოქმნება  $\beta$  - მოდიფიკაცია, თუმცა მისი კრისტალური აღნაგობა ისეთივეა როგორც  $\alpha$ -რკინის.  $\beta$ ,  $\gamma$  და  $\delta$  რკინა პარამაგნიტურია.

რკინის ქვეჯგუფის ლითონებიდან რკინა ყველაზე აქტიური ლითონია. რკინა მშრალ ჰაერზე არ იცვლება, მაგრამ ტენიან გარემოში ადვილად იქანგება და წარმოქმნის რკინის ჰიდროქსიდის ფაშარ ფენას, რომელიც ვერ იცავს რკინას შემდგომი დაუანგვისაგან. წითელ ვარვარებამდე გახურებისას რკინა იქანგება და წარმოქმნის რკინის ხენჯს  $\text{Fe}_3\text{O}_4$  ( $\text{FeO} \cdot \text{Fe}_2\text{O}_3$ ):




ადვილად შედის რეაქციაში ქლორთან. წარმოიქმნება  $\text{Fe}^{+3}$ -ის ქლორიდი:




დაწერილმანებული რკინა მაღალ ტემპერატურაზე რეაგირებს თითქმის ყველა არალითონთან მაგ. გოგირდთან:





გავარვარებულ რკინაზე წყლის ორთქლის გატარებით წარმოიქმნება  $\text{Fe}_3\text{O}_4$ :



მაღალი წნევის პირობებში გახურებისას რკინა უერთდება  $\text{CO}$ -ს და წარმოქმნის ყვითელ სითხეს – რკინის პენტაკარბონილს:




რკინა ადგილად იხსნება განზავებულ მჟავებში ორგალენტიანი რკინის შესაბამისი ნაერთების წარმოქმნით:




კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან და გოგირდმჟავასთან ჩვეულებრივ პირობებში პასიურდება. რკინა ტუტებებში არ იხსნება.

### რკინა(II)-ის ნაერთები


რკინა(II)-ის ოქსიდი ანუ ქვეშანგი –  $FeO$  – შავი ფერის მყარი ნივთიერებაა. იგი მიიღება სამვალენტიანი რკინის ოქსიდის აღდგენით:



$FeO$ -ს მიღება შეიძლება აგრეთვე რკინის ოქსალატის გახურებით უპაერო არეში:




$Fe(II)$  მარილების დაშლით მაღალ ტემპერატურაზე:




$FeO$  – არის ტიპიური ფუძე ოქსიდი. არ იხსნება წყალში და ტუტებში, იხსნება მხოლოდ მჟავებში:



რკინა(II)-ის პიდროქსიდი –  $Fe(OH)_2$  – წყალში უხსნადი თეთრი ფერის ნივთიერებაა. მიიღება რკინა(II)-ის წყალში ხსნად მარილებზე ტუტების მოქმედებით:





$\text{Fe(OH)}_2$  – ხასიათდება ფუძე თვისებებით. არ იხსნება ტუტებში. იხსნება მჟავებში და წარმოქმნის შესაბამის რკინა(II)-ის მარილებს:




$\text{Fe(OH)}_2$  – პაერზე დებულობს მურა ფერს. ამ დროს ის იქანგება და გარდაიქმნება რკინა(III)-ის პიდროქსიდად:




ორგალენტიანი რკინის მარილების მიღება შეიძლება აგრეთვე ლითონური რკინის გახსნით განზავებულ მჟავებში:



ორგალენტიანი რკინის ნაერთები არამდგრადებია და სხვადასხვა მჟანგავების მოქმედებით გადადიან სამვალენტიან რკინის ნაერთებში:




ორგალენტიანი რკინის მარილებზე კალიუმის ციანიდის მოქმედებით მიიღება  $\text{Fe}(\text{CN})_2$ :




$\text{Fe}(\text{CN})_2$  არ იხსნება წყალში, მაგრამ კარგად იხსნება ჭარბ კალიუმის ციანიდში, რის შედეგადაც მიიღება კომპლექსური მარილი  $\text{K}_4[\text{Fe}(\text{CN})_6]$  – კალიუმის ფეროციანიდი, სისხლის ყვითელი მარილი.

$\text{FeCl}_2$  ოთახის ტემპერატურაზე ენერგიულად იერთებს ამიაკს და წარმოქმნის კომპლექსურ მარილს:



ცნობილია რკინა(II)-ის კომპლექსური მარილები აგრეთვე ორგანულ ლიგანდებთან, რომლებშიც რკინა(II)-ის საკოორდინაციო რიცხვი ტოლია 6.



რკინის ორგალენტიანი იონების აღმოჩენა შეიძლება სამვალენტიანი რკინის კომპლექსური მარილის  $K_3[Fe(CN)_6]$  – კალიუმის ფერიციანიდის ანუ სისხლის წითელი მარილის ხსნარის დამატებით:



$Fe_3[Fe(CN)_6]_2$  - ტურბულის ლურჯი (მუქი ლურჯი).


### რკინა(III)-ის ნაერთები

რკინა(III)-ის ოქსიდი –  $Fe_2O_3$  – რკინის ოქსიდი მიიღება რკინა(III)-ის ჰიდროქსიდის ან მარილების დაშლით:




$Fe_2O_3$  – რკინის ოქსიდი წყალში უხსნადი მურა ფერის ნივთიერებაა. რკინის ოქსიდი (ოხრა, მუმია) გამოიყენება ზეთის საღებავების მოსამზადებლად.


$Fe_2O_3$  კარგად იხსნება მჟავებში:




იგი ამჟღავნებს სუსტ ამფოტერულ თვისებებს. ტუტებთან შელდობით წარმოქმნის მეტარკინოგანი მჟავას  $HFeO_2$ -ის მარილებს – ფერიტებს:



რკინა(III)-ის ჰიდროქსიდი –  $Fe(OH)_3$  – წყალში მცირედხსნადი მოყავისფრო – წითელი ნივთიერებაა. მიიღება შესაბამისი მარილების ხსნარებზე ტუტების მოქმედებით:




$Fe(OH)_3$  – სუსტი ფუძეა, სუსტად გამოხატული ამფოტერული თვისებებით, იხსნება მჟავებსა და ტუტებში:



სამგალენტიანი რკინის მარილები მიიღება, როგორც ალვნიშნეთ, ორგალენტიანი რკინის მარილების ჟანგვით ან სამგალენტიანი რკინის ოქსიდზე ან ჰიდროქსიდზე მუავების მოქმედებით.

$Fe_3O_4$  –  $(FeO \cdot Fe_2O_3)$  – შეიძლება განვიხილოთ როგორც  $HFeO_2$ -ის მეტარკინოვანი მუავას მარილი  $Fe^{+2}(FeO_2)_2$  – რკინის მეტაფერიტი.


$Fe(III)$  – წარმოქმნის კომპლექსურ მარილებს, რომლებშიც რკინის საკოორდინაციო რიცხვია 6:




სადაც  $K_3[Fe(CN)_6]$  - კალიუმის ფერიციანიდი, სისხლის წითელი მარილია.

$Fe(III)$  წარმოქმნის როგორც ანიონური, ისე კატიონური ტიპის კომპლექსურ მარილებს.

$Fe(III)$  – იონებისათვის დამახასიათებელია თვისებითი რეაქცია  $NCS^-$  როდანო (თიოციანატ) იონებთან.  $Fe^{+3}$  – იონები როდანო იონებთან წარმოქმნის სისხლისფერ წითელ  $Fe(III)$  როდანიდს  $-Fe(NCS)_3$ :




$Fe^{3+}$  - იონებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე თვისებითი რეაქცია, სისხლის ყვითელ მარილთან:



$Fe_4[Fe(CN)_6]_3$  – ბერლინის ლაჟვარდი, ლურჯი ფერის ნალექი.

### რკინა(VI)-ის ნაერთები

რკინა(VI)-ის ოქსიდი  $FeO_3$  და მისი შესაბამისი მუავა  $H_2FeO_4$  თავისუფალი სახით ცნობილი არ არის. ცნობილია მისი შესაბამისი მარილები – ფერატები. ფერატები მიიღება  $Fe_2O_3$ -ზე ან  $Fe(OH)_3$ -ზე ძლიერი მუანგავების მოქმედებით:





მიიღება წითელი ფერის  $K_2FeO_4$  – კალიუმის ფერატი. ფერატები ძლიერი მჟანგავებია. წყალში გახსნისას ადგილად იშლებიან:



რკინა ბიოლოგიურად აქტიური ლითონია. რკინა შედის სისხლის შემადგენლობაში და აქტიურ მონაწილეობას დებულობს სახიცოცხლო პროცესებში. რკინის ნაერთებს იყენებენ მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში. რკინა და მისი შენადნობები გამოიყენება მრეწველობის და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში.

### პოპალტი

#### ბუნებაში გავრცელება



კობალტი ბუნებაში გვხვდება მცირე რაოდენობით. იგი ბუნებაში გავრცელებულია ძირითადად ნაერთების სახით. მისი ბუნებრივი ნაერთებიდან მნიშვნელოვანია:

**კობალტინი –  $CoAsS$ ,**


**სმალტინი –  $CoAs_2$ ,** კობალტის ნაერთები მინარევების სახით გვხვდება სხვა ლითონების მაღნებში. მხოლოდ კობალტის მინერალები იშვიათად გვხვდება.

#### მიღების ხერხები

ბუნებრივ მაღნებში კობალტის მცირე შემცველობის გამო ლითონური კობალტის მიღება საკმარისად რთული პროცესია. ამ მიზნით ახდენენ კობალტის მაღნების კონცენტრირებას და შემდეგ გამოწვით კობალტის ოქსიდების მიღებას. კობალტის ოქსიდებიდან კობალტს დებულობენ აღმდგენელების მოქმედებით:



ლითონურ კობალტს დებულობენ აგრეთვე კობალტის ჟანგბადოვანი ნაერთებიდან ალუმინოთერმული აღდგენით:




ზესუფთა ლითონურ კობალტს ღებულობენ მისი მარილების ელექტროლიზით და შემდგომი ელექტროლიტური გასუფთავებით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

კობალტი რკინის მსგავსად მორუხო თეთრი ფერის, ბზინვარე ლითონია. კობალტი, როგორც ფიზიკური ისე ქიმიური თვისებებით ძალიან ჰგავს რკინას. რკინის მსგავსად კობალტი ფერომაგნიტურია, მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე გადადის პარამაგნიტურ მოდიფიკაციაში.

კობალტი რკინასთან შედარებით ნაკლებ აქტიური ლითონია. კობალტი წარმოქმნის ნაერთებს – სადაც ჟანგვითი რიცხვია +2, +3 იშვიათად +4. მშრალ ჰაერზე ჩვეულებრივ პირობებში თითქმის არ იცვლება. ჟანგბადთან შედის რეაქციაში მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე ( $300^{\circ}$ ) და წარმოქმნის ოქსიდებს  $CoO$ ,  $Co_2O_3$ ,  $Co_3O_4$ .


მაღალ ტემპერატურაზე კობალტი იხსნება განზავებულ მჟავებში, მაგრამ უფრო ძნელად ვიდრე რკინა:



ინგ კონცენტრირებულ აზოტმჟავაში და გოგირდმჟავაში პასიურდება. იხსნება ცხელ კონცენტრირებულ აზოტმჟავაში და გოგირდმჟავაში.

კობალტი იხსნება აგრეთვე მლდობ მჟავაში და „სამეფო წყალში“.

კობალტი მაღალ ტემპერატურაზე ურთიერთქმედებს თითქმის ყველა არალი-ორნთან:




ანალოგიურ ნაერთებს წარმოქმნის სხვა ჰალოგენებთანაც. კობალტი უერთდება გოგირდს:




### კობალტ(II)-ის ნაერთები


კობალტ(II)-ის ოქსიდი – **CoO** – კობალტის ქვეჯანგი, (ქვეოქსიდი) რუხი – მწვანე ფერის მყარი ნივთიერებაა. მიიღება მაღალ ტემპერატურაზე ჟანგბადის ან წყლის ორთქლის მოქმედებით:




CoO – მიიღება აგრეთვე შესაბამისი პიდროქსიდის ან მარილების დაშლით:



CoO – არ იხსნება წყალში. ხასიათდება ფუძე ოქსიდის თვისებებით. იხსნება გავებში:




CoO – არ იხსნება ტუტეებში. ტუტეებთან ურთიერთქმედებს მაღალ ტემპერატურაზე შელღობისას:



მიიღება ლურჯი ფერის ნატრიუმის კობალტიტი – Na<sub>2</sub>CoO<sub>2</sub>.


კობალტ(II)-ის პიდროქსიდი – **Co(OH)<sub>2</sub>** – ვარდისფერი, წყალში უხსნადი ფუძეა. იგი მიიღება შესაბამის მარილებზე ტუტეების მოქმედებით:



Co(OH)<sub>2</sub> პაერზე თანდათანობით იქანგება და გადადის მურა ფერის სამვალენტიან პიდროქსიდში. ძლიერი მჟანგველების მოქმედებით ჟანგვის რეაქცია მიმდინარეობს სწრაფად:



Co(OH)<sub>2</sub> ადვილად იხსნება მჟავებში:




ტუტების ცხელ ხსნარებში გახსნისას წარმოქმნება კაჟკაშა ლურჯი ფერის პიდროქსოკობალტიტები:




Co(II) წარმოქმნის, როგორც კატიონური  $[Co(NH_3)_6]Cl_2$ , ისე ანიონური  $Na_2[CoCl_4]$ ,  $K_4[CoBr_6]$  ტიპის კომპლექსურ მარილებს. Co(II)-ის კომპლექსური მარილები არამდგრადებია და მეანგველების მოქმედებით ადვილად გადადიან Co(III)-ის კომპლექსურ მარილებში.

Co(III)-ის ბინალური ნაერთები და მარილები არამდგრადებია.  $Co(OH)_3$  -ზე მჟავების მოქმედებით მიიღება არა შესაბამისი მარილები, არამედ Co(II)-ის მარილები და გამოიყოფა ჟანგბადი:



ხოლო მარილმჟავასთან მოქმედებისას გამოიყოფა ქლორი:



სამვალენტიანი კობალტის ნაერთებიდან შედარებით მდგრადია  $Co_2O_3$  და  $Co_3O_4$ .

კობალტ(III)-ის ოქსიდი –  $Co_2O_3$  – შავი ფერის წვრილი კრისტალური ნივთიერებაა. მიიღება Co(II) ნიტრატის დაშლით:



გახურებით გარდაიქმნება  $Co_3O_4$ -ად:



$Co_3O_4$  შეიძლება განვიხილოთ როგორც  $CoO \cdot Co_2O_3$ , ან როგორც  $Co(CoO_2)_2 \cdot Co_3O_4$ -ს. აქვს  $Fe_3O_4$ -ის ანალოგიური კრისტალური მესერი.

ცნობილია კობალტ(IV)-ის ოქსიდი –  $\text{CoO}_2$  - შავი ფერის მყარი ნივთიერებაა. ანალოგიური ოქსიდი რკინისთვის არ არის ცნობილი.

Co(III) წარმოქმნის, როგორც კატიონური ისე ანიონური ტიპის კომპლექსურ ნაერთებს. ცნობილია Co(III)-ის მრავალი მდგრადი კორდინაციული ნაერთი: მაგ.  $[\text{Co}(\text{NH}_3)_6]\text{Cl}_3$ ,  $[\text{Co}(\text{NH}_3)_4(\text{H}_2\text{O})_2]\text{Cl}_3$ ,  $\text{K}_3[\text{CoCl}_6]$  და სხვ.

$\text{CoO}$  და  $\text{Co}_2\text{O}_3$  გამოიყენება ლურჯი ფერის მინანქარის დასამზადებლად. კობალტის ფხვნილი გამოიყენება კატალიზატორად.

ლიდი გამოიყენება აქვს კობალტის შენადნობებს. კობალტი მრავალ ლითონას წარმოქმნის შენადნობებს და აუმჯობესებს მათ ტექნიკურ თვისებებს. კობალტის შენადნობებისაგან ამზადებენ მუდმივ მაგნიტებს, მჭრელ ინსტრუმენტებს. კობალტის შენადნობები გამოიყენება აგრეთვე ავტომშენებლობაში და რაკეტულ ტექნიკაში. კობალტის ნაერთები გამოიყენება მედიცინაში და სოფლის ძურნებაში.

## 60პლ0

### ბუნებაში გავრცელება

ნიკელი კობალტთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება ბუნებაში. გავრცელებულია როგორც თვითნაბადი ისე ნაერთების სახით. ნიკელის ბუნებრივი მინერალებიდან მნიშვნელოვანია:

მილერიტი –  $\text{NiS}$ ,

ნიკელინი –  $\text{NiAs}$ ,



სლოანციტი –  $\text{NiAs}_2$ ,

გერსდორფიტი –  $\text{NiAsS}$ ,


ულმანიტი –  $\text{NiAsSb}$  და სხვ. ნიკელის სულფიდური მადნები ხშირად შეიცავენ კობალტს, პლატინის ჯგუფის ლითონებს, ოქროს და სხვ. ნიკელს შეიცავენ აგრეთვე ლითონური მეტეორიტები.

მილების ხერხები


ნიკელის მაღნები ნიკელს შეიცავენ მცირე რაოდენობით. ამიტომ მაღნებიდან ნიკელის მისაღებად აუცილებელია მათი გამდიდრება. შემდეგ მაღანს ამუშავებენ და ლებულობენ  $\text{NiO}$ , საიდანაც ნიკელს აღადგენელის მოქმედებით:



ნიკელს ლებულობენ აგრეთვე ალუმინოთერმული მეთოდით:




ან მაღალ ტემპერატურაზე  $\text{NiCl}_2$ -ის წყალბადით აღდგენისას:




### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური ნიკელი – მორუხო-თეთრი ფერის, კობალტთან შედარებით უფრო რბილი ლითონია. ნიკელი ადვილად იწელება, მდგრადია ჰაერისა და ტენის მიმართ, რკინასთან შედარებით ნაკლებად ფერომაგნიტურია.

ქიმიურად ნიკელი არააქტიური ლითონია. დაბალ ტემპერატურაზე ჰაერის და ტენის მიმართ უფრო მდგრადია, ვიდრე რკინა, მაგრამ მაღალ ტემპერატურაზე შლის წყალს:




მაღალ ტემპერატურაზე ნიკელი უერთდება ჟანგბადს:



მიიღება მწვანე ფერის  $\text{NiO}$ .



წვრილად დაწილადებული მყარი და გალლობილი ნიკელი უფრო კარგად შთაქნოქავს წყალბადს ვიდრე რკინა და კობალტი.

მაღალ ტემპერატურაზე ნიკელი ენერგიულად მოქმედებს ჰალოგენებთან, გოგირდთან და სხვ.:



დაახლოებით  $1000^{\circ}\text{C}$ -ზე ნიკელი დიდი რაოდენობის სითბოს გამოყოფით უერთდება ალუმინის და წარმოქმნის  $\text{NiAl}$ ,  $\text{NiAl}_2$  და  $\text{NiAl}_3$ . რკინასთან, კობალტთან, სპილენთან და ქრომთან ნიკელი წარმოქმნის მყარ სსნარებს.

მჟავების მიმართ ნიკელი უფრო მდგრადია, ვიდრე რკინა. განზავებული მჟავები ნიკელზე ძნელად მოქმედებს:




რკინის და კობალტის მსგავსად ცივ კონცენტრირებულ აზოტმჟავაში პასიურდება. კარგად იხსნება ცხელ კონცენტრირებულ აზოტმჟავაში:



ნიკელის ჟანგვითი რიცხვი ნაერთებში ტოლია +2 ან +3.

### ნიკელ(II)-ის ნაერთები



**ნიკელ(II)-ის ოქსიდი –  $\text{NiO}$**  – მწვანე ფერის ფხვნილია. ბუნებაში გვხვდება მცირე რაოდენობით. მიიღება მაღალ ტემპერატურაზე ნიკელის წვით ჟანგბადში:



ან კარბონატის, სულფატის, ნიტრატის დაშლით:




$\text{NiO}$  – წყალში უხსნადია. ხასიათდება ფუძე თვისებებით. იხსნება მჟავებში:




წარმოქმნის ორგალენტიანი ნიკელის შესაბამის მარილებს.

$\text{Ni(II)}$  მარილების ხსნარებზე ტუტების მოქმედებით მიიღება ნიკელ (II)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Ni(OH)}_2$ :



გამოიყოფა მწვანე ფერის ნალექის სახით. ხსნარში დიდხანს დატოვებისას ნალექი გადადის წვრილკრისტალურ მდგომარეობაში.

$\text{Ni(OH)}_2$  – ხასიათდება ფუძე თვისებებით, იხსნება მჟავებში:




იხსნება აგრეთვე ამიაგში ან ამონიუმის მარილებში:




წარმოიქმნება  $\text{Ni(II)}$  კომპლექსური მარილები.

$\text{Ni(OH)}_2$  ორგალენტიანი რვინის და კობალტის ჰიდროქსიდისაგან განსხვავებით უფრო მდგრადია და იუანგება მხოლოდ ძლიერი მჟანგავების მოქმედებით:



ცნობილია ნიკელ(II)-ის, როგორც კატიონური, ისე ანიონური კომპლექსური ნაერთები, სადაც ნიკელის საკოორდინაციო რიცხვი ტოლია 4 ან 6. მაგ.  $[\text{Ni}(\text{NH}_3)_4]\text{I}_2$ ,  $[\text{Ni}(\text{NH}_3)_6]\text{Cl}_2$ ,  $\text{K}_2[\text{Ni}(\text{CN})_4]$  და სხვ.

ნიკელისათვის დამახასიათებელია აგრეთვე შიდაკომპლექსური ნაერთების წარმოქმნა. ნიკელი დიმეთილგლიოქსიმთან (ჩუგაევის რეაქტივი) წარმოქმნის წითელი ფერის, წყალში უხსნად ნიკელის დიმეთილგლიოქსიმატს:



ნიკელ(II)-ის დიმეთილგლიოქსიმატის წარმოქმნა გამოიყენება ანალიზურ ჯიმაში ნიკელის აღმოსაჩენად.

### ნიკელ(III)-ის ნაერთები

ნიკელის ნაერთები სადაც ჟანგვითი რიცხვი  $+3$  არამდგრადია, ამიტომ მათი რაოდენობა მეტად მცირება.


**ნიკელ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Ni}_2\text{O}_3$**  – მიიღება  $\text{Ni}(\text{II})$ -ის კარბონატის ან ნიტრატის დაშლით ჰაერის თანაობისას ( $300^\circ\text{C}$ ):



გამოიყოფა შავი ფერის ფხვნილის სახით.  $\text{Ni}_2\text{O}_3$  - ძლიერი მჟანგავია. იხსნება მარილმჟავაში:



ხოლო  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ში გახსნისას გამოიყოფა  $\text{O}_2$ :



**ნიკელ(III)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Ni}(\text{OH})_3$**  – მიიღება  $\text{Ni}(\text{OH})_2$ -ზე ძლიერი მჟანგავების მოქმედებით ტუტე გარემოში:



$\text{Ni}(\text{OH})_3$  – არამდგრადია, სუსტად გამოხატული ფუძე თვისებებით. იხსნება მჟავებში ამ დროს წარმოიქმნება  $\text{Ni}(\text{II})$ -ის მარილები.

$\text{Ni}(\text{III})$ -ის ნაერთებიდან  $\text{Ni}_2\text{O}_3$ -ს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ის გამოიყენება ტუტე აკუმულატორებში.


რკინა - ნიკელის (ედისონის) ოკუმულატორის ერთი ფირფიტა-ანოდი წარმოადგენს  $\text{Ni}_2\text{O}_3$ , ხოლო მეორე – კათოდი წვრილად დაქუცმაცებულ რკინას.

აკუმულატორის განმუხტვისას რკინა კარგავს ელექტრონებს და წარმოქმნის  $\text{Fe}^{+2}$  იონებს. ისინი უკავშირდებიან  $\text{OH}^-$  იონებს და წარმოიქმნება  $\text{Fe(OH)}_2$ . რკინის მიერ გაცემული ელექტრონები აღადგენენ  $\text{Ni}_2\text{O}_3$ -ს და წარმოიქმნება  $\text{Ni(OH)}_2$ :


კათოდზე:



ანოდზე:




შეჯამებულად ეს პროცესი გამოისახება შემდეგი რეაქციით:



აკუმულატორის დამუხტვისას რეაქცია მიმდინარეობს საპირისპიროდ. აქედან გამომდინარე აკუმულატორის დამუხტვის და განმუხტვის ქიმიური პროცესი გამოიხატება შემდეგი რეაქციის ტოლობით:

**დამუხტვა**



ნიკელის საერთო რაოდენობის დაახლოებით 10% იხმარება ლითონების დასაფარავად კოროზიის საწინააღმდეგოდ.

დიდი რაოდენობით ნიკელი გამოიყენება სხვადასხვა ლითონებთან შენადნობების დასამზადებლად. ნიკელის დამატება ფოლადს ანიჭებს მუქანიურ მდგრადობას.

ნიკელის შენადნობები სპილენძთან, რომელიც ნიკელს შეიცავს დიდი რაოდენობით, კოროზიას თითქმის არ განიცდის და გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში, გემთმშენებლობასა და თვითმფრინავმშენებლობაში.

წვრილად დაწილადებული ნიკელი გამოიყენება კატალიზატორად, მრავალ ქიმიურ პროცესში. ნიკელის ზოგიერთი ნაერთი გამოიყენება პიგმენტის სახით საღებავების წარმოებაში.

## VIII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტების ბიოლოგიური როლი

**რკინა.** რკინა სასიცოცხლო პროცესებისთვის აუცილებელი ელემენტია. ცხოველების და მცენარეების თითქმის ყველა უჯრედი შეიცავს რკინას, როგორც

ორგანულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ, ისე თავისუფალი იონების სახით. პემოგლობინი შედგება დიდი მოლეკულური მასის მქონე ცილისგან, რომელსაც გლობინი ეწოდება. გლობინი უშუალოდაა დაკავშირებული სისხლის მღებავ ნივთიერებასთან – გემასთან, რომელიც შეიცავს კოორდინაციულად დაკავშირებულ ერთ ატომ რკინის (II) იონს. რკინის ატომი სუსტი პერიქსიდული ბმით დაკავშირებულია ერთ მოლეკულა ჟანგბადთან. ეს ნივთიერება (ოქსიდემოგლობინი) წარმოადგენს ჟანგბადის გადამტანს ფილტვებიდან ქსოვილებში.

უჯრედები შეიცავენ რკინის სხვა ნაერთებსაც ცილებთან, რომლებიც მსგავსებია პემოგლობინის, მაგრამ ასრულებენ მუანგველი და აღმდგენელი ფერმენტების ფუნქციას. ეს ნივთიერებებია ციტოქრომები და სასუნთქი ფერმენტი, რომლებიც შეიცავენ რკინას (II) ადდგენილ მდგომარეობაში, ხოლო რკინას (III) – დაუანგულ მდგომარეობაში. ერთი ჟანგვითი რიცხვიდან მეორეში გადასვლის პროცესზეა დაფუძნებული ამ ნივთიერებების კატალიზური მოქმედება ორგანიზმში საკვები ნივთერებების ჟანგვით პროცესებზე.

ორგანიზმში რკინის ნაკლებობა იწვევს სისხლნაკლულობას (ანემიას), სისხლის დაავადებებს, საერთო სისუსტეს, სიგამხდრეს და სხვ.

**კობალტი.** კობალტი, ისევე როგორც რკინა, ორგანიზმისთვის აუცილებელი მიკროელემენტია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მცენარეების, ასვა ცხოველების საციცოცხლო პროცესებისათვის. ორგანიზმში კობალტი ძირითადად არსებობს ვიტამინ В<sub>12</sub>-ის სახით.

კობალტი მონაწილეობს სისხლის წარმოქმნაში, აგრეთვე ნახშირწყლების, მინერალების, ცილების, ცხიმების მიმოცვლაში.

ყველა სახის სისხლნაკლულობის (ინფექციური, ტოქსიკური, ავთვისებიანი) ძირითადი მიზეზია კობალტის უკმარისობა. ამიტომ სისხლნაკლულობის დროს ექიმები პაციენტს აძლევენ კობალტის შემცველ პრეპარატებს. იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი შეიცავს მცირე რაოდენობით კობალტს, ადამიანები და ცხოველები ავადდებიან ანემით.

კობალტს დიდი მნიშვნელობა აქვს დიაბეტით დაავადებული ადამიანების მკურნალობისათვის, რადგანაც იგი ხელს უწყობს კუჭქეშა ჯირკვლის ნორმალურ მუშაობს.

კვების პროდუქტებიდან კობალტს შეიცავს მარცვლეული და წიწიბურა.

**ნიკელი.** ნიკელს რკინასთან და კობალტთნ შედარებით, ნაკლები მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისათვის, რაც გამოწვეულია მისი ქიმიური ინერტულობით. მიუხედავად ამისა, ნიკელი კობალტის მსგავსად მონაწილეობს სისხლისა და ნახშირწყლების წარმოქმნაში. ამასთანავე იგი ტოქსიკურ ელემენტს წარმოადგენს. ორგანიზმში ნიკელის დიდი რაოდენობით არსებობა იწვევს მოწამვლას.

## თავი VII

### პლატინის ჯგუფის ლითონები

პლატინის ჯგუფის ყველა ელემენტი – რუთენიუმი, როდიუმი, პალადიუმი, ოსმიუმი, ირიდიუმი და პლატინა ბუნებაში გვხვდება თავისუფალი ლითონების სახით, რკინასთან, სპილენძთან და ოქროსთან ერთად. ისინი გვხვდებიან გრანულების ან თვითნაბადი მაღნების სახით. მაღნები ძირითადად შეიცავენ პლატინას 77 – 80% და რკინას 7 – 10%. პლატინის ჯგუფის დანარჩენი ლითონების რაოდენობა დაახლოებით 1,5 – 2,8%. მაღნები ყველაზე მცირე რაოდენობით შეიცავენ რუთენიუმს. მაღნებიდან პლატინის ჯგუფის ლითონების მიღება საკმარისად როგორც პროცესია.

ელემენტის ნომერი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო- უარყოფითო ბა	ჟანგვითი რიცხვი
$_{44}\text{Ru}$	101,07	$4s^24p^64d^75s^1$	1,42	(+1), (+2), +3, +4, +6, +8
$_{45}\text{Rh}$	102,905	$4s^24p^64d^85s^1$	1,45	+3, +4, (+6)
$_{46}\text{Pd}$	106,42	$4s^24p^64d^{10}5s^0$	1,35	+2, +4
$_{76}\text{Os}$	190,23	$4s^24p^64d^{10}$ $4f^{14}5s^25p^65d^66s^2$	1,52	+6, +8
$_{77}\text{Ir}$	192,22	$4s^24p^64d^{10}$ $4f^{14}5s^25p^65d^76s^2$	1,55	+2, +3, +4, (+6)
Pt	195,08	$4Ss^24p^64d^{10}$ $4f^{14}5Ss^25p^65d^96s^1$	1,44	+2, +4, (+6)

ლაბორატორიული გზით მათი მიღება შეიძლება შესაბამისი მარილების წყალხსნარებიდან ისეთი აღმდგენელების მოქმედებით, როგორიცაა პიდრაზინი, პიდროქსილამინი, ფორმალდეპიდი და სხვ.

პლატინის ჯგუფის ყველა ლითონი თავისუფალ მდგომარეობაში მორუხო თეთრი ფერის ბზინვარე ლითონებია. ხასიათდებიან რკინასთან შედარებით მაღალი ლდობის ტემპერატურებით. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით ძნელად ლდობადია. რუთენიუმი და ოსმიუმი განსაკუთრებით სალი ლითონებია, მაგრამ ამავე დროს მყიფე ლითონებია, რის გამოც ადვილად შეიძლება მათი გადაყვანა ფხვნილის მდგომარეობაში. როდიუმი, პალადიუმი და პლატინა ნაკლებად სალია და ძალიან წევადებია, ამიტომ მათგან შეიძლება უწვრილესი მავთულების მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ირიდიუმი ძალიან სალია, მაინც შეიძლება მისი ადვილად დამუშავება.

ქიმიურად პლატინის ჯგუფის ლითონები არააქტიური ლითონებია. მდგრადია ქიმიური რეაგენტების, განსაკუთრებით მჟავების მიმართ. რუთენიუმი, ოსმიუმი და ირიდიუმი არ იხსნებიან მჟავებში და „სამეფო წყალში“. პალადიუმი და პლატინა იხსნებიან „სამეფო წყალში“. მიუხედავად იმისა, რომ რუთენიუმი, ოსმიუმი, როდიუმი და ირიდიუმი მიეკუთვნებიან კეთილშობილ ლითონებს, მაღალ ტემპერატურაზე უერთდებიან ჟანგბადს და წარმოქმნიან შესაბამის ოქსიდებს. პალადიუმი ძალიან ძნელად უერთდება ჟანგბადს, ხოლო პლატინაზე ჟანგბადი კრაქტიკულად არ მოქმედებს.

პლატინის ჯგუფის ლითონები წარმოქმნიან სხვადასხვა ჟანგვითი რიცხვის შესაბამის ნაერთებს. ჯგუფის ნომრის ტოლი (VIII) ჟანგვითი რიცხვი ახასიათებს მხოლოდ რუთენიუმს და ოსმიუმს, პლატინის და ირიდიუმის მაქსიმალური ჟანგვითი რიცხვია +6. მოცემული ლითონებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ჟანგვითი რიცხვი +4.

პლატინის ჯგუფის ყველა ლითონი წარმოქმნის მდგრად კომპლექსურ ნაერთებს.


## რუთენიუმი

### ბუნებაში გავრცელება

ბუნებაში რუთენიუმი გვხვდება პოლილითონური მადნებში პლატინასთან და პალადიუმთან ერთად. რუთენიუმი გვხვდება აგრეთვე ირიდიუმთან, როდიუმთან და პლატინასთან ერთად შელღობილ თვითნაბად მდგომარეობაში. იშვიათად გვხვდება სულფიდური მადნების სახით.

### მიღების ხერხები

პლატინის ჯგუფის ლითონების შემცველი მადნების დამუშავების შედეგად დებულობენ RuO<sub>4</sub>-ს, რომლიდანაც ლითონურ რუთენიუმს აღადგენენ სხვადასხვა აღმდგენლების მოქმედებით:




### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


რუთენიუმი – მორუხო-თეთრი ფერის ბზინვარე ლითონია. ხასიათდება განსაკუთრებით დიდი სისალით და მაღალი ლდობის ტემპერატურით.

რუთენიუმი ჩვეულებრივ პირობებში ჟანგბადისა და ტენის მიმართ საკმარისად მდგრადია. არ იხსნება მჟავებში და „სამეფო წყალში“.



მაღალ ტემპერატურაზე რუთენიუმი უშუალოდ უერთდება ჟანგბადს:




წარმოიქმნება მოლურჯო შავი ფერის  $\text{RuO}_2$ . უფრო მაღალ ტემპერატურაზე ( $1000^{\circ}\text{C}$ )  $\text{RuO}_2$  იქანგება და წარმოიქმნება  $\text{RuO}_4$ :




გახურებისას რუთენიუმი უერთდება ჰალოგენებს, გოგირდს:



რუთენიუმის ფხვნილის შელდობით ტუბეებთან მჟანგავების თანაობისას წარმოიქმნება რუთენატები:



კალიუმის რუთენატი –  $\text{K}_2\text{RuO}_4$  – მწვანე ფერის კრისტალური ნივთიერებაა. წყალში გახსნისას ხსნარი დებულობს წითელ შეფერილობას. თუ ამ ხსნარში გავატარებოთ ქლორს, წარმოიქმნება შავი ფერის კალიუმის პერმუთენატი:




კალიუმის რუთენატი –  $\text{K}_2\text{RuO}_4$  და კალიუმის პერმუთენატი –  $\text{KRuO}_4$  დიდ მსგავსებას იჩენენ კალიუმის მანგანატთან და პერმანგანატთან.


**რუთენიუმ(II)-ის ნაერთები**

რუთენიუმ(II)-ის ნაერთებიდან ცნოილია  $\text{RuCl}_2$ ,  $\text{RuBr}_2$ ,  $\text{Ru(OH)}_2$ ,  $\text{RuS}$  და სხვ.


**რუთენიუმ(II)-ის ქლორიდი –  $\text{RuCl}_2$  –** მიღება მაღალ ტემპერატურაზე, რუთენიუმის მოქმედებით ქლორთან:



**რუთენიუმ(II)-ის ჰიდროქიდი –  $\text{Ru(OH)}_2$  –**  $\text{RuCl}_2$  –ის ხსნარზე ტუბეების მოქმედებით მიღება ყავისფერი ნალექის სახით:




$\text{Ru(OH)}_2$  არამდგრადია იგი ადვილად იუანგება შავი ფერის  $\text{Ru(OH)}_3$  წარმოიქმნით:



რუთენიუმ(II) წარმოქმნის კომპლექსურ მარილებს მაგალითად  $\text{K}_4[\text{RuCl}_6]$ ,  $\text{K}_4[\text{Ru}(\text{CN})_6] \cdot 3\text{H}_2\text{O}$  და სხვ.


### რუთენიუმ(III)-ის ნაერთები

რუთენიუმის გახურებით ( $450^{\circ}\text{C}$ - მდე) ქლორის არეში წარმოიქმნება  $\text{RuCl}_3$ :




რუთენიუმ(III)-ის ქლორიდი –  $\text{RuCl}_3$  – წყალში მცირედ იხსნება. ტუტე ლითონების ჰალოგენიდებთან გახურებისას წარმოქმნის კომპლექსურ მარილებს. მაგ.  $\text{Na}_2[\text{RuCl}_5]$ ,  $\text{K}_2[\text{RuBr}_5]$  და სხვ.

რუთენიუმ(III)-ის მარილებზე ტუტების მოქმედებით მიიღება  $\text{Ru(OH)}_3$  შავი ფერის ნალექის სახით:



### რუთენიუმ(IV)-ის ნაერთები

რუთენიუმ(IV)-ის ოქსიდი –  $\text{RuO}_2$  – მიიღება რუთენიუმის გახურებით ( $600^{\circ}\text{C}$ ) უანგბადის არეში:



$\text{RuO}_2$  – ლურჯი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. მცირედ იხსნება წყალში.

რუთენიუმ(IV)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Ru(OH)}_4$  – შავი ფერის ნივთიერებაა. მცირედ იხსნება წყალში.

რუთენიუმ(IV)-ის ქლორიდი –  $\text{RuCl}_4$  – მიიღება  $\text{RuO}_4$ -ის მარილმჟავათი აღდგენისას:




$\text{RuCl}_4$ -ზე ტუტე ლითონების ქლორიდების მოქმედებით მიიღება კომპლექსური მარილები:  $\text{Na}_2[\text{RuCl}_6]$ ,  $\text{K}_2[\text{RuCl}_6]$ .

რუთენიუმ(V)-ის ნაერთები არამდგრადებია ამიტომ მათი რაოდენობა ძალიან მცირება.

### რუთენიუმ(VI)-ის ნაერთები


ექვსვალენტიანი რუთენიუმის ნაერთებიდან აღსანიშნავია **K<sub>2</sub>RuO<sub>4</sub>**, რომელიც მიიღება რუთენიუმზე ტუტე არეში მჟანგავების მოქმედებით:




K<sub>2</sub>RuO<sub>4</sub> – მწვანე ფერის კრისტალური ნივთიერებაა.

### რუთენიუმ(VII)-ის ნაერთები

რუთენიუმ(VII)-ის ნაერთებიდან მდგრადია **KRuO<sub>4</sub>**. მისი მიღება შეიძლება K<sub>2</sub>RuO<sub>4</sub>-ის დაჯანგით:




ჭარბი რაოდენობის ქლორის მოქმედებით საბოლოოდ მიიღება RuO<sub>4</sub>:



### რუთენიუმ(VIII)-ის ნაერთები

რუთენიუმ(VIII)-ის ოქსიდი – **RuO<sub>4</sub>** – მიიღება 1000°C-ზე გახურებულ რუთენიუმზე ჟანგბადის მოქმედებით:



RuO<sub>4</sub> – ოქროსფერი ნივთიერებაა. წარმოადგენს ძლიერ მჟანგველს;



RuO<sub>4</sub> – ისნება წყალში.

ლრუბლისებური რუთენიუმი გამოიყენება კატალიზატორად მრავალ ქიმიურ პროცესში.

რუთენიუმი ძირითადად გამოიყენება შენადნობების სახით. რუთენიუმი წარმოქმნის შენადნობებს პლატინის ჯგუფის თითქმის ყველა ლითონას. რუთენიუმის შენადნობები გამოიყენება წარმოქბაში და ტექნიკის მრავალ სფეროში.


## ოსმიუმი

### ბუნებაში გავრცელება


ბუნებაში ოსმიუმი გვხვდება პლატინის ჯგუფის ლითონებთან ერთად პოლილითონურ მადნებში. ოსმიუმი ირიდიუმთან ერთად გვხვდება მინერალ ოსმირიდიუმში.

### მიღების ხერხები

პლატინის ჯგუფის ლითონების შემცველი მადნების დამუშავების შედეგად დებულობენ  $\text{OsO}_4$ , რომელიც აქროლადია და ადვილად გამოიხდება.  $\text{OsO}_4$ -იდან ლითონურ ოსმიუმს დებულობენ აღმდგენლების მოქმედებით:



ოსმიუმს დებულობენ აგრეთვე მაღალ ტემპერატურაზე კალიუმის ჰექსაქლოროსმატზე თუთიის მოქმედებით:



### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ოსმიუმი ვერცხლისფერი თეთრი, ბზინვარე ლითონია. გამოირჩევა დიდი სისალით და ლდობის მაღალი ტემპერატურით. პლატინის ჯგუფის ლითონებიდან ოსმიუმი ყველაზე სალია. ოსმიუმი მყიფე და ძნელად დასამუშავებელი ლითონია.

ოსმიუმი რუთენიუმის მსგავსად მდგრადია გარემოსა და ქიმიური რეაგენტების მიმართ. ოთახის ტემპერატურაზე ოსმიუმი ძნელად იუანგება, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე ფხვნილისებრი ოსმიუმი სწრაფად რეაგირებს ჟანგბადოთან და წარმოქმნის  $\text{OsO}_4$ .

მაღალ ტემპერატურაზე ლითონური ოსმიუმი მოქმედებს ჰალოგენებთან, გოგირდთან, ფოსფორთან, რის შედეგადაც მიიღება სხვადასხვა შედგენილობის ჰალოგენიდები, სულფიდი, ფოსფიდი და სხვ.

ლითონური ოსმიუმი მჟავებში და ტუტეებში არ იხსნება.

ქიმიურ ნაერთებში ოსმიუმის ჟანგვითი რიცხვი იცვლება  $+2$ -დან  $+8$ -მდე. ამასთან ყველაზე მდგრადია ნაერთები, სადაც ჟანგვითი რიცხვი  $+4$  ან  $+6$ .

## ოსმიუმ(II)-ის ნაერთები

ოსმიუმ(II)-ის ნაერთები არამდგრადებია. ამიტომ მათი რიცხვი მცირება. ცნობილია  $\text{OsO}_2$ -ს შავი ფერის ფხვნილი. არ იხსნება წყალში და მჟავებში. მიიღება ოსმიუმის სულფიტის  $\text{OsSO}_3$  და  $\text{Na}_2\text{CO}_3$  ნარევის გაცხელებით  $\text{CO}_2$ -ის ატმოსფეროში.

ცნობილია ოსმიუმ(II)-ის ნაერთი ქლოროთან  $\text{OsCl}_2$ , რომელიც მიიღება დაბალ წნევაზე  $\text{OsCl}_3$  გაცხელებით:



ოსმიუმი (II) წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთებს:  $\text{K}_4[\text{Os}(\text{CN})_6]$ ,  $\text{K}_4[\text{OsCl}_6]$  და სხვ.

ოსმიუმ(III)-ის შესაბამისი ნაერთები ძალიან მცირება. ცნობილია  $\text{Os}_2\text{O}_3$ ,  $\text{OsCl}_3$ ,  $\text{K}_3[\text{OsCl}_6]$ .


ოსმიუმ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Os}_2\text{O}_3$  – ეგისფერი, წყალში უსნადი ფხვნილია.

ოსმიუმ(III)-ის ქლორიდი –  $\text{OsCl}_3$  – არსებობს პოლიმერის სახით  $(\text{OsCl}_3)_n$  – ეგისფერი კრისტალური ნივთიერებაა.  $\text{OsCl}_3$  – იხსნება წყალში, გახურებისას იშლება თავისუფალი ქლორის გამოყოფით.

## ოსმიუმ(IV)-ის ნაერთები


ოსმიუმის ნაერთები, სადაც ჟანგვითი რიცხვია +4, შედარებით მდგრადია, ამიტომ მათი რაოდენობა დიდია.

ოსმიუმ(IV)-ის ოქსიდი –  $\text{OsO}_2$  – მიიღება მაღალ ტემპერატურაზე  $\text{OsO}_4$ -ის ორთქლის მოქმედებით ლითონურ ოსმიუმთან:




$\text{OsO}_2$  – ეგისფერი, წყალში მცირედ ხსნადი ფხვნილია. გახურებისას იშლება.

ოსმიუმ(IV)-ის ფტორიდი –  $\text{OsF}_4$  – მიიღება  $280^{\circ}\text{C}$ -ზე გახურებულ ლითონურ ოსმიუმზე ფტორის მოქმედებით:



ამ დროს გარდა  $\text{OsF}_4$ , წარმოიქმნება სხვა შედგენილობის ფტორიდებიც.

ოსმიუმ(IV)-ის ქლორიდი –  $\text{OsCl}_4$  – მიიღება  $\text{OsO}_2\text{-ზე}$  ძლიერ კონცენტრირებული მარილმჟავას მოქმედებით:



$\text{OsCl}_4$  წყლის მოქმედებით იშლება და კვლავ მიიღება  $\text{OsO}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ .

ოსმიუმ(IV)-ის პალოგენიდები, ტუტე ლითონების პალოგენიდებთან წარმოქმნიან კომპლექსურ ნაერთებს:  $\text{Na}_2[\text{OsCl}_6]$ ,  $\text{K}_2[\text{OsCl}_6]$ ,  $\text{K}_2(\text{OsF}_6)$  და სხვ.


ანალოგიურად მიიღებიან ნაერთები ბრომთან და იოდთან.

ოსმიუმ(V)-ის ნაერთები თითქმის არ არის ცნობილი, თუ არ ჩავთვლით  $\text{OsF}_5$  და  $\text{Na}[\text{OsF}_6]$ , რომლებიც არამდგრადებია.

### ოსმიუმ(VI)-ის ნაერთები

ოსმიუმ(VI)-ის ნაერთებიდან ყველაზე მდგრადია ოსმატები, ქლოროქსიოსმატები, ქლორნიტროოსმატები.

ოსმატები მიიღებიან  $\text{OsO}_4\text{-ზე}$  აღმდგენელების მოქმედებით ტუტეების თანაობისას:




მიღებულია აგრეთვე შემდეგი ტიპის ოსმატები:  $\text{K}_2[\text{OsO}_2\text{Cl}_4]$ ,  $\text{K}_2[\text{OsO}_3\text{Cl}_2]$  და სხვ. ბინალური ნაერთებიდან ცნობილია მხოლოდ  $\text{OsF}_6$  – მოყვითალო-მწვანე ფერის არამდგრადი ნივთიერება, რომელიც ადვილად იშლება თავისუფალ ფტორისა და უფრო დაბალი უანგვითი რიცხვის შესაბამისი ოსმიუმის ფტორიდების წარმოქმნით.

### ოსმიუმ(VIII)-ის ნაერთები

პლატინის ჯუფის ლითონებიდან ნაერთები, რომლებშიც უანგვითი რიცხვი  $+8$ , ყველაზე მეტად დამახასიათებელია ოსმიუმისათვის.

ცნობილია ოსმიუმ(VIII)-ის ნაერთები, რომლებიც წარმოადგენენ ძლიერ მჟანგველებს.


ოსმიუმ(VIII)-ის ოქსიდი –  $\text{OsO}_4$  – ოსმიუმის ყველაზე მდგრადი ნაერთია. მიიღება ოსმიუმის ფხვნილის წითელ ვარვარებამდე გახურებით:



OsO<sub>4</sub>-ის მიღება შეიძლება აგრეთვე ოსმიუმის ან მისი ნაერთების აზოტმჟავათი დაჟანგვისას.

OsO<sub>4</sub> – ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. იგი ადვილად აქროლადია. ქროლდება ოთახის ტემპერატურაზეც და აქვს დამახასიათებელი ქლორის სუნი. OsO<sub>4</sub>-ის ორთქლი ძლიერ აღიზიანებს სასუნთქ ორგანოებს და ოვალის ლორწოვან გარსს.


OsO<sub>4</sub> – იხსნება წყალში, სპირტში და ეთერში. მისი წყალხსნარი ცნობილია ოსმიუმის მჟავას სახელწოდებით. ტუტებთან წარმოქმნის მარილებს:




OsO<sub>4</sub> – ძლიერი მჟანგავია, მაგალითად:



ლითონური ოსმიუმის ფხვნილის გახურებით (250°C) ფტორის არეში მიიღება OsF<sub>8</sub>, რომელშიც ოსმიუმი ამჟღავნებს მაქსიმალურ ვალენტობას:



ოსმიუმ(VIII)-ის ფტორიდი – OsF<sub>8</sub> – ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. წყალთან მოქმედებისას იშლება



ოსმიუმის ნაერთებიდან ყველაზე დიდი გამოყენება აქვთ OsO<sub>4</sub>. მას იყენებენ როგორც კატალიზატორს ორგანულ სინთეზში.

ოსმიუმის შენადნობებს პლატინის ჯგუფის ლითონებთან იყენებენ ავტოკალმების დასამზადებლად აგრეთვე კატალიზატორებად.

## როდიუმი


### ბუნებაში გავრცელება

როდიუმი ბუნებაში გვხვდება თვითნაპადი პლატინისა და ოქროს მაღნებში მინარევის სახით. როდიუმი გვხვდება აგრეთვე პოლილითონურ მაღნებში.

### მიღების ხერხები

თვითნაბადი პლატინის მადანს ხსნიან „სამეფო წყალში“. მიღებულ ხსნარს აორთქლებენ, მიღებული მყარი ნაშთის გადამუშავების შედეგად დალექავენ  $(\text{NH}_4)_2[\text{Rh}(\text{NO}_3)_6]$ . მიღებული კომპლექსური მარილის აღდგენით დებულობენ ლითონურ როდიუმს.

ლითონურ როდიუმს დებულობენ აგრეთვე  $\text{Rh}_2\text{O}_3$ -ის წყალბადით აღდგენისას:



### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური როდიუმი მორუხო-თეთრი ფერის ბზინვარე ლითონია. წვრილად დაქუცმაცებული როდიუმი მოშავო ფერისაა. ხასიათდება მაღალი სისალის და ლითონური ტემპერატურით.

ქიმიურად როდიუმი მდგრადია ჟანგბადისა და ტენის მიმართ. არ იხსნება მჟავებში და ტუტებში.

მაღალ ტემპერატურაზე ( $1000^{\circ}\text{C}$ ) მჟანგავების მოქმედებით წარმოქმნის ოქსიდებს  $\text{Rh}_2\text{O}_3$  და არამდგრად  $\text{RhO}_2$ .

მაღალ ტემპერატურაზე მოქმედებს ჰალოგენებთან, გოგირდთან, ფოსფორთან. როდიუმი იხსნება „სამეფო წყალში“, ხოლო ჟანგბადის თანაობისას  $\text{H}_2\text{SO}_4$  და  $\text{HCl}$ -ში.


### როდიუმის ნაერთები

როდიუმი წარმოქმნის ნაერთებს სხვადასხვა ჟანგვითი რიცხვით, რომელთაგან ყველაზე მდგრადია როდიუმ(III)-ის შესაბამისი ნაერთები.

ცნობილია როდიუმ(II)-ის შესაბამისი რამდენიმე ნაერთი მაგალითად:  $\text{RhO}$ ,  $\text{RhF}_2$ ,  $\text{RhCl}_2$ ,  $\text{RhBr}_2$ ,  $\text{RhI}_2$ ,  $\text{RhS}$ . ყველა აღნიშნული ნივთიერება არამდგრადია.


### როდიუმ(III)-ის ნაერთები

$\text{Rh}_2\text{O}_3$  მიიღება ჰაერზე როდიუმის გახურებით წითელ ვარვარებამდე:




როდიუმ(III)-ის ოქსიდი –  $\text{Rh}_2\text{O}_3$  – მორუხო-შავი ფერის ფხვნილია. წყალში და მჟავებში არ იხსნება.



$\text{Rh}(\text{OH})_3$  – მიიღება როდიუმ(III)-ის მარილებზე ტუტების მოქმედებით:



როდიუმ(III)-ის ჰიდროქსიდი –  $Rh(OH)_3$  – ყვითელი ფერის ლაბისებური ნალექია. არ იხსნება წყალში, მაგრამ კარგად იხსნება მჟავებში:



როდიუმ(III)-ის ნაერთები ჰალოგენებთან მიიღება მაღალ ტემპერატურაზე. ფხვნილისებრი როდიუმის მოქმედებით ჰალოგენებთან:



ანალოგიურად მიიღება ნაერთები ბრომთან და იოდთან.

როდიუმ(III) წარმოქმნის კატიონური და ანიონური ტიპის კომპლექსურ ნაერთებს მაგ.:  $Na_3[RhCl_6]$ ;  $[Rh(NH_3)_6]Cl_3$ ,  $[Rh(NH_3)_6]Br_3$  და სხვ.

როდიუმ(IV)-ის ნაერთებიდან ცნობილია  $RhO_2$ . მიიღება როდიუმის შელდობით სოდასთან და ნატრიუმის ნიტრატთან.  $RhO_2$  – მურა ფერის ფხვნილია. არ იხსნება წყალში და მჟავებში.

ღრუბლისებრი როდიუმი გამოიყენება კატალიზატორად. როდიუმს დიდი ამრეკლავი თვისებების გამო იყენებენ რეფლექტორებში. გამოიყენება კონტაქტორების და საიუველირო საგნების წარმოებაში, თერმოწყვილების და ავტოკალმების წევების გასაკეთებლად.


## 070100შმ0

### ბუნებაში გავრცელება

ირიდიუმი ბუნებაში გვხვდება, როგორც თვითნაბადი ისე პლატინის ჯუფის ლითონებთან ერთად პოლილითონურ მაღნებში.

### მიღების ხერხები


ირიდიუმის შემცველი მაღნების დამუშავების შედეგად დებულობენ  $\text{Na}_2[\text{IrCl}_6]$ , რომლის თერმული დაშლისას მიიღება ლითონური ირიდიუმი:



### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური ირიდიუმი – მორუხო-თეთრი ფერის ლითონია, ხასიათდება დიდი სისალითა და ლდობის მაღალი ტემპერატურით. ირიდიუმი მყიფე ლითონია, ამიტომ ადვილია მისი ფხვნილისებურ მდგომარეობაში გადაყვანა.

ჩვეულებრივ პირობებში ირიდიუმი ქიმიურად ძლიერ მდგრადი ლოთონია. უანგბადთან და სხვა არალითონებთან ურთიერთქმედებს მხოლოდ წითელი ვარვარების პირობებში:




ირიდიუმი არ იხსნება მჟავებში, ტუტებში და არც „სამეფო წყალში“. ფხვნილისებური ირიდიუმი შთანთქავს წყალბადს.

### ირიდიუმის ნაერთები

ირიდიუმი წარმოქმნის ნაერთებს სხვადასხვა უანგვითი რიცხვით, რომელთაგან მდგრადია ნაერთები, სადაც უანგვითი რიცხვი ტოლია +3 და +4.

ირიდიუმ(II)-ის ნაერთებიდან ცნობილია ჰალოგენიდები, რამდენიმე კომპლქსური მარილი.


**ირიდიუმ(II)-ის ქლორიდი –  $\text{IrCl}_2$**  – მიიღება ირიდიუმის ფხვნილის ქლორის არეში გახურებისას:



მისი მიღება შეიძლება აგრეთვე  $\text{IrCl}_3$   $600^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე გახურებით:



$\text{IrCl}_2$  – მწვანე ფერის კრისტალური ნივთიერებაა. უფრო მაღალ ტემპერატურაზე გახურებისას იშლება მარტივ ნივთიერებებად:




ცნობილია ირიდიუმ(II)-ის კომპლექსური მარილები, მაგალითად:

$K_4[Ir(CN)_6]$ ,  $K_4[IrCl_6]$  და სხვა.


### ირიდიუმ(III)-ის ნაერთები

ირიდიუმ(III)-ის ნაერთები შედარებით მდგრადია.

ირიდიუმ(III)-ის ოქსიდი –  $Ir_2O_3$  – მიღება ირიდიუმ(III)-ის სულფიდის დაწვით:



მისი მიღება შეიძლება აგრეთვე  $K_3[IrCl_6]$ -ზე ტუტების ან ტუტე ლითონების კარბონატების მოქმედებით:




ამ დროს წარმოიქმნება  $Ir_2O_3$ -ის პიდრატირებული ფორმა. თუ დალექვა ხდება განზავებული  $KOH$ -ის მოქმედებით,  $Ir_2O_3$  არის მწვანე ფერის, ხოლო თუ კონცენტრირებული  $KOH$ -ით შავი ფერის.

ირიდიუმ(III)-ის ქლორიდი –  $IrCl_3$  - მიღება  $600^{\circ}C$  -მდე გახურებულ ფხვნილისებრ ირიდიუმზე ქლორის მოქმედებით:




$IrCl_3$  –მწვანე ფერისაა. ოთახის ტემპერატურაზეც კი აქროლადია. წყალსა და მჟავებში მცირედ ხსნადია.

ირიდიუმ(III)-ის ბრომიდი –  $IrBr_3$  - მიღება  $Ir_2O_3$  –ზე ბრომწყალბადმჟავას მოქმედებით:



$IrCl_3$  –ის ხსნარში  $H_2S$  –ის გატარებით მიღება  $Ir_2S_3$




ირიდიუმ(III)-ის სულფიდი –  $Ir_2S_3$  – ყავისფერი, მყარი ნივთიერებაა.  $1000^{\circ}C$ -ზე გახურებისას იშლება მარტივ ნივთიერებებად



### ირიდიუმ(IV)-ის ნაერთები


ირიდიუმის ფხვნილის გახურებით წითელ ვარვარებამდე ჰაერის ან ჟანგბადის არეში წარმოიქმნება  $\text{IrO}_2$



ან  $\text{K}_2[\text{IrCl}_6]$  და  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის ნარევის გახურებით



ირიდიუმ(IV)-ის თქსიდი –  $\text{IrO}_2$  – შავი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. ძლიერი გახურებისას იშლება მარტივ ნივთიერებებად




ირიდიუმ(IV)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Ir(OH)}_4$  – მიიღება ნატრიუმის ჰექსაქლორიდიდაბის (III).  $\text{Na}_3[\text{IrCl}_6]$  ხსნარზე ნატრიუმის ტუტის მოქმედებით ჟანგბადის თანაობისას


ირიდიუმ(IV)-ის ფტორიდი –  $\text{IrF}_4$  – მიიღება,  $\text{IrF}_6$  და ირიდიუმის ფხვნილის გახურებით




$\text{IrF}_4$  წყალხსნარში განიცდის ჰიდროლიზს



ირიდიუმ(IV)-ის ქლორიდი –  $\text{IrCl}_4$  – მიიღება ირიდიუმზე ქლორის მოქმედებით  $600^{\circ}\text{C}$  მაღალი წნევის ქვეშ



ირიდიუმ(IV)-ის ბრომიდი –  $\text{IrBr}_4$  – მიიღება  $\text{IrO}_2$ -ზე ბრომწყალბადმჟავას მოქმედებით



$\text{IrBr}_4$  წყალში  $\text{IrF}_4$ -ის ანალოგიურად განიცდის ჰიდროლიზს.

ირიდიუმ(IV)-ის სულფიდი –  $\text{IrS}_2$  – მიიღება გოგირდისა და ფხვნილისებური ირიდიუმის გახურებით




ირიდიუმ(IV) წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთებს, მაგალითად  $\text{NaCl}$  ან  $\text{KCl}$  და ირიდიუმის ფხვნილის ქლორის არეში გახურებისას მიიღება  $\text{Na}_2[\text{IrCl}_6]$



### ირიდიუმ(VI)-ის ნაერთები

ექსვალენტიანი ირიდიუმის ნაერთები ძალიან მცირე რაოდენობით არის ცნობილი. ცნობილია  $IrF_6$ , რომელიც მიიღება ფტორის არეში ირიდიუმის ფხვნილის გახურებით ფლუორიტის მილში



წარმოიქმნება მუქი ფერის მასა, რომელიც ლდგება  $+44^0C$ -ზე. უფრო მაღალ ტემპერატურაზე გახურებისას იშლება  $IrF_4$  და  $F_2$



ირიდიუმ(VI)-ის ფტორიდი –  $IrF_6$  – ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერებაა.

ცნობილია ირიდიუმის ჟენადნობები პლატინის ჯგუფის ლითონებთან, რომლებიც დიდ გამოყენებას პოულობენ ტექნიკასა და მრეწველობის მრავალ დარგში. გამოიყენება ქიმიური აპარატურის და საზომი ეტალონების დახამზადებლად.

ფხვნილისებრი ირიდიუმი გამოიყენება კატალიზატორად.

### პალადიუმი

#### ბუნებაში გავრცელება

პალადიუმი ბუნებაში გვხვდება პლატინის ჯგუფის ლითონებთან ერთად პოლილითონურ მაღნებში.

იგი გვხვდება აგრეთვე თვითნაბადი პალადიუმის სახით.

#### მიღების ხერხები

მაღნებიდან ლითონური პალადიუმის მიღება საკმარისად რთული პროცესია. პალადიუმის შემცველი მაღნების დამუშავების შედეგად მიღებული ნაერთებიდან ლითონურ პალადიუმს დებულობენ მათი თერმული დაშლით ან აღმდგენლების მოქმედებით.


#### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური პალადიუმი მორუხო-თეთრი ბზინვარე ლითონია. წვრილად დაწილადებული პალადიუმი მონაცრისფრო შავი ფერისაა. ხასიათდება მაღალი ლითონის ტემპერატურით და სისალით. პალადიუმის ჯგუფის სხვა ლითონებთან შედარებით პალადიუმის მექანიკური დამუშავება უფრო ადვილია.

ლითონური პალადიუმისათვის დამახასიათებელია წყალბადის (და სხვა აირების –  $\text{CO}$ ,  $\text{O}_2$ ) განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შთანთქმის უნარი.

პლატინის ჯგუფის სხვა ლითონებთან შედარებით პალადიუმი ქიმიურად უფრო აქტიური ლითონია, მაგრამ რეაქციაში ისიც მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე შედის.

მაღალ ტემპერატურაზე პალადიუმი რეაქციაში შედის პალოგენებთან




ანალოგიურად ურთიერთქმედებს ბრომთან, იოდთან.

მაღალ ტემპერატურაზე წარმოქმნის ნაერთს გოგირდთან




გალიონილ პალადიუმზე მოქმედებენ ტუტე ლითონების მჟანგავი ნაერთები




პალადიუმისათვის დამახასიათებელია ქიმიური ნაერთები სადაც, მისი უანგვითი რიცხვი ტოლია +2 ან +4. ამათგან უფრო მდგრადია ნაერთები, სადაც უანგვითი რიცხვი ტოლია +2.

**პალადიუმ(II)-ის ნაერთები**

**პალადიუმ(II)-ის ოქსიდი –  $\text{PdO}$  – მიიღება გავარვარებულ პალადიუმზე უანგბადის ან ჰაერის მოქმედებით**



უფრო მაღალ ტემპერატურაზე გახურებისას  $PdO$  იშლება მარტივ ნივთიერებებიდან




იგი მიიღება აგრეთვე პალადიუმ(II)-ის ნიტრატის გახურებით



$PdO$ -შავი ფერის ფხვნილისებრი ნივთიერებაა. არ იხსნება ძლიერ მჟავებში და „სამეფო წყალში“.


პალადიუმ(II)-ის ჰიდროქსიდი –  $Pd(OH)_2$  – მიიღება პალადიუმ(II)-ის ნიტრატის ჰიდროლიზით ან ორვალენტიანი პალადიუმის მარილების ტუტებით დამუშავებისას



$Pd(OH)_2$  – მურა ფერის ნივთიერებაა, იხსნება მჟავებში.

$Pd(OH)_2$  – არსებობს ჰიდრატირებული ფორმით. გახურებისას ხდება მიხი თანდათანობით გაუწყლოვება. ამ დროს იგი დებულობს შავ შეფერილობას და ხდება მჟავებში უხსნადი.

$Pd(II)$ -ის შესაბამისი მარილები მიიღება მაღალ ტემპერატურაზე ლითონურ პალადიუმზე არალითონების მოქმედებით



ან პალადიუმის გახსნით კონცენტრირებულ მჟავებში



პალადიუმის გახსნით ცხელ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში



პალადიუმზე მარილმჟავას მოქმედებით, ქლორის თანაობისას წარმოიქმნება  $H_2[PdCl_4]$  – ტეტრაქლორპალადიუმმჟავა.

პალადიუმი (II) წარმოქმნის, როგორც კატიონური, ისე ანიონური ტიპის კომპლექსურ ნაერთებს:  $K_2[Pd(CN)_4]$ ,  $K_2[PdCl_4]$ ,  $[Pd(NH_3)_4]Cl_2$ ,  $[Pd(NH_3)_4](NO_3)_2$  და სხვა.

პალადიუმ(III)-ის ნაერთებიდან ცნობილია  $PdF_3$ ,  $Pd_2O_3$ ,  $H_2[PdCl_5]$ ,  $Cs_2[PdCl_5]$ .

პალადიუმ(III)-ის ფტორიდი –  $PdF_3$  – მიიღება  $PdF_2$ -ზე ფტორის მოქმედებით  $200^{\circ}C$




$PdF_3$  – შავი ფერის ფხვნილია.  $PdF_3$  უფრო მდგრადია ვიდრე  $PdF_2$ .

#### პალადიუმ(IV)-ის ნაერთები

ოთხგალენტიანი პალადიუმის მარტივი მარილები თავისუფალი სახით ცნობილი არ არის. პალადიუმ(IV)-ის ნაერთებიდან ცნობილია  $PdO_2 \cdot 2H_2O$  და კომპლექსური მარილები.

$PdO_2 \cdot 2H_2O$  მიიღება  $K_4[PdCl_6]$ -ზე ტუტების მოქმედებით



$PdO_2 \cdot 2H_2O$  – წყალში უხსნადი წითელი ფერის ნივთიერებაა. იხსნება განზავებულ მჟავებში და ტუტეთა კონცენტრირებულ ხსნარებში.

პალადიუმ(IV) წარმოქმნის მხოლოდ ანიონური ტიპის კომპლექსებს, მაგალითად:  $K_2[PdCl_6]$ , რომელიც მიიღება ლითონური პალადიუმის გახსნით „სამეფო წყალში“  $KCl$ -ის თანაობისას ან  $K_2[PdCl_4]$ -ზე ქლორის მოქმედებით



$K_2[PdCl_6]$  წყალსსნარში იშლება ქლორის გამოყოფით



პალადიუმი მრავალ ლითონთან წარმოქმნის შენადნობებს. პალადიუმი და მისი შენადნობები გამოიყენება კლუტროკონტაქტორების, თერმოელემენტების დასამზადებლად. პალადიუმის შენადნობები გამოიყენება ლითონების დეკორატიული დაფარვისათვის, სტომატოლოგიაში, ქირურგიული ხელსაწყოების და საიუველირო ნაკეთობების წარმოებაში.

ფხვნილისებური ან ლიუბლისებური პალადიუმი გამოიყენება კატალიზატორად.

## პლატინა

### ბუნებაში გავრცელება

პლატინა ბუნებაში გვხვდება ოქროს მსგავსად გრანულების ან თვითნაბადი პლატინის სახით. პლატინა გვხვდება აგრეთვე პოლილითონურ მაღნებში.

### მიღების ხერხები

პლატინას დებულობენ მაღნების პიდრომეტალურგიული დამუშავებით. გასუფთავების მიზნით ნედლ პლატინას გახსნიან „სამეფო წყალში“. მიღებული სსნარიდან ამონიუმის ქლორიდის მოქმედებით დებულობენ  $(NH_4)_2[PtCl_6]$ , ხოლო მიღებული მარილის თერმული დაშლით დებულობენ 99%-ის შემცველ ლითონურ პლატინას.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

პლატინა თავისუფალ მდგომარეობაში მორუხო თეთრი ლითონია. ფხვნილისებურ მდგომარეობაში დებულობს შავ ფერს, ხოლო კოლოიდური პლატინა წითელი ფერისაა.

პლატინა მნელადლლობადი, საკმარისად სალი ლითონია. პლატინა, განსაკუთრებით ღრუბლისებრ მდგომარეობაში, შთანთქავს დიდი რაოდენობით წყალბადს. ქიმიური თვისებებით პლატინა, მისი ჯგუფის ლითონებიდან ყველაზე ნაკლებ აქტიური ლითონია. მდგრადია გარემოს და მთელი რიგი აქტიური ქიმიური რეაგენტების მიმართ.

პლატინა წარმოქმნის ნაერთებს, სადაც ჟანგვითი რიცხვი ძირითადად ტოლია +2 ან +4. ცნობილია ერთვალენტიანი პლატინის ნაერთი ( $\text{PtCl}_4$ ), სამვალენტიანი (კომპლექსური) და ექვსვალენტიანი ( $\text{PtF}_6$ ,  $\text{PtO}_3$ ); ყველა ეს ნაერთები არამდგრადები და ნაკლებად მნიშვნელოვანია. პლატინას აქვს მკვეთრად გამოხატული კომპლექსწარმოქმნის უნარი. ხსნარებში პლატინის ნაერთები არსებობენ ძირითადად კომპლექსური ნაერთების სახით.


### პლატინა(II)-ის ნაერთები

ცნობილია პლატინის მრავალი ნაერთი, სადაც მისი ჟანგვითი რიცხვია +2.

**პლატინა(II)-ის ოქსიდი –  $\text{PtO}$**  – მიიღება წვრილად დაწილადებული ან ღრუბლისებური პლატინის გახურებით ( $450^{\circ}\text{C}$ ) ჟანგბადის არეში




მისი მიღება შეიძლება აგრეთვე მაღალ ტემპერატურაზე  $\text{Pt(OH)}_2$ -ის დაშლით




$\text{PtO}$  – შაგი ფერის ფხვნილია. გახურებისას ადგილად იქანგება და გადადის  $\text{PtO}_2$




უფრო მაღალ ტემპერატურაზე გახურებისას ( $500^{\circ}\text{C}$ ) იშლება მარტივ ნივთიერებებად




პლატინა(II)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{Pt(OH)}_2$  – მიიღება, პლატინა(II)-ის მარილების ტუბებით დამუშავებისას



36





$\text{Pt(OH)}_2$ -წყალში მცირედ ხსნადი შავი ფერის ფხვნილია, იხსნება კონცენტრირებულ მჟავებში



წარმოიქმნება –  $\text{H}_2[\text{PtCl}_4]$  ტეტრაქლორპლატინის მჟავა.

პლატინა(II) პალოგენებთან წარმოქმნის ნაერთებს:  $\text{PtF}_2$ ,  $\text{PtCl}_2$ ,  $\text{PtBr}_2$  და  $\text{PtI}_2$ .

$\text{PtF}_2$  და  $\text{PtCl}_2$  მიიღება პლატინის მავთულის გახურებით ( $600^{\circ}\text{C}$ ) ფტორის ან ქლორის არეში:



$\text{PtF}_2$  და  $\text{PtCl}_2$  უფრო მაღალ ტემპერატურაზე გახურებით იშლებიან მარტივ ნივთიერებებად.

$\text{PtCl}_2$  – მიიღება აგრეთვე  $\text{H}_2[\text{PtCl}_4]$ -ის გაცხელებით  $240^{\circ}$ -ზე:



პლატინა(II)-ის ქლორიდი –  $\text{PtCl}_2$  – მუქი მწვანე ფერის ნივთიერებაა, მცირედ იხსნება წყალში. განზაგებულ მარილმჟავაში გახსნით კვლავ წარმოიქმნება ტეტრაქლორპლატინმჟავა




პლატინა(II)-ის ბრომიდი –  $\text{PtBr}_2$  – მიიღება  $\text{PtBr}_4$ -ის გახურებით ( $200^{\circ}\text{C}$ )-ზე



პლატინა(II)-ის ბრომიდი  $PtCl_2$ -ის ანალოგიურად იხსნება  $HBr$ -ში



პლატინა(II)-ის სულფიდი –  $PtS$  – მიიღება ფხვნილისებრ პლატინაზე გალვანიუმილი გოგირდის მოქმედებით ან კალიუმის ტეტრაქლორპლატინატის ხსნარში გოგირდწყალბადის გატარებით



$PtS$  – მუქი მწვანე ფერის კრისტალებია. არ იხსნება წყალში და მჟავებში.

პლატინა (II) წარმოქმნის მთელ რიგ კომპლექსურ ნაერთებს, სადაც პლატინა შედის როგორც ანიონის, ისე კატიონის შემაღგენლობაში.

პლატინა(II)-ის კომპლექსური ნაერთები შეიძლება განვიხილოთ, როგორც  $H_2[PtCl_4]$ -ის მარილები. პლატინა(II)-ის კომპლექსური ნაერთებიდან ცნობილია:  $K_2[PtCl_4]$ ,  $(NH_4)_2 [PtCl_4]$ ,  $K_2[Pt(CN)_4]$ ,  $[Pt(NH_3)_4]Cl_2$ ,  $[Pt(NH_3)_2Cl_2]$  და სხვა.

პლატინა (III)-ის ნაერთები ცნობილია ძალიან მცირე რაოდენობით. მაგ.  $Pt_2O_3 \cdot nH_2O$ ,  $PtCl_3$ ,  $PtBr_3$ ,  $Pt_2S_3$ . ამ ტიპის ყველა ნაერთი არამდგრადია.

### პლატინა(IV)-ის ნაერთები

პლატინის უანგბადოვანი ნაერთებიდან ყველაზე მდგრადია პლატინა(IV)-ის ოქსიდი  $PtO_2 \cdot 3H_2O$ .

პლატინა(IV)-ის ოქსიდი –  $PtO_2 \cdot 3H_2O$  – წყალში მცირედ ხსნადი ყვითელი ფხვნილია. მიიღება  $PtCl_4$ -ის წყალხსნარის ტუტებთან დუღილით



ან ჰექსაქლორპლატინა (IV) მჟავის შელდობით კალიუმის ნიტრატთან.


$PtO_2$ -ის გახსნით მარილმჟავაში წარმოიქმნება  $H_4[PtCl_6]$  – ჰექსაქლორპლატინ მჟავა



გამოიყოფა –  $H_2[PtCl_6] \cdot 6H_2O$  სახით.


$PtO_2$ -ს ახასიათებს სუსტი ამფოტერული, თვისებები მოქმედებს ტუტებთან. კალიუმის ტუტებთან შეღდობისას წარმოქმნის  $K_2[Pt(OH)_6]$

$H_2[PtCl_6]$  მიიღება აგრეთვე ლითონური პლატინის გახსნით „სამეცნ“ წყალში“



ცნობილია პლატინა(IV)-ის ნაერთები პალოგენებთან.


პლატინა(IV)-ის ფტორიდი –  $PtF_4$  – მიიღება გავარვარებულ პლატინაზე ფტორის მოქმედებით, წითელი ფერის კრისტალების სახით:



პლატინა(IV)-ის ქლორიდი –  $PtCl_4$  – მიიღება  $PtF_4$ -ის ანალოგიურად ან ჰექსაქლორპლატინა (IV) მჟავას გაცხელებით:



$PtCl_4$  – წყალში ხსნადი მოწითალო-მურა ფერის კრისტალური ნივთიერებაა. წყალხსნარში არსებობს კომპლექსური მჟავას სახით –  $H_2[PtCl_4(OH)_2]$ .  $PtCl_4$  – იხსნება მარილმჟავაში და წარმოქმნის ჰექსაქლორპლატინა (IV) მჟავას




$H_2[PtCl_6] \cdot 6H_2O$  – მოწითალო მურა ფერის კრისტალებია. ცნობილია  $PtBr_4$ , რომელიც მიიღება ჰექსაბრომპლატინა (IV) – მჟავას გაცხელებით



პლატინა(IV)-ის ბრომიდი –  $PtBr_4$  – ყავისფერი ნივთიერებაა.

**პლატინა(IV)-ის იოდიდი –  $PtI_4$**  – მიიღება მაღალ ტემპერატურაზე პლატინის ფხვნილის მოქმედებით იოდთან




ან  $H_2[PtCl_6]$ -ზე კალიუმის იოდიდის ცხელი ხსნარის მოქმედებით.

$PtI_4$  – იხსნება  $KI$ -ის ხსნარში და წარმოქმნის  $K_2[PtI_6]$



**პლატინა(IV)-ის სულფიდი –  $PtS_2$**  – მიიღება  $PtCl_4$ -ის ან ჰექსაქლორპლატინ(IV) მჟავას ხსნარში გოგირდწყალბადის გატარებით



პლატინა (IV) წარმოქმნის მრავალრიცხვან კომპლექსებს. მაგალითად:  $K_2[PtCl_6] \cdot 6H_2O$ ,  $(NH_4)_2[PtCl_6]$ ,  $[Pt(NH_3)_6]Cl_4$  და სხვა.

პლატინა(VI)-ის ნაერთები მცირე რაოდენობითაა ცნობილი. ამ ტიპის ნაერთებიდან  $Cu_2O_3 \cdot H_2O$  და  $PtF_6$ .

პლატინა და მისი შენაღნობები გამოიყენება ქიმიური აპარატურის, ელექტროლუმელების გამობობი ელემენტების, ტემპერატურის გამზომი ხელსაწყოების, ელექტროკონტაქტორების, რენტგენის მიღაების და საიუველირო ნაკეთობების წარმოებაში.

პლატინა გამოიყენება კატალიზატორად მრავალ ქიმიურ პროცესში.

## პლატინის ჯგუფის ელემენტების ბიოლოგიური როლი

რკინის ტრიადის და პლატინის ჯგუფის ელემენტები ბიოლოგიური აქტიურობით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ რკინი ბიოლოგიურად აქტიური ელემენტია, პლატინის ჯგუფის ელემენტების ბიოლოგიურ აქტიურობაზე მსჯელობა შედარებით ძნელია, რადგან ამ

მიმართულებით მხოლოდ მცირე მონაცემები არსებობს. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს ერთის მხრივ, პლატინის ჯგუფის ელემენტების ტოქსიკურობა და მეორეს მხრივ, მათი კოორდინაციული ნაერთების ონკოლოგიურ დაავადებთა სამკურნალოდ გამოყენების პერსპექტიულობა.

რუთენიუმი და ოსმიუმი, ასევე როდიუმი და ირიდიუმი, არ წარმოადგენენ ბიოლოგიურად აქტიურ ელემენტებს, რაც გამოწვეულია მათი ქიმიური პასიურობით.

პალადიუმის და პლატინის პომო- და ჰეტეროგენული ნაერთების ინერტულობა ასევე განაპირობებს მათ ბიოლოგიურ პასიურობას.

1969 წელს აღმოჩენილ იქნა პლატინის ზოგიერთი კოორდინაციული ნაერთის სიმსივნის სამკურნალო თვისებები. მაღალი სიმსივნის სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ცის-დიქლოროდიამინოპლატინა(II), მაშინ როდესაც ტრანს-დიქლოროდიამინოპლატინას (II) სამკურნალო თვისებები საერთოდ არ გააჩნია. ამ პრეპარატის სამკურნალოდ ფართო მასშტაბით გამოყენებას ხელს უშლის მისი ტოქსიკურობა, ამიტომ მეცნიერები ცდილობენ სამკურნალოდ პლატინის ისეთი ნაერთების გამოყენებას, რომლებიც ნაკლებად ტოქსიკურებია. ამ მხრივ ყველაზე საუკეთესოა ციკლოპლატამი. იგი წარმოადგენს s-მალტოამინ(ციკლოპლატინამილ) პლატინა(II)-ს. ციკლოპლატამი გამოიყენება ფილტვის, კუჭის, საშვილოსნოს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სამკურნალოდ. ციკლოპლატამი არ არის ტოქსიკური და ხასიათდება ეფექტური სამკურნალო თვისებებით.

პალადიუმის ნაერთებსაც აქვთ სამკურნალო გამოყენების პერსპექტივა. უმავი მიღებულია პალადიუმის სამკურნალო პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ონკოლოგიაში და რადიოლოგიაში. მიღებულია პალადიუმის კომპლექსური ნაერთი ტურინთან (β-ამინოსულფომჟავა), რომელსაც აქვს ანტიარითმიული თვისებები და ამავე დროს ტოქსიკური არ არის.

## თავი VIII

### I ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები

დ.ი.მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის პირველი ჯგუფის d-ელემენტებია: სპილენძი, ვერცხლი და ოქრო.

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო-უარყოფითობა	ჟანგვითი რიცხვი
Cu	65,546	$3s^2 3p^6 3d^{10} 4s^1$	1,75	+1, +2, (+3)
Ag	107,8682	$4s^2 4p^6 4d^{10} 5s^1$	1,42	+1, +2, (+3)
Au	196,96654	$4s^2 4p^6 4d^{10} 4f^1 5s^2 5p^6 5d^{10} 6s^1$	1,42	+1, +3, (+5)

როგორც ელექტრონული ფორმულებიდან ჩანს, მათ გარე სავალენტო ns-ქვედონებები აქვთ თითო ელექტრონი, რითაც ისინი ემსგავსებიან შესაბამისი ჯგუფის s-ელემენტებს. პირველი ჯგუფის s-ელემენტებისგან განსხვავებით სპილენძის ქვეჯგუფის ელემენტებს აქვთ ელექტრონები (n-1)d-ქვედონებები. ატომური ნომრის შესაბამისად მოცემული ელემენტის ატომებს (n-1)d მდგომარეობაში უნდა ჰქონდეთ ცხრა-ცხრა ელექტრონი, მაგრამ  $d^{10}$ -კონფიგურაციის მდგრადობის გამო ენერგეტიკულად უფრო ხელსაყრელია ns-ელექტრონის გადასვლა (n-1) მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, სპილენძს, ვერცხლსა და ოქროს ns-ქვედონებები აქვთ თითო ელექტრონი, ხოლო (n-1)d-ქვედონებები ათ-ათი ელექტრონი. მიუხედავად იმისა, რომ (n-1)d ქვედონებები სპილენძის, ვერცხლის და ოქროს ატომებს აქვთ დასრულებული  $d^{10}$ -ქვედონები, იგი მაინც არ არის სტაბილური, რადგან (n-1)d ქვედონის შევსება ხდება ns-ელექტრონის გადასვლით, რომელიც არ არის მყარად ლოკალიზებული მოცემულ ქვედონებები. ამიტომ გარკვეულ პირობებში მათ შეიძლება მოწყდეს ელექტრონი გარე შრის s- ელექტრონთან ერთად. აქედან გამომდინარე, მოცემულ ელემენტებს

შეუძლია გამოამჟღავნონ ჟანგვითი რიცხვი +1 დან +3-მდე. სპილენძისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ჟანგვითი რიცხვი +2, ვერცხლისათვის +1, ხოლო ოქროსათვის +3.

ატომების განსხვავებული აღნაგობიდან გამომდინარე პირველი ჯგუფის d-ელემენტების ქიმიური თვისებები მკვეთრად განსხვავდებიან ამავე ჯგუფის s-ელემენტებისგან. სპილენძი, ვერცხლი და ოქრო ძნელად წარმოქმნიან დადებით იონებს, მაშინ როდესაც ტუტე ლითონები ადვილად გასცემენ ელექტრონებს და იმუხტებიან დადებითად. აღნიშნული d-ელემენტები ძნელად ან ძალიან ძნელად იერთებენ ჟანგბადს, მაშინ როდესაც ტუტე ლითონები ადვილად იერთებენ ჟანგბადს და იუანგებიან.

პირველი ჯგუფის s და d ელემენტებს შორის მკვეთრი განსხვავება შეიძლება აიხსნას იმით, რომ d ელემენტების ატომების და იონების რადიუსები უფრო მცირეა, ვიდრე s ელემენტების. ამის გამო სპილენძი, ვერცხლი და ოქრო ხასიათდებიან დიდი სიმკვრივით, მაღალი დუღილის და დნობის ტემპერატურათ. სპილენძის ქვეჯგუფის ელემენტებს აქვთ უნარი წარმოქმნან როგორც კათიონური, ისე ანიონური ტიპის კოორდინაციული ნაერთები, მაშინ როდესაც ტუტე ლითონები კოორდინაციულ ნაერთებს თითქმის არ წარმოქმნიან.

## სპილენძი

### ბუნებაში გავრცელება

სპილენძი ბუნებაში გვხვდება როგორც თავისუფალი, ისე ნაერთების სახით. თავისუფალი სპილენძი ძირითადად პოლიმეტალურ მაღნებში გვხვდება. საქართველოაში ასეთი საბადოა – მაღნეულის საბადო, რომელიც 0,2–1,2% სპილენძს შეიცავს.

სპილენძის ბუნებრივი ნაერთებიდან მნიშვნელოვანია:

ქალკოზინი –  $\text{Cu}_2\text{S}$ ,

ქალკოპირიტი –  $\text{CuFeS}_2$ ,


კუპრიტი –  $\text{Cu}_2\text{O}$ ,

მალაქიტი –  $\text{CuCO}_3 \cdot \text{Cu(OH)}_2$ ,


აზურიტი –  $2\text{CuCO}_3 \cdot \text{Cu(OH)}_2$  და სხვა.

## მიღების ხერხები


ჟანგბადშემცველი მაღნებიდან სპილენძს ლებულობები ჩვეულებრივი ხერხით, კერძოდ ჟანგბადოვან ნაერთებს აღადგენენ ნახშირით (კოქსით):



მაღნებიდან სპილენძს ლებულობები კონვერსიული მეთოდით. ლარიბ მაღნებს ჯერ ამდიდრებენ ძირითადად ფლოტაციური ხერხით. შემდეგ დამუშავებას ახდენენ კონვერტორში. კონვერტორში გალლობილ მაღანს ამატებენ კვარცის ქვიშას და გვერდიდან ჩაბერენ ჰაბერს, მაღანში არსებული FeS იუანგება და წარმოქმნის FeO, რომელიც სილიკატური წილის სახით სცილდება მაღანს



სპილენძი აღდგება თავისუფალი სახით



გალლობილი სპილენძი გროვდება კონვერტორის ქვედა ნაწილში. ამ დროს მიიღება ე.წ. „შავი სპილენძი“ რომლის რაფინირებით ლებულობები 99,5–99,8% სპილენძს.

სპილენძის მიღება შეიძლება აგრეთვე გალლობილი სპილენძის მარილების ან წყალხსნარების ელექტროლიზით.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური სპილენძი დამახასიათებელი მოწითალო ფერის მძიმე ლითონია, პლასტიკურია, ადგილად იწელება. ხასიათდება მაღალი სითბო და

ელექტროგამტარობით. სპილენბი ქიმიურად არააქტიური ლითონია ამიტომ კოროზიის მიმართ მდგრადია.


სპილენბი ოთახის ტემპერატურაზე უანგბადს არ უერთდება, მაგრამ ტენიან გარემოში ურთიერთქმედებს  $\text{CO}_2$  -თან და წარმოქმნის მომწვანო ფერის ფუძე კარბონატს  $\text{CuCO}_3 \cdot \text{Cu}(\text{OH})_2$ .

ჰაერზე ან უანგბადთან გახურებისას სპილენბი იუანგება:




და წარმოქმნის შავი ფერის  $\text{CuO}$ -ს, ხოლო უფრო მაღალ ტემპერატურაზე მოწითალო აგურისფერ  $\text{Cu}_2\text{O}$ .

სპილენბი დაბალ ტემპერატურაზეც კი უერთდება ქლორს (ტენის თანაობისას) და სხვა ჰალოგენებს




მაღალ ტემპერატურაზე იგი ადგილად ურთიერთქმედებს გოგირდთან, სელენთან. უშუალოდ არ ურთიერთქმედებს აზოტთან, წყალბადთან, ნახშირბადთან, მაგრამ არაპირდაპირი გზით მათთან წარმოქმნის ნაერთებს.

ლითონთა აქტივობის მწკრივში სპილენბი არის წყალბადის შემდეგ. ამიტომ იგი მჟავებიდან წყალბადს ვერ გამოაძევებს. მაღალ ტემპერატურაზე სპილენბი მოქმედებს ჰალოგენწყალბადმჟავებთან უანგბადის თანაობისას



სპილენბი იხსნება კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში



იგი იხსნება როგორც განზავებულ, ისე კონცენტრირებულ აზოტმჟავაში



## სპილენძის ნაერთები

ცნობილია ნაერთები, რომლებშიც სპილენძის უანგვითი რიცხვი შეიძლება იყოს +1, +2 და +3. სპილენძის ნაერთებიდან უფრო მდგრადია ნაერთები რომელშიც სპილენძის უანგვითი რიცხვი ტოლია +2.

### სპილენძ(I)-ის ნაერთები


სპილენძ(I)-ის ოქსიდი (სპილენძის ქვეოქსიდი) –  $\text{Cu}_2\text{O}$  – მოწითალო აგურისფერი მყარი ნივთიერებაა. მიიღება სპილენძ(II)-ის მარილზე ტუტების მოქმედებით აღმდგენელების (ჰიდროქსილამინი, ჰიდრაზინი, გლუკოზა) თანაობისას. ამ დროს ჯერ წარმოიქმნება ყვითელი ფერის  $\text{CuOH}$ , რომელიც ადგილად იშლება და გამოიყოფა აგურისფერი ნალექი –  $\text{Cu}_2\text{O}$ .

$\text{Cu}_2\text{O}$  – წყალში უხსნადია, მაგრამ იხსნება ამიაკის წყალხსნარში და წარმოქმნის მდგრად კომპლექსებს:




იგი ურთიერთქმედებს კონცენტრირებულ მარილმჟავასთან და წარმოქმნის კომპლექსს  $\text{H}[\text{CuCl}_2]$ . ორივე კომპლექსური ნივთიერება უფეროა.

მაღალ ტემპერატურაზე აღმდგენელების მოქმედებით ადგილად აღდგება თავისუფალ სპილენძამდე



1025°C-ზე  $\text{Cu}_2\text{O}$  იქანგება და წარმოქმნის  $\text{CuO}$ , ხოლო უფრო მაღალ ტემპერატურაზე იშლება




სპილენძ(I)-ის ჰიდროქსიდი –  $\text{CuOH}$  – ყვითელი ფერის წყალში უხსნადი მყარი ნივთიერებაა.

ცნობილია სპილენდ(I)-ის შესაბამისი მარილები. მაგ., CuCl, CuBr, CuCN, Cu<sub>2</sub>S, Cu<sub>2</sub>SO<sub>4</sub>. სპილენდ(I)-ის მარილები წყალში უხსნადია, არამდგრადებია განსაკუთრებით ჟანგბადოვანი მჟავას მარილები. შედარებით მდგრადია მათი შესაბამისი კომპლექსური მარილები. მაგ., Na[CuCl<sub>2</sub>], K<sub>3</sub>[Cu(CN)<sub>4</sub>], [Cu(NH<sub>3</sub>)<sub>2</sub>]<sub>2</sub>SO<sub>4</sub> და სხვა.


### სპილენდ(II)-ის ნაერთები

სპილენდ(II)-ის ოქსიდი – **CuO** – შავი ფერის წყალში უხსნადი ნივთიერებაა. გეხვდება ბუნებაში.


ლაბორატორიაში მიიღება ლითონური სპილენდის გახურებით ან 800°C-ზე Cu(OH)<sub>2</sub> დაშლით




აღმდგენელების მოქმედებით CuO ადვილად აღდგება ლითონურ სპილენდამდე



სპილენდ(II)-ის მარილებზე ტუტების მოქმედებით მიიღება Cu(OH)<sub>2</sub> - ლაბისებური ლურჯი ფერის ნალექის სახით:



Cu(OH)<sub>2</sub> ხასიათდება სუსტი ამფოტერული თვისებებით, იხსნება მჟავებში:



ძნელად იხსნება ტუტებში კომპლექსური მარილების წარმოქმნით:



მიღებულ კომპლექსურ მარილებს – კუპრიტებს აქვთ ლურჯი შეფერილობა.

სპილენდი (II) თითქმის ყველა მჟავასთან წარმოქმნის შესაბამის მარილებს – ცნობილია  $CuCl_2$ ,  $CuBr_2$ ,  $CuSO_4$ ,  $Cu(NO_3)_2$  და სხვა.  $CuI_2$  – თავისუფალი სახით ცნობილი არ არის.  $CuSO_4$  წარმოქმნის კრისტალპიდრატს  $CuSO_4 \cdot 5H_2O$ , რომელიც შაბიამნის სახელწოდებითაა ცნობილი.

ორგალენტიანი სპილენდი წარმოქმნის როგორც ანიონური, ისე კატიონური ტიპის კომპლექსურ მარილებს, რომლებშიც სპილენდის საკოორდინაციო რიცხვი ტოლია ძირითადად 4, ხოლო იშვიათად – 6.

ცნობილია ნაერთები, რომელშიც სპილენდის ჟანგვითი რიცხვი ტოლია +3. თუ დამჟანგავის თანაობისას  $Cu(OH)_2$ -ზე ვიმოქმედებთ ტუტეებით, მიიღება ჰიდროქსო-და ოქსოკუპრატები  $KCuO_2$  და  $K[Cu(OH)_4]$ .

### სპილენდის ყველა ხსნადი მარილი საწამლავია!

სპილენდის, მის ნაერთებს და შენადნობებს დიდი გამოყენება აქვთ თანამედროვე ტექნიკის თითქმის ყველა დარგ ში. სპილენდისგან ამზადებენ ელექტროსადენებს, კარგი სითბოგამტარობის გამო მას იყენებენ მრავალი სახის თბოდანადგარებში.

განსაკუთრებით დიდი გამოყენება აქვს სპილენდის შენადნობებს მანქანათმშენებლობასა და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. მისი შენადნობებიდან მნიშვნელოვანია თითბერი (სპილენდის შენადნობი თუთიასთან), ბრინჯაო (სპილენდის შენადნობი კალასთან), მანგანინი (სპილენდის შენადნობი მანგანუმთან და ნიკელთან), მელაქორი (სპილენდის შენადნობი ნიკელთან) და სხვა.

სპილენდის შენადნობი თქმოსთან გამოიყენება საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად.

სპილენდის ზოგიერთი ნაერთი – მაგალითად,  $CuSO_4 \cdot 5H_2O$  გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

## ვერცხლი

### ბუნებაში გავრცელება

ვერცხლი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თავისუფალი სახით. იგი ძირითადად გავრცელებულია ნაერთების სახით. ვერცხლის ბუნებრივი ნაერთებიდან აღსანიშნავია:

არგენტიტი (ვერცხლის კრიალა) –  $\text{Ag}_2\text{S}$ ,

პრუსტიტი –  $\text{Ag}_3\text{AsS}_3$ ,

პირარგირიტი –  $\text{Ag}_3\text{SbS}_3$ .


უფრო იშვიათად კერარგირიტი (რქა ვერცხლი) –  $\text{AgCl}$ ,

ბრომარგირიტი –  $\text{AgBr}$  და სხვა.


ვერცხლი მინარევის სახით ხშირად თან ახლავს ტყვიის და თუთიის მადნებს.

### მიღების ხერხები

ლითონური ვერცხლი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ადრე ვერცხლს დებულობდნენ მისი მადნებიდან ტყვიის და თუთიის დამატებით. ვერცხლს ძირითადად დებულობდნენ მძიმე ლითონების მადნების ნარევიდან, სადაც ის  $\text{Ag}_2\text{S}$  სახით იმყოფება. მადანს ხსნიან ნატრიუმის ციანიდში და ამატებენ თუთიას




ლაბორატორიაში ლითონურ ვერცხლს დებულობენ  $\text{AgNO}_3$  –ის ხსნარზე თუთიის მოქმედებით:




### ფიზიკო-ქიმიური თვისებები

ვერცხლი – თეთრი ფერის ბზინვარე ლითონია. ლითონებიდან ოქროს შემდეგ ყველაზე მეტად წევადი ლითონია. ვერცხლი სპილენზე უფრო რბილია, მაგრამ ოქროზე მაგარი. ქვეჯგუფში ვერცხლს აქვს ყველაზე მაღალი თბო- და ელექტროგამტარობა.

ვერცხლი ქიმიურად არააქტიური ლითონია, თუმცა სინათლისა და ტენის პირობებში იგი ადვილად იერთებს ჰალოგენებს. ვერცხლის ჟანგვითი რიცხვი ტოლია +1



ანალოგიურად მიიღება სხვა ჰალოგენიდები. ვერცხლი მშრალ ჰაერზე არ იჟანგება, მაგრამ მაღალ ტემპერატურაზე ტენიან გარემოში იგი იჟანგება




რადგან ვერცხლი ლითონთა აქტივობის მწკრივში მოთავსებულია წყალბადის შემდეგ, ჰალოგენწყალბადმჟავებიდან და განზავებულ გოგირდმჟავიდან წყალბადს ვერ აძევებს. ვერცხლი კარგად იხსნება აზოტმჟავასა და კონც. გოგირდმჟავაში:



ლითონურ ვერცხლზე ოთახის ტემპერატურაზე მოქმედებს გოგირდწყალბადი – H<sub>2</sub>S (ჟანგბადთან ერთად):




Ag<sub>2</sub>O-ს შესაბამისი ჰიდროქსიდი – **AgOH** – თეთრი ფერის არამდგრადი ნივთიერებაა. ის შეიძლება მივიღოთ ვერცხლის ნიტრატზე კალიუმის ტუტის სპირტხსნარის მოქმედებით:




ვერცხლი(I)-ის პიდროქსიდი –  $\text{AgOH}$  – არამდგრადია და განსაკუთრებით სინათლის მოქმედებით ადვილად იშლება:



$\text{AgOH}$  ხასიათდება სუსტი ამფოტერული თვისებებით, იხსნება მჟავებში:




$\text{AgOH}$  კარგად იხსნება ამონიუმის პიდროქსიდის ხსნარში კომპლექსური ნაერთის წარმოქმნით;




$\text{AgNO}_3$ -ის წყალხსნარზე აღმდგენელების (ფორმალდეკიდი, გლუკოზი) მოქმედებით მიიღება ლითონური ვერცხლი. ამ გზით მზადდება ხარკები. ვერცხლის ქლორიდი და ბრომიდი ძალიან მგრძნობიარება ხინათლის მიმართ. ამიტომ იხინი გამოიყენება ფოტოგრაფიაში.

ვერცხლი ადვილად წარმოქმნის კოორდინაციულ ნაერთებს, რომელთაც დიდი კრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ვერცხლის კოორდინაციული ნაერთები ძირითადად წყალში კარგად ხსნადია, ამიტომ კოორდინაციული ნაერთების წარმოქმნით შესაძლებელია მისი უხსნადი მარილების ხსნად მდგომარეობაში გადაყვანა. მაგალითად,  $\text{AgCl}$ ,  $\text{AgOH}$ ,  $\text{Ag}_2\text{CO}_3$ ,  $\text{AgCl}$ -ზე ამიაკის წყალხსნარის მოქმედებით მიიღება ხსნადი კოორდინაციული ნაერთი:



კოორდინაციული ნაერთები მიიღება ასევე ვერცხლის პალოგენიდებზე ტუტე ლითონების პალოგენიდების მოქმედებით:



ორგალენტიანი გერცხლის ნაერთებიდან ცნობილია  $\text{AgF}_2$  და  $\text{AgO}$ .

გერცხლი(II)-ის ფტორიდი –  $\text{AgF}_2$  – შავი ფერის ნივთიერებაა. მიიღება წვრილად დაფხვნილ ლითონურ გერცხლზე ფტორის გატარებით.

გერცხლი(II)-ის ოქსიდი –  $\text{AgO}$  – შავი ფერის ფხვნილია. მას დებულობენ გერცხლის მარილის ანოდური ჟანგვით,  $\text{Ag}_2\text{O}$ -ს ოზონით ჟანგვისას. ცნობილია ორგალენტიანი გერცხლის კომპლექსური მარილებიც ორგანულ ლიგანდებთან.

სამვალენტიანი გერცხლის ნაერთი ცნობილია მხოლოდ კომპლექსური მარილების სახით, მაგალითად  $\text{K}[\text{AgF}_4]$ .


ლითონური გერცხლი თავისუფალი სახით თითქმის არ გამოიყენება. პრაქტიკაში ძირითადად იყენებენ მის შენადნობებს. გერცხლის შენადნობი სპილენძთან გამოიყენება სამკაულების, მონეტების, საოჯახო და ლაბორატორიული ჭურჭლის დასამზადებლად. კოროზიისგან დასაცავად გერცხლით ფარავენ ზოგიერთ ლითონს. ოდიოტექნიკაში გერცხლს იყენებენ როგორც საუკეთესო ელექტროგამტარს.

### ოქრო


#### ბუნებაში გავრცელება

ოქრო ბუნებაში გვხვდება ძირითადად თვითნაბადი სახით. იშვიათად გვხვდება ნაერთები ტელურიდების (მაგალითად,  $\text{AuAgTe}_4$ ,  $\text{AuTe}_2$ ) სახით, რომლებიც თან ახლავს თვითნაბადი ოქროს საბადოებს. მცირე რაოდნენობით ოქრო გვხვდება რკინის, ტყვიის და სპილენძის სულფიდურ მადნებში.

ოქროს უძველესი დროიდან დებულობდნენ მექანიკური საშუალებით. თვითნაბადი ოქროს მადანს რეცხავენ ჩამდინარე წყლით. ქვიშის ნაწილაკები მიჰქონდა წყალს, ხოლო ოქრო, როგორც უფრო მძიმე, რჩებოდა თავისუფალი სახით. ოქროს დებულობენ აგრეთვე ქიმიური საშუალებით, კერძოდ ამალგამირებით – ოქრო ადვილად უერთდება გერცხლისწყალს და წარმოქმნის თხევად ნალიღის, რომლიდანაც გერცხლისწყალს აცილებენ გამოხდით. დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია ოქროს მიღება ციანიდური მეთოდით. ოქროს მადანს ამუშავებენ ნატრიუმის ციანიდის განზავებული სსნარით ჰაერის თანაობისას, რომელიც ჟანგავს ოქროს ერთვალენტოვნამდე:



წარმოქმნილ კომპლექსურ ნაერთს – ნატრიუმის დიციანოაურიტს (I) ჰლიან ელექტროდენით ან უმატებენ ლითონურ თუთიას




მიღებულ ოქროს ჩარეცხავენ გოგირდმჟავათი და წყლით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ოქრო – თავისუფალი სახით ყვითელი ფერის, რბილი ლითონია, ძალიან ჭედადი და წევადი. გლინვით შეიძლება ძალზე თხელი ფირფიტების, ხოლო გაჭიმვით უწვრილესი მავთულის მიღება. ოქრო სითბოს და ელექტროობის კარგი გამტარია.

ოქრო ქიმიური ბუნებით არააქტიური ლითონია, რის გამოც მას კეთილშობილ ლითონსაც უწოდებენ. ოქრო უანგბადის და ტენის გარემოში მაღალ ტემპერატურაზეც კი არ იცვლება. მშრალ ატმოსფეროში ჰალოგენები ოქროზე თითქმის არ მოქმედებენ. ოქროზე ცალკეული მჟავები არ მოქმნედებენ, მაგრამ ოქრო კარგად იხსნება აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნარევში („სამეფო წყალი“), სადაც დამჟანგველს წარმოადგენს ქლორის ატომი:



ოქროსათვის დამახასიათებელია ნაერთები, რომელშიც მისი ჟანგვითი რიცხვი ტოლია +1 და +3, მაგრამ უფრო მდგრადი ნაერთებია +3 ჟანგვითი რიცხვით.

### ოქრო(I)-ის ნაერთები

ოქრო წარმოქმნის ორ ოქსიდს  $Au_2O$  და  $Au_2O_3$ .

**ოქრო(I)-ის ოქსიდი –  $Au_2O$**  – მიღებია მარილებზე ტუტების მოქმედებით



თვითჟანგვა-თვითაღდებენის შედეგად იგი ადვილად იშლება თავისუფალი ოქროს გამოყოფით:




AuCl-ს დებულობები  $AuCl_3$ -ის გახურებით დაახლოებით  $185^{\circ}\text{C}$ -ზე



ოქრო(I)-ის ქლორიდი  $-AuCl-$  ყვითელი ფერის ნივთიერებაა. იგი წყალში ძნელად იხსნება, მაგრამ წყალი მას ჩვეულებრივ ტემპერატურაზე მაინც შლის ოქროს გამოყოფით




AuCl ადვილად იხსნება ტუტე ლითონების ქლორიდებში




და წარმოქმნის კომპლექსურ მარილს.


ოქრო(III)-ის ნაერთები

$200^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურაზე ოქრო მოქმედებს ჰალოგენებთან



ოქრო(III)-ის ქლორიდი  $- AuCl_3 -$  წითელი ფერის ნემსისებური კრისტალებია.  $AuCl_3$  განიცდის ჰიდროლიზს და წარმოქმნის ანიონურ კომპლექსებს






ოქრო(III)-ის ოქსიდი –  $Au_2O_3$  – მომწვანო მურა ფერის ნივთიერებაა, მცირედ მდგრადია.

ოქრო(III)-ის ჰიდროქსიდი –  $HAuO_2$  – წითელი-ყავისფერი ფხვნილია. უპაეროდ გახურებისას გარდაიქმნება  $Au_2O_3$ .

ოქრო(III)-ის ჰალოგენიდები, ოქსიდი და ჰიდროქსიდი – ამფოტერული ნივთიერებებია, რომლებშიც ჭარბობს მჟავური თვისებები:



ქლოროქროს მჟავა –  $H[AuCl_4]$  – ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერებაა. ქლოროქროს მჟავა  $Au(III)$  –ის ნაერთებიდან ყველაზე მდგრადია. ცნობილია მისი შესაბამისი კომპლექსური მარილები  $Na[AuCl_4]$ ,  $Na[Au(SO_4)_2]$  და სხვა.

ოქროს ძალიან დიდი გამოყენება აქცე, როგორც ხავალუტო ლითონებ. კერცხლობა და სპილენძობა ერთად ოქროს შენადნობებისგან ამზადებენ სამკაულებს და ფიზიკურ-ქიმიურ ხელსაწყოებს. კოლოიდურ ოქროს იუნებენ მედიცინაში.

## I ჯგუფის თანაური მგეჯგუფის ელემენტების ბიოლოგიური როლი

**სპილენძი.** სპილენძი ადამიანის ორგანიზმში ძირითადად კონცენტრირდება ლვიძლში, თავის ტვინში და სისიხლში. დადგენილია, რომ დაახლოებით 70 კგ წონის ადამიანში სპილენძის შემცველობა აღწევს 1,1 მმოლს. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სპილენძები ფერმენტები და ცილები. დღეისათვის ცნობილია 25 ასეთი ცილა და ფერმენტი, რომელიც შეადგენენ ოქსიგენაზების და ჰიდროქსილაზების ჯგუფს. სპილენძები ფერმენტებში სპილენძის ჟანგვითი რიცხვია +1 და ჟანგბადი ადვილად ჟანგავს მას +2-მდე.

არსებობს ცილათა ჯგუფი (ოქსიდაზები), რომელიც კატალიზირად მოქმედებს დაჟანგული ნივთიერებიდან უშუალოდ მოლეკულურ ჟანგბადზე პროტონის ან

ელექტრონის გადატანით მიმდინარე ჟანგვა-ალდგენით რეაქციებზე. ქსიდაზების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია სასუნთქი ფერმენტი ციტოქრომოქსიდაზა. ეს ფერმენტი ახდენს სუნთქვის საბოლოო ეტაპის კატალიზირებას. ამ პროცესში სპილენბის ჟანგვითი რიცხვი შექცევადად იცვლება:  $Cu^{2+} + e = Cu^+$ .  $Cu^{2+}$  იონები იძენენ ელექტრონს და გადაღიან  $Cu^+$  იონში, რომელიც მოლეაკულური ჟანგბადით იუანგება. ასეთი გზით აღდგენილი ჟანგბადი იძენს პროტონებს გარე სფეროდან და გარდაიქმნება წყლად. ე.წ. “ცისფერი” ოქსიდაზა (ცერულოპლაზმინი) შეიცავს 8 ატომ სპილენბის ცილის ყოველ 1 მოლეაკულაზე. ცერულოპლაზმინი ასრულებს გადამტანის ფუნქციას, არეგულირებს სპილენბის ბალანსს და უზრუნველყოფს ჭარბი სპილენბის გამოტანას ორგანიზმიდან.

სპილენბის დეფიციტი იწვევს ჭარბარის გაჩენას. მუქმიან ადამიანებში სპილენბი უფრო მეტია, ვიდრე ლია ფერის თმიანებში. ამიტომ გერონტოლოგების რჩევით საჭიროა ისეთი საკვების გამოყენება, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს სპილენბს. ასეთია: თხილი, კვერცხის გული, ჭვავის პური, ლვიძლი. უენშენის ფოთლები სპილენბის განსაკუთრებით დიდ რაოდენობით შეიცავს.

მიუხედავად სპილენბის დიდი მნიშვნელობისა ადამიანის ორგანიზმისთვის, ის შეიძლება ტოქსიკური იყოს. სპილენბის ნაერთები, განსაკუთრებით გოგირდნაერთები, მომწამვლელებია. ადამიანის ორგანიზმში სპილენბის სიჭარბემ შეიძლება ლვიძლის დაავადება და სასუნთქი გზების ფუნქციის მოშლა გამოიწვიოს.

ხალხური მედიცინა დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა ლითონურ სპილენბს სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ. ცნობილია, რომ სპილენბის მაღაროებში მომუშავე ადამიანები არ ავადდებიან რადიკულიტით, ჰიპერტონიით, ავთვისებიანი სიმსივნით. სპილენბის შემცველი პრეპარატები გამოიყენება პუჭის წყლულის სამკურნალოდ, რომელიც ასპირინის ჭარბი დოზის მიღებითაა გამოწვეული.

სპილენბის ხსნადი მარილები დიდი კონცენტრაციით ტოქსიკურებია. სპილენბის აჯასპის 2გ იწვევს ძლიურ მოწამვლას, რაც ხშირ შემთხვევაში სიკვდილით მთავრდება.

**ვერცხლი.** სპილენბთან შედარებით ვერცხლის ბიოლოგიური მნიშვნელობა მცირეა. ვერცხლი მიეკუთვნება მინარევებიან მიკროელემენტებს. მიახლოებით 7,3 მმოლი ვერცხლი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი შეიცავს, უპირატესად გროვდება ლვიძლში, ჰიპოფიზში, ერითროციტებსა და თვალის პიგმენტურ გარსში.

ორგანიზმი მოხვედრისას ვერცხლი, ისევე, როგორც სხვა მძიმე ლითონები, ტოქსიკურ ზემოქმედებას იწვევს. ამ დროს, როგორც წესი, ის უკავშირდება ცილის მოლეკულაში შემავალ გოგირდის ატომებს. შედეგად ხდება შესაბამისი ფერმენტების ინაქტივაცია.

წყალი, რომელსაც შეიცავს  $10^{-8}$  მმოლი/ლ ვერცხლის იონებს, ბაქტერიციდული თვისებებით ხასიათდება, რაც უხსნადი ალბუმინატების წარმოქმნასთანაა დაკავშირებული. ვერცხლის ბაქტერიციდული ეფექტი უფრო მაღალია, ვიდრე ქლორის, ქლორიანი კირის და კარბოლმჟავისა.

ვერცხლის ნიტრატი, რომელიც პრაქტიკაში “ლიაპისის” სახელწოდებითაა ცნობილი, ფართოდ გამოიყენება, როგორც გარეგანი მოქმედების პრეპარატი. ე.წ. “ვერცხლიან წყალს” იყენებენ ჭრილობების, წყლულების, შარდის ბუშტის სამკურნალოდ, ასევე სამკურნალო პრეპარატების სტერილიზაციისა და ვარგისიანობის ვადის გაზრდის მიზნით. ვერცხლის შემცველ პრეპარატებს შორის ფართოდაა ცნობილი პროტარგოლი (ვერცხლის კომპლექსი ცილასთან) და კოლარგოლი (კოლოიდური ვერცხლი). კონიუქტივიტის, ლორწოვანი გარსების დაავადებისას, კანის, უროლოგიური და ვენერიული დაავადებების დროს ხშირად იყენებენ ვერცხლის ნაერთების კოლოიდურ ხსნარებს.

სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ვერცხლი გამოიყენება სხვადასხვა შენადნობების სახით (სპილენი, ვერცხლი, კალა)

ვერცხლის ხსნადი მარილები ორგანიზმი დიდი დოზით მოხვედრისას მოწამვლას იწვევს, რასაც თან ახლავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის კვდომა. ორგანიზმიდან ვერცხლის გამოსადევნად საჭიროა მისი უხსნად ქლორიდში გადაყვანა, რისთვისაც ნატრიუმის ქლორიდს იყენებენ.

**ოქრო.** ოქრო მიეკუთვნება იმ მიკროელემენტებს, რომლებიც მუდმივად არსებობენ ადამიანთა და ცხოველთა ორგანიზმებში. ის არ ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორც ვერცხლი და სპილენი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ოქროს ნაერთებმა გამოყენება ჰპოვეს სამედიცინო პრაქტიკაში. მაგ. ოქროს (I) ნაერთები გამოიყენება ინფექციური პოლიართორიტის სამკურნალოდ. კბილის პროტეზირებისას გამოიყენება ოქროს შენადნობი ვერცხლთან და სპილენთან.

ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ გამოიყენება <sup>198</sup>Au იზოტოპი კოლოიდური ხსნარების სახით. ამ იზოტოპს იყენებენ აგრეთვე ინდიკატორად ბიოქიმიურ პროცესებში.

ყველაზე ფართოდ გავრცელებული ოქროსშემცველი პრეპარატებია კრიზანოლი და სანოკრიზინი. ისევე, როგორც ვერცხლის ნაერთებს, ოქროს ნაერთებსაც ახასიათებს ბაქტერიციდული თვისებები.

## თავი IX

### II ჯგუფის თანაური ჰგეჯგუფის ელემენტები

პერიოდული სისტემის II ჯგუფის d-ელემენტებია: თუთია, კადმიუმი და ვერცხლისწყალი.

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტრო- უარყოფითობა	ჟანგვითი რიცხვი
Zn	65,39	$3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2$	1,66	+2
Cd	112,411	$4s^2 4p^6 4d^{10} 5s^2$	1,46	+2
Hg	200,59	$4s^2 4p^6 4d^{10} 4f^1 5s^2 5p^6 5d^{10} 6s^2$	1,44	+1, +2

მათ გარე სავალენტო ელექტრონულ დონეზე აქვს  $ns^2$  -ელექტრონები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ელემენტთა შემთხვევაში ქიმიური ბმების წარმოქმნაში მონაწილეობენ მხოლოდ  $ns^2$  ელექტრონები და მათი მაქსიმალური გალენტობა ორის ტოლია. ( $n-1$ )d ქვედონის ელექტრონები ქიმიური ბმების წარმოქმნაში არ მონაწილეობენ, რადგან  $(n-1)d^{10}$  ელექტრონული ქვედონები სტაბილურია არ გასცემენ ელექტრონებს. ამით ეს ელემენტები ემსგავსებიან II ჯგუფის s-ელემენტებს და განსხვავდებიან d-ელემენტებისგან.

ელექტრონული კონფიგურაციის შესაბამისად II ჯგუფის d-ელემენტებს ახასიათებთ დაბალი ლდობის და დუდილის ტემპერატურა, რომელიც მცირდება

ქვეჯგუფში ატომური მასის ზდრასთან ერთად. ყველაზე დაბალი ლდობის და დუღილის ტემპერატურა შეესაბამება ვერცხლისწყალს.

ჟანგბადის მიერთების უნარი უფრო მკვეთრად აქვთ გამოხატული II ჯგუფის d-ელემენტებს, ვიდრე შესაბამის I ჯგუფის d-ელემენტებს, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე III ჯგუფის d-ელემენტებს.

II ჯგუფის d-ელემენტები წარმოქმნიან კომპლექსურ მარილებს, სადაც კოორდინაციული რიცხვი ტოლია 3 და 4.

## თუთია

### ბუნებაში გავრცელება

თუთია ბუნებაში გავრცელებულია მხოლოდ ნაერთების სახით. თუთიის ბუნებრივი ნაერთებიდან მნიშვნელოვანია:

სფალერიტი –  $ZnS$ ,


სმიტონიტი (თუთიის შპატი) –  $ZnCO_3$ ,

ჰალსეი (კალამინი) –  $Zn_2SiO_4 \cdot H_2O$ .


თუთიას შეიცავს აგრეთვე ტყვიის და ვერცხლის შემცველი მადნები.

### მიღების ხერხები

ბუნებრივი მადნები თუთიას შეიცავენ მცირე რაოდენობით, ამიტომ ლითონური თუთიის მისაღებად მადანს გადაამუშავებენ, ახდენენ მის გამდიდრებას და დებულობენ თუთიის კონცენტრატს. მიღებულ კონცენტრატს გამოწვავენ. ამ დროს თუთიის სულფიდი გარდაიქმნება თუთიის ოქსიდად



თუთიის ოქსიდს შემდეგ აღადგენენ ნახშირბადის, CO ან წყალბადის საშუალებით:




თუთიის მიღება შეიძლება აგრეთვე თუთიის მარილების წყალხსნარების ელექტროლიზით.

### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

თუთია – თეთრი (მოლურჯო) ფერის, მბიმე ლითონია. ჰაერზე სწრაფად კარგავს ლითონურ ბზინვარებას, რადგან იფარება ოქსიდის თხელი ფენით, რომელიც იცავს მას ჰაერის შემდგომი მოქმედებისგან. ჩვეულებრივ ტემპერატურაზე თუთია მყიფეა, დაახლოებით  $100\text{--}150^{\circ}\text{C}$ -ზე იგი წევადია და კარგად იგლინება, ხოლო  $200^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე კვლავ მყიფე ხდება.

ჰაერზე გახურებისას თუთია იწვის მომწვანო-მოლურჯო ალიო:




ურთიერთქმედებს ჰალოგენებთან, გოგირდთან.

მიუხედავად იმისა, რომ თუთია ლითონთა აქტივობის მწკრივში მოთავსებულია წყალბადის წინ, წყალთან არ ურთიერთქმედებს, რადგან დაფარულია ოქსიდის ფენით, რომელიც წყალში არ იხსნება. მაღალ ტემპერატურაზე გავარვარებული თუთია შლის წყლის თრთქლს და  $\text{CO}_2$ -ს, რის შედეგადაც წარმოქმნება  $\text{ZnO}$ .


თუთია იხსნება როგორც განზავებულ, ისე კონც. მჟავებში. განზავებული მჟავებიდან თუთია აღადგენს წყალბადს:



კონცენტრირებულ მჟავებთან ურთიერთქმედებისას ხდება მჟავას წარმოქმნელი ელემენტის აღდგენა



თუთია ამფოტერული ლითონია, ამიტომ იგი იხსნება ტუტეებშიც. ტუტეების წყალს სნარებთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთებს – ჰიდროქსომარილებს:




$\text{Na}_2[\text{Zn}(\text{OH})_4]$  – ნატრიუმის ტეტრაჰიდროქსო ცინკატი.

თუთია ნაერთებში ამჟღავნებს მხოლოდ ორვალენტოვნებას.


თუთიის ოქსიდი – **ZnO** – როგორც უკვე აღვნიშნეთ მიიღება თუთიის ჰაერებისას. მისი მიღება შეიძლება თუთიის ჰიდროქსიდის ან შესაბამისი მარილების დაშლით.

**ZnO** – თეთრი ფერის მყარი ნივთიერებაა. გახურებისას ის ღებულობს ინტენსიურ ყვითელ შეფერილობას, ხოლო გაცივებისას კვლავ თეთრი ფერის ხდება.

**ZnO** – წყალში არ იხსნება. კარგად იხსნება, როგორც მჟავაში ისე ფუძეში (ამფოტერულია)



ცხელ კონცენტრირებულ ტუტეებთან (ან მყარ მდგომარეობაში შელდობისას) წარმოქმნის მარილებს




ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ტუტეების წყალს სნარებთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის ჰიდროქსიმარილებს




**ZnO** – გამოიყენება პრაქტიკაში თეთრი ფერის (თუთიის თეთრას) საღებავის სახით.

თუთიის ჰიდროქსიდი – **Zn(OH)<sub>2</sub>** – თეთრი ფერის მყარი, წყალში უხსნადი ნივთიერება. მიიღება თუთიის მარილებზე ტუტეების მოქმედებით:




$\text{Zn(OH)}_2$  – ამფორულია, იხსნება როგორც მჟავებში, ისე ტუტეებში მარილების წარმოქმნით:



ხოლო ტუტეების წყალსნარებთან წარმოქმნის პიდროქსიმარილებს:



იგი იხსნება აგრეთვე  $\text{NH}_3$ -ის ხსნარში და წარმოქმნის ამინო კომპლექსებს:




თუთიის მარილების ხსნარებში  $\text{NH}_3$ -ის გატარებისას ჯერ იღებება  $\text{Zn(OH)}_2$ , რომელიც შემდეგ იხსნება ჭარბ ამიაკში და წარმოქმნის პიდროქსომარილს.

თუთია თითქმის ყველა მჟავასთან წარმოქმნის შესაბამის მარილებს.

თუთია წარმოქმნის კომპლექსურ მარილებს, თუმცა კომპლექსწარმოქმნის უნარი სპილენძთან შედარებით ნაკლებად აქვს გამოხატული. თუთიის ქლორიდი ტუტე ლითონების ქლორიდებთან ან ამიაკთან მოქმედებისას წარმოქმნის ტეტრაქლოროროცინკატებს –  $\text{Na}_2[\text{ZnCl}_4]$  და  $(\text{NH}_4)_2[\text{ZnCl}_4]$ . თუთიის მარილები ამიაკთან მოქმედებისას წარმოქმნიან თუ ან თთხ მოლებულა ამიაკის შემცველ, წყალში ხსნად მარილებს –  $[\text{ZnCl}_2(\text{NH}_3)_2]$  და  $[\text{Zn}(\text{NH}_3)_4]\text{Cl}_2$ .

თუთიის სულფიდისა და ბარიუმის სულფატის ნარევს (ლითოფონი), რომელიც მიიღება ბარიუმის სულფიდის  $\text{ZnSO}_4$ -ის ხსნარით დამუშავებისას:



თეთრი ფერის პიგმენტის სახით იყენებენ ხაღებავის დასამატებლად.

თუთიის ოქსიდი – თუთიის თეთრა გამოიყენება ზეთის ხაღებავების და ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის მისაღებად, რეზინის და კერამიკულ წარმოქბაში, კატალიზატორად თრგანული ნაერთების მისაღებად.

დიდი რაოდენობით თუთია გამოიყენება ლითონების დასაფარავად, რომელიც მათ იცავს კოროზიისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს თუთიის შენადნობებს აღუმინთან, სპილენძთან, მანგანუმთან და სხვა ლითონებთან.

## პადმიუმი

### ბუნებაში გავრცელება

კადმიუმი ბუნებაში თავისუფალი სახით არ გვხვდება. გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით: სულფიდის - **CdS**, ოქსიდის – **CdO** ან კარბონატის **CdCO<sub>3</sub>** სახით. CdS – მინერალი გრინოკიტი გვხვდება თუთიის და ტყვიის მაღნებთან ერთად. კადმიუმი ბუნებაში, თუთიასთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობით არსებობს.


### მიღების ხერხები

ლითონურ კადმიუმს ძირითადად დებულობენ თუთიის მაღნების დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებიდან. ნარჩენებს ხსნიან გოგირდმჟავაში, ხოლო კადმიუმს დალექავენ თუთიის მოქმედებით



გასუფთავების მიზნით მიღებულ პროდუქტს ამუშავებენ გოგირდმჟავათი და ახდენენ მის ელექტროლიზს.

კადმიუმის მიღება შეიძლება კადმიუმის ოქსიდზე აღმდგენელის მოქმედებით




### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლითონური კადმიუმი ვერცხლისფერი ბზინგარე ლითონია. თავისი თვისებებით კადმიუმი ძალიან ჰგავს თუთიას, აქ განვიხილავთ მხოლოდ ამ ორი ელემენტის თვისებებს შორის არსებულ განსხვავებას.

თუთიასთან შედარებით კადმიუმი სასიათდება უფრო დაბალი ლითონის და დუღილის ტემპერატურით. თუთია უფრო აქტიური ლითონია ვიდრე კადმიუმი, ამიტომ იგი აძვევებს კადმიუმს ნაერთებიდან. კადმიუმი თუთიის ანალოგიურად იხსნება მჟავებში, მაგრამ მისგან განსხვავებით არ იხსნება ტუტებში.

ლითონთა აქტივობის მწკრივში კადმიუმი მოთავსებულია წყალბადამდე. მიუხედავად ამისა, ოთახის ტემპერატურაზე წყალს არ შლის. მაღალ ტემპერატურაზე მოქმედებს წყლის ორთქლთან და გამოყოფს წყალბადს




კადმიუმის ჟანგვითი რიცხვი ნაერთებში ტოლია +2. თუთიის ანალოგიურად კადმიუმი მოქმედებს მაღალ ტემპერატურაზე ჰალოგენებთან, ჟანგბადთან, გოგირდთან, სელენთან, ტელურთან, ფოსფორთან და სხვა.

**კადმიუმის ოქსიდი –  $CdO$**  – კადმიუმი მაღალ ტემპერატურაზე ჟანგბადში იწვის და წარმოქმნის მურა ფერის  $CdO$ -ს:




იგი მიიღება აგრეთვე  $Cd(OH)_2$  ან  $CdCO_3$ -ის დაშლით.

700°C-ზე გახურებისას იწყება  $CdO$ -ს გამოხდა, ხოლო უფრო მაღალ ტემპერატურაზე ხდება მისი დაშლა




ამით იგი განსხვავდება თუთიის ოქსიდისგან.  $CdO$  წყალში ძნელად იხსნება, მაგრამ იხსნება მჟავებში




თუთიის ოქსიდისგან განსხვავებით  $\text{CdO}$  –ს ახასიათებს ფუძე ოქსიდის თვისებები, ამიტომ არ იხსნება ტუტება.

**კადმიუმის ჰიდროქსიდი –  $\text{Cd(OH)}_2$**  – თეთრი ფერის ფხვნილისებური ნივთიერებაა. იგი მიიღება კადმიუმის მარილების ტუტებით დამუშავებისას




$\text{Cd(OH)}_2$  იხსნება მჟავეებში




$\text{Zn(OH)}_2$  –სგან განსხვავებით  $\text{Cd(OH)}_2$  არ იხსნება ტუტება. იგი იხსნება ამიაკში და წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთს  $[\text{Cd}(\text{NH}_3)_4](\text{OH})_2$  – ტეტრაამინკადმიუმის ჰიდროქსიდს.

მაღალ ტემპერატურაზე გახურებისას  $\text{Cd(OH)}_2$  იშლება  $\text{CdO}$ -ს წარმოქმნით



კადმიუმი ჰალოგენებთან მაღალ ტემპერატურაზე წარმოქმნის მარილებს:




კადმიუმი ანალოგიურ ნაერთებს წარმოქმნის სხვა ჰალოგენებთან. კადმიუმის ჰალოგენიდები  $\text{CdF}_2$ -ის გარდა (მცირედ იხსნება) კარგად იხსნებიან წყალში. კადმიუმის ჰალოგენიდები წყალსნარებში წარმოქმნიან აგვიურმბლუქსებს, მაგ., სამი მოლეკულა  $\text{CdI}_2$  წარმოქმნის წყალში ხსნად კომპლექსურ მარილს  $\text{Cd}[\text{CdI}_3]_2$ .

კადმიუმის ჰალოგენიდები ტუტე ლითონების ჰალოგენიდებთან წარმოქმნიან  $\text{Me}[\text{CdX}_3]$  ან  $\text{Me}_2[\text{CdX}_4]$  ჰედგენილობის კომპლექსურ მარილებს. ანალოგიური ჰედგენილობა აქვთ ციანიდურ კომპლექსებს.

კადმიუმის (II) მარილები თუთიის (II) მარილების ანალოგიურად ამიაკთან მოქმედებისას არ წარმოქმნის შესაბამის წყალში უხსნად ფუძეებს არამედ წარმოქმნიან წყალში ხსნად უფერო  $[\text{Cd}(\text{NH}_3)_4]^{2+}$ -კათიონის შემცველ კომპლექსურ მარილებს.

კადმიუმის მარილებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს  $CdS$ , რომელიც ბუნებრივ გვხვდება მცირე რაოდენობით. მისი მიღება შეიძლება კადმიუმზე გოგირდის ან კადმიუმის მარილებზე გოგირდწყალბადის მოქმედებით:



გამოიყოფა ყვითელი ნალექის სახით. გამოიყენება ყვითელი ფერის ზეთის საღებავის დასამზადებლად.

**კადმიუმის ნაერთები თუთიის ნაერთებთან შედარებით ტოქსიკურია.**

ლითონურ კადმიუმს აქვს ნეიტრონების შთანთქმის უნარი, ამიტომ მას იყენებენ ფიზიკაში. ლითონური კადმიუმისგან ან მისი შენადნობებისგან ამზადებენ რეაქტორის მმართველ ლეროებს, რომლებიც არავალირებენ რეაქტორში მიმდინარე პროცესებს. კადმიუმი გამოიყენება ლითონებთან ადგილდობადი შენადნობების დასამზადებლად. უკანასკნელ ხანებში კადმიუმს იყენებენ ფოლადის ან რკინის ნაკეთობების დასაფარავად. კადმიუმს იყენებენ სტომატოლოგიაში. კადმიუმის ნაერთები გამოიყენება საღებავების წარმოებაში.


## ვერცხლისჟალი

### ბუნებაში გავრცელება

ვერცხლისწყალი ბუნებაში გვხვდება მცირე რაოდენობით. გავრცელებულია ძირითადად ნაერთების სახით – სულფიდების, სელენიდების, ოქსიდის და სხვა. ამ მინერალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინერალი კინოვარი – **HgS**. იშვიათად გვხვდება თავისუფალი ვერცხლისწყალი სხვადასხვა მაღნებში წვეთების სახით. ვერცხლისწყალი ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება ზღვის წყალშიც.

## მიღების ხერხები

ლითონურ გერცხლისწყალს დებულობენ ძირითადად  $HgS$ -დან.ამ მიზნით ახდენენ მის გამოწვას სპეციალურ დუმელებში( $600\text{--}700^{\circ}\text{C}$ -ზე). გოგირდი იწვის და გადადის  $SO_2$ -ში, ხოლო წარმოქმნილი  $HgO$  იშლება და მიიღება გერცხლისწყალი ორთქლის სახით, რომელიც კონდენსირდება მიმღებში



მიღებული გერცხლისწყლის შემდგომი გასუფთავება ხდება ფიზიკური, ზოგიერთი ქიმიური, ან ელექტროქიმიური მეთოდების გამოყენებით.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ლითონური გერცხლისწყალი ოთახის ტემპერატურაზეც კი თხევადია, მყარდება –  $38,89^{\circ}\text{C}$ -ზე. გერცხლის წყალი გერცხლისფერი მბზინავი ლითონია. მშრალ ჰაერზე ჩვეულებრივ პირობებში არ იუანგება. ტენიან გარემოში იფარება  $Hg_2O$ -ის მოშავო ფერის თხელი ფენით.

გერცხლისწყალს აქვს ლითონების გახსნის უნარი, რის შედეგადაც წარმოქმნება ამალგამები. გერცხლისწყალი ამალგამებს წარმოქმნის შემდეგ ლითონებთან – Au, Na, K, Cd, Sn, Pb, Cu, Zn და სხვა. იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის  $Hg$ -ს შეიცავს ამალგამები შეიძლება იყოს – თხევადი, ნახევრადთხევადი ან მყარი.

თუთიის ქვეჯგუფის ლითონებიდან (Zn, Cd, Hg) გერცხლისწყალი ყველაზე ნაკლებაქტიური ლითონია. გერცხლისწყალი წარმოქმნის ნაერთებს, რომლებშიც ვალენტობა ტოლია I და II. დღეისათვის უცნობია ერთგალენტიანი გერცხლისწყლის ნაერთები მარტივი ფორმულით  $Hg_2$ ; ყველა მათგანი გამოისახება ფორმულით  $Hg_2\Theta_2$ . ამ მოლეკულებში ორი ატომი გერცხლისწყალი ერთმანეთთან დაკავშირებულია კოვალენტური ბმით –  $\Theta-Hg-Hg-\Theta$ .

მაღალ ტემპერატურაზე ( $350^{\circ}\text{C}$ ) ვერცხლისწყალი უერთდება ჟანგბადს და წარმოქმნის წითელი ფერის  $\text{HgO}$ .

ლითონთა აქტივობის მწკრივში ვერცხლისწყალი მოთავსებულია წყალბადის შემდეგ. ამიტომ იგი არ იხსნება მარილმჟავაში და განზავებულ გოგირდმჟავაში.  $\text{Hg}$  – იხსნება განზავებულ და კონცენტრირებულ აზოტმჟავაში



იხსნება ცხელ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში;



### ვერცხლისწყალი(I)-ის ნაერთები

ერთვალენტიანი ვერცხლისწყლის ნაერთები ძირითადად მიიღება  $\text{Hg(II)}$  ნაერთების აღდგენით.

ვერცხლისწყალი(I)-ის ოქსიდი –  $\text{Hg}_2\text{O}$  – შავი ფერის, წყალში უხსნადი მყარი ნივთიერება მიიღება  $\text{HgO}$ -ს შელღობით  $\text{Hg}$ -თან



ან  $\text{Hg(I)}$  მარილებზე ტუტების მოქმედებით



$\text{Hg}_2\text{O}$  – არამდგრადია და სითბოს ან სინათლის მოქმედებით ადვილად იშლება




$\text{Hg}_2\text{O}$ -ს შესაბამისი პიდროქსიდი  $\text{HgOH}$  ცნობილი არ არის.

ვერცხლისწყალი(I)-ის ქლორიდი –  $\text{Hg}_2\text{Cl}_2$  – კალომელი მიიღება  $\text{HgCl}_2$  და  $\text{Hg}$ -ის ნარევის გახურებით




ვერცხლისწყალი(II)-ის ნაერთები

ვერცხლისწყალი(II)-ის ოქსიდი –  $HgO$  – წითელი ფერის ფენილია. წარმოიქმნება ვერცხლისწყლის წვით ( $350^{\circ}C$ ) ჟანგბადში



ან  $Hg$  (I)-ის და  $Hg$  (II)-ის ნიტრატების გახურებით




$HgO$ -ს ყვითელი მოდიფიკაცია მიიღება  $Hg$  (II) მარილებზე ტატეების მოქმედებით




$Hg$  (II)-ის ოქსიდის ორიგე მოდიფიკაციას აქვთ ერთნაირი კრისტალური სტრუქტურა. განსხვავდებიან მხოლოდ ნაწილაკების ზომით.  $HgO$  – წყალში მცირედსნადია.

ვერცხლისწყალი(II)-ის ქლორიდი –  $HgCl_2$  – სულემა მიიღება ვერცხლისწყლის უშუალო მოქმედებით ქლორთან



$HgCl_2$ -ის მიღება შეიძლება აგრეთვე  $HgSO_4$ -ის და  $NaCl$ -ის ნარევის გახურებით



წარმოქმნილ  $HgCl_2$  – გამოხდიან.

ვერცხლისწყალი ნაერთებს წარმოქმნის სხვა პალოგენებთან.

$Hg$  (II) წარმქომნის მარილებს სხვადასხვა მჟავებთან. ცნობილია  $Hg(NO_3)_2$  – ვერცხლისწყლის ნიტრატი,  $HgSO_4$  – ვერცხლისწყლის სულფატი და სხვა.

Hg (II) წარმოქმნის კომპლექსურ მარილებს, სადაც Hg-ის კოორდინაციული რიცხვი ძირითადად ტოლია 4-ის, იშვიათად 3-ის. ცნობილია შემდეგი შედგენილობის კომპლექსური მარილები  $\text{Me}[\text{HgCl}_3]$ ,  $\text{Me}_2[\text{HgCl}_4]$ ,  $\text{Me}[\text{Hg}(\text{CN})_3]$ ,  $\text{Me}_2[\text{Hg}(\text{CN})_4]$  ( $\text{Me} - \text{Na, K}$  და სხვა).

ვერცხლისწყალი და მისი ნაერთები ძლიერი მომწამვლელი ნივთიერებებია, ამიტომ მათთან მუშაობა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს!

ვერცხლისწყალი გამოიყენება გამზომ ხელსაწყოებში (თერმომეტრებში, მანომეტრებში, ბარომეტრებში და სხვა). კალას, ვერცხლის და სხვა ლითონების ამაღვამები გამოიყენება სტომატოლოგიაში. დიდი რაოდენობით ვერცხლისწყალი გამოიყენება ე.წ. „მგრგვინავი ვერცხლისწყლის“ და სხვა ვეთქებადი ნივთიერებების დასამზადებლად. ვერცხლისწყლის მარილები გამოიყენება მედიცინაში და სოფლის მეურნეობაში.

## II ჯგუფის თანაური მცენარეულის ელემენტების პიოლოგიური როლი

II ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები: თუთია, კადმიუმი და ვერცხლისწყალი მიეკუთვნებიან მიკროელემენტებს. თუთია წარმოადგენს სასიცოცხლო პროცესებისთვის აუცილებელ მიკროელემენტს, ხოლო კადმიუმი და ვერცხლისწყალი მინარევ მიკროელემენტებს. მოცემული ელემენტები თითქმის ყოველთვის იმყოფებიან ცხოველების და ადამიანების ორგანიზმში.

**თუთია.** თუთიის ნაერთები უხსოვარი დროიდან გამოიყენება მეტალურგიაში. ჯერ კიდევ 5000 წლის წინ ეგვიპტელები იყენებდნენ თუთიის მალამოს, რომელიც ხელს უწყობს ჭრილობების სწრაფად შეხორცებას. თუთიის და მისი ნაერთების აუცილებლობა დადგენილი იქნა თითქმის 700 წლის წინათ. ორგანიზმში თუთიის უკმარისობა იწვევს ათეროსკლეროზს, არტრიტს, რევმატიზმს და სხვ.

მოზარდებში თუთიის უკმარისობა იწვევს უმაღლებას, სიმაღლეში ზრდის შენელებას. ბავშვებს უჩნდება მიღრეკილება ლითონის ნაჭრების გადაყლაპვისა.

შემჩნეულია, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებსა და ორგანიზმში თუთიის შემცველობას შორის.

თუთიის შემცველი ფერმენტებიდან აღსანიშნავია – კარბოანგიდრაზა, რომელიც ხელს უწყობს სუნთქვის და ორგანიზმში აირმიმოცვლის პროცესებს.

მეორე ფერმენტი – კარბოქსოპენტოლაზა, მონაწილეობს პეპტიდური ბმების ჰიდროლიზის რეაქციებში. მოცემულ ფერმენტში შემავალი თუთია ხელს უწყობს კარბონილის ჯგუფის გარდაქმნას —COOH კარბოქსილის ჯგუფში.

თუთიის შემცველი ჰორმონი მონაწილეობს ორგანიზმში ნახშირწყლების მიმოცვლაში. გავლენას ახდენს სისხლში შაქრის შემცველობაზე და წარმოადგენს დიაბეტის სამკურნალო პრეპარატს.

ორგანიზმი თუთიის დეფიციტი სამკურნალო პრეპარატებთან ერთად შეიძლება შეივსოს საკვები პროდუქტებითაც. თუთიას დიდი რაოდენობით შეიცავს ხორცი, ლვიძლი, რძე, კვერცხი, ვაშლი, ფორთოხალი, ლიმონი და სხვ.

**კადმიუმი.** კადმიუმი ძირითადად გროვდება თირკმელებში, ლვიძლში და შედარებით მცირე რაოდენობით სისხლში. თირკმელებში კადმიუმის დაგროვება ხდება ცილებთან კომპლექსური ნაერთის სახით. კადმიუმი ახდენს მთელი რიგი ფერმენტების ინჰიბირებას და იწვევს ორგანიზმში მიმდინარე ზოგიერთი პროცესების დამუხრუჭებას.

ლითონური კადმიუმი ძლიერ ტოქსიკურია და ორგანიზმში მისი დიდი რაოდენობით (50-60 მგ) დაგროვება იწვევს სიკვდილს. ტოქსიკურებია აგრეთვე კადმიუმის ოქსიდი და მისი ხსნადი მარილები.

კადმიუმით მოწამვლას იწვევს ისეთი მარცვლოვანი და ბოსტნეული საკვების მიღება, რომელიც მოყვანილია ნაგთობგადამამუშავებელი და მეტალურგიული ქარხნების ახლოს. ნიკოტინის კანცეროგენული მოქმედება ფაქტიურად დაკავშირებულია თამბაქოს კვამლში კადმიუმის შემცველობასთან.

**ვერცხლისწყალი.** ვერცხლისწყალი ისე, როგორც კადმიუმი წარმოადგენს მინარევ მიკროელემენტს. ვერცხლისწყალი უფრო ტოქსიკურია, ვიდრე კადმიუმი. ბუნაბაში ვერცხლისწყლის დასაშვები ნორმა ტოლია  $0,01 \text{ მგ/გ}^3$ , ხოლო კადმიუმის  $0,1 \text{ მგ/გ}^3$ .

მიუხედავად ტოქსიკურობისა, ვერცხლისწყალი თითქმის ყოველთვის არსებობს ორგანიზმში. ვერცხლისწყალი ძირითადად გროვდება თირკმელებში.

ვერცხლისწყლით მოწამვლისას ადგილი აქვს პირის ღრუში ლითონის გემოს შეგრძნებას, საერთო სისუსტეს, ძლიერ თავის ტკივილს, თმების, კბილების ცვენას, ხოლო დიდი ხნის მოქმედებისას შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი.

## თავი X

### f - ელემენტები

**f**-ელემენტები გარდამავალ ელემენტებს მიეკუთვნებიან. ისინი განლაგებული არიან პერიოდული სისტემის VI და VII პერიოდებში. VI პერიოდის ელემენტები გაერთიანებულია ლანთანიდების ოჯახში, ხოლო VII პერიოდის – აქტინიდების ოჯახში.

### ლანთანიდები

#### ლანთანიდების ზოგადი დახასიათება

ლანთანიდების ოჯახს მიეკუთვნება ელემენტები: ცერიუმი Ce, პრაზეოდიმი Pr, ნეოდიმი Nd, პრომეთიუმი Pm, სამარიუმი Sm, ევროპიუმი Eu, გადოლინიუმი Gd, ტერბიუმი Tb, დისპროზიუმი Dy, ჰოლიმიუმი Ho, ერბიუმი Er, თულიუმი Tm, იტერბიუმი Yb, ლუტეციუმი Lu.

ელემენტი	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტროული ყოფითობა	ატომური ნომერი
Ce	140,12	$5s^2 5p^6 4f^2 5d^0 6s^2$	1,08	58
Pr	140,907	$5s^2 5p^6 4f^3 5d^0 6s^2$	1,07	59
Nd	144,24	$5s^2 5p^6 4f^4 5d^0 6s^2$	1,07	60
Pm	145,0	$5s^2 5p^6 4f^5 5d^0 6s^2$	1,07	61
Sm	150,40	$5s^2 5p^6 4f^6 5d^0 6s^2$	1,07	62
Eu	151,96	$5s^2 5p^6 4f^7 5d^0 6s^2$	1,01	63
Gd	157,25	$5s^2 5p^6 4f^7 5d^1 6s^2$	1,11	64
Tb	153,925	$5s^2 5p^6 4f^9 5d^0 6s^2$	1,10	65
Dy	162,50	$5s^2 5p^6 4f^{10} 5d^0 6s^2$	1,10	66
Ho	164,930	$5s^2 5p^6 4f^{11} 5d^0 6s^2$	1,10	67
Er	167,26	$5s^2 5p^6 4f^{12} 5d^0 6s^2$	1,11	68
Tm	168,934	$5s^2 5p^6 4f^{13} 5d^0 6s^2$	1,11	69
Yb	173,04	$5s^2 5p^6 4f^{14} 5d^0 6s^2$	1,06	70
Lu	174,97	$5s^2 5p^6 4f^{14} 5d^1 6s^2$	1,14	71

ლანთანიდების ატომთა ელექტრონული კონფიგურაცია შეიძლება ასეთი ზოგადი ფორმულით გამოვსახოთ:  $4f^{2-14} 5s^2 5p^6 5d^{0-1} 6s^2$ . მათ ელექტრონებით ევსებათ  $4f$  ქვედონებ.  $5d$  ქვედონებები თითო ელექტრონი აქვთ ლანთანს, გადოლინიუმს და ლუტეციუმს. ყველა დანარჩენთან კი აღნიშნული ელექტრონი გადადის  $4f$  ქვედონებები. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ლანთანიდებისთვის უფრო მეტადაა ხელსაყრელი, ვიდრე  $5d$  ქვედონები.

$4f$  ორბიტალების შევსების ხასიათის მიხედვით ლანთანიდები იყოფა ქვეჯგუფებად. პირველი შვიდი ელემენტი (Ce- Gd) შეადგენს ცერიუმის ქვეჯგუფს, დანარჩენი შვიდი კი (Tb- Lu) – ტერბიუმის ქვეჯგუფს.

ცერიუმის ქვეჯგუფი	ტერბიუმის ქვეჯგუფი
Ce $4f^2$	Tb $4f^{7+2}$
Pr $4f^3$	Dy $4f^{7+3}$
Nd $4f^4$	Ho $4f^{7+4}$

Pm	$4f^5$	Er	$4f^{7+5}$
Sm	$4f^6$	Tm	$4f^{7+6}$
Eu	$4f^7$	Yb	$4f^{7+7}$
Gd	$4f^7 5d^1$	Lu	$4f^{14} 5d^1$

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ ელემენტების ქვეჯგუფებად დაყოფა განისაზღვრება  $4f$  - ორბიტალების შევსების ხასიათით. დამატებითი ელექტრონი გადოლინიუმს და ლუტეციუმს აქვთ  $5d$  მდგომარეობაში.

უმნიშვნელო აღგზნებისას ერთერთი  $4f$  ელექტრონებიდან (იშვიათად ორი) გადადის  $5d$  ქვედონებზე. დანარჩენი კი მნიშვნელოვან გავლენას ლანთანიდების ქიმიურ თვისებებზე არ ახდენს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ლანთანიდების თვისებებს განისაზღვრავენ  $5d^1 6s^2$  ელექტრონები. ამითაა განპირობებული მათი მსგავსება სკანდიუმთან და მის ანალოგებთან.


ლანთანიდები თვისებებით ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს. ამის გამო მათ ლანთანთან, იტრიუმთან და სკანდიუმთან ერთად აერთიანებენ ეწ. იშვიათმიწათა ელემენტების ოჯახში. თუმცა, ზოგიერთი თვისება რიგში Ce-Lu მონოტონურად იცვლება. ამავე დროს, თვისებების ცვლილება პერიოდულად ხდება. თვისებათა მონოტონური ცვლილება აიხსნება ლანთანიდური კუმშვით. ლანთანიდური კუმშვა – ეს არის რიგში Ce-Lu ატომური და იონური რადიუსების თანდათანობითი შემცირება.

ლანთანიდებისთვის დამახასიათებელი ჟანგვითი რიცხვები მოცემულია ცხრილში

ცერიუმის ქვეჯგუფი	Ce	Pr	Nd	Pm	Sm	Eu	Gd
ჟანგვითი რიცხვი	+3, +4	+3, +4	+3	+3	+3	+3,+2	+3
ტერბიუმის ქვეჯგუფი	Tb	Dy	Ho	Er	Tm	Yb	Lu
ჟანგვითი რიცხვი	+3, +4	+3, (+4)	+3	+3	+3, (+2)	+3, +2	+3

ლანთანიდების უმეტესობა პარამაგნიტურია; გადოლინიუმი, დისპროზიუმი და ჰოლმიუმი კი ფერომაგნიტურებია. დიდი მსგავსების გამო მნელად ხდება ლანთანიდების დაცილება და სუფთა სახით მიღება.


ლანთანიდებს კენტი ატომური ნომრით მხოლოდ ერთი ბუნებრივი იზოტოპი აქვთ, დანარჩენებს კი – შვიდი. ყველა მათგანისთვის მიღებულია ხელოვნური იზოტოპები, რომლებიც ბირთვულ რეაქტორებში იმყოფებიან.



იშვიათმიწათა ლითონების ატომური მოცულობების მრუდი. მაქსიმუმი შეესაბამება ელემენტებს, რომლებიც ავლენენ ვალენტობას-2. ხოლო მინი-მუმი – იმ ელემენტებს, რომლებიც ავლენენ ვალენტობას 4

## ბუნებაში გავრცელება

ლანთანიდები გვხვდებიან ლანთანთან და იტრიუმთან ერთად. დედამიწის ქერქში იშვიათმიწათა ელემენტების შემცველობა  $0,016\%$  შეადგენს. ყველაზე მეტად გავრცელებულია ცერიუმი ( $4,5 \cdot 10^{-3}\%$ ), ნეოდიმი ( $2,5 \cdot 10^{-3}\%$ ), გადოლინიუმი ( $1,0 \cdot 10^{-3}\%$ ). შედარებით იშვიათია ჰოლმიუმი, თულიუმი, ლუტეციუმი.




ლანთანიდთა ფარდობითი შემცველობა დედამიწის ქერქში

## ლანთანიდების მიღება

ლანთანიდების მიღების ძირითადი წყაროა მინერალები: მონოციტი, ფოსფორიტები და აპატიტები. ფოსფატური ნედლეულიდან მათ მისაღებად სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, მათ შორის ექსტრაქციას.

თავისუფალ მდგომარეობაში ლანთანიდებს იღებენ  $\text{EF}_3$  ან  $\text{ECl}_3$  ლითონთერმული ადგენით. აღმდგენელად იყენებენ კალციუმს ან მაგნიუმს.  $\text{Ehal}_3$ -ის ურთიერთქმედება კალციუმთან უფრო სრულად და ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე მაგნიუმთან. ამ უკანასკნელის გამოყენებისას წარმოიქმნება შენადნობი  $\text{Mg} - \text{E}$  თუმცა, მაგნიუმი უფრო მეტად აქროლადია, ვიდრე კალციუმი და მისი მოცილება შეიძლება ლითონის ძლიერი გახურებით ვაკუუმში. მსუბუქი ლანთანიდების მისაღებად ( $\text{La-Gd}$ ) ახდენენ  $\text{ECl}_3$ -ის ადგენას, მძიმეთა ( $\text{Tb}, \text{Lu}$ ) მისაღებად  $\text{EF}_3$  – ის. გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სამარიუმი, ევროპიუმი და იტერბიუმი. ამ შემთხვევაში მიიღება არა ლითონი, არამედ  $\text{ECl}_2$ . აღნიშნული ლითონების მიღება შეიძლება რეაქციით:



ლანთანიდებს მიიღებენ აგრეთვე  $\text{ECl}_3$  – ის ნალღობის ელექტროლიზით. დანამატებად იყენებენ  $\text{NaCl}$ ,  $\text{KCl}$  ან  $\text{CaCl}_2$ -ს. ამ ხერხით მხოლოდ ადვილადდნობადი ლანთანიდების მიღებაა შესაძლებელი. ყველა ლანთანიდის მიღება შეიძლება ელექტროლიზით თუთიის ან კადმიუმის თხევადი კათოდის გამოყენებისას. მიღებული შენადნობიდან ადვილად აქროლად თუთიას და კადმიუმს აშორებენ ვაკუუმში გადადენით.

## ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ლანთანიდები ძნელადდნობადი მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონებია, ჭედადი, ადვილად იჭრებიან დანით; მათი სიმაგრე ატომური ნომრის გაზრდასთან ერთად მატულობს. ამავე მიმართულებით ხდება კუთრი წონის მომატება. ჰაერზე ბრწყინვალებას კარგავენ და იფარებიან  $\text{E}_2\text{O}_3$ -ის ქერქით.

ქიმიური აქტიურობით ლანთანიდები, ისევე, როგორც ლანთანი, ჩამორჩებიან მხოლოდ ტუტე და ტუტემიწათა ლითონებს. მშრალ ჰაერზე მდგრადნი არიან;

გახურებისას ჰაერზე აალდებიან ( $200\text{--}400^\circ$ ) და წარმოქმნიან ოქსიდებისა და ნიტრიდების ნარევს. ცერიუმი პიროფორულია – ჩვეულებრივ პირობებში ჰაერზე თვითაალებას განიცდის. მისი ეს თვისება გამოიყენება პიროფორული შენადნობების მისაღებად.

ტენიან ჰაერზე ლანთანიდები ადვილად იუანგებიან. წარმოიქმნება  $\text{Eu}_2\text{O}_3$ , ცერიუმის შემთხვევაში კი –  $\text{Eu}_2\text{O}_2$ .

ლანთანიდები სწრაფად შლიან ცხელ წყალს, ცივს კი – შედარებით ნელა. ცერიუმი ნახშირბადს აღადგენს მისი ოქსიდებიდან.


ლანთანიდები ურთიერთქმედებენ ჰალოგენებთან. გახურებით კი – აზოტთან, გოგირდთან, ნახშირბადთან, სილიციუმთან, ფოსფორთან, წყალბადთან. ამ დროს ხშირად წარმოიქმნება ინტერმეტალური ნაერთები. ძლიერი გახურებისას ლანთანიდები ზოგიერთ ლითონს აძევებენ მათი ჰალოგენ- და უანგბადნაერთებიდან.

ლანთანიდები აქტიურად ურთიერთქმედებენ მჟავებთან.


## ნაერთები

ლანთანიდები ურთიერთქმედებენ წყალბადთან ( $300\text{--}400^\circ$ ) და წარმოქმნიან ჰიდრიდებს  $\text{EH}_2$  და  $\text{EH}_3$  (გარდა  $\text{Eu}$  და  $\text{Yb}$ ). აღნიშნულ ჰიდრიდებს  $\text{CaF}_2$ -ის სტრუქტურა აქვთ, მარილისმსგავსი არიან. რეაგირებენ წყალთან, ჟანგბადთან, ჰალოგენებთან. განსაკუთრებით რეაქციისუნარიანია  $\text{Eu}_3$  ტიპის ნაერთები.

აღნიშნული ჰიდრიდები განიცდიან ჰიდროლიზს, იხსნებიან მინერალურ მჟავებში:



ევროპიუმის და იტერბიუმის ჰიდრიდები  $\text{EuH}_2$  და  $\text{YbH}_2$  მარილისმაგვარი ჰიდრიდებია. მათი მიღება შეიძლება რეაქციით:



ეს რეაქცია მიმდინარეობს ოთახის ტემპერატურაზე.


რაც შეეხება  $\text{EuH}_3$  ტიპის ჰიდრიდების სინთეზს, რეაქციის




განხორციელება მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან ლითონის ზედაპირზე წარმოიქმნება  $\Theta H_3$ -ის მკვრივი აფსკი, რომელიც ხელს უშლის შემდგომი ჰიდრირების პროცესს. ამიტომ, ამ დროს საჭიროა მაღალი წნევის გამოყენება.

### ტ(III) ნაერთები. ოქსიდები და ჰიდროქსიდები


სამვალენტიანი მდგომარეობა დამახასიათებელია ყველა ლანთანიდისთვის. ისინი წარმოქმნიან  $\Theta_2O_3$  ტიპის ოქსიდებს, რომლებიც თვისებებით კალციუმის, სტრონციუმის, ბარიუმის ოქსიდებს ემსგავსებიან. ამ ოქსიდებს სხვადასხვა მეთოდებით მიიღებენ. მაგალითად, ლითონის გახურებით ჟანგბადის არეში ან ჰაერზე:




ან მათი მარილების თერმული დაშლით:




ყველაზე მოსახერხებელი და გავრცელებული ხერხია ოქსალატების გახურება:



ეს ოქსიდები ჰაერიდან ადვილად შთანთქავენ ნახშირორჟანგს, წყალს და წარმოქმნიან შესაბამის ჰიდროქსიდებს და კარბონატებს:






ცერიუმის, გადოლინიუმის, იტერბიუმის და ლუტეციუმის ოქსიდები უფეროა, დანარჩენი კი შეფერილი. Eu, Tb, Er- ის ოქსიდები – ვარდისფერია; Sm, Dy, Ho – ყვითელი, Pr, Tm – მწვანე; Nd – მოწითალო-იისფერი. ეს ოქსიდები აღვილად მიიღება ნიტრატთა გახურებით. ისინი რეაგირებენ მჟავებთან და წარმოქმნიან მარილებს. ურთიერთქმედების ინტენსივობა მცირდება  $\text{Ce}_2\text{O}_3$  –დან  $\text{Lu}_2\text{O}_3$  –ზე გადასვლისას.

ელემენტი	ოქსიდი	ფერი
Ce	$\text{Ce}_2\text{O}_3$	უფერული
Gd	$\text{Gd}_2\text{O}_3$	უფერული
Yb	$\text{Yb}_2\text{O}_3$	უფერული
Lu	$\text{Lu}_2\text{O}_3$	უფერული
Eu	$\text{Eu}_2\text{O}_3$	ვარდისფერი
Tb	$\text{Tb}_2\text{O}_3$	ვარდისფერი
Er	$\text{Er}_2\text{O}_3$	ვარდისფერი
Sm	$\text{Sm}_2\text{O}_3$	ყვითელი
Dy	$\text{Dy}_2\text{O}_3$	ყვითელი
Ho	$\text{Ho}_2\text{O}_3$	ყვითელი
Pr	$\text{Pr}_2\text{O}_3$	მწვანე
Tm	$\text{Tm}_2\text{O}_3$	მწვანე
Nd	$\text{Nd}_2\text{O}_3$	მოწითალო-იისფერი

$\text{E}^{3+}$  იონები წყალხსნარებში წარმოქმნიან ჰიდრატულ კომპლექსებს  $\text{E}(\text{H}_2\text{O})_n$   $n \sim 8$ . ჰიდრატული იონები შეფერილია:  $\text{Ce}^{3+}$  – უფერული,  $\text{Pr}^{3+}$  – მოყვითალო-მწვანე,  $\text{Nd}^{3+}$  – მოწითალო-იისფერი,  $\text{Eu}^{3+}$  – ვარდისფერი,  $\text{Pm}^{3+}$  – ვარდისფერი,  $\text{Sm}^{3+}$  – ყვითელი,  $\text{Yb}^{3+}$   $\text{Er}^{3+}$   $\text{Gd}^{3+}$   $\text{Tb}^{3+}$  – უფერული,  $\text{Dy}^{3+}$  – მკრთალი მოყვითალო-მწვანე,  $\text{Ho}^{3+}$  – მოყავისფრო-ყვითელი,  $\text{Tm}^{3+}$  – ღია მწვანე;  $\text{Ce}^{4+}$  იონს აქვს მუქი ყვითელი შეფერილობა.


Ծუტის ֆյალեსნარებთან ლანთანიდთა(III) ოქსიდები არ რეაგირებენ, მაგრამ მიღებულია  $\text{Li}_2\text{O}_2$ ,  $\text{Na}_2\text{O}_2$ . ტიპის კრისტალური ნაერთები, რაც  $\text{E}_2\text{O}_3$  – ის ამფოტერობაზე მიუთითებს.

$\text{E}_2\text{O}_3$  კარგად იხსნებიან მჟავებში მარილების წარმოქმნით; ურთიერთქმედებენ ნატრიუმის კარბონატთან:



ნატრიუმის იტერბიტი  $\text{NaYbO}_2$  ნატრიუმის ალუმინატის  $\text{NaAlO}_2$  იზოსტრუქტურულია. როგორც ჩანს, მაღალტემპერატურულ პირობებში  $\text{E}_2\text{O}_3$  ოქსიდები ამფოტერული ბუნებისაა.



**ჰიდროქსიდები**  $\text{E(OH)}_3$ . ყველა მათგანი წყალში უხსნადი, ლაბისებრი ნივთიერებაა. მათი ფუძე თვისებები მცირდება ატომური ნომრის გაზრდასთან ერთად. ჰიდროქსიდთა მიღება შეიძლება შესაბამის მარილებზე ამიაკის ან ტუტის ხსნარის მოქმედებით. მიიღება ლაბისებრი ნალექი:



$\text{E(OH)}_3$  პრაქტიკულად ამფოტერულები არ არიან, მაგრამ რიგში  $\text{Ce(III)} - \text{Lu(III)}$  იონური რადიუსის შემცირების შესაბამისად ფუძეთა თვისება გარკვეულწილად მცირდება და ჩნდება ამფოტერობის ნიშნები. იმავე რიგში მცირდება თერმული მდგრადობა და ხსნადობა.

$\text{E(OH)}_3$  –ის ნალექზე განზავებული  $\text{NaOH}$  და  $\text{HCl}$  –ის მოქმედებით რეაქცია მიდის მხოლოდ  $\text{HCl}$  -თან. თუმცა, ძლიერი ტუტების კონცენტრირებულ ხსნარებში შესაძლებელია ჰიდროქსოკომპლექსების მიღებაც, როგორიცაა, მაგალითად  $\text{Na}_3[\text{Lu(OH)}_6]$ .

**ნიტრატები.**  $\text{E(NO}_3)_3$  მიიღება შესაბამის ოქსიდებზე აზოტმჟავას მოქმედებით:




უწყლო ნიტრატების მიღება შესაძლებელია მხოლოდ არაწყალხსნარებში.

**სულფატები.**  $\text{E}_2(\text{SO}_4)_3$  ზომიერად იხსნებიან ცივ წყალში, მაგრამ ტემპერატურის გაზრდასთან ერთად მათი ხსნადობა მცირდება. ტუტე ლითონების სულფატების თანაობისას წყალხსნარებში მიიღება ორმაგი სულფატები:



ცერიუმის ქვეჯგუფის ორმაგი სულფატები ძნელად ხსნადებია, მათ ამ თვისებას იყენებენ ტექნოლოგიაში.


**კარბონატები.**  $\text{E}_2(\text{CO}_3)_3$  პრაქტიკულად არ იხსნებიან წყალში. მიიღებიან იშვიათმიწათა ლითონების მარილებზე ტუტე ლითონების კარბონატების მოქმედებით:



$\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის სიჭარბისას მიიღება კომპლექსური ნაერთები, მაგალითად  $\text{Na}_2[\text{E}(\text{CO}_3)_2] \cdot 6\text{H}_2\text{O}$ .

$\text{E(III)}$  ჰალოგენიდებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ფტორიდები, მათი დაბალი ხსნადობის გამო. ქლორიდები იხსნებიან წყალში, საიდანაც გამოკრისტალდებიან ჰიდრატების სახით. ამ ჰიდრატებიდან შეუძლებელია უწყლო მარილების მიღება, რადგან გაცხელებისას ისინი უფრო ადვილად კარგავენ  $\text{HCl}$ -ს, ვიდრე წყალს. ამ დროს წარმოიქმნება ოქსიქლორიდები  $\text{EOCl}_2$ .


უწყლო ქლორიდები ადვილად მიიღება ოქსიდთა გახურებით ამონიუმის ქლორიდთან:



დიდი სისუფთავის უწყლო ფტორიდების მისაღებად თავდაპირველად მიიღებენ ფტორამონიუმის კომპლექსებს, რის შემდეგაც ხდება მათი თერმული დაშლა( $400$ - $450^\circ\text{C}$ ):



უწყლო ჰალოგენიდების მიღება პირდაპირი სინთეზის გზითაცაა შესაძლებელი:






სადაც  $hal = F, Cl, Br, I.$

მრეწველობაში უწყლო ჰალოგენიდებს დებულობენ ოქსიდების ჰალოგენირებით ნახშირბადის (კოქსი, გრაფიტი, გააქტივებული ნახშირი) თანაობისას.

ბრომიდები და იოდიდები თვისებებით ემსგავსებიან ქლორიდებს.

წყალხსნარებში ჰალოგენიდების მისაღებად ხშირად გამოიყენება ოქსიდების, ჰიდროქსიდების და უმუალოდ ლითონების ურთიერთქმედება ჰალოგენწყალბადმჟავებთან (Hhal):




სადაც  $hal = F, Cl, Br, I.$

ლანთანიდები ადვილად წარმოქმნიან ორმაგ მარილებს: სულფატებს და ნიტრატებს, როგორიცაა  $2 \Theta(NO_3)_3 \cdot 3Mg(NO_3)_2 \cdot 24H_2O$ ,  $\Theta_2(SO_4)_3 \cdot 3 Na_2SO_4 \cdot 12H_2O$  და სხვ.

ლანთანიდები(III) წარმოქმნიან მუდმივი შედგენილობის ნაერთებს არა მხოლოდ ჟანგბადთან და ჰალოგენებთან, არამედ სხვა არალითონებთანაც: გოგირდთან, სელენთან, აზოტთან, ფოსფორთან და სხვ.


**Theta IV ნაერთები.** ერთადერთი ლანთანიდი, რომელიც ოთხვალენტიან მდგომარეობაში მდგრად ნაერთებს წარმოქმნის, არის ცერიუმი. Ce(IV)-ის ბინარულ მყარ ნაერთებს მიეკუთვნება  $CeO_2$ . იგი მიიღება ლითონური ცერიუმის ან მისი მარილების გახურებით ჰაერზე. შეესაბამება ჰიდრატი –  $Ce(OH)_4$ , რომელიც ყვითელი ლაბისებრი ნივთიერებაა. იგი არ იხსნება ტუტებში, იხსნება მჟავებში და იძლევა შესაბამის მარილებს. მისი მარილები ადვილად განიცდიან ჰიდროლიზს.

ცერატები მიიღება  $CeO_2$ -ის შელდობით ტუტებთან:




$\text{Ce}(\text{OH})_4$  ამფორულ ბუნებას ამჟღავნებს.

$\text{Ce}^{4+}$  წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთებს კალიუმის ფტორიდთან შელდობით:



$\text{Ce(IV)}$  ნაერთები მჟავა გარემოში ძლიერი დამჟანგველებია:



$\text{Ce(IV)}$  წარმოქმნის ორმაგ მარილებს,  $\text{Ce}(\text{NO}_3)_4 \cdot 2\text{NH}_4\text{NO}_3$ .  $\text{Ce}^{4+}$  იონის სტაბილურობა იმით აიხსნება, რომ მას ქსენონის ატომის შესაბამისი ელექტრონული კონფიგურაცია აქვს.

პრაზეოდიმი, ტერბიუმი ასევე წარმოქმნიან ოთხვალენტიან ნაერთებს, რომლებიც ცერიუმის ნაერთებისგან განსხვავებით ნაკლებად მდგრადებია.  $\text{Pr}$  და  $\text{Tb}$  ჰაერზე გახურებით მიიღება შავი ფერის ოქსიდები, რომლებსაც შეესაბამება ფორმულები:  $\text{Pr}_2\text{O}_3 \cdot 2\text{PrO}_2$  და  $\text{Tb}_2\text{O}_3 \cdot 2\text{TbO}_2$ . ამით სარგებლობენ პრაზეოდიმის და ტერბიუმის დაცილებისას დანარჩენი ლანთანიდებისგან.

#### ლანთანიდთა ტიპიური ნაერთები


ნაერთი	ნაერთის ფორმულა	ელემენტი
ოქსიდები	$\text{E}_2\text{O}_3$	ე
	$\text{EO}_2$	$\text{Ce}, \text{Pr}, \text{Tb}$
ჰიდროქსიდები	$\text{E(OH)}_3$	ე
	$\text{E(OH)}_4$	$\text{Ce}, \text{Tb}$
ხსნადი მარილები	$\text{EX}_3$	
	$\text{E(NO}_3)_3$	
	$\text{E}_2(\text{SO}_4)_3$	ე
	$\text{E(CH}_3\text{COO)}_3$	
უხსნადი მარილები	$\text{E(OH)X}_2$	
	$\text{EF}_3 \cdot n\text{H}_2\text{O}$	
	$\text{E}_2(\text{CO}_3)_3$	ე

**Ե(II) նայրտեղիք.** Sm(II), Eu(II), Yb(II) նայրտեղիք մլույրո ալմածքնելցեցիա. մատո Շյեսաձամուսո նայրտեղիք, մագալութագ, քալուցենուցեցիք, մուցեցիք Շյեսաձամուսո սամշալցենցիանո քալուցենուցեցիք վյալեցագուտ ալճցենուսաւ.


+2 յանցքուտո ռուցեզո յշելանց մլցրագու ըշրուայմուստցուս, անցա օթյրեցիայմուստցուսաց. յե եբաձուլցրութա անեսնցիք օմուտ, ռոմ Eu<sup>2+</sup> და Yb<sup>2+</sup> օռնցիք Շյեսաձամեցատ կռնցուցյրացօ 4f<sup>7</sup> და 4f<sup>14</sup>.

Ֆուրույլյուսուցեցիք Eu(OH)<sub>2</sub> და Yb(OH)<sub>2</sub> մլույրո ფշմցեցիա. օսոնո վյալի յարցագ օնեսնցիան. ամաստան, շնդա ալոնումնուս, ռոմ Eu(OH)<sub>2</sub> շյրո մլույրո ֆշմցա, զուրյ Yb(OH)<sub>2</sub>.


Վյալեսնարցիք Ե<sup>2+</sup> օռնցիք ալցուլագ օյանցեցիան, ամութու մատ եբաձուլոնիրցիք անցենց մცուրց ևսնագ նայրտեցիք გաձապցանուս ցնուտ. մագալութագ, თუ EuCl<sub>2</sub>-ու վյալեսնարս დաշամաթցեց ցոցուրդմշացան, ցամուպոց յշրուայմ(II)-ու սյուլցացուս մոწուտալու-պազուսցյրո նալցի:



Ե(II) նայրտեղիքուս մուցեց Շյումլցիք ացրցուց լուտոներմշլո ցնուտաց:



Սաքաց Ե= Eu, Yb, Sm.  
დաნարհեց լուտոնեցիք ալճցենա մոմდոնարցութա սրյուլագ:



### լանտանուցեցիք դացուլցիք

լանտանուցեցիք յունույրո տցուսցեցիք մալի յմեցացեցիան յրտմանցու, რաց մատո յլցէլրոնցլո եբրույէլցրուս տացուսցելցրցեցիք անեսնցիք. ամութուա, ռոմ ամ յլցմենցու մուցեց տացուսցալ մլցրմարցութանու սայմառ րուլ ամուցանս წարմուացցիք. լանտանուցեցիք դասացուլցեցլագ մրացալո մյուտուա Շյմյշացելցլո, մացրամ արց յրտո ար արուս սրյուլպոցուլո.

დაცილების ერთ-ერთი მეთოდი აგებულია ლანთანიდების მარილთა წყალში ხსნადობაზე, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან. სწორედ ამაზეა აგებული წილადური გადაკრისტალების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ლანთანიდების მარილებიდან თავდაპირველად გამოყოფენ ცერიუმს, რისთვისაც იგი გადაჰყავთ ოთხვალენტიან მდგომარეობაში. დარჩენილ ხსნარს აორთქლებენ მანამდე, სანამ ერთი ამოლებული წვეთის გაცივებისას არ გამოიყოფა კრისტალები. შემდეგ ხსნარს ნელ-ნელა აცივებენ. შედეგად გამოკრისტალდება ნაკლებად ხსნადი მარილები, რომელთა მოცილებისას ხსნარის კონცენტრირებას ახდენენ და ისევ გამოკრისტალდებენ ნაკლებად ხსნად მარილებს. მიიღება კრისტალების ორი ფრაქცია და ორი დედა ხსნარი. ეს პროცესი გრძელება, რის შედეგადაც ფრაქციების რიცხვი იზრდება.

**წილადური დალექვის მეთოდი** დაფუძნებულია იმაზე, რომ ლანთანიდთა მწკრივში ფუძეთა ძალა ერთნაირი არ არის. ხსნარს ამატებენ ამიაკს, რის შედეგადაც პირველად გამოილექება ნაკლები სიძლიერის ფუძე, შემდეგ უფრო მეტი სიძლიერისა და ა.შ.

ადნიშნული მეთოდები დიდ დროს საჭიროებს, ამიტომ უკანასკნელ ხანს ლანთანიდთა დასაცილებლად იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია გამოიყენება.

ლანთანიდები გამოიყენება, როგორც დანამატები სხვადასხვა შენადნობების მიღებისას. ცერიუმის დამატება ფოლადში აუმჯობესებს ამ უკანასკნელის თვისებებს, რადგან მასში გახსნილ გოგირდთან წარმოქმნის ნაერთს და გადაჰყავს იგი წილაში.

ცერიუმის(6%) შემცველი ფოლადისაგან ამზადებენ ქირურგიულ ინსტრუმებებს. ცერიუმ(IV)-ის თქმიდი გამოიყენება, როგორც კატალიზატორი.

ნეოდიმის და პრაზედიმის შემცველი მინები გამოიყენება ულტრაინისფერი სხივებისგან დამცავი სათვალეების დასამზადებლად. ახტორონომიული და სკექტროსკოპული ხელსაწყოებისთვის გამოყენებული ოპტიკური მინა შეიცავს ნეოდიმის და ვანადიუმის თქმიდებს.

ლანთანიდებს დიდი გამოყენება აქვთ ცეცხლგამძლე კერამიკის წარმოებაში.

დიდი გამოყენება აქვთ ლანთანიდთა ხელოვნური გზით მიღებულ იზოტოპებს. მაგალითად,  $Tm^{178}$  γ-გამოსხივების უნარის გამო დიდ გამოყენებას პპოვებს ძელიცინაში ადამიანის სხეულის გასაშუქრებლად. გარდა ამისა, ამ ულემენტთა

რადიაქტიური იზოტოპები გამოიყენება როგორც ინდიკატორები სხვადასხვა ქიმიური რეაქციების შესწავლისას.

ლანთანიდთა გამოყენების მნიშვნელოვანი სფერო წყალბადის აკუმულატორების წარმოება ინტერმეტალიდების საფუძველზე, რომელთა შედგენილობაში შედის აგრეთვე გარდამავალი პლატინუმები. ასეთი შენადნობების უნიკალური თვისებაა მათი უნარი ჩვეულებრივ პირობებში ურთიერთქმედებაში შევიდნენ წყალბადთან, ხოლო უმნიშვნელოდ გახურებისას იხევ მოგვცენ იგი თავისუფალი სახით.

## ლანთანიდთა ბიოლოგიური როლი

ლანთანიდთა შემცველობა ბიოსფეროში იმდენად მცირეა, რომ ადვილად შეიძლება მათი ბიოლოგიური გავლენის უგულებელყოფა, მაგრამ ადამიანის მიერ მრეწველობაში ახალი სახის მასალების გამოყენებისას იზრდება ნარჩენებში იშვიათმიწათა ელემენტების შემცველობა, რაც გარემოს დაბინძურებას იწვევს. ამის შედეგად იზრდება ამ ელემენტების ცოცხალ ორგანიზმებში მოხვედრის ალბათობა.

მინარევი ელემენტების ბიოლოგიური როლი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ფორმით არსებობენ ისინი ბიოსფეროში, რომელ არაორგანულ და ორგანულ ლიგანდებთან არიან დაკავშირებული, რომელი ლიგანდები უწყობენ ხელს მათ მოხვედრას ცოცხალ ორგანიზმებში.

იშვიათმიწათა ელემენტები(III) ქიმიური თვისებებით ემსგავსებიან ტუტემიწათა ლითონებს.  $\text{Ca}^{2+}$  იონის და  $\text{La}^{3+}$  იონის რადიუსები პრაქტიკულად ერთნაირია. მსგავსია მათი პოლარიზაციული მახასიათებლებიც, რადგან ტუტემიწათა ლითონების ორმუხტიან კათიონებს და იშვიათმიწათა ელემენტების სამმუხტიან კათიონებს ინერტული აირის მსგავსი გარე ელექტრონული გარსი აქვთ. ამასთან ერთად, დადებითი მუხტის სიმკვრივე იშვიათმიწათა ელემენტების იონებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ტუტემიწათა ლითონებს. ეს კი ტუტემიწათა ელემენტების იონების ჩანაცვლების საშუალებას იძლევა ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმებში.

იშვიათმიწათა ელემენტების ამ თვისების გამო დღეს ისინი მედიცინაში გამოიყენება. მაგ.  $\text{Eu}^{3+}$  ძლიერ ლუმინესცენცირებადი იონის შეყვანა ცოცხალ ორგანიზმში ნიშნულის სახით, საშუალებას იძლევა თვალი მიედევნოს

მედიკამენტის ან სისხლის ცალკეული კომპონენტის გზას მეტაბოლიზმის პროცესში.

შექმნილია იშვიათმიწათა ელემენტების შემცველი სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც არეგულირებენ  $\text{Ca}^{2+}$  იონის მიმოცვლას და სიმსივნური უჯრედების ზრდის ინპიბირებას ახდენენ. გადოლინიუმის ნაერთები, რომელიც მეტნაკლებად გამოხატული პარამაგნიტური თვისებებით ხასიათდება, გამოიყენება ტომოგრაფიაში პარამაგნიტური ნიშნულის სახით. იშვიათმიწათა ელემენტების ზოგიერთი მარილი გამოიყენება, როგორც სისხლის ანტიკოაგულანტი თრომბოზის სამკურნალოდ.

ყველა იშვიათმიწათა ელემენტი ხასიათდება ატომური და იონური რადიუსების, იონიზაციის ენერგიის, საკოორდინაციო რიცხვის მსგავსი მნიშვნელობებით, რაც განაპირობებს ბმის წარმოქმნას ბიოლიგანდების მოლეკულების ერთი და იგივე ფუნქციონალურ ჯგუფებთან. ამგვარად, იშვიათმიწათა ელემენტების ბიოლოგიური აქტიურობა მიახლოებით ერთნაირია.

იშვიათმიწათა ელემენტები ხასიათდებიან მაღალი საკოორდინაციო რიცხვით, ამიტომ მაკროციკლურ ლიგანდებთან წარმოქმნიან სანდვიჩისმაგვარ და “მრავალიარუსიან” კომპლექსნაერთებს, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში ამფოფილური თვისებები აქვთ. მათი ტოქსიკურობა იმდენად მცირეა, რომ შეიძლება გამოიყენება სამკურნალო პრეპარატების სახით, თუკი ისინი ამჟღავნებენ საჭირო ბიოაქტიურ თვისებებს. ბოლო ხანებში დადგენილია, რომ იშვიათმიწათა ელემენტების ზოგიერთი კრაუნჩანაცვლებული ფტალოციანატები სელექტიურად გროვდებიან სიმსივნურ ქსოვილებში და საკმარისად ადვილად გამოიდევნებიან ორგანიზმიდან წითელი სინათლით დასხივებისას. დასხივების პროცესში ეს ნაერთები სინგლეტური უანგბადის გენერირებას ახდენენ, რაც იწვევს სიმსივნური წარმონაქმნების სელექტიურ განადგურებას. ამ პრინციპების გათვალისწინებით უკანასკნელ ხანს ვითარდება ფოტოდინამიური დიაგნოსტიკა სიმსივნის მკურნალობაში. არაა გასაკვირი, რომ ამ პერსპექტიულ მეთოდზე დიდ იმედებს ამჟარებენ მკვლევარები თნკოლოგიური დაავადებების მკურნალობისას.

## თავი XI

### აძლევები

აქტინიდების ოჯახში შედის თორიუმი Th, პროტაქტინიუმი Pa, ურანი U, ნეპტუნიუმი Np, პლუტონიუმი Pu, ამერიციუმი Am, კიურიუმი Cm, ბერკლიუმი Bk, კალიფორნიუმი Cf, ეინშტეინიუმი Es, ფერმიუმი Fm, მენდელეევიუმი Md, ნობელიუმი No, და ლოურენსიუმი Lr. ამ ელემენტთა ელექტრონული გარსების აღნაგობა მოცემულია ცხრილში

ელემენტი ნო	ატომური მასა	ატომის ელექტრონული კონფიგურაცია	ელექტროუარ ყოფითობა	ატომური ნომერი
Th	232,0381	$5f^0 6s^2 6p^6 6d^2 7s^2$	1,11	90
Pa	231,03588	$5f^1 6s^2 6p^6 6d^2 7s^2$ ან $5f^2 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$	1,14	91
U	238,0289	$5f^4 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$ ან $5f^3 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$	1,22	92
Np	237,048	$5f^4 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$ ან $5f^5 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,22	93
Pu	244,064	$5f^6 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,22	94
Am	243,061	$5f^7 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,20	95
Cm	247,079	$5f^7 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$	1,20	96
Bk	247,070	$5f^8 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$ ან $5f^9 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,20	97
Cf	251,088	$5f^{10} 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$ ან $5f^9 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$	1,20	98
Es	252,083	$5f^{11} 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,20	99
Fm	257,095	$5f^{12} 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,20	100
Md	258,099	$5f^{13} 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,20	101
No	259,101	$5f^{14} 6s^2 6p^6 6d^0 7s^2$	1,20	102
Lr	260,105	$5f^{14} 6s^2 6p^6 6d^1 7s^2$ ან $5f^9 6s^2 6p^6 6d^0 7s^2 7p^1$	1,20	103

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროტაქტინიუმს  $5f$  ქვედონეზე აქვს ერთი ელექტრონი, ხოლო მომდევნო ელემენტთა ატომებში გრძელდება  $5f$  ქვედონის

შევსება. ატომური ნომრის ზრდასთან ერთად 5f ელექტრონების ბირთვთან ბმის ენერგია თანდათან იზრდება, ხოლო 6d ელექტრონებისა კი მცირდება. ამიტომ, ხელსაყრელი ხდება ელექტრონის გადასვლა 6d-დან 5f ქვედონება.

5f ელექტრონები მონაწილეობას იღებენ ქიმიური ბმის წარმოქმნაში, რასაც ადასტურებს აქტინიდების მაღალი ჟანგვითი რიცხვი – +6, +7. ამით ისინი არსებითად განსხვავდებიან ლანთანიდებისგან, რომელთა 4f ელექტრონები ქიმიური ბმის წარმოქმნაში მონაწილეობას არ იღებენ. სწორედ ამიტომაა, რომ ლანთანიდების უმაღლესი ჟანგვითი რიცხვია +4.

ქიმიურ რეაქციებში 5f ელექტრონები გარდამავალ d –ელემენტთა d – ელექტრონების ანალოგიურ როლს ასრულებენ. შედეგად პროტაქტინიუმი, ურანი, ნეპტუნიუმი, პლუტონიუმი, ამერიკიუმი, კოურიუმი ქიმიური თვისებებით ემსგავსებიან 5d ელემენტებს: ტანტალს, ვოლფრამს, რენიუმს და სხვ. ეს განსაკუთრებით შეეხება თორიუმს, რომლის ატომს იზოლირებულ მდგომარეობაშიც კი არ აქვს 5f ელექტრონი. იგი თვისებებით ძალზედ წააგავს ცირკონიუმს და ჰაფნიუმს.

ისევე, როგორც ლანთანიდებს, აქტინიდებსაც ახასიათებთ ატომთა მოცულობის შემცირება, რასაც აქტინიდური კუმშვა ეწოდება.

აქტინიდები ამჟღავნებენ ცვლად ჟანგვით რიცხვს. 5f ორბიტალების შევსებისას ატომთა ელექტრონული კონფიგურაციები სტაბილური ხდება და 6d – ელექტრონების გადასვლა 5f მდგომარეობაში უფრო და უფრო ძნელდება. ამიტომ, ბერკლიუმის ქვეჯგუფის ელემენტები ტიპიური f- ელემენტებია და თვისებებით ემსგავსებიან ლანთანიდებს. ამის მიხედვით აქტინიდები შეიძლება ორ ქვეჯგუფად დავყოთ: თორიუმის ქვეჯგუფი და ბერკლიუმის ქვეჯგუფი.

აქტინიდებისთვის დამახასიათებელი ჟანგვითი რიცხვები მოცემულია ცხრილში

თორიუმის ქვეჯგუფი	Th	Pa	U	Np	Pu	Am	Cm
ჟანგვითი რიცხვი	(+2,+3),+4	(+3,+4),+5	+3, +4, +5, +6	+3, +4, +5, +6, +7	+3, +4, +5, +6, +7	(+2), +3, +4, +5, +6, +7	+3, +4
ბერკლიუმის ქვეჯგუფი	Bk	Cf	Es	Fm	Md	No	Lr
ჟანგვითი რიცხვი	(+3), +4	+3, (+2)	(+2), +3	+3	+2, +3,	+3, +2	+3

+2 ქანგვითი რიცხვის მდგრადობა იზრდება რიგში Cf – No.

### ბუნებაში გავრცელება, იზოტოპური შედგენილობა

14 აქტინიდიდან მხოლოდ სამი – თორიუმი, პროტაქტინიუმი და ურანი გვხვდება ბუნებაში. დანარჩენი ელემენტები სინთეზირებულია ლაბორატორიულ პირობებში ბირთვული რეაქციებით. მხოლოდ რამდენიმე მათგანის აღმოჩენა გახდა შესაძლებელი ურანის მადნებში. თორიუმის, პროტაქტინიუმის და ურანის გავრცელება ბუნებაში მოცემულია ცხრილში:

ელემენტი	Th	Pa	U
ძირითადი მინერალები	[Ce(Th,Ca)]PO <sub>4</sub> მონოციტი	ურანის და თორიუმის მადნები	(U,Th)O <sub>2</sub> ურანიტი
გავრცელება, % (წონითი)	$6 \cdot 10^{-10}$	$8 \cdot 10^{-4}$	$2,5 \cdot 10^{-4}$


ურანის მადნებიდან ყველაზე მეტად ცნობილია U<sub>3</sub>O<sub>8</sub> – ნასტურანი, K<sub>2</sub>O·2UO<sub>3</sub>·U<sub>2</sub>O<sub>5</sub>·2H<sub>2</sub>O – კარნოტიტი და სხვ. ურანისა და თორიუმის გავრცელება დანარჩენ ელემენტებთან შედარებით უფრო ფართოა იმის გამო, რომ მათი იზოტოპების ნახევრადდაშლის პერიოდი ძალიან დიდია.

ბუნებრივი რადიაქტიური იზოტოპებიდან ყველაზე სიცოცხლისუნარიანებია <sup>232</sup>Th, <sup>235</sup>U და <sup>238</sup>U. ამისდა მიხედვით შექმნილია სამი დაჯგუფება თორიუმის ოჯახი, ურან-რადიუმის ოჯახი და “აქტინიურანის” ოჯახი.


### აქტინიდთა მიღება

აქტინიდთა სინთეზისთვის გამოიყენება რეაქციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ნეიტრონები, დეიტრონები, α-ნაჭილაკები და ზოგიერთი იონები (<sup>10</sup>B<sup>3+</sup>, <sup>12</sup>C<sup>4+</sup>, <sup>14</sup>N<sup>5+</sup>, <sup>16</sup>O<sup>6+</sup>, <sup>22</sup>Ne<sup>10+</sup>)

პირველად მიღებული იქნა ნეპტუნიუმი. მისი სინთეზისთვის ლითონურ ურანს ასხივებენ ნეიტრონებით:




შემდგომში მიიღეს პლუტონიუმი:




ანალოგიურად იქნა მიღებული დანარჩენი აქტინიდები.

ხელოვნური რადიაქტიური ელემენტების სინთეზი, განსაკუთრებით კი მძიმე აქტინიდებისა, მრავალ ექსპერიმენტულ სიმნელესთანაა დაკავშირებული. სინთეზის პროცესები მცირეა, ხოლო ქიმიური მეთოდებით იდენტიფიკაცია – ხშირად შეუძლებელი. მხოლოდ ფიზიკური მეთოდები კი ქიმიური თვისებების შესწავლის საშუალებას არ იძლევა.

ლითონურ მდგომარეობაში აქტინიდების მისაღებად იყენებენ ლითონოთერმულ მეთოდებს. მაგალითად:



გარდა ამისა, მათი მიღება შეიძლება ჰალოგენიდთა ნალლობის ელექტროლიზით და ზოგიერთი ნაერთის თერმული დაშლითაც (ვაკუუმში, მაღალ ტემპერატურაზე):



### ფიზიკურ-ქიმიური თვისებები


ყველა აქტინიდი თეთრი ფერის მნელადდნობადი ლითონია. ხასიათდებიან მაღალი სიმკვრივით და დუღილის ტემპერატურით. ყველაზე დაბალი ლდობის ტემპერატურა აქვს პლუტონიუმს და ნეპტუნიუმს.

თორიუმის ელექტროგამტარობა 5-ჯერ აღემატება ვერცხლისწყლისას, ურანისა კი – 6-ჯერ. აქტინიდთა უმეტესობა და თვით აქტინიუმიც სიბნელეში ანათებენ; ხასიათდებიან პიროფორმული თვისებით. მაგ. ურანი ფხვნილის მდგომარეობაში ჰაერზე თვითალებას განიცდის.

აქტინიდები დიდი ტოქსიკურობით ხასიათდებიან. მაგ. პლუტონიუმის ნაერთების ტოქსიკურობა 100000-ჯერ აღემატება ციანწყალბადმჟავისას. ამიტომ, აქტინიდებთან მუშაობა სხვადასხვა დისტანციური დანადგარებით წარმოებს.


აქტინიდები აქტიური ლითონებია. ისინი დაძაბულობის მწერივში წყალბადის მარცხნივ დგანან. ადგილად შედიან რეაქციაში წყალბადთან, აზოტთან, გოგირდთან, ჰალოგენებთან და სხვ. ეს რეაქციები მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს.

ჰაერზე აქტინიდთა უმეტესობა იუანგება ჟანგბადით და აზოტით. ჟანგბადის არეში წვისას წარმოიქმნება ნაერთები, სადაც ეს ლითონები მდგრად ჟანგვით ხარისხს ავლენებ:



თორიუმი, ურანი და ზოგიერთი სხვა აქტინიდი აქტიურად უერთდებიან წყალბადს და წარმოქმნიან ცვლადი შედგენილობის პიდრიდებს ჸH<sub>3</sub>-სა და ჸH<sub>4</sub>-ს შორის. ლითონებთან აქტინიდები წარმოქმნიან შენადნობებს. ისინი აქტიურად შედიან რეაქციაში წყალთან და მჟავებთან, ხოლო ტუტებთან ჩვეულებრივ პირობებში არ რეაგირებენ.

ლითონური ურანი რეაგირებს წყალბადთან 250-300°C ტემპერატურაზე. მიიღება შავი ფერის ფხვნილი. რეაქცია შექვევადია:



შედარებით მაღალ ტემპერატურაზე ეს პიდრიდი იშლება უადრესად რეაქციისუნარიანი წვრილდისპერსული ლითონის წარმოქმნით.

Bk, Cf, Es, Fm, Md, No და Lr თვისებები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. სავარაუდოდ, მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებები მსგავსია ლანთანიდებისა.

აქტინიდები არსებობენ შემდეგი კატიონების სახით:  $\text{Th}^{3+}$ ,  $\text{Th}^{4+}$ ,  $\text{ThO}_2^+$  და  $\text{ThO}_2^{2+}$  რომლებიც შეესაბამება ვალენტობებს III-დან VI-მდე.  $\text{ThO}_2^+$  და  $\text{ThO}_2^{2+}$  ოქსიონებია, რომლებიც საკმაოდ მდგრად არიან თუ მათ შეიცავენ. ზოგიერთი ელემენტის ოქსიონებისგან განსხვავებით ისინი უცვლელი რჩებიან ქიმიური რეაქციების მსვლელობისას.

აქტინიდებს და მათ ნაერთებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ ბირთვულ უნივერგული კატეგორია. თორიუმი გამოიყენება, როგორც მალევირუგბელი დანამატი ცეცხლგამძლე შენადნობების წარმოებაში.

### აქტინიდთა ნაერთები

#### აქტინიდთა ტიპიური ნაერთები

ნაერთი	ფორმულა	ელემენტი
ოქსიდები	$\text{Th}_2\text{O}_3$ $\text{ThO}_2$ $\text{ThO}_3$ $\text{Th}_3\text{O}_8$	Bk – Lr Th, U, Np, Pu, Am–Lr U U
ოქსიდთა ჰიდრატები	$\text{Th}(\text{OH})_3$ $\text{Th}(\text{OH})_4$	Am–Lr Th, U–Pu
მარილები $\text{Th}^{\text{III}}$	$\text{Thhal}_3$ $\text{Th}(\text{NO}_3)_3$ $\text{Th}_2(\text{SO}_4)_3$ $\text{Th}_2(\text{C}_2\text{O}_4)_3$	Th – Lr
მარილები $\text{Th}^{\text{IV}}$	$\text{Thhal}_4$ $\text{Thhal}_4 \cdot n\text{H}_2\text{O}$	Th, U, Np, Pu
ჰეროქსიდთა ჰიდრატები	$\text{ThO}_4 \cdot n\text{H}_2\text{O}$	U, Np, Pu
მარილები $\text{Th}^{\text{VI}}$	$\text{ThO}_2(\text{NO}_3)_3$ $\text{ThO}_2(\text{SO}_4)_3$ $\text{ThO}_2\text{hal}_2$	U, Np, Pu


### Э(III) ნაერთები

ჟანგვით რიცხვს +3 ამჟღავნებს ყვალა აქტინიდი, თუმცა ელემენტებისთვის Th-Pu იგი დამახასიათებელი არ არის. ეს ლითონები სამვალენტიან მდგომარეობაში ძლიერ აღმდგენელებს წარმოადგენენ. ბერკლიუმიდან ლოურენსიუმის ჩათვლით კი ძირითადი ვალენტობაა ე(III). მათი ნაერთები  $\text{EX}_3$ ,  $\text{E}_2\text{O}_3$ ,  $\text{E(OH)}_3$  აღმდგენელის თვისებას არ ამჟღავნებენ. სამვალენტიანი აქტინიდებისთვის დამახასიათებელია მაღალი საკორდინაციო რიცხვი (12-მდე).

### პიდროქსიდები ე(OH)<sub>3</sub>

ლანთანიდთა პიდროქსიდების მსგავსად მცირედ იხსნებიან წყალში და ძლიერ ფუძე თვისებებს ამჟღავნებენ. ისინი ადვილად ურთიერთქმედებენ მჟავებთან და წარმოქმნიან წყალში ხსნად მარილებს  $\text{E(NO}_3)_3$ ,  $\text{ECl}_3$ ,  $\text{EBr}_3$ ,  $\text{EI}_3$ ,  $\text{E}_2(\text{SO}_4)_3$ . ძნელად ხსნადი მარილებია  $\text{EF}_3$ ,  $\text{EPO}_4$  და ხევ.

Th(III), Pa(III), U(III), Np(III) ძლიერი აღმდგენელებია:



აქტინიდების(III) ნაერთები გამოიყენება ბირთვული ხაწვავის ტექნოლოგიაში და აქტინიდთა ნაწარმების ხინთებით.

### Э(IV) ნაერთები

ჟანგვითი რიცხვი +4 ტიპიურია თორიუმისა და პლუტონიუმისთვის, ასევე პროტაქტინიუმი, ურანი, ნეპტუნიუმი და ამერიციუმიც ამჟღავნებენ აღნიშნულ ჟანგვით რიცხვს. ამ ვალენტობისთვის ცნობილია იზომორფული კრისტალური ოქსიდები:  $\text{ThO}_2$ ,  $\text{PaO}_2$ ,  $\text{UO}_2$ ,  $\text{NpO}_2$ ,  $\text{AmO}_2$

ThO <sub>2</sub>	თეთრი
PaO <sub>2</sub> ,	მოყავისფრო-შავი
UO <sub>2</sub>	ყავისფერი
NpO <sub>2</sub>	ყვითელი
AmO <sub>2</sub>	შავი


ეს ოქსიდები წყალში პრაქტიკულად არ იხსნებიან. ტუტეებთან არ რეაგირებენ შელდობითაც კი.

ჰიდროქსიდები ჰ(OH)<sub>4</sub> მცირედ გამოხატულ ფუძე თვისებას ამჟღავნებენ. მათი მიღება შეიძლება მიმოცვლის რეაქციებით. იხსნებიან მჟავებში და წარმოქმნიან მარილებს

$\text{Th}^{4+}$  წარმოქმნიან ჰალოგენიდებს: ThH<sub>4</sub>, PaF<sub>4</sub>, NpF<sub>4</sub>, PuF<sub>4</sub>, AmF<sub>4</sub>, CmF<sub>4</sub>, CfF<sub>4</sub>, EsF<sub>4</sub>.  
 $\text{U}^{4+}$  ნაერთები აღმდგენელის თვისებებით ხასიათდებიან:




$\text{U}^{4+}$  ნაერთებს ლაბორატორიულ პირობებში მიიღებენ  $\text{U}^{6+}$  ნაერთების აღდგენით:



Am(IV) და Cm(IV) ნაერთები დამჟანგველებია:



თორიუმი წარმოქმნის ერთადერთ ოქსიდს ThO<sub>2</sub>, რომელიც მიიღება მისი მარილების ან ჰიდროქსიდის გახურებით. თორიუმ(IV)-ის ჰალოგენიდები მიიღება რეაქციებით( $600^{\circ}\text{C}$ ):




ორივე მათგანი თეთრი კრისტალური ნივთიერებაა.

## Э(V) ნაერთები

$\text{Pa}^{5+}$  მდგომარეობა დამახასიათებელია პროტაქტინიუმისთვის, ასევე ნეპტუნიუმისთვისაც; იშვიათად ამჟღავნებს პლუტონიუმი.


$\text{Pa}_2\text{O}_5$  პროტაქტინიუმ(V)-ის ოქსიდი მიიღება პროტაქტინიუმ(IV)-ის ჰიდროქსიდის ჰაერზე გახურებით ( $800^\circ\text{C}$ ). იგი ძირითადად ფუძე თვისებებს ამჟღავნებს. იხსნება ცხელ გოგირდმჟავაში:



იგივე შეიძლება ითქვას პროტაქტინიუმ(V)-ის ჰიდროქსიდზე შედგენილობით  $\text{HPaO}_3$ , რომელიც წყალში არ იხსნება და ქიმიური ბუნებით წარმოადგენს სუსტ ფუძეს –  $\text{PaO}_2(\text{OH})$ .

$\text{PaO}_2^+$  არის პროტაქტინილის რადიკალი. ანალოგიურ რადიკალებს წარმოქმნიან ნეპტუნიუმი  $\text{NpO}_2^+$ , ურანი  $\text{UO}_2^+$  და პლუტონიუმი  $\text{PuO}_2^+$ .

პროტაქტინიუმ(V)-ის ნაერთებიდან აღსანიშნავია  $\text{PaCl}_5$ , რომელიც მიიღება გავარვარებული  $\text{Pa}_2\text{O}_5$ -ის ზედაპირზე ფოსგენის გატარებით:



$\text{Am(V)}$  და  $\text{Pu(V)}$  ნაერთები მჟანგველის თვისებას ავლენენ:



ურანილის ნიტრატზე წყალბადის პეროქსიდის მოქმედებით მიიღება ყვითელი ფერის ურანის პეროქსიდი:



## Է(VI) ճայրությօն

+6 ჟანგვითი რიცხვი ყველაზე მეტად დამახასიათებელია ურანისთვის. ურანისა და სხვა დანარჩენი აქტინიდების ნაერთებში, სადაც ისინი +5, +6 ჟანგვით რიცხვს ამჟღავნებენ, გვხვდება  $\text{EO}_2^+$   $\text{EO}_2^{2+}$  იონები: ნეპტუნილი  $\text{NpO}_2^{2+}$ , ურანილი  $\text{UO}_2^{2+}$ , პროტაქტინილი  $\text{PaO}_2^{2+}$  და სხვ. რიგში  $\text{U} - \text{Np} - \text{Pu} - \text{Am}$  ექვსვალენტიანი ნაერთების მდგრადობა მცირდება. მაგ. ურანისთვის მიღებულია მდგრადი ოქსიდი  $\text{UO}_3$  (ნარინჯისფერი), ნეპტუნიუმისთვის მხოლოდ შერეული ოქსიდი  $\text{Np}_2\text{O}_3$ , ხოლო პლუტონიუმ(VI)-ის ოქსიდი საერთოდ არაა მიღებული. ასევე იცვლება მდგრადობა ფტორიდთა რიგში.  $\text{UF}_6$  და  $\text{NpF}_6$  მეტნაკლებად მდგრადი ნაერთებია, ხოლო  $\text{PuF}_6$  – არამდგრადი. სხვა პალოგენიდებიდან მდგრადია მხოლოდ  $\text{UCl}_6$ .

მაღალი სისუფთავის ურან(VI)ის ოქსიდის მიღება შეიძლება  $350^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ამონიუმის დიურანილის დაშლით:





## ურან(VI)-ის ოქსიდი ოშლება:




$\text{UO}_3$  მიიღება აგრეთვე ურანილის ნიტრატის თერმოლიზით( $350^\circ\text{C}$ ):




წყალხსნარებში ურანი (VI) ურანილ-ომნის სახით არსებობს. ურანილის მარილებს ღებულობენ ოქსიდების  $\text{UO}_3$  ან  $\text{U}_3\text{O}_8$  მჟავებში გახსნით:



თეო<sub>3</sub> –ის შესაბამისი პიდრატები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფუძეები შედგენილობით  $\text{TeO}_2(\text{OH})_2$ . ისინი ადვილად ურთიერთქმედებენ მჟავებთან და წარმოქმნიან მარილებს:




ურან(VI)-ის ოქსიდი ურთიერთქმედებს წყალთან და წარმოქმნის ურანილის პიდროქსიდას:



პრაქტიკაში დიდი გამოყენება აქვს ურან(VI)-ის აზოტმჟავა მარილს  $UO_2(NO_3)_2 \cdot 6H_2O$  – ურანილის ნიტრატის ჰექსაჰიდრატს.


განსაკუთრებით საინტერესოა ურანის ჰექსაფტორიდის  $UF_6$  თვისებები. ეს არის კრისტალური ნივთიერება, რომელიც მცირედ გახურებისას ადვილად აორთქლდება. იგი მიიღება ურანის ტეტრაფტორიდის ფტორირებით უწყლო გარემოში.  $UF_6$  გამოიყენება  $^{235}U$  და  $^{238}U$  იზოტოპების დაცილებისას თერმოდიფუზიის მეთოდით. გარდა ამისა, მას იყენებენ მაღალი ჟანგვითი რიცხვის მქონე ელემენტთა ფტორიდების მისაღებად.

Np და Pu ნაერთები ჟანგვითი რიცხვით +6 ნაკლებად მდგრადებია. ისინი დამჟანგველებს წარმოადგენენ, თვითონ კი ადვილად აღდგებიან +3 ან +4 მდგომარეობამდე:



პლუტონიუმის თვისება – ურანთან შედარებით ადვილად აღდგებს  $\Theta^{+4}$ -ძღვა, გამოიყენება ბირთვული საწვავის ტექნილოგიაში ურანისა და პლუტონიუმის დასაცილებლად.

**ურანატები.** ურანის ოქსიდების შელღობისას ტუტე ან ტუტემიწათა ლითონების კარბონატებთან, მიიღება ყვითელი ან ნარინჯისფერი შეფერილობის ნივთიერებები, ე.წ. ურანატები:



## Theta(VII) ნაერთები

პლუტონიუმი და ნეპტუნიუმი შვიდვალენტიან მდგომარეობაში მიღებული იქნა Pu(VI) და Np(VI) ოზონით ჟანგვით ტუტე გარემოში. ოზონის ზემოქმედებით ნეპტუნილის  $NpO_2^{2+}$  და პლუტონილის  $PuO_2^{2+}$  ხსნარების შეფერილობა იცვლება. მაგ. ნეპტუნილის შემთხვევაში მწვანე ფერის ხსნარი ხდება შავი.

კალიუმის ნეპტუნატი  $K_3NpO_5$  ძლიერი მუნგავია.

მიღებულია აგრეთვე ოქსონეპტუნატები, ოქსოპლუტონატები:  $Ba_3(NpO_5)_2 \cdot nH_2O$ ,  $Ba_3(PuO_5)_2 \cdot nH_2O$ ,  $[Co(NH_3)_6]NpO_5 \cdot 3H_2O$  და სხვ.  $NpO_5^{3-}$  ნაწარმები შეფერილია მწვანედ, ხოლო  $PuO_5^{3-}$  მოყავისფრო-შავად.

მუნგა ხსნარებში  $Np(VII)$  ნაერთები ადგილად გადადიან  $Np(VI) - ში$ . მიღებულია ამერიციუმ(VII)-ის ნაერთებიც.

### აქტინიდთა კომპლექსური ნაერთები

აქტინიდები წარმოქმნიან კომპლექსურ ნაერთებს როგორც მონო-, ასევე პოლიდენტატურ ლიგანდებთან.

ჰ $^{3+}$  კათიონთა კომპლექსები ემსგავსებიან ლანთანიდთა(III) კომპლექსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ატომური ნომრის გაზრდასთან ერთად აქტინიდთა(III) მწკრივში აქტინიდური კუმშვის გამო კომპლექსური ნაერთების მდგრადობა იზრდება. სამწუხაროდ, დღეისათვის ამ ვარაუდის დამადასტურებელი ექსპერიმენტული მონაცემები არაა საკმარისი.

რიგში  $Th^{4+} - Cm^{4+}$  ჰ $^{3+}$ -ის ანალოგიურად, ასევე იზრდება კომპლექსური ნაერთების მდგრადობა.

მიუხედავად ნაკლებად მდგრადობისა,  $U(VI)$  და  $U(IV)$  კომპლექსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიაში. ურანიდულფატები და ურანიდნიტრატები გამოიყენება მაღნის გადამუშავების პროცესში ურანის კონცენტრირებისთვის.

ურანისა და თორიუმის დასაცილებლად  $U(VI)$  გადაჰყავთ ხსნარში კარბონატული კომპლექსის სახით:



ურანის კარბონატული კომპლექსი არამდგრადია, მაგრამ მისი წარმოქმნა იძლევა  $UO_2^{2+}$ -ის ხსნად მდგომარეობაში შენარჩუნების საშუალებას.

თორიუმი იგივე პირობებში წარმოქმნის პიდროქსიდს  $Th(OH)_4$ , რომელიც წყალში უხსნადია. ეს კი აადგილებს თორიუმის დაცილებას ურანისგან.

მიუხედავად აქტინიდოთა მიღების სიძელისა და მათი ტოქსიკურობისა, ზოგიერთ მათგანს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს. მაგალითად, პლუტონიუმის ოზოტოპი  $^{239}Pu$  ბირთვული საწვავია. იგი გამოიყენება ატომურ ელექტროსადგურებში, სხვადასხვა ტიპის რეაქტორებში.

პლუტონიუმის ოზოტოპი  $^{238}Pu$  (ნახვრადდაშლის პერიოდი  $T=86$  წელი) ფართოდ გამოიყენება კოსმოსურ თანამგზავრებში დენის წყაროებად, მედიცინაში – ენერგიის წყაროდ გულის სტიმულატორებში.

კალიფორნიუმის ოზოტოპი  $^{252}Cf$  ნეიტრონების წყაროა. მისი ნახვრადდაშლის პერიოდია 2,6 წელი.

თორიუმი გამოიყენება ურან-თორიუმის რეაქტორებში. რეაქტორის მოქმედების პროცესში თორიუმი გარდაიქმნება ურანის მსუბუქ იზოტოპად  $^{233}U$ , რომელიც ბირთვულ საწვავს წარმოადგენს. ურანი გამოიყენება ასევე ბირთვულ რეაქტორებში და ატომურ კუმბარებში. მისი გარდაქმნის გზით მიიღება ბირთვული საწვავი –  $^{239}Pu$ .

## აქტინიუმისა და აქტინილების გიოლობიური როლი

აქტინიდების მოქმედება ცოცხალ თრგანიზმებზე პირველ რიგში დაკავშირებულია მათ რადიაქტიურობასთან. აქტინიდები ზოგიერთი თვისებით ემსგავსებიან ლანთანიდებს. მაგ. პლუტონიუმი ადამიანის თრგანიზმში მოხვედრისას კონცენტრირდება ძვლებში, ისევე, როგორც იშვიათ მიწათა ელემენტები, თუმცა აქტინიდები გაცილებით უფრო საშიშია მაღალი რადიაქტიურობის გამო. მაგ. პლუტონიუმი, განიცდის რა ა-დაშლას, იწვევს სისხლმბადი თრგანოების (ძვლის ტვინი) მუშაობის დარღვევას. ამიტომ პლუტონიუმთან მუშაობისას საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილის დაცვა.

ატომური ენერგიის გამოყენებისას, ატომური იარაღის გამოცდისას და ბირთვული საწვავის გადამუშავებისას რადიონუკლიდებით გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელი რადიაქტიური ნარჩენებიდან, ნიადაგიდან, ადამიანის თრგანიზმიდან მათი სელექტიური გამოტანა. როგორც იშვიათი ლითონთა იონების შემთხვევაში, ამ დროსაც გამოიყენება ლიგანდები, რომლებიც აქტინიდებთან და სხვა რადიონუკლიდებთან წარმოქმნიან მდგრად კომპლექსებს.

## **ლექსიკონი**

**აბსორბცია** – თხევადი ან მყარი სხეულებით მთელ მათ მოცულობაში აირადი ან გახსნილი ნივთიერებების შთანთქმა

**აფსორბცია** – აირის ან სითხის შთანთქმა მყარი ნივთიერების ზედაპირის მიერ

**ალტენორორმია** – ლითონების და არალითონების მიღების მეთოდი მათი ჟანგბადნაერთებიდან ლითონური ალუმინით აღდგენით

**ამალგამა** – ლითონური სისტემა, რომლის შემადგენელ ნაწილსწარმოადგენს გერცხლისწყალი

**ამორფული მდგომარეობა** – მყარი სხეულის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თვისებებით, როგორიცაა მკაფიოდ გამოხატული ლლობის ტემპერატურული წერტილის არსებობა და სხვ.

**ამფოზილურობა** – ნივთიერების თვისება, გაიხსნას როგორც წყალში, ასევე ორგანულ გამხსნელებში

**ანიონი** – უარყოფითად დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი

**ანიონური კომპლექსი** – კომპლექსური ნაერთი, რომელიც შეიცავს კომპლექსურ ანიონს

**ანტიზერომაბნეტიზმი** – ნივთიერების მაგნიტურად მოწესრიგებული მდგომარეობა, რომლის დროსაც კრისტალური გისოსის მეზობელ კვანძებში ატომების ან იონების მაგნიტური მომენტები ანტიპარალელურადაა ორიენტირებული

**ბირთვული უნირბია** – ენერგია, რომელიც გამოიყოფა ატომბირთვის წარმოქმნისას პროტონებიდან და ნეიტრონებიდან

**პირთვული რეაქციები** – შესაბამისი ნაწილაკების – ნეიტრონების, პროტონების, α-ნაწილაკების და სხვ. ურთიერთქმედება ქიმიურ ელემენტთა ბირთვებთან

**პირთვული რეაქტორი** – დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომბირთვის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია

**გადაპრისტალება** – ნივთიერების გასუფთავების მეთოდი მისი ხსნარიდან გამოკრისტალების გზით

**გალვანური ელემენტი** – ხელსაწყო, რომელშიც ქიმიური რეაქციის შედეგად მიიღება ელექტრული დენი

**დეიტრონი** – წყალბადის იზოტოპის, დეიტერიუმის ატომის ბირთვი, რომელიც აღინიშნება  $D^+$  და შედგება ერთი პროტონისგან და ერთი ნეიტრონისგან

**დენტატობა** – ლიგანდის კოორდინაციული დონორული ცენტრების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც გვაქვს მონო- და პოლიდენტატური ლიგანდები.

**დიამაბნიტური** – ნივთიერება, რომელიც განიზიდება მაგნიტის პოლუსებისგან

**დისოციაციის მუდმივა** – ხსნარში იონების კონცენტრაციების ნამრავლის ფარდობა ელექტროლიტის კონცენტრაციასთან

**დისოციაციის ხარისხი** – ელექტროლიტის იონებად დაშლის ხარისხი

**დისპროპორციება** – თვითჟანგვა-თვითაღდეგნის პროცესი

**დუღილის ტემპერატურა** – ტემპერატურა, რომელზეც სითხის ორთქლის წნევა უტოლდება გარემოს წნევას

**ელექტრობამფარობა** – ნივთიერებათა თვისება გადაიტანონ ელექტრული დენი ელექტრული ძაბვის გავლენით. არსებობს სამი ტიპის: ელექტრონული, იონური და შერეული

**ელექტროდი** – გამტარი (ფირფიტა, ღერო და სხვ.), რომლის საშუალებითაც ელექტრული დენი შედის სითხეში ან აირში

**ელექტროდიზი** – ელექტრული დენის მოქმედებით ნივთიერებათა დაშლისა და ახალი ნივთიერებების ელექტროდებზე გამოყოფის პროცესი

**ელექტროდიტი** – ნივთიერება, რომლის წყალხსნარი ან ნალღობი ატარებს ელექტრულ დენს

**ელექტროდიტური დისოციაცია** – ელექტროდიზის დაშლა წყალხსნარში ან ნალღობში დადებით და უარყოფით იონებად

**ელექტრონული დრუგელი** – იხ. ორბიტალი

**ელექტროუარყოფითობა** – ელემენტის უნარი მიიზიდოს ქიმიური ბმის წარმომქმნელი ელექტრონები

**ექსტრაჟია** – ნარევიდან რაიმე ნივთიერების გამოყოფა, გამოცალკევება გამსსხველების საშუალებით

**გაპუშმი** – ჭურჭელში არსებული აირის ისეთი მდგომარეობა, როცა მისი წნევა  $10^{-3}$  ატმოსფეროზე ნაკლებია

**იზომორფულობა** – ატომების, იონების ან მოლეკულების თვისება ჩაანაცვლონ ერთმანეთი კრისტალებში

**იზოტოპები** – ატომები, რომლებსაც აქვთ პროტონების ტოლი რიცხვი, მაგრამ მასური რიცხვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან

**06. ინდიკატორი** – ნივთიერება, რომლის ფერის ცვლილება გამოიყენება რომელიმე ქიმიური პროცესის გამოსამჟღავნებლად

**07. ინდიკატორი** – ქიმიური პროცესის შემნელებელი ნივთიერება

**08. იონიტები** – მყარი, წყალში და ორგანულ გამხსნელებში პრაქტიკულად უხსნადი მასალები, რომლებსაც აქვთ იონური მიმოცვლის უნარი

**09. იონზაციის პოტენციალი** – უმცირესი, მინიმალური ენერგია, რომელიც საჭიროა ატომური სისტემისგან (ატომი, იონი, მოლეკულა, რადიკალი) ელექტრონების მოსაცილებლად. იზომება ელექტრონგოლტებში

**10. იონური რადიუსი** – სფეროსებური იონების ზომების აღნიშვნისთვის შემოტანილი ცნება, რომელიც ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ იონთა ზომები არაა დამოკიდებული იმ მოლეკულათა და კრისტალთა შედგენილობაზე, რომლებიც ამ იონებს შეიცავენ

**კატიონი** – დადებითად დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი

**კატიონური კომპლექსი** – კომპლექსური ნაერთი, რომელიც შეიცავს კომპლექსურ კატიონს

**კოაგულაცია** – ნაწილაკების შეწებება დისპერსიულ, განსაკუთრებით კი კოლოიდურ სისტემებში, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეტად ან ნაკლებად მსხვილი აგრეგატები

**კოლოიდური სინარი, კოლოიდური სისტემა** – მაღალი დისპერსივობის მქონე სისიტემა

**კოორდინაციული ნაერთი** – ნაერთი, რომელიც არსებობს როგორც კრისტალურ მდგომარეობაში, ასევე სინარში და რომლის თავისებურებაა ცენტრალური ატომისა და მის გარშემო კოორდინირებული ლიგანდების არსებობა

**პოროზია** – ლითონთა დაშლა (დაუანგვა) გარემოში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად

**პრისტალჰიდრატი** – კრისტალები, რომლებიც შეიცავენ წყლის მოლეკულებს

**ლიგანდი, ლიგანდები** – მოლეკულები და იონები, დაკავშირებული, ცენტრალურ ატომთან კოორდინაციულ ნაერთებში

**ლითონთერმია** – ლითონების აღდგენა მათი ნაერთებიდან სხვა, ქიმიურად უფრო აქტიური ლითონებით მაღალ ტემპერატურაზე

**ლებირება** – მოცემული ქიმიური შედგენილობის, სტრუქტურის, ფიზიკური, ქიმიური და მექანიკური თვისებების მისაღებად ლითონებსა და შენადნობებში მაღალი ელემენტების შეტანა

**ლუმინესცენია** – მოცემულ ტემპერატურაზე სხეულის ჭარბი გამოსხივება (ნათება) თავის სითბურ გამოსხივებასთან შედარებით, რომლის ხანგრძლივობა სხივური რხევის პერიოდს აჭარბებს

**ლუმინოფორი** – ნივთიერებები, რომლებსაც შთანთქმული ენერგიის სხივურ გამოსხივებად გარდაქმნის უნარი აქვთ

**მადანი** – მინერალური წარმონაქმნი ლითონების ან სასარგებლო მინერალების შედგენილობით.

**მლეობი მშავა** – ფტორწყალბადმჟავა

**მონოდენტატური** – ი. დენტატობა

**ნახევრადდაშლის პერიოდი** – დრო, რომლის განმავლობაშიც იშლება მოცემული ელემენტის ბირთვების რაოდენობის ნახევარი

**ოზონი** – უანგბადის ალოტროპიული სახესხვაობა, დამახასიათებელი სუნის მქონე აირი, რომელიც წარმოიქმნება ელექტრული განმუხტვით და მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით

**ორბიტალი** – სივრცის ის ნაწილი ატომბირთვის ელექტრომაგნიტურ ველში, სადაც მაქსიმალურია ელექტრონის არსებობის ალბათობა

**პარამაპნიტურობა** – ნივთიერების სუსტად გამოხატული მაგნიტური თვისება

**პიმპენტი** – საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმების ქსოვილებს

**პირომეტალურია** – მაღალ ტემპერატურებზე მიმდინარე ლითონებისა და შენადნობების მიღებისა და გაწმენდის პროცესები

**პიროვორულობა** – თვითაალების უნარი, რაც დაკავშირებულია ჰერზე დაჟანგვის ეგზოთერმულ რეაქციებთან

**პლაზმა** – იონიზირებული აირი, რომელშიც დადებითი და უარყოფითი ელექტრული მუხტების მოცულობითი სიმკვრივეები ტოლია

**პოლიდენტატური** – იხ. დენტატობა

**პოლიმერები** – ნივთიერებები, რომლებსაც ქიმიური შედგენილობა ერთნაირია აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან მოლეკულაში ატომთა სხვადასხვა რაოდენობით

**პოტაში** – კალიუმის კარბონატი

**რადიაციონობა** – ქიმიური ელემენტის ატომბირთვის თვითნებური ან ხელოვნური დაშლა, რასაც თან სდევს ელემენტარული ნაწილაკების გამოსხივება

**საპოროდინაციო რიცხვი** – ცენტრალური ატომის გარშემო კოორდინირებული ლიგანდების რაოდენობა

**სამეცნიერო ფიზიკი** – ერთი მოცულობა  $\text{HNO}_3$  და სამი მოცულობა  $\text{HCl}$  ნარევი, რომელიც უძლიერესი მუსიკულია

**სუბლიმაცია** – მყარი ნივთიერების გადასვლა აირადში თხევადი მდგომარეობის გამოტოვებით

**ცერომაბნიტური** – ძლიერი მაგნიტური თვისებების მქონე

**ცლოტაცია** – ლითონის მადნის გამდიდრების ერთ-ერთი წესი

**ცოსბენი** – უფერო, მომწამლავი აირი

**ჭირი** – მრავალკომპონენტიანი არალითონური ნადნობი, რომელიც დნობის პროცესებში თხევადი ლითონის ზედაპირს ფარავს

**ჰიდროლიზი** – ნივთიერებასა და წყალს შორის მიმდინარე მიმოცვლით-დაშლითი რეაქცია

**ჰიდრომეტალურია** – ლითონთა მიღება მაღნებიდან და ნარჩენებიდან სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა წყალსსნარების საშუალებით

## ბაზობენებული ლიტერატურა

1. გ.ცინცაძე, ვ.კომჩაშვილი, თ.ცეცხლაძე. ზაგადი და არაორგანული ქიმიის კურსი – თბილისი, განათლება, 1998, II ნაწილი.
2. ვ.კომჩაშვილი, ნ.ფირცხალავა. არაორგანული ქიმია. – თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969. ნაწ. II; 1970, ნაწ.III.
3. დ.გვარამაძე, გ.ცინცაძე, პ.გაგნიძე, პ.ხარაიძე. არაორგანული ქიმიის კურსი. – თბილისი, განათლება, 1985. ნაწ. II.
4. ნ.ფირცხალავა. „არაორგანული ქიმია“ თბილისის „უნივერსიტეტია გამომცემლობა – თბილისი, 1992.
5. თ. წიგწივაძე. ზოგადი ქიმია. – თბილისი, განათლება, 1995.
6. Н.С.Ахметов. Общая и неорганическая химия. – М.:Высшая школа, 1988.
7. Б.В.Некрасов. Учебник общей химии – М.: Химия, 1981.
8. Г.Реми. Курс неорганической химии - М.: Мир, 1971, т.І, т. II.
9. М.Х.Карапетьянц, С.И.Дракин. Общая и неорганическая химия – М.: Химия, 1981.
10. Ф.Коттон, Дж.Уилкинсон. Современная неорганическая химия - М.: Мир, 1969, ч. II,III.
11. Г.П.Хомченко, И.Н.Цитович. Неорганическая химия - М.:Высшая школа, 1978.
12. Н.Л.Глинка. Общая химия – Л.: Химия, 1982.
13. Я.А.Угай. Общая химия – Изд.2-е. - М.:Высшая школа, 1984.
14. Ю.Д.Третьяков, Л.И.Мартыненко, А.Н.Григорьев, А.Ю.Цивадзе. Неорганическая химия. Химия элементов. М.: Химия. 2001. Т. I, II.
15. А.Уэллс. Структурная неорганическая химия (в 3-х томах) т.2. М.: Мир, 1987.

## იბეჭდება აპტორთა მიერ ფარმოლგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 30.01.2009. ზელმოწერილია დასაბეჭდად 09.03.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 10. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

